მარიამ მარჯანიშვილი

მარჯანიშვილთა და მუსხთა ხიმლი

მარიამ მარჯანიშვილი

მარჯანიშვილთა ლა მუსხთა ხიმღი

გამომცემლობა „მწიგნობარი“

თბილისი 2011

ჩემს მეთრე წიგნს ვუძღვნი დედაჩემს – ლოსტი თაბლაძეს

რედაქტორი – პროფესორი **ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

რეცენზენტები: პროფესორი **სოსო სიგუა**
პროფესორი **იუზა ევგენიძე**
ასოცირებული პროფესორი **ნესტან კუტივაძე**

მხატვარი: **ბუდუ სირბილაძე**

წიგნი გამოიცა **მარიამ მარჯანიშვილისა და მირიან მესხის** თანადაფინანსებით

© **მარიამ მარჯანიშვილი, 2011**
© **გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2011**

ISBN 978-9941-424-29-8

სარჩევი

ავტორისაგან 4
სულით ძლიერი წინაპარი 5
„გვარი საჩინო არს“ 9
მაგდალინა მარჯანიშვილის „სამკაულები“ 12
ავწიოთ ფარდა წარსულისა 15
დიდი თეატრალური ოჯახის მემკვიდრეები 27
„მიდიოდნენ საცხონებლად წაწყმედილნი ბრუნდებოდნენ“ 28
„გზა ეკლიანი, სახიფათო, მაგრამ საზოგადო“ 32
„ამ კაცს ქვეყანა უნახავს, განათლებული კაცია“ 42
განცდის თეატრის მეხოტბე 47
რა არის ცხოვრება ჭეშმარიტი, უხელოვნებოდ?! 60
წუთისოფლის ხანმოკლე ჟამით დაღდასმულნი 67
მესხის ქალების მარად ჩაუქრობელი განცდა 70
ვალმოხდილი მანდილოსნის ნათება 72
„ცხოვრებითა გონიერებითა ცხოვრობდა“ 74
სხვისი ბედნიერებისაკენ სწრაფვა 77
მშვენიერებისა და სათნოების დედოფალი 79
სულის აღმაფრენასთან წილნაყარი 85
„კიკიმორა?!“ არა, დიდი მსახიობი“ 89
„მომავალ თაობას დარჩება“ 96
სცენის პოეტი 98
გზა ტაძრისაკენ 118
ასკეტიზმით ჩაკლული შემოქმედება 129
ზღვასავით შემართული 132
ღირსეული მამის ღირსეული მემკვიდრე 136
თავისუფლებისაკენ მსწრაფი ერისთავის ქალი 138
ორი მარჯანიშვილი, ორთავე რეჟისორი ქუთაისის თეატრში 151
ამჯერად, აქ დავასრულოთ 142
ბოლოთქმა 148
ფოტო-დოკუმენტები 149
SUMMARY 151

აღმოჩენისაგან

ჩვენმა საუკუნემ ბევრი ძველი შეხედულება და თითქმის ეჭვმიუტანელი დებულებები გადააყირავა და გააფერმკრთალა.

მაგრამ ძიება წინაპრებისა და მათი შთამომავლებისა ისევ ძალაშია...

გამოჩენილი მეცნიერის მიხაკო წერეთლის თქმით:

„...ჩვენი მამანი და წინაპარნი, რომ არაფერნი ყოფილიყვნენ, ჩვენც არარანი ვიქნებოდით. უწარსულო ერი, უისტორიოა, –იგი საუკუნეთა განმავლობაში არაფრის შემქმნელი არ ყოფილა და არც მომავალი აქვს! რაც ქართველ ერს წარსულში შეუქმნია, დღესაც მით გვიდგას კულტურული ადამიანის სული და ჩვენი მოქმედებაც წინაპართ შექმნილის საფუძველზე სწარმოებს“...

და, დღეს, წარსულის ხსოვნის არდაკარგვა ამიტომაც გახდა თაობის ვალი...

ჩემმა შორეულ-ახლობელმა წინაპრებმა, მარჯანიშვილთა და მესხთა გვარის შთამომავლებმა, ისტორიის მძაფრ ქარტეხილებსა და დროის გამოცდას მათ არსებაში ჩამარხული სინდისის ძალით გაუძლეს.

შექმნეს და დაგვიტოვეს „ერთხელ, საუკუნოდ და სამუდამოდ“ დიდი თეატრალური პოეზია...

ამ წიგნის დაწერაც მათმა ზნეობრივმა, ჩუმმა, ფარულმა გმირობამ შთამაგონა, რომელთა სახელები დღესაც განსაკუთრებით ბრწყინავენ და კაშკაშებენ ქართული თეატრის დიდ თანავარსკვლავედში.

ისინი დღესაც ქმნიან, მოქმედებენ და მღელვარებას იწვევენ...

და, ამიტომ, დღესაც არ ეცემა დავიწყების ჩრდილი მათ ელვარე მოღვაწეობას...

ამ დიდ მამულიშვილთა უანგარო, საზოგადოებრივ კეთილდღეობას ასახავენ ამ წიგნში შესული წერილები, რომლებიც ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი საარქივო მასალებისა და დოკუმენტებზე დაყრდნობით დაიწერა.

ანდრია მარჯანიშვილის შთამომავალთა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ დამანახა, რომ მხოლოდ სულის მხნეობით შეუძლია ადამიანს სხეულის სიძაბუნის დამარცხება და პიროვნებაში არსებული ზნეობის ძალით სცენაზე ჭეშმარიტი სიმართლის ჩვენება.

ქართული თეატრის ისტორიის წარსულის ეს მშვენიერი ფურცელი იმითაცაა საინტერესო, რომ დიდი ადამიანები წვრილმანშიაც კი დიადნი არიან და სიბრძნითაც გვასაზრდოებენ. ამის ნათელი მაგალითია, ქართული თეატრის მესიის კოტე მარჯანიშვილისაგან ქართველთა გენში ჩადებული შურისა და მტრობის საპასუხოდ ღირსების შესაფერი ერთი ლამაზი საქციელი:

„...შურისგება“ ორგვარია: –ან დაიხურე ქუდი და წადი, ან არადა ხელახლა აფეთქდი მაშხალასავით ისე, რომ შენს ირგვლივ მიმოაფრქვიო დამატყვევებელი ნაპერწკლები“. კოტე მარჯანიშვილის ეს რჩევა პავლე მოციქულის სიბრძნის ერთგვარი კონსტატაციაა: „შურს ნუ იძიებთ, ამაზე ნუ მოცდებით, თქვენ მიუტევეთ და უფალი არაფერს არ დატოვებს დაუსჯელს“...

და, თუ, ეს ჩემი წიგნი მკითხველმა მიიღო, გამოდის, რომ შურსა და უმადურობას მეც, გენეტიკური მემკვიდრეობით მარჯანიშვილისეული ღირსებით ვუპასუხე და ბედის დარტყმებით ცათამდე ავმაღლდი...

მარიამ მარჯანიშვილი.
ქუთაისი, გიორგობისთვე, 2009 წ.

სულით ძლიერი წინაპარი

„სინდისის ხმა და მართალი სიტყვა
მოითხოვს ადამიანს ჰქონდეს სპეტაკი
სული და თბილი გული!“

სულხან-საბა ორბელიანი

ისტორია იმდენად წარსულისათვის არ იწერება, რამდენადაც აწმყოსათვის. წარსულის გარეშე ერს ისტორია არა აქვს.

„...ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა, თავის ყოფილი ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულის, მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლის, დარღვევისა და მთლად წაწყმედისიცა. წარსული –მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძენისაგან, რომ „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მერმისისაო“–წერდა ილია.

დიდი ილიას ეს მრავალმადლიანი და ღრმააზრიანი სიტყვაა ამ წიგნის საძირკველიც, რამეთუ ყოველ ადამიანს თავისი ისტორია აქვს და თითოეული მათგანის დამთავრებული სამყარო ნასაზრდოებია მისი ქვეყნის წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

„...ამასთან ერთად ყოველი ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში მთავარ როლს განსაზღვრავს წინაპრის გენი, მისი გმირული სისხლის ამბოხი, ხასიათის, შეხედულებათა სისტემა და მოქმედების ორიენტაცია“... **(29, გვ.11).**

მარჯანიშვილთა გვარის წინაპრებს არც თუ ისე შორეულ წარსულში მოუხდათ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა. მათ დამარცხებულ სამშობლოში ერის სულიერი და კულტურული ცხოვრების აყვავების დიდ ეროვნულ საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს.

მარჯანიშვილები წარმოშობით იმერეთიდან არიან, სოფელ მაღლაკიდან, სასულიერო აზნაურიშვილები.

ისტორიული საბუთებით გარკვეული იყო, რომ მათი წინაპრები გლეხები იყვნენ, გვარად ივანჯანისშვილები, რომელსაც 1560 წლით დათარიღებული ქუთაისის ოლქის საეკლესიო ყმების აღწერის ერთ-ერთი ნუსხაც ადასტურებდა. აშკარად ჩანდა, რომ ივანჯანისშვილებმა XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგს აზნაურობა მიიღეს და გვარიც მარჯანიშვილებად გადაიკეთეს.

ამ გვარის შესახებ ს. კაკაბაძე აღნიშნავდა: „აზნაური მარჯანიშვილი არის იგივე XVI საუკუნის – ივანჯანისშვილი. ეს ჩანს იმ გარემოებიდანაც, რომ 1819 წლის ნუსხაში მოხსენებული გლეხი ნიკოლოზ ივანჯანისშვილი 1825 წლის რუსულსავე ნუსხაში მოხსენებული იყო, ისე როგორც სხვა ამავე გვარის გლეხები, მარჟანიშვილად. რაც იგივე მარჯანიშვილია.

ასე, რომ ცხადია, 1819 წლის ნუსხაში აზნაურად დასახელებული მარჯანიშვილი – გლეხთა წოდებიდან არიან გამოსულნი...“

მარჯანიშვილის საგვარეულოს შესახებ ცნობებს გვაწვდის აგრეთვე ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე. მისი გადმოცემით, „მარჯანიშვილები ადრე მანჯეიშვილები ყოფილან, ხოლო შემდეგ მარჯანოვებად ანუ მარჯანიშვილებად გადაუკეთებიათ გვარი“. ნიკო ნიკოლაძის ცნობა მარჯანიშვილების საგვარეულოს შესახებ 1819-1825 წლების ნუსხებთან შედარებით უფრო გვიანდელი წარმოშობის იყო და იგი ზეპირ გადმოცემას უნდა ემყარებოდეს.

ირკვევა, ნიკო ნიკოლაძისათვის ცნობილი ყოფილა, რომ წინათ მარჯანიშვილები შეცვლილ გვარს ატარებდნენ. ეტყობა, რომ ნ. ნიკოლაძე აქ ივანჯანისშვილების მარჯანიშვილებად გააზნაურების შემდეგ ამ გვარში მომხდარ გარეგნულ ცვლილებებს ეხება და ამიტომაც, მცდარი იყო ის აზრი, რომ მარჯანიშვილები ადრე მანჯეიშვილები ყოფილან.

რაც შეეხება მარჯანიშვილის გვარის მარჯანოვებად გადაკეთებას, ეს რუსიციზმის გავლენა იყო და ქართული გვარების რუსული დაბოლოებით უნდა აიხსნას, რაც იმდროინდელ ქართველ თავად-აზნაურთა გვარის დასახელებისას ფართოდ იყო გავრცელებული.

ისტორიული წყაროების შესწავლა გვარწმუნებს, რომ მარჯანიშვილები ღარიბი აზნაურები იყვნენ. მათ არც დიდი მამულები ჰქონდათ როდისმე და არც მემკვიდრეობით ყმა-

გლეხები ჰყავდათ.

გაუხმაურებელი საგვარეულო სახელის მიუხედავად, საქართველოში მეფის რუსეთის ბატონობის დამკვიდრების შემდეგ მარჯანიშვილები საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე თანდათან გამოვიდნენ და ზოგიერთ მათგანმა მოხერხებულობითა და გონება-გამჭრიახობით გავლენიან არისტოკრატიულ წრეებში სათანადო ავტორიტეტიც მოიპოვა.

მარჯანიშვილთა გვარიდან ცნობილი გახლდათ ანდრია იოსების ძე მარჯანიშვილი, რომელიც საკმაოდ დიდი შეძლებისა და სახელის მქონე პიროვნება იყო. იგი რუსეთის ჯართან ერთად მონაწილეობდა 1809 წელს ჯერ-ფოთის, ხოლო შემდეგ – 1810 წელს, ახალციხის განთავისუფლებაში.

აღნიშნულ ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ანდრია მარჯანიშვილს მაიორის ჩინი უბოძა, შემდეგ კი იმერეთის დროებითი მმართველობის მრჩევლად და თარჯიმნად დააწინაურა.

ანდრია მარჯანიშვილს ოფიციალური განათლება არ ჰქონდა მიღებული და არც რუსულის დიდი ცოდნით გამოირჩეოდა, მაგრამ ბუნებრივი ნიჭითა და მოხერხებულობით ის სახელმწიფო დაწესებულებაში ანგარიშგასაწევ კაცად ითვლებოდა, რაზედაც 1830 წლით დათარიღებული ლევან დადიანის წერილიც მეტყველებს. ისეთი გავლენიანი და ცნობილი პიროვნება, როგორიც ლევან დადიანი იყო „სასამართლოში ანდრია მარჯანიშვილს სთხოვს დახმარების აღმოჩენას ლეჩხუმელ თავად ლევან ყიფიანისათვის“... **(ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. საბუთი №2055).**

ანდრიას, როგორც თავის დროისათვის ავტორიტეტულ პიროვნებას, ახლო ურთიერთობა ჰქონდა სამეგრელოს მთავარ ლევან გრიგოლის ძე დადიანის ოჯახთან.

1823 წელს ანდრია მარჯანიშვილს დადიანმა წყალობის წიგნი უბოძა, სადაც აღნიშნული იყო: „...მე ქუმორე ხელის მომწერმა სამენგრელოს მთავარმა ღენერალ ლეიტენატ... ლეონ გრიგოლის ძე დადიანმა გიბოძე ესე წყალობის წერილი თქვენ აზნაურ ანდრია იოსების ძე მარჯანიშვილს, ამაზედ რომელ, გიბოძე სახასო ყმანი ჩემნი საშვილის შვილოდ და სამკვიდროდ სახელდობ სოფელს საჭილაოს ცხენის წყლით გაღმით იმერეთისკენ, ერთი კომლი გლეხი სეხნიელა დუნდუა და მისი შვილები იესიკა და გოგიელა მათის ცოლშვილით. ადგილ მამულით და... რომელისამე შემთხვევაში ვინმე მოდავეთაგანი წარმოგიდგეს ამ ხსენებულის დუნდუებისთვის შენ მაშინ ჩემმან მოცემულმან წყალობის წერილმან პირი დაუყ(შ)ოს და შეუწყნარებელ იქმნეს მოდავისა ამის ყოველივე დავა და მიზეზი... **[ქიმ. საბუთი 1826].**

ანდრია მარჯანიშვილის უბრალო, კეთილი დამოკიდებულება დადიანებთან დამოყვრებადანათესავებით დამთავრდა, რაზედაც მიუთითებს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ერთ-ერთი წერილი, სადაც ლევან დადიანის უფროსი შვილი დავითი ანდრიას თავის ნათლიმამად იხსენიებს: „ჩვენ სრულიად მენგრელიის მემკვიდრემან, დავით ლევანის ძემ... დადიანმა ნებითა მშობლისა ჩემისათა გაჩუქეთ თქვენ ჩემს ნათლის მამას იმერეთის აზნაურს ტიტულიარნის სოვეტნიკს ანდრიას იოსების ძეს მარჯანოვს საშვილის შვილო სამფლობელოდ ყმა ჩემი საკუთარი ლეჩხუმელი მოჯალაბე კიკოლა ხეცურიანი ცოლით მარინეთი“.... **[ქიმ. საბუთი №1798].**

ანდრია მარჯანიშვილს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ქუთაისის მიტროპოლიტ დოსეთეოზ ბერიძესთან, რომელმაც 1814 წელს ანდრიას არქიელის გორაზე სამოსახლო ადგილი მისცა:

„წყალობითა ღირსითა, – წერდა ნაჩუქრების წერილში დოსეთეოზი, – ჩვენ ყოვლად სამღვდელომ ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსეთეოზმან ესე მტკიცე და არ ოდეს მოსაშლელი წყალობის წიგნი გიბოძე შენ ჩვენის ეკლესიის კაცს იმანჯანიშვილს ანდრიას ესე... რომე შემოგვევედრე და ჩვენ ვსმინეთ ვედრი და მოხსენება შენი და აქ ქუთაისს ჩემ სასახლეს მახლობლად სამოსახლო ადგილი მთხოვე და გიბოძე ჭასთან ნიკოლოზ დეკანოზის გაბაონის საზღვარს იქეთ ხახუ(ტი) შვილის საზღვარს აქეთ... ასე რომ თუ შენ ჩემი და ჩვენი ეკლესიის ნიადაგ მოსამსახურე და ერთგული იქნე... არვინ მოგიშალოს ეს ჩვენ მიერ ბოძებული წყალობის წიგნი“... **[ქიმ. საბუთი №1836].**

დოსეთეოზის მიერ ნაბოძებ მიწის ნაკვეთზე, პოეტ ბესიკ გაბაშვილის შთამომავალთა მეზობლად ანდრია მარჯანიშვილმა ერთი წლის განმავლობაში მოჩუქურთმებული აივნით დამშვენებული სახლი ააგო, რომელიც მთელს ქუთაისში ყველაზე ლამაზი სახლი იყო.

„...სობოროზე“ აქ უპირველესი სახლი იყო ბაბუაჩემის ანდრია მარჯანიშვილისა. ეს ანდრია რუსულს საყველპუროდ ამტვრევდა და სასამართლოს „პრაოჩიკი“ კი გახლდათ. მერე ქუთაისის „კვარტალი“ იყო – ხელოსანი. დიდი გავლენიანი კაცი იყო და თავის ქალიშვილებისათვის სასიძოებს არჩევდა. კაი „წმინდა აზნაურიშვილი“ თავადაც არ იყო, მაგრამ სიძეებს თავადებს არჩევდა. „კარგ აზნაურებსა და ჩინოვნიკებს ეძებდა...“ **(21, გვ.17)**.

ანდრია მარჯანიშვილი თავისი პროგრესული შეხედულებებით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მონობისაგან თავის დაღწევით, საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლით, სწავლა-განათლების განვითარებითა და ფხიზელი გონით, ძლიერი ნებისყოფით, მტკიცე ხასიათით, პრაქტიკული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი საკითხების თავისებური გაგებით, აშკარად განსხვავდებოდა ჭამა-სმას, ხანჯლის ტრიალს, არი-არალეს, პირად კეთილდღეობასა და რუსეთის ჩინ-მედლებით თვითკმაყოფაზე დამოკიდებულ იმდროინდელ თავად-აზნაურობისაგან. მის სულიერ ძალთა მობილიზებასა და აზვირთებას, როგორც სწრაფვას თავისუფლებისაკენ რუსეთის იმპერია ხუნდებით ბოჭავდა.

„...მას ცოლად ჰყავდა ბიბილეიშვილის ქალი ანა, რომელთანაც ექვსი ასული და ორი ვაჟი შეეძინა. მათ სანიმუშო ოჯახი ჰქონდათ...

უფროსი ქალიშვილი ანა ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწის, შესანიშნავი მწიგნობრისა და მოლექსის ზურაბ ერისთავის თანამეცხედრე გახლდათ. მათი ქალიშვილი პოეტი დომინიკა ერისთავი მოგვითხრობს: „მე დავიბადე მდიდარ ფეოდალის ოჯახში. მამაჩემი ძველს გამოჩენილ გვარს ეკუთვნოდა, დედა მაიორის ანდრია მარჯანიშვილის ქალი იყო, მდიდარ ოჯახში აღზრდილი, დარბაისელი ქართველი ქალი, ზედმიწევნით მცოდნე სამშობლო მწერლობისა“... **[ქიმ. საბუთი №5261]**.

ჩინებულად დააბინავა ანდრია მარჯანიშვილმა დანარჩენი ქალიშვილებიც. უფროსის მომდევნო ქუთაისის მოურავის ბაქრაძის ვაჟმა შეირთო ცოლად, მესამე ქალიშვილი მაგდალინა მარჯანიშვილი „ღვთის მონათესავე და კეისრის შთამომავალ“ ტახტის აზნაურს სიმონ მესხს მიათხოვა. ეკატერინე ცნობილ იურისტს სოლომონ ღულაძეს გაჰყვა, ხოლო ბოლო ორი ჩარკვიანებმა წაიყვანეს რძლებად. მათ შორის ერთი მღვდელი იყო, მეორე კი კანცელარიის ჩინოვნიკი.

მაიორ ანდრია მარჯანიშვილის ვაჟები – ალექსანდრე და კოტე მამასავით სამხედრო ჩინოსნები იყვნენ. ალექსანდრეს ცოლად ჰყავდა მდიდარი მემამულის თავად სოლომონ ჭავჭავაძის ასული ელისაბედი.

„...მაგდანი – ანდრია მარჯანიშვილის ასული იყო.

მაგდანის ერთი და ზურაბ ერისთავს ჰყოლია ცოლად. პოეტი განდეგილი – (დომინიკა) ზურაბ ერისთავის ქალი იყო, ე.ი. ანდრია მარჯანიშვილის შვილიშვილი. ზურაბ ერისთავიც პოეტი ყოფილა. მას თავის სიმამრთან სახუმარო იამბიკური ლექსების მიწერ-მოწერა ჰქონია. ეს ლექსები ზეპირად იცოდა ჩემმა დედამთილმა და ხშირად გვიამბობდა ხოლმე და გვაცინებდა“... **(22, გვ.19)**.

„...კაი ჯიშის აზნაურობაზე ერთი ამბავი მაგონდება. მამაჩემი და მისი ცოლისძმა ალექსანდრე მარჯანიშვილი (კოტე მარჯანიშვილის მამა) ხშირად წაეხუმრებოდნენ ხოლმე ერთმანეთს.

– მაღლაკელი მარჯანიშვილები რა აზნაურები ხართ, მოგონილი! წაიაზნოურიშვილებთ ვითომ! აი, აზნაურები ჩვენ ვართ – მესხები, ღვთის მონათესავე და კეისრის ტახტის აზნაურები!

– ეტყოდა მამა...

მარჯანიშვილი თავისას ეტყოდა.

ასეთი შესიტყვება ჰქონდათ ერთ ფერიცვალება დღეს, როცა ბიძაჩემი ჩვენთან სტუმრობდა და აივანზე მამაჩემთან ერთად იჯდა. მოჯამაგირე შემოვიდა და მამაჩემს უთხრა:

– მეგრელი მწყემსები არიან, მამაწმინდაში (სამესხო მთა იყო) ჯოგი მიჰყავთ და თქვენი ნახვა უნდათ.

– მოიყვანე–უთხრა მამამ.

შემოვიდნენ კომბლებითა და ხალთებით მწყემსები.

– სადაური ხართ, რა გვარისა?–ჰკითხა მამამ.

– ჩვენ, პატონი, ნაგვაზაურელი მესხიეფი გახოლექ...

მარჯანიშვილი იქვე იყო, მოჰკრა ამას ყური და შეჰყვირა:

– უჰ, ა, ბატონო, კეისრის ჩამომავალი, წმინდა აზნაურები... მწყემსები ხალთით და კომბლებით!...

ატყდა სიცილი, ...შეწბილდნენ მესხები. ერთი ბეკოლია მესხი იყო, გამათრახებას უპირებდა მეგრელ მწყემსებს – თავი მოგვჭრესო, მაგრამ მამამ ნება არ მისცა“...**(21, გვ. 17).**

ოჯახს ანდრია მარჯანიშვილი წარსულის საამაყო შეჯამებად, აწმყოს მტკიცე რწმენად და მომავლის უშრეტ გამარჯვებათა იმედად მიიჩნევდა. ამიტომ ოჯახის – ერის ქვაკუთხედზე –ზრუნვას ანდრია მარჯანიშვილი შვილების მარტო პირად კეთილდღეობაში როდი ხედავდა. მისი რწმენით სინდისი, მორალი, მართალი სიტყვა თუ მოვალეობის გრძნობა ყოველნაირ სიმდიდრესა და ცოდნაზე უფრო მაღლა იდგა.

ტრადიციულ ოჯახში აღზრდილმა პიროვნებამ თავისი პირადი, ცოცხალი მაგალითით დაანახა შვილებსა და შვილიშვილებს, სინდისის შინაგანი ხმის უპირატესობა და ის რომ „მორალური ადამიანი“ უფრო მაღალია, ვიდრე „გონებრივი ადამიანი“.

ყოველი ღირსეული ოჯახი ვალდებულია იფიქროს მომავალზე. ესე იგი, პირველ რიგში იზრუნოს, რომ ერს დაუტოვოს ღირსეული თაობა. ანდრია მარჯანიშვილი თავის მომავალი გეგმის რეალურ შემსრულებლად მის შთამომავლობას მიიჩნევდა.

ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული და ხელოვნებით გატაცებული ანდრია შინაგანი იმპულსებით გრძნობდა მარჯანიშვილთა გენში ჩადებული ნიჭის კოდირება – ადამიანის სული ხატვა სცენაზე – თავის აპოგეას ოდესმე მიაღწევდა.

სახელოვანი პაპის წინასწარმეტყველება ახდა. მარჯანიშვილთა გენის – აქტიორული ხელოვნების ტალანტმა მძლავრად იფეთქა მის მემკვიდრეებსა და შთამომავლებში, რომელთაც უკვდავყვეს ანდრია მარჯანიშვილის სახელი და ღირსება.

„...ცნობილია, რომ გენეტიკური მემკვიდრეობა პიროვნებას სურვილისა და ნების გარეშე მშობლებისაგან გადმოეცემა, რითაც უკავშირდება წინაპართა მსოფლიოს. ასევე მემკვიდრეობითია კონსტიტუცია, ნერვული სისტემა, ტემპერამენტი, ნაწილობრივ ხასიათიც. მემკვიდრეობით გადადის თვალებისა და თმების ფერი, სისხლის ჯგუფი“...**(29, გვ.21).**

ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლებს წინაპართაგან გადმოცემული ერთნაირი კონსტიტუცია ჰქონდათ დაუძლეველი, როგორც ბედისწერა.

ეს იყო თავისუფლებისაკენ სწრაფვა, სრულყოფილების განცდა, ანუ ღვთაებრიობის შეგრძნება. განღმრთობის ხორცშესხმას კი ხელოვანი შემოქმედებაში შინაგანი იმპულსებით აღწევს.

ანდრიას დიდი შთამომავლობა დარჩა. იგი სიცოცხლესა და სულის მშვენიერებაზე შეყვარებული პიროვნება გახლდათ.

მართალმა, ზნეკეთილმა და სულით ძლიერმა კაცმა დიდი სილამაზე დატოვა...

ქვეყნის სიცოცხლისათვის ლამაზ შთამომავლობაზე უფრო მეტად საჭირო, განა რა არის?!...



ანდრია მარჯანიშვილის სახლის მაკეტი

არის თითქოს რაღაც სიმბოლური იმაში, რომ ქართული თეატრალური ხელოვნების გზასავალზე დღესაც – ანდრია მარჯანიშვილის სახლის ამ ორი დედაბოძივით დგას ორი კოტე – კოტე მესხი და კოტე მარჯანიშვილი.

„...გვარი საჩინო არს“...

„...მესხნი თუმცა საზოგადოდ საათაბაგოელთა ქართველთა ერსა სახელდების, მაგრამ მესხები საკუთრად ერთი გვარეულობა არის აზნაურიშვილებისა, რომელთაგანაც არამც თუ მხოლოდ სამესხეთში, ამათი გვარნი სხვა და სხვა ადგილშიაც არიან, ესე იგი ქართლში, კახეთში და იმერეთში, მესხები ანუ მესხის შვილები, მესხიანი, გინა მესხიძე“...

თეიმურაზ ბატონიშვილი

„...მესხების გენეალოგია ძველისძველია, ისტორიულ წარსულს ეკუთვნის. შორეულ წინაპრებად იტყოდნენ მოსოხებს, მოსაგეტებს. მესხი გვარად მერე გადაიქცა, ისე როგორც ლეჩხუმი – ლეჩხუმელი, რაჭა – რაჭველი და სხვა.

ჩვენც მესხეთიდან უნდა ვიყოთ, მესხები“... **(21, გვ.9)**.

XVII-XVIII საუკუნეებში მესხები უკვე საკმაოდ ძლიერი, გავლენიანი და ცნობილი გვარი იყო. მესხებმა დიდი ნდობა და ავტორიტეტი მოიპოვეს იმერეთის სამეფო კარზე. მესხები მეფის ფიცის კაცები იყვნენ.

1736 წელს ალექსანდრე მეფემ წყალობის წიგნით თავის „ერთგული სიტყვისა და ბრძანების მორჩილ ყმას“ პაატა მესხს ადგილ-მამული უსასყიდლოდ მისცა. მესხების გვარის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ პაატას ძმა ამირანი და იმერეთის მეფის სოლომონ I კარზე მოღვაწე თამაზა მესხი.

პაატა მესხი და ამირანი ძმები იყვნენ, რაც 1739 წლით დათარიღებული საბუთით არის დადასტურებული: „ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცი მე, კანდელაკმა გიორგიმ და ჩემმა ძმამ გაბრიელამ და ზაქარიამ შენ, პაატა მესხს და შენს ძმას ამირანს, თქვენთა შვილთა და მომავალთა“... **(ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Hd №36341)**.

იმდროინდელ მაღალი წრის საზოგადოებაში მიღებულ და გავლენიან პირებად ითვლებოდნენ ბერი და გიორგი მესხები, რომლებიც ერთი დოკუმენტის მიხედვით მკვიდრი ძმები ყოფილან პაატა და ამირან მესხების.

სიმონ მესხის წინაპართა გენეალოგიური შტო უშუალო ნათესაურ კავშირში იყო ზემოთ ხსენებულ მესხებთან, რასაც მეფე სოლომონ I ხელმოწერილი ოფიციალური საბუთიც ადასტურებდა: „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა. ჟამთა, წელთა, ხანთა. და გრძელთა. მრავალთა. ესე. ამიერითგან. უკუნისამდე. საბოლოოდ, გასათავებელი. წყალობის. წიგნი. და. სიგელი. და გიბოძეთ. ჩვენ მეფემან. პატრონმა. სოლომონ და თანამეცხედრემან. ჩვენმა დადიანის ასულმან. დედოფალმან. ბატონმა. მარიამ. შენ ამირან, მესხს. ასე, რომ დავით მესხის. შვილი, პატელა. იშვილე შენ, რაც რომ შენის ნებით და წიგნით მიეცეს. ჩვენც ისე. წყალობა. გვიქნია. თუ. ის. შენის. ნების. მყოფელი. და. მორჩილი. იყოს. მოგეცეს და გიბედნიეროს“...

აქედან ნათლად გამოკვეთილი იყო ის, რომ უმემკვიდროდ გადაშენებულმა ამირანმა მისივე ნათესავის დავითის შვილი პაატელა იმიტომაც აიყვანა შვილად, რომ ტრადიციისამებრ თავისი ადგილ-მამული სხვას არ დარჩენოდა და ამით თავისი გვარიც არ დასუსტებულიყო.

სწორედ პაატას ანუ პაატელას შვილი გახლდათ ივანე მესხი, რომელიც 1821 წელს თვით ივანესავე გაცემული ხელწერილით იყო დადასტურებული:

„...ესე... ნასყიდობის წერილი დაგიწერე და მოგეცი მე შენმა ბატონმა ივანე პაატას შვილმა მესხმა და ჩემმა შვილმა სიმონმა და ბასილმა თქვენ ჩემს ყმებს ტურაბელიძეებს“...

ივანე მესხი – მესხების საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელი იყო. ახლომახლო სოფლებში იგი საკმაოდ შეძლებულ აზნაურად და განსწავლულ კაცად ითვლებოდა. რიონის ხეობაში ივანეს თავისი მამის, პაატელას დანატოვარი რამდენიმე დღის სახნავ-სათესი მიწა, ტყეები და საძოვრები ჰქონდა. იგი ზედმიწევნით ალალ-მართალი, პატიოსანი, მოწყალე გულისა და სტუმართმოყვარე გვარიშვილი იყო. „მის მრავალრიცხოვან ოჯახში ხშირად იკვლებოდა საკლავი, ცხვებოდა პური. ხარჯიანი ოჯახის მიუხედავად, ივანეს იმდენი უნარი კიდევ ჰქონდა, რომ შეეძლო საგრძნობი თანხის ერთბაშად გასესხება. ნაღდ ანგარიშზე მამულების შესყიდვა – ანდა ერთგულ ყმა-გლეხებზე თავისი ქონების ერთი ნაწილის

გაჩუქება“... **(ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Hd №5500 და№9569).**

აი, ასეთ შეძლებულ აზნაურის ოჯახში 1820 წელს დაიბადა სიმონ მესხი. ივანეს ოჯახის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს მამა-პაპეული სოფელი რიონი წარმოადგენდა. ივანეს ორი ვაჟიშვილი ჰყავდა სიმონი და ბასილი.

მშობლებმა 9 წლის სიმონი „წიგნის სასწავლებლად“ თავის ნათლიას მღვდელ დავით ბაქრაძეს მიაბარეს. ოთხი წლის განმავლობაში ნათლიის მეცადინეობით ეწაფებოდა სიმონ მესხი წერა-კითხვას, საღმრთო წერილს. დედამისს, ბაქრაძის ქალს, სურდა მისი ვაჟი სასულიერო პირად აღეზარდა, ამიტომ ბიძამ იესე ბაქრაძემ სიმონი ქუთაისში წაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. სულის შემხუთველ ატმოსფეროსთან შეუგუებლობის გამო სიმონი მესამე კლასიდან გამოვიდა.

მალე სიმონმა თვალი მაგდალინა მარჯანიშვილს დაადგა. სულით ამაღლებული, სიკეთით სავსე, ზნეკეთილი და სილამაზით გამორჩეული წყვილი გახლდნენ მაგდალინა მარჯანიშვილი და სიმონ მესხი.

„ოჯახური კერის ჯადოსნობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შეუძლია შეგიფაროს და გაგათბოს, არც იმაში, რომ საკუთარი სახლის კედლების მეუფე ხარ. მისი ჯადოსნობა იმაშია, რომ იგი გულს თანდათანობით ავსებს უდიდესი სინაზით და ეს სინაზე სულის სიღრმეში ქმნის რაღაც იდუმალს, რომლიდან, როგორც წყალი-წყაროში, ზმანებანი იბადებიან...“

სიმონი იმდენად კეთილი თვისებებით იყო დაჯილდოებული, რომ ოჯახში იგი ზნეობრივ ადამიანად ჰყავდათ წარმოდგენილი: „მამა მეტად საყვარელი და ყველასაგან პატივცემული ადამიანი იყო... როდესაც ის გაიცინებდა, თითქოს მასთან ერთად ყველაფერი იცინოდა. არავის ჩვენგანს არ ახსოვს ის აჩქარებული, თავდაუჭერელი“... **(23, გვ.5).**

სიმონი ოჯახის წევრების მიმართ ზედმიწევნით კეთილი და ალერსიანი იყო. მას თავდავიწყებით უყვარდა შვილები, რომელთა მიმართ ხშირად გადამეტებულ გულთბილობასა და ლმობიერებას ამჟღავნებდა, არავის აძლევდა მათი დაჩაგვრის უფლებას.

1854 წლიდან იგი შვილებისათვის წესიერი აღზრდის მისაცემად საცხოვრებლად ქუთაისში გადმოსახლდა, სადაც არქიელის გორაზე, ეგრეთწოდებულ „სობოროზე“, თავისი სიმამრის, ანდრია მარჯანიშვილის მეზობლად საეზოვე იყიდა.

„...მალე „სობოროდან“ ჩვენი ოჯახი ქვევით ჩამოსახლდა, „სილაზე“. რიონის მარცხენა ნაპირს „სილას“ – ეძახდნენ. აქ ჩემი ძმის ნათლიამ მელიტონ დადიანმა მამაჩემს ერთი ქცევა მიწა აჩუქა. მამამ ამ ადგილზე სახლი ააგო და იქ დავსახლდით“... **(21, გვ.17).**

ქუთაისში საბოლოო დასახლების შემდეგ სიმონ მესხმა საგუბერნიო სასამართლოში გადამწერად დაიწყო მუშაობა. მას თვეში 8 მანეთი ეძლეოდა. ცხადია, თავის მრავალრიცხოვან ოჯახს ამ შემოსავლით ვერ არჩენდა. ამიტომ მან თარჯიმნობასა და კერძო კასაცია-აპელაციის წერას მოჰკიდა ხელი და როგორც პატიოსან, ალალმართალ, იურიდიულ საკითხების კარგ მცოდნეს, მრავალი მთხოვნელიც გაუჩნდა. გასამრჯელოდ მოსაკითხს-ძღვენს ღებულობდა და ამით იბრუნებდა ოჯახი სულს. ამასთან სანოვაგე თავისი მამულიდან, სოფელ რიონიდანაც ჩამოდიოდა.

სიმონ მესხი სწავლა-განათლებას დიდად აფასებდა.

„...ერთი დრო იყო-გიორგი, სერგი და ივანე მაღალ სწავლას ეწაფებოდნენ და ამათი მომყოლი სამი-ოთხი ქალ-ვაჟი ქუთაისის სასწავლებელში იყვნენ. იანგარიშეთ ყველა ამათი სწავლის სასყიდელი მარტო, ახლა მათი მოვლა, ჩაცმა-დახურვა...

...ძველს დავთრებში მე მინახავს ფოსთის ქვითრები, რომ მამას უნივერსიტეტისათვის თითო თუმნობით ხანაც ნაკლები გაეგზავნოს თვიურად, საუნივერსიტეტო ქალაქებში რუსეთსა და საზღვარგარეთაც“... **(21, გვ.19).**

სიმონ მესხმა, როგორც თავის დროისათვის საკმაოდ განათლებულმა, კულტურულმა და ავტორიტეტულმა პიროვნებამ ქუთაისში სახელი მალე გაითქვა. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც გატაცებით მსჯელობდნენ და კამათობდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ თემებზე, ნაციონალურ იდეების გავრცელებაზე, საგანმანათლებლო საკითხებზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, და იმ დროის ყოველგვარ აქტუალურ და საჭირბოროტო პრობლემებზე.

„მამა შესანიშნავი ადამიანი იყო.. ტკბილი, ალერსიანი, ოჯახს თავს ევლებოდა. მცირე

შეძლების აზნაური ეთქმოდა, ყმა და დიდი მამულის პატრონი არ იყო, მაგრამ მრავალრიცხოვანი ოჯახისა და ყველა შვილის აღზრდის საქმე ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ იმხანად იმერეთში ამ მხრივ თვალსაჩინოთ ითვლებოდა“... **(21, გვ.20)**.

ახლობლები სიმონ მესხს მორწმუნე პიროვნებად ახასიათებდნენ. მის კაბინეტში ჩამოკიდებული ყოფილა რაფაელის სურათი „ღვთისმშობელი ბავშვით“. იგი დილით ერთ პირჯვარს გამოისახავდა და საწერს ისე მიუჯდებოდა თურმე. უფროსი ქალიშვილის პელაგიას გარდაცვალების შემდეგ სიმონი ისე გაბოროტებულა, რომ თავი პირჯვრის წერისთვისაც მიუნებებია. მას პელაგია განსაკუთრებით ყვარებია და მის დაკარგვას ტრაგიკულად განიცდიდა.

სიმონის სამუშაო კაბინეტში ჩამოკიდებულმა რაფაელის სურათმა ოჯახის უფროსის თვალში თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა და იგი მისთვის ძვირფასი, როგორც ხელოვნების საუკეთესო ნიმუში მხოლოდ ამ მხრივ გახდა.

თავისი მეუღლის მაგდალინა მარჯანიშვილისაგან განსხვავებით, სიმონ მესხი სულ სხვა მხრივ უდგებოდა თურმე შვილების აღზრდას. იგი შვილებს ხმამაღალი ტონით შენიშვნასაც არ მისცემდა. სიმონი ადამიანთა ურთიერთობაში გულწრფელობის, სიწმინდისა და უტყუარი პირდაპირობის მოსურნე გახლდა.

იგი უფროსი ქალ-ვაჟის გიორგისა და პელაგიას უდროო სიკვდილმა წელში გატეხა. 57 წლის იყო, როცა ყელის ტკივილით მოულოდნელად ავად გახდა, თბილისიდან უფროსმა ვაჟიშვილებმა ცოცხალს ძლივს მოუსწრეს. „მამა რომ გარდაიცვალა ყმაწვილი ვიყავი. მამა ეზიარებიათ უკვე და იმ ღამეს ვუჯექი სასთუმალთან სულთმობრძავს...“ – **(21, გვ. 22)**.

სიმონის დასაფლავებაზე თითქმის არ დარჩენილა ქუთაისის მცხოვრები, რომ მისთვის უკანასკნელი პატივი არ მიეგო. იგი დაკრძალეს სოფელ რიონში წმიდა მაცხოვრის ეკლესიის ეზოში, რომელიც მესხების საგვარეულო სასაფლაოდ ითვლებოდა.

მამის სიკვდილმა შვილები მეტად დააღონა, რადგან ყველანი პირდაპირ თაყვანს სცემდნენ მას. „განსაკუთრებით ჩემზე დიდად იმოქმედა მამის სიკვდილმა. ერთბაშად შეიცვალა ჩემი ცოცხალი ხასიათი, თითქოს დავდარბაისლდი, მეტად დავღონდი, მოვდუნდი, დავუფიქრდი ჩვენს ცხოვრებას უმამოდ“... **(23, გვ.7)**.

„...ყოველი ქართველი პატიოსნად უნდა ემსახუროს თავის ერს“ – ეს იყო სიმონ მესხის უკანასკნელი თხოვნა და ანდერძიც შვილებისა და შვილიშვილებისადმი.

„ღვთის მონათესავე და კეისრის შთამომავალი“
ტახტის აზნაური სიმონ მესხი

ანდრია მარჯანიშვილის უსაყვარლესი ქალიშვილი მაგდალინა (მაგდან) მარჯანიშვილი-მესხისა

მაგდალინა მარჯანიშვილის „სამკაულები“

„თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო, შეისწავლო.... ისინი არიან თავისი ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელი, როგორც ბარომეტრი ტაროსის... ჩვენი დედები აკვანს რომ ურწევდნენ, მამა-პაპათა საგმირო საქმეებს უმღეროდნენ და მით აჩვევდნენ საგმირო საქმეებს...“

აკაკი

ძველ რომში ცხოვრობდნენ დიდი პოლიტიკოსი ძმები ტიბერიუს და გაიუს გრაკქუსები, რომელთა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო რომის საზოგადოების დემოკრატიზაციას.

ერთხელ, როცა მათ დედას კორნელიას, სციპიონ აფრიკელ უფროსის ასულს, მისი მეგობრები – მდიდარ რომაელთა ცოლები, თავიანთი ძვირფასეულობითა და მორთულობებით ერთმანეთს თავს აწონებდნენ და ეტრაბახებოდნენ, ბოლოს კორნელიასაც სთხოვეს ეჩვენებინა თავისი სამკაულები.

კორნელია კრაკქუსმა გამოუყვანა მათ თავისი შვილები და უთხრა: „აი, ჩემი სამკაულები და მორთულობანიო“....

კორნელიას ზნეობის მსგავსი სულიერი თვისებებით იყო შემკული მაგდალინა მარჯანიშვილიც, რამეთუ ყველა დროსა და ეპოქაში გენიალურ ადამიანების უმრავლესობას შესანიშნავი დედები ჰყავდათ და მათ თავიანთი დედებისაგან ბევრად უფრო მეტი მიიღეს, ვიდრე მამებისაგან.

„...თვრამეტი უნდა ვყოფილიყავით, შიგადაშიგ დააკლდა თურმე. ცამეტი დავრჩით:

გიორგი – (1841 წელს),	კოტე – (1857 წელს),
პელაგია – (1842 წელს),	დავითი – (1860 წელს),
სერგეი – (1845 წელს),	ეფემია – (1862 წელს),
ივანე – (1849 წელს),	მარიამი – (1864 წელს),
ანა – (1851 წელს),	კონსტანტინე – (1867 წელს),
მიხეილი – (1853 წელს),	ნინო – (1869 წელს).
ნესტორი – (1856 წელს),	

თავის ნაშიერთა ამ გრძელი სიისათვის მიუწერია დედას ბოლოში:

„გმადლობთ შენ უფალო ღმერთო, რომ ამდენი მოწყალება მიყავი და არც ულუკმაპუროდ დაგიტოვებივარო“...

ცამეტს ცუდ რიცხვს იტყვიან... მაგრამ სიმონ მესხის ოჯახი ბედნიერ ოჯახად ითვლებოდა“... **(21, გვ.25)**.

ამ მადლიანი ქართველი დედისათვის მისი სულის ნაწილი და ფასდაუდებელი „სამკაულები“, სწორედ, ეს მარგალიტივით გოგო-ბიჭები იყვნენ, რომლებიც საკუთარი ძუძუთი გამოზარდა.

მაგდანი ანდრია მარჯანიშვილის მესამე ასული იყო. როგორც საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერიდან და მამის ანდრიას სასამსახურო ფორმულარის სიიდან ჩანდა, იგი 1823 წელს იყო დაბადებული.

მომსწრეთა და შინაურ პირთა გადმოცემით, მაგდანი გარეგნულად მაღალი, თვალტანადი, ლამაზი, წარმოსადეგი და სათუთი სულიერი თვისებებით დაჯილდოებული, დარბაისელი, გულისხმიერი ადამიანი იყო. თვისებებითა და დიდი სულიერებით, ზნეობრივი სისპეტაკით იგი საოცრად ჰგავდა თურმე მამას. ანდრია მას მოფერებით მაგდალინას ეძახდა.

შინაური სწავლა-აღზრდის მიუხედავად მაგდალინა განათლებული და ჭკვიანი ქალი დადგა. მან შესანიშნავად იცოდა ძველი ლიტურგიული, ჰაგიოგრაფიული და საერო მწერლობა.

„...დედისაგან გამიგონია, რომ ქართულ წერა-კითხვას მას ასწავლიდნენ „ვეფხისტყაოსნით“, რომელიც დედამ თითქმის ზეპირად იცოდა“... **(23, გვ.8)**.

„...მაგდალინამ „ანბანზე“ იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და რა ასოც უნდა გეკითხათ იმ ასოთი დაწყებულ ლექსს იტყოდა და მთელ ტაეპს ჩააბულბულებდა ხოლმე“... **(21, გვ.27)**.

1840 წელს სილამაზითა და წარმომავლობით სახელგანთქმულმა სიმონ მესხმა ასულის ხელი თხოვა მაიორ ანდრია მარჯანიშვილს. ოცი წლის სიმონმა და ჩვიდმეტი წლის მაგდალინამ ჯვარი მალე დაიწერეს. ქუთაისელი პატარძალი საგვარეულო მამულში სოფელ რიონში წაიყვანა – სიმონ მესხმა. ახლად ჯვარდაწერილ ცოლ-ქმარს თავდაპირველად საფიქრალ-საზრუნავი არაფერი ჰქონდათ.

მესხების ფუძეს პირველად ვაჟიშვილი გიორგი მოევლინა. სოფელში დაიბადნენ: სერგეი, ივანე, პელაგია და ანა. დანარჩენი შვილები ქუთაისში გაჩნდნენ.

დედის მშობლიურ კალთაში გაიღვიძა პატარების პირველმა ბავშვურმა ოცნებებმა. დედა აწვდიდა შვილებს პირველ სულიერ საზრდოს, ჰკვებავდა მათ გონებას ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად:

„...ყოველი თქვენგანი „ყვავილებს“ ეძებთ, რომელ ახალგაზრდას არ უძებნია იგი. გააჩნია სად უძებნია და როგორ უძებნია. იგი სულ ახლოა, ადამიანისათვის სამშობლოა მისი ყვავილეთი“...

„...ცხოვრებაში ბევრი ხაფანგია. მაშინ, როცა ყველაფერი უკუღმა მიდის, ძნელია წაღმა სვლა, მაგრამ მაინც უნდა შევძლოთ ადამიანობა“...

„...ცხოვრების გზა აღმართ-დაღმართია. მოსახვევია, შენ მოხერხებულობაზეა როგორ გაივლი ამ გზას. – ცხოვრების სასწორზე ჩვენ ყველანი უფროს-უმცროსნი, თანაბარნი ვართ...“

„...ცხოვრება რთულიც არის და ჭრელიც. მთავარია გული არ გაიტეხოთ, და ოცნება არ დაკარგოთ. ხანდახან გულით ნაგრძნობს უფრო ენდეთ, ვიდრე გონებით განსჯილს“...

„...ღობემძვრალობითა და გაიძვერობით ცხოვრების მცირე მანძილზე მზაკვარმა ადამიანმა შეიძლება გაჯობოთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ დიდ მანძილზე მათი ბუნდღაც და სახსენებელიც აღარსად იქნება“...

„...მომავალზე ფიქრი გვავალებს ჩვენი ადგილი ცხოვრებაში და ჩვენ-ჩვენი წმინდა რამ უნდა ვიპოვოთ ყველამ. უმაგისოდ არ შეიძლება!...“

მაგდალინას ყოველთვის სჯეროდა, რომ ტაძარს აშენებდა, სუფთა ხელებით, აგურს აგურზე აწყობდა. აკი ასეც იყო. მისი შვილები, მისი შეუფასებელი და უნიკალური „სამკაულები“ ნათელი სულის მქონე თვალსაჩინო ადამიანებად აღზარდა.

ღვთის მადიდებელი მაგდალინა მარჯანიშვილი შვილებში პატარაობიდანვე ნერგავდა ღვთისმოშიშობას. „ისე არ ჩაივლიდა დიდმარხვა და სხვა რაიმე სასულიერო დღესასწაული, რომ ეკლესიაში არ წაეყვანა და არ ეზიარებინა პატარები. ერთი კვირის განმავლობაში უნდა ევლოთ ბავშვებს წირვა-ლოცვაზე, ცისკარზე. ამ ხნის განმავლობაში დედისაგან ჭამა სასტიკად ჰქონდათ აკრძალული. საღამოს წირვის დროს აღსარებას რომ იტყოდნენ, მეორე დღეს წირვის გათავებამდე ზიარება არ ეღირსებოდათ, ხოლო აღსარების შემდეგ ზიარებამდე არა თუ რაიმეს ჭამა, მაგდალინა იმასაც კი ჩასჩიჩინებდა შვილებს, რომ ნერწყვის გადაყლაპვაც ცოდვა არისო“...**(21, გვ.29)**.

როცა ძალდატანებით მარხვისაგან დაბეჩავებულ ბავშვებს მამამისი – სიმონ მესხი „ნაადრევი სამსხნილოთი“ მაგდალინას ფარულად გაუმასპინძლდებოდა, ამ დროს, როცა ხედავდა რომ საქმეს ვერაფრით შველოდა, ისევ ღმერთს ევედრებოდა მაგდალინა ეპატიებია მისი ქმარ-შვილისათვის „დანაშაული“. იგი ყოველთვის თვალცრემლიანი ლოცულობდა და როდესაც დაიწყებდა დასასრული არა ჰქონდა“... **(21, გვ.29)**.

ღვთისმოსაობასთან ერთად მაგდალინა იყო კარგი აღმზრდელი და მაღალზნეობრივი მშობელი. იგი უწესრიგობას არავის აპატიებდა. მის თვალებს არაფერი გამოეპარებოდა.

„მამა ტკბილი კაცი იყო, მან გაწყრომა, ბავშვებისათვის შეყვირებაც იშვიათად იცოდა. სამაგიეროდ, დედა იყო ჩვენი „მომარჯულებელი“, როცა ავტირდებოდით. ერთ ხანად ოჯახში ბევრი წვრილფეხობა ვიყავით დაგროვილი: შვილები, შვილიშვილები ათამდის. აბა, ამ ჯარს რა სარდალი დასჭირდებოდა! დედასაც ხშირად სჭირდებოდა გაცელქებულების „წათავაზება“, ალაგმვა და როცა ხანდახან სასჯელი მოიმკაცრებდა, მამა საყვედურით მიმართავდა ხოლმე დედას, დედაც ეტყოდა: – სისო, ბავშვები ნუ გამისულელე, შემჭამეს, აღარ ვარ მეტი!...“ **(21, გვ.31)**.

„დიდი ღვთისმავედრებელი და მლოცველი ადამიანი იყო დედა. თავისი ოთახის კედელში სახატე ჰქონდა მოწყობილი, სულ ხატებით სავსე. დილა-საღამოს დადგებოდა ლოცვად, ხშირად დაჩოქილი მთელი საათობით კითხულობდა „ჟამსა“ და „დაუჯდომელს“. იყო ერთი

ჩვენი ღრიალი, ჟივილ-ხივილი, მაგრამ დედა არ შეწყვეტდა ლოცვას“... **(23, გვ.18).**

მაგდალინა მარჯანიშვილი დაჯილდოებული იყო დედის უტყუარი შინაგანი ალღოთი. მას შეუმცდარად შეეძლო ამოეკითხა თითოეული შვილის სულში მომხდარი ყოველგვარი ცვლილება. ესმოდა, რომ ცუდი აღზრდა დედის მომავალი მწუხარება, ცრემლები და დანაშაული იყო სხვა ადამიანებისა და ქვეყნის წინაშე.

„...დედამთილთან რვა წელიწადი ვიცხოვრე და ერთი წყენა არ მახსოვს, ისეთი კეთილი, ღვთისმოყვარე და სათნო ადამიანი იყო...

სიმონ მესხის ოჯახს დიდებულ ოჯახს უწოდებდნენ. მამამთილს არ მოვსწრებივარ. მათ 13 შვილი ჰყავდათ. 8 ვაჟი და 5 ქალი. სიმონი ბავშვებს არასოდეს გაუჯავრდებოდა, მიამბობდა დედამთილი მაგდანი, მან ყველა შვილს სწავლა-განათლება მისცა, ზოგს საშუალო, ზოგს უმაღლესი“...**(22, გვ.27).**

„მესხების ოჯახი იმ სანთელსა ჰგავდა, რომელსაც ორივე მხრივ ცეცხლი უკიდია. იწვის სანთელი ზევიდანაც და ქვევიდანაც“...

„...პიროვნებას იმ სიამოვნებისათვის სცემენ თაყვანს, რომელსაც იგი ანიჭებს საზოგადოებას. ვამაყობ, ანდრია მარჯანიშვილის ქალიშვილობით. თქვენი ვალია წინაპრებსა და მშობლებზე მეტი გააკეთოთ, რათა თქვენი სახელი დარჩეს შთამომავლობას... ჩვენ ჩვენი შვილებისათვის, ჩვენი შვილიშვილებისათვისა და საზოგადოებისათვის ვცოცხლობთ...“

„... ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება – იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, რომ თავისაგან მოყვანილი ნაყოფისაგან თესლზე ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევე ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი თუ უკვდავება უნდა“, – შთააგონებდა შვილებს დიდი ილიას სიბრძნეს.

...დედის შეგონებები და დარიგებანი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდნენ შვილებზე. მაგდალინა ნებისყოფის გამოწრთობით, გულის გაკეთილშობილებით, გონების გავარჯიშებითა და განსჯის უნარით შვილებს სულიერად ამაღლებდა და მაღალი მოწოდებისათვის ამზადებდა.

მაგდალინა მარჯანიშვილმა კარგად იცოდა თუ რა დიდი იყო ერის ცხოვრებაში ქართველი ქალის მისია და როლი. მშვენიერების მატარებელმა და გამტარებელმა მაგდალინას ნაშიერმა ქართველი კაცის სულის სიდიადე, საუკუნის სულიერი ავლადიდება ამიტომაც მიიტანეს ხალხთან.

ამბობენ, სიკვდილი თაფლია, სიცოცხლე კი სანთელი.

დაიწვა სანთელი შვილების გზაზე...

ეს კეთილი, უსპეტაკესი ქალი და დედა უკუღმართმა ბედმა არა ერთხელ გაამწარა. იგი სიცოცხლეში ხუთი შვილის სიკვდილსაც შეასწრო.

მაგდალინა მარჯანიშვილი წყალმანკით გარდაიცვალა.

დაინგრა დედის სიყვარულით გამთბარი უკანასკნელი ნავსაყუდელი... მაგრამ დედა მაინც რჩება იმ დიდ ქმნილებად, რომლის არსებობას მისი ცხოვრებიდან წასვლის შემდეგაც უშუალოდ გრძნობენ შვილები, როგორც ცხოვრების შეუწყვეტელ ნაწილს...

...რაც არ უნდა პატრიარქატის ეპოქა იდგეს, ქალი და დედა მაინც რჩება თავისი ფუნქციითა და შინაარსით ოჯახის ხატად და ღირსებად. შვილების დამკვალიანებლად და შუქურად...

გენი, კონსტიტუცია, აღზრდა-გარემო მუდამ ის იმპულსებია, რომელიც პიროვნების მომავალს განაპირობებს და განსაზღვრავს...

„...და როგორც შეუძლებელია ნიაღვრის, ვულკანის, ქარიშხლის ან ბავშვის დაბადების შეჩერება, ისე არ შეიძლება, ჰქონდეს დიდი სათქმელი და გულში ჩაიხშო, არ აღმოთქვა“...

ასე ვერ შეჩერდნენ მაგდალინას შვილებიც, მანამ ვიდრე თავისი გულის სათქმელი დღის სინათლესა და ქვეყნის სამსჯავროზე არ გამოიტანეს...

თეატრი იყო მათი დაუოკებელი ბედისწერა. და მეორედ ისინი თეატრთან ერთად დაიბადნენ.

...და ეს წიგნიც მათი ელვარე ტალანტის დავიწყებიდან გამოსტაცვას ეძღვნება: რამეთუ ყოველი ეროვნული ხელოვნება იმიტომაცაა დიადი, რომ მასში გამოხატული ბედნიერებისა და კაეშნის ფესვები ღრმადაა ჩაზრდილი ეროვნული ისტორიისა და აწმყოს ნიადაგში.

„მართალი სიტყვა, სცენიდან თქმული,
რა სასიამო გასაგონია“...

აკაკი

დრო მიდის, ბევრი რამ იცვლება, ღირებულებათა გადაფასების ტალღა დრო და დრო მძლავრად ეხეთქება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაპირებს, სპობს ბევრ სახელს, ბევრი ვერ უძლებს დროთა ბრუნვას, მაგრამ არიან ისინიც, რომელთა სახელებს წაშლა არ უწერიათ. მათ შორისაა ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლები, რომელთა მოღვაწეობამ ძირფესვიანად გადაატრიალა ქართული თეატრი. ეს ნამდვილი გრიგალი იყო და ამიტომაც შემოინახა მათი სახელები ასე გამორჩეულად ისტორიამ.

....და ვიდრე მათზე ვიტყოდეთ....

ავწიოთ ფარდა წარსულისა...

თეატრი ოდითგანვე იყო საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური და ზნეობრივი იდეალების გამომხატველი, როგორც მებრძოლი ტრიბუნა და „გარემოების საყვირი“. თეატრი ყოველთვის იყო და არის კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი, რომელსაც სულიერი ცხოვრების რთულ გზაზე პროგრესული იდეალებისა და სიმართლის დასამკვიდრებლად ყოველთვის გაუვალი გზით უვლია, ქარტეხილები დაუძლევია და მაღალი ზნეობა დაუმკვიდრებია.

„საეკლესიო მწერლები და კანონმდებლები გმობდნენ თეატრს და მის მოყვარულ მეფეთ: ნერონს, იუსტინიანეს, გიორგი ლაშას, რადგან მათ მიაჩნდათ: „სახიობა... საქმე არს მემღერთა, მოკიცხვართა, ხუმარათა და მეძავთა“...**(38, გვ.48)**.

მეთორმეტე საუკუნიდან საქართველოში განვითარებული ხალხური თეატრი და „სახიობა“ ხალხში გადავიდა, რომელშიც გამოხატული იყო ქართველი კაცის სულიერება, თავისუფლების სიყვარული, რაინდული ბუნება, პატრიოტიზმი, შეურიგებლობა უსამართლობასთან, უზნეობასთან და უკანონობასთან...

თეატრს ყოველთვის მოეთხოვებოდა სინამდვილის შეცნობა და გარდაქმნა.

საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ხალხურ თეატრალურ სანახაობებზე რომ არაფერი ვთქვათ, ორი ტიპის თეატრი არსებობდა – საერო და სასულიერო. სასახლის თეატრის სახელწოდება იყო – „ეზოისა თეატრი“.

„სასულიერო თეატრი იყო ტაძარი, თავისი აღნაგობით, ძველი ბერძნული თეატრის განმეორება. საკურთხეველი, რაც თეატრის სცენას უდრის, სადაც სასულიერნო პირნი კითხულობენ და წარმოსთქვამენ მორწმუნეთა გასაგონად“...**(38, გვ.50)**.

პირველი მუდმივი ქართული თეატრის დაარსება მეფე ერეკლე II-ის სახელს უკავშირდება. 1791 წელს რუსეთიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდობამ პირველად თეატრი ერეკლე მეფის კარზე დააფუძნა. პირველმა გ. ავალიშვილმა დადგა კომედია „მეფე თეიმურაზი“. აქვე წარმოადგინა მან ტრაგედიაც „დავით ბატონიშვილი“, რომელიც თავის პაპას მიუძღვნა. ასევე მეფის კარზე დაიდგა ალექსანდრე ამილახვრის სატირა-კომედია „მოქმედება ასტრახანში“.

დიდი წარმატებები ხვდათ გ. ავალიშვილის მიერ ქართულად გადმოკეთებულ სუმაროკოვის კომედიებს: „დედა რაყიფი ქალისა“, „რქის მატარებელი“, „საჩხუბარი“, „უბნობა მკვდართა“. ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია დ. ჩოლოყაშვილის მიერ გადმოკეთებულმა რასინის ტრაგედიამ „ეფიღენია“.

ამ პერიოდის გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეებს წარმოადგენდნენ: „უფროსი მსახიობთა შორის“, რეჟისორი და დრამატურგი გ. ავალიშვილი და დ. ჩოლოყაშვილი.

წარსულის ლაბირინთებში მკვეთრად გამოისახა ღვაწლი და დამსახურება ძველი ქართული თეატრის მეჩირაღდნისა და მნათესი სამეფო კარის თოფჩიბაშისა გაბრიელ მაიორის. ერეკლესეული თეატრის მსახიობებიდან გაბრიელ მაიორს გვერდში ედგნენ ძველი მსახიობები:

სამეფო კარის მესაზანდრე, საკუთარი მუნასიბების უბადლო მომღერალი – მაჩაბელი, იოსებ ამირიძე ანუ ქეშეშ-დარდიმანდიანი, თელავის სემინარიის რექტორი დავით ალექსიშვილი და სხვები.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხან ყაჯარის მრავალრიცხოვანმა ლაშქრის შემოსევამ და კრწანისის ველზე დატრიალებულმა ტრაგედიამ ძველი ქართული თეატრის დასის წევრები საბოლოოდ შეიწირა.

ერეკლე მეორის თეატრის არსებობის შეწყვეტის შემდეგ ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების მაჯისცემა კარგა ხანს დადუმდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში თეატრალური წარმოდგენები პირველად შეკრებებსა და სალონებში წარმოჩინდა, რომლებიც ქართველ და ასევე რუს არისტოკრატთა ოჯახებში იმართებოდა. რუსმა მოხელეებმა ჯერ კიდევ 1803 წლიდან დაიწყეს ქართველ თავადებთან ერთად რუსულ ენაზე წარმოდგენების ჩვენება.

ქართული თეატრის აღდგენამდე თბილისში ცნობილი იყო მანანა ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, რომან ბაგრატიონის სალონები, სადაც მხატვრულ ნაწარმოებთა განხილვა და სადამო-წარმოდგენები იმართებოდა. ცნობილია, რომ რუსეთზე ადრე გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ სწორედ რომან ბაგრატიონის სალონში დაიდგა. აქვე წარმოდგენილი იყო ასევე მ. გომოზოვის „მეცხრამეტე საუკუნის ქართველები“.

მოსწავლეთა მონაწილეობით სასწავლო ხასიათის საჯარო წარმოდგენები თბილისის სასწავლებელშიც იმართებოდა. არდადეგების დროს მოსწავლეებს „სასწავლო აქტები“ ზოგჯერ სასწავლებლიდან სალონშიაც გადაჰქონდათ. ერთი ასეთი წარმოდგენა დიმიტრი ყიფიანის, ნინო ჭავჭავაძისა და მანანა ორბელიანის ინიციატივით ამ უკანასკნელის სალონშიაც გაიმართა.

იმ დროს ქართული სალონების სულისჩამდგმელები იყვნენ: ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, მანანა და ქეთევან ორბელიანები, რომან ბაგრატიონი, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი და სხვები.

ქართული თეატრის აღდგენის საქმეში თეატრალურმა სალონებმა უდიდესი როლი ითამაშა. პირველად, ქართული პროფესიული თეატრის ჩამოყალიბების იდეამ მომწიფება სწორედ, სალონებში დაიწყო.

გიორგი ერისთავთან ერთად ქართველი ქალები მანანა ორბელიანი, ნინო ჭავჭავაძე და ქეთევან ორბელიანი ქართული თეატრის დაარსების იდეის ჩამოყალიბებაში სტიმულისა და ტონის მომცემნი გახლდნენ.

„ამ ეპოქის საუკეთესო მცოდნე იონა მეუნარგია მანანა ორბელიანს მუდამ მადამ რეკამიეს უწოდებდა, რომლის სალონში იკრიბებოდა რაც რამ იყო ტფილისში წარჩინებული მწერლობაში, ხელოვნებაში, მმართველობაში, რომელიც იყო მეფედ ქართული ზრდილობისა და გემოვნებისა“, – აღნიშნავდა ემიგრანტი მწერალი შალვა ამირეჯიბი.

ასე, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო აღორძინება უდროოდ ჩაფერფლილმა ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ და ორმოცდაათიან წლებში პროფესიული თეატრის დაფუძნებისათვის ნიადაგი უკვე მზად იყო.

მიხეილ ვორონცოვმა საქართველოში მეფისნაცვლის თანამდებობის დაკავებისთანავე თბილისში გახსნა რუსული თეატრი, სადაც დირექტორის წევრად პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე მიიწვია. მან იაცენკოს მანეჟის სცენა სახაზინო თეატრად გადააკეთებინა, რუსეთიდან მოიკრიბა საუკეთესო დასი და 1846 წლის 20 სექტემბრისათვის პირველი სეზონიც გახსნა.

1832 წლის თავადაზნაურთა შეთქმულების მონაწილემ გიორგი ერისთავმა ქართულ სალონებში გაჟღერებული იდეა თეატრის დაარსების შესახებ პოლონეთში გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე აიტაცა და მუდმივი ქართული თეატრის აღდგენის ინიციატორადაც პირველი გამოვიდა.

გიორგი ერისთავმა 1850 წლის 2(14) იანვარს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დარბაზში დადგა კომედია „გაყრა“. დეკორაციების მხატვარი იყო გაგარინი.

პირველი წარმოდგენის აფიშა იუწყებოდა:

თბილისის გიმნაზიის ზალაში.

ქალაქის ღარიბ ხალხისათვის

ორშაბათს 2-ს იანვარს 1850 წელსა წარმოდგენილი იქნება

I

მიხეილ და ქრისტინე

(ფრანციცულად)

ითამაშებენ:

თ. დონდუკოვი-კარსაკოვი, ბარონესა მეინდროფ,

მინჩაკი და ბაშმაკოვი.

შემდეგ წარმოდგენილი იქნება პირველჯერ ქართულად

II

გაყრა

კომედია სამ მოქმედებად, თხზ. თ. ერისთავისა.

მთავარ როლებს ასრულებენ ცნობილი პირები:

გ. ერისთავი, ილ. ორბელიანი, ოქრო ერისთავი(გ. ორბელიანის ძმა),

დ. ყიფიანი, ქეთ. ორბელიანი, ბარ. თუმანიშვილი-ანდრეევსკისა და ან. ორბელიანისა.

ქართველი საზოგადოება წარმოდგენას აღფრთოვანებით შეხვდა.

კომედია „გაყრა“ კვლავ გაიმეორეს.

მაშინდელ რუსულ გაზეთებში „კავკაზი“ და „კავკაზსკი ვესტნიკში“ წარმოდგენაზე რეცენზიები რუსმა მწერალმა პოლინსკიმ გამოაქვეყნა: „როცა კომედია „გაყრა“ მე პირველად ვნახე სცენაზე, რომელსაც ასრულებდნენ არისტოკრატიული წრიდან გამოსული პირები, თუმცა ქართული ენის არაფერი მესმოდა, მაგრამ პიესის შინაარსი მაინც გავიგე და არ შემეძლო არ გამეცინა უშესანიშნავეს და კეთილშობილ არტისტთა მაღალ ხარისხოვანი თამაშის გამო. უნებლიეთ გამოვიტანე დასკვნა, რომ კომედია ისე მსუბუქად არის დაწერილი, რომ თავისთავად ითამაშება. მოქმედნი პირნი სინამდვილესთან ისე სიმართლით დგანან, რომ მათთვის მიბაძვა ერთობ ადვილია, განსაკუთრებით იმ პირისათვის, რომლებიც ამათ მსგავს ტიპებს შორის გაიზარდნენ“...

კომედია „გაყრას“ მიხეილ ვორონცოვი თავისი ოჯახით დაესწრო. „ვორონცოვიც თავის სახლობით და ამალით თეატრში იყო და ყველაზე უფრო გაცხარებულ ტაშს უკრავდა სცენის მოყვარეთ. ნამეტნავად კომედიის დამწერი მოიწონეს, როგორც აქტიორი და ავტორი. რამდენიმე დღის შემდეგ ვორონცოვმა გ. ერისთავი დანიშნა თავის ამალაში „საგანგებო მინდობილობის უმცროს ჩინოვნიკად“, –წერდა იონა მეუნარგია.

„პიესა მეორე დღესვე იქცა სახალხოდ. ბაზარში იმეორებდნენ კომედიიდან ამოღებულ მთელ ფრაზებს და მთელ რიგ სახლებში, სადაც არავითარი წარმოდგენა არ აქვთ იმაზე, თუ რა არის თეატრი, თავად გ. ერისთავის სახელი შეიქმნა ცნობილი და კომედია იქცა ვრცელი მსჯელობის საგნად“... **(11, გვ. 236).**

წარმატებებით წახალისებულმა სცენისმოყვარეებმა მეორე კომედია „დავა“ დიდი ხალისით მოამზადეს, რომელიც 1850 წლის 3 მაისს „მანეჟის თეატრის“ შენობაში დაიდგა. გ. ერისთავმა უვიცი თარჯიმნის – სარქის ბუღდანიჩის, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ პლატონ იოსელიანმა – თავადი ამირინდოს, ხოლო ვახტანგ ორბელიანმა კი – ბეგლარის როლები განასახიერეს.

თეატრის შენობამ მაყურებელი ვეღარ დაიტია.

ამ წარმოდგენებმა ნათელი გახადა ქართული პროფესიული თეატრის დაარსების შესაძლებლობა. ამიტომ გ. ერისთავმა ქართული თეატრის დაარსების საკითხი ქართველი მოწინავე ინტელიგენციის დახმარებით მეფისნაცვლის წინაშე დააყენა. მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი პასუხად წერდა:

„მოწყალეო ხელმწიფევ, თავად გიორგი დავითის ძევ!

თავად მიხეილ სვიმონის-ძეს ვაცნობე რასაც თქვენი ბრწყინვალება მეუბნებოდა თბილისში სამუდამო ქართული თეატრის დაარსების თაობაზე, იმ საფუძვლით, როგორც თქვენი განზრახვა იყო, ე.ი. სრული 300 მანეთიანი ჯამაგირით. ბ-ნ ნამესტნიკისათვის ეს ამბავი ძალიან სასიამოვნო დარჩა და მისმა ბრწყინვალებამ ინება ეს საქმე ჩვენთვის მიენდო, სანამ თბილისში დაბრუნდებოდეს“.... **(შ. ჩერბინი. 1850 წ. 29 ივლისი).**

თბილისში დაბრუნებულმა მ. ვორონცოვმა ქართულ თეატრს წლიურად ოთხიათასი

მანეთი დაუნიშნა, ხოლო დამატებით – მსახიობთა მიმოსვლისათვის – ათასი მანეთი...

მეფისნაცვალი კიდევ უფრო შორს წავიდა. მან თბილისში თეატრის აშენების იდეა დააყენა. შენობის ადგილად „ერევნის მოედანი“ (დღევანდელი თავისუფლების მოედანი) აირჩია.

„ბიუჯეტის უქონლობის გამო ვორონცოვმა ჯერ „დახურული ბაზაზხანის“ ვაჭრებს მიმართა და სთხოვა თეატრის ასაგებად ამხანაგობის შედგენა და ყველას შესაფერი ფულის გაღება.

ბაზაზებმა (მეფართლეებმა) ვორონცოვს უარი შემოუთვალეს.

მაშინ მეფისნაცვალმა დოვლათიან კერძო პირებს მიმართა. მათგან მხოლოდ გაბრიელ თამამშევი დათანხმდა ვაჭრობისა და ხელოვნების „შეერთებაზე“.

გაბრიელ თამამშევს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, უსასყიდლოდ მიეცა 855 საჟენი მიწა „საუკუნო და შთამომავლობითს მფლობელობაში უბაჟოდ“. მას ამ ნაკვეთზე საკუთარი ხარჯით უნდა აეშენებინა შენობა თეატრისა და ქარვასლისათვის. მშენებლობის დამთავრების შემდეგ თამამშევის მფლობელობაში რჩებოდა ქარვასლა თავისი სათავსოებით, თეატრის შენობა კი ქალაქის გამგეობაში გადადიოდა. „ის ადგილი, სადაც თამამშევმა ქარვასლა ააგო, ძველად ეკუთვნოდა ესტატე ციციშვილს, რომელმაც იგი ორ დოშად და ორი კაცის საკაბედ გაყიდა“... **(12. გვ.283).**

თეატრის მშენებლობა 1847 წელს დაიწყო და ოთხი წელი გასტანა.

შენობის პროექტი იტალიელმა არქიტექტორმა ჯოვანი სკუდიერმა შეადგინა, რომელიც ვორონცოვმა ოდესიდან მოიწვია, სამუშაოს ხელმძღვანელობა დაავალა და თბილისის არქიტექტორად დანიშნა. სკუდიერი დიდი პატივით სარგებლობდა მეფისნაცვლის კარზე. მისი პროექტით აშენდა ვორონცოვის ხიდი, კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი და სხვა.

1851 წლის გაზაფხულზე თეატრის შენობა დასრულდა.

თეატრისა და ქარვასლის შენობა დიდ სწორკუთხედს წარმოადგენდა. ქვემო სართულები საწყობებსა და მაღაზიებს ეჭირა, ხოლო შუაგული –დარბაზსა და სცენას. დარბაზი 700 მაყურებელს იტევდა.

თეატრი მხატვრულად გააფორმა და მავრიტანულ ყაიდაზე მოხატა გრიგოლ გაგარინმა. ათასთვლებიანი ძვირფასი ჭაღი თეატრისათვის საზღვარგარეთიდან გამოიწერეს და ჩამოიტანეს. ერევნის მოედანზე აგებულმა თეატრის ჯადოსნურმა სილამაზემ საქართველოში სამოგზაუროდ მყოფ მწერალს ალექსანდრე დიუმასაც კი ათქმევინა: „ეს დარბაზი ფერიათა სასახლეს ჰგავს სიმდიდრითა და გემოვნებით: ...მე უყოყმანოდ შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის დარბაზი ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელია იმ სათეატრო დარბაზთა შორის, რომელიც მე მინახავს“.

1851 წლის 10 აპრილს თეატრი საზეიმოდ გაიხსნა გრანდიოზული ბალ-მასკარადით. მოეწყო ლატარია წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ.

თუ ვინმეს ეგონა, რომ ვორონცოვი გულწრფელი იყო და ქართველი ხალხისა და მისი ეროვნული შემოქმედების განმტკიცებისათვის აკეთებდა ყველაფერს, ძალიან ცდებოდა. ეს იყო ქართველებისათვის გადმოგდებული სატყუარა საკენკი. ვორონცოვი სულ სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. „იგი საქართველოში გამარუსებელი პოლიტიკის ერთი საუკეთესო გამტარებელი იყო და განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მას ქართული ეროვნული თეატრი აინტერესებდა? რა თქმა უნდა არა. ამას მეფისნაცვლის მიერ რუსეთის იმპერატორზე გაგზავნილი ერთ-ერთი მოხსენებითი ბარათიც ადასტურებს: „თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ, ინებეთ და სცანით, ასეთ შედეგს შეუძლია ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და გემოვნების განვითარებას, ზნეობის ამაღლებას და ტუზემცების (ადგილობრივი მცხოვრებლების) რუსებში გათქვეფას“...**(11, გვ.356).**

მაშინდელმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ალ. ორბელიანმა ვორონცოვის ამ ქმედებას იმთავითვე ეჭვის თვალით შეხედა. მისი ფიქრით პლატონ იოსელიანსა (ვორონცოვმა ქართული თეატრის ცენზორად დანიშნა) და გიორგი ერისთავს ვორონცოვი ატყუებდა. მეფისნაცვალს, მათივე, ქართველების ხელით სურდა გაეკეთებია ის, რაც ქვეყნის ნაციონალურ კულტურას სამარეს გაუთხრიდა. ალ. ორბელიანის ეჭვი უსაფუძვლო არ იყო. რუსი დამპყრობელი ქართულ თეატრს რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ დამხმარე ძალად მიიჩნევდა. ამავე მიზნით მან ხელი შეუწყო აგრეთვე გ. ერისთავის მიერ ჟურნალ

„ცისკრის“ დაარსებასაც.

მ. ვორონცოვს ხელი მოეცარა. ქართული თეატრი და ჟურნალი „ცისკარიც“ იმთავითვე დაადგა ეროვნული პოლიტიკის გზას.

ქართულმა თეატრმა გმირულად გაიარა ეკლიანი გზა.

ცნობილია, რომ მარიამ ბატონიშვილი ხელს უშლიდა გ. ერისთავს ქართული თეატრის დაფუძნებაში, ხოლო პლატონ იოსელიანი თეატრს „მეძავ-კურეობის გაჩენის“ მიზეზად მიიჩნევდა.

არისტოკრატიული წრის წარმომადგენლებმა, რომლებიც, პირველ წარმოდგენებში სცენის-მოყვარეთა სახით მონაწილეობდნენ, შემდეგ პროფესიული მსახიობობა იუკადრისა. მათ ეს საქმე თავიანთი წოდებრივი მდგომარეობის შეუფერებლად ჩათვალეს. განსაკუთრებით გაჭირდა ქალთა მსახიობებად მოწვევა. ეს გასაკვირი არც იყო, რადგან მაშინდელ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეგნებული თეატრის დიდი კულტურული მნიშვნელობა. ქართულ ფეოდალურ-პატრიარქალურ ტრადიციებზე აღზრდილნი ვერ ეგუებოდნენ სასცენო ხელოვნებას. ისინი თეატრს ქართველი საზოგადოების გამრყვნელ დაწესებულებად მიიჩნევდნენ.

გიორგი ერისთავმა მაინც შეძლო ესოდენ დიდი წინააღმდეგობის გადალახვა. რაკი დარწმუნდა, რომ თბილისში დასის შედგენა შეუძლებელი იყო, მან სოფელ ხიდისთავსა და გორს მიაშურა. მან აქ მოძებნა და ჩამოაყალიბა მუდმივი დრამატული დასი, რომლის პირველ შემადგენლობაში შედიოდნენ ქალები და მამაკაცები: სააკაძე, ტატიშვილი, ანტონოვისა, კიკნაძე, კორძაძე და სხვები.

თეატრის ხელმძღვანელმა და რეჟისორმა გ. ერისთავმა დასის წევრები ჯერ სოფელ ხიდისთავში გაწვრთნა, მოამზადა პიესები და ამის შემდეგ დაბრუნდნენ თბილისში, სადაც დასის წევრებს ბინა და სამასი მანეთი წლიური ხელფასი გადაეცა.

გ. ერისთავს გვერდში ამოუდგნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: მიხეილ თუმანიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ქეთევან ორბელიანი და ივანე კერესელიძე.

1851 წლის პირველი იანვრის სეზონი „მანეჟის თეატრში“ გაიხსნა, სადაც კვლავ წარმოადგინეს კომედია „გაყრა“. წარმოდგენას დიდებული საზოგადოება დაესწრო.

ამავე სეზონშივე, 18 იანვარს, დაიდგა გ. ერისთავის ახალი კომედიები: „ძუნწი“, 4 თებერვალს „კომისარი შტატგარეშე ქალაქისა“. თავისთავად ეს კომედიები თეატრის ავტორიტეტის ზრდას ხელს უწყობდა.

გ. ერისთავმა 1851-52 წლის სათეატრო სეზონი კიდევ უფრო საინტერესოდ ჩაატარა. ამ დროისათვის გ. ერისთავის კომედიების გარდა წარმოდგენილი იყო ზ. ანტონოვის პიესები: „მე მინდა კნეინა გავხდე“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „განა ბიძამ ცოლი შეირთო?“ აქვე პირველად დაიდგა გ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული კომედიაც „თილისმის ხანი“.

ქართული თეატრის 1852-53 წლის სეზონი უკვე კერძო პირის თამამშევის მიერ თეატრისათვის სპეციალურად აშენებულ საუკეთესო შენობაში გაიმართა, სადაც პირველად დაიდგა ზ. ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“, მისივე „ხევსურთა ქორწილი“, გ. ერისთავის ახალი პიესა „პირველყოფილი მშვენიერების მაძიებელი“, აზერბაიჯანელი მწერლის მ.ფ. ახუნდოვის პიესები რუსულ ენაზე.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ზ. ანტონოვის დრამამ „ქოროღლმა“. მისივე პიესა „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ იმდენად რეალისტური გამოდგა, რომ პლატონ იოსელიანმა კომედიის თაობაზე ვორონცოვთან უჩივლა ანტონოვს და მოითხოვა პიესის აკრძალვაც კი. აქედან დაიწყო ქართული თეატრის შევიწროება, რომელსაც 1854 წელს მ. ვორონცოვის საქართველოდან წასვლამაც ხელი შეუწყო.

ამ დროს რუსული თეატრის დირექციის წევრმა სოლოგუბმაც შიდა დაპირისპირებით ისარგებლა და მოითხოვა ქართული თეატრის გაუქმება და მის მაგივრად ქართველებისათვის „მტკვრის გაღმა“, მოშორებით ბალაგანის გახსნა. გ. ერისთავს დამტკიცებული დოტაციის მისაღებად დიდი ბრძოლა დასჭირდა. 1854-55 წლის თეატრალური სეზონი დიდი გაჭირვებით მიმდინარეობდა. თეატრს ყოველი ფეხის გადადგმაზე ავიწროებდნენ.

1854-1855 წლის სეზონში გ. ერისთავს ქართული თეატრი იძულებით დაატოვებიეს. 1854 წლის მიწურულს იგი სოფელ ხიდისთავში სამუდამოდ გადასახლდა. თეატრის დირექტორად ზურაბ ანტონოვი დაინიშნა. მან თავისი დიდი მასწავლებლის გზა ღირსეულად

გააგრძელა, მაგრამ ქართული თეატრის სათავეში ზ. ანტონოვის მოღვაწეობა ხანმოკლე გამოდგა. იგი დანიშვნიდან ძალიან მალე დაიღუპა. შემდეგ დასის ხელმძღვანელობა ივანე კერესელიძემ ითავა. მასთან ერთად მსახიობმა ქალებმა და მამაკაცებმა ქართული თეატრის შესანარჩუნებლად დიდი გულმოდგინება გამოიჩინენ.

ქართული თეატრის შევიწროებით დაინტერესებულმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ რეპერტუარის ცენზურის საკითხიც დააყენა, რომლის თაობაზე გაუთავებელი დავა და მიწერ-მოწერა გაიმართა. ბოლოს, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მსახიობები თეატრის შენობიდანაც კი გააძევეს.

დასმა ივანე კერესელიძის ხელმძღვანელობით დაქირავებულ კერძო შენობაში „ირაკლის დროინდელ მამა-პაპურ სახლში“, ეგრეთ წოდებულ შერმაზანოვის დარბაზში (აბას-აბადის მოედანი) დაიწყო წარმოდგენების გამართვა.

თეატრის რეპერტუარის დამტკიცებას რუსეთში განგებ აფერხებდნენ. ცენზურისათვის გაგზავნილი 26 პიესა პეტერბურგის მეფის კანცელარიის მესამე განყოფილებაში უპატრონოდ დაყარეს. ბოლოს ქართული ენის უცოდინარობის მოტივით აქედან პიესები, 1856 წლის 22 ივნისს, ცენზურისათვის კავკასიის სასწავლო ოლქის კომიტეტს გადაეგზავნა.

ასე გადადიოდა ქართული პიესები ერთი ბიუროკრატიული დაწესებულებებიდან მეორეში. ახალი პიესების უქონლობის გამო თეატრის მდგომარეობა უაღრესად კრიტიკული გახდა. ქართული თეატრის აბუჩად აგდებამ საზოგადოების გულისწყრომა გამოიწვია. თავად-აზნაურთა ფართო წრემ ქართული თეატრის თავის უფლებაში აღდგენა პრინციპულად მოითხოვა, მაგრამ ხელისუფლებას მისი ბედი უკვე კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა, რადგან მან მეფის მოხელეთა ის რუსიფიკატორული პოლიტიკა ვერ გაამართლა, რომელსაც კავკასიის ყოფილი მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი სახავდა.

ამას კი რუსეთის იმპერია არავის აპატიებდა. თვითდამკვიდრებისათვის ხუთი წლის ბრძოლის შემდეგ თეატრის მაჯისცემა შეწყდა. მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხა ქართულის მაგივრად რუსულ თეატრს მოხმარდა. ივანე კერესელიძემ ქართული თეატრის აღდგენისათვის უნაყოფოდ იწვალა. 1856 წლის ივლისის თვეში ვალებში ჩაფლულმა ქართულ თეატრს თავი დაანება და დასიც დაიშალა. გ. ერისთავის დაარსებული ქართული თეატრი საბოლოოდ განადგურდა, როგორც იტყვიან მან „აუყვავილებლად დაიყვავილა და გაჰქრა“...

თამამშევის მიერ „ერევნის მოედანზე“ აგებული თეატრი 23 (1851-1874 წლები) წელი მოქმედებდა. „შემოდგომის ერთ დღეს, 1874 წლის 11 ოქტომბერს, ქარვასლის შენობიდან ალი ავარდება. პირველი ცეცხლის ნაკადი ყაზაროვის მაღაზიიდან იფეთქებს. თეატრის გადასარჩენად თავს იდებენ თულუხჩები, რომლებიც 16 საათის განმავლობაში მტკვრიდან ეზიდებიან წყალს...

„ერევნის მოედანთან“ უამრავი ხალხი იყრის თავს. გრიმგაკეთებული არტისტები გარეთ მორბიან. იმ საღამოს თეატრში იდგმებოდა „ნორმა“. ცეცხლი ედება ავეჯს, დეკორაციებს, ბუტაფორიასა და ბიბლიოთეკას. არტისტები მოარბენინებენ თავის გარდერობს.

თულუხჩების მცდელობა ამაოა. ცეცხლი ნთქავს ყველაფერს...

...მალე გამოძიება ამტკიცებს, რომ ქარვასლის ვაჭრებს სავაჭრო სახლის შუაგულში თეატრის არსებობა არ ეპიტნავებოდა და ამიტომ გაკოტრების მიზნით, ვინმე ყაზაროვი თავის სავაჭროში შუქს განზრახ ტოვებს...

....გამოძიება აღმოაჩენს, რომ ცეცხლი თამამშევის ქარვასლას თავისით ან შემთხვევით არ გასჩენია. ზოგიერთი გარემოება და მოწმეების ჩვენებაც არწმუნებს გამომძიებელს, რომ ამ საქმეში ვაჭარ ი. ყაზაროვს მიუძღვის ბრალი.

სასამართლო ყაზაროვს 9 წელიწადს კატორღაში მუშაობას უსჯის და შემდეგ კი სამუდამოდ ციმბირში გადასახლებას. ასე მთავრდება პირველი პერიოდის თეატრის ისტორია ჩვენში.

... დამწვარი თეატრის აღსადგენად ორი წლის განმავლობაში ლაპარაკობდნენ პრესის ფურცლებზე. ქარვასლის ყოფილი მეპატრონე თამამშევი თეატრის აღდგენაზე კატეგორიულ უარს აცხადებს“... **(11, გვ. 367-368).**

ამ დროს თბილისში არსებობდა რუსული თეატრი, მაგრამ ხალხმა თეატრისადმი გულგრილობა გამოიჩინა. რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ საზოგადოებას სწყუროდა თეატრი

მხოლოდ თავის გასაგებ ენაზე, სადაც მისი ცხოვრებიდან აღებული მწუხარებისა თუ სიხარულის გამომხატველი სცენები იქნებოდა წარმოდგენილი....

და ამიტომაც ქართულ თეატრს სიცოცხლისათვის მუდმივი დასის შექმნა ესაჭიროებოდა.

აღსანიშნავია, ისიც რომ ქართველი ხალხის ეროვნული თვითგამორკვევისა და ეროვნული კულტურის განვითარებაში, ხელოვნების არც ერთ დარგს არ მიუძღვოდა ისეთი დამსახურება, როგორც ქართულ თეატრს. ქართული თეატრი ყოველთვის ახლო იყო მასასთან.

გ. ერისთავის მიერ 1850 წელს დაარსებულ ქართულ თეატრს რუსეთის მმართველობამ ქართველ რეაქციულ-კონსერვატიულ და მოდალატე თავად-აზნაურობასთან ერთად ბოლო მოუღო, მაგრამ ხალხში ამით თეატრის სიყვარული მაინც არ გაქრა. თეატრის გადარჩენისა და აღდგენის იდეა ისევ ცოცხლობდა.

გიორგი ერისთავის თეატრის გაუქმებიდან 5 წლის შემდეგ, ახალი თეატრალური მოძრაობა ქუთაისში აღმოცენდა. ქუთაისში გაიმართა სამოციანი წლების ქართული თეატრის პირველი წარმოდგენა... და ქუთაისს მიენიჭა პირველობა თეატრის ხელახალ აღდგენაში.

„...გაზეთ „დროების“ რედაქციაში ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე ყაზბეგი. ისინი ძალიან მწვავედ განიცდიდნენ იმ შეურაცხყოფას, რომელსაც რუსეთის თვითმპყრობელობა და რუსიფიკატორი ქართველობა იჩენდა ხალხის მიმართ. „თერგდალეულებს“ თეატრი მიაჩნდათ ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად, რადგან ხელოვნების სხვადასხვა დარგთა შორის სასცენო ხელოვნება – თეატრი უფრო დაახლოებული იყო საზოგადოებრიობასთან, უფრო ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ცხოვრების მთავარ ტენდენციებს. თეატრი უფრო მკაფიოდ, ცოცხლად და უშუალოდ სახავდა ცხოვრებას. თეატრს უფრო მეტი საშუალება მოეპოვებოდა იმისათვის, რომ უშუალოდ ემოქმედა ადამიანთა გრძნობებზე.

„...თვალთა-ხილვა, სმენა, გრძნობა და გონება – ამას ყველაფერს აჯადოებს და ხიბლავს თეატრი, ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ თეატრი ყველა ხანაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა და იქცევს მუდამ. თუ საზოგადოთ ხელოვნება ამსახველია თავისი ეპოქისა, საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებისა და განვითარებისა, ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად თეატრს ემჩნევა ეს“... **(16, გვ. 21).**

1861 წლის 3 მარტს ქუთაისის საზოგადო საკრებულოში პირველი ისტორიული წარმოდგენა გაიმართა, სადაც სცენისმოყვარეებმა გ. ერისთავის „გაყრა“ წარმოადგინეს. სწორედ, ის ნაწარმოები, რომლის დადგმითაც 1850 წელს გიორგი ერისთავმა აღადგინა და დააფუძნა ქართული თეატრი. წარმოდგენის ორგანიზატორი იყო ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. „გაყრაში“ როლებს ასრულებდნენ: ს. აბულაძე, ა. მეიფარიანი, კ. წულუკიძე, ლ. ფომინა, ა. მაჩაბელი, გ. ლორთქიფანიძე, გ. კლდიაშვილი, ნ. ერისთავი, ო. დადიანი და ნ. მაისუროვისა.

„პირველი პროფესიონალი მსახიობები გაჩნდნენ ქუთაისში ისეთი საზოგადო მოღვაწის წყალობით, როგორიც აკაკი წერეთელია. კარგად მახსოვს ვიღაცამ თქვა, რომ ქართულ წარმოდგენებს არ წყალობს ქართველი არისტოკრატია. „არისტოკრატია ჩვენთვის საჭირო არ არის, იაროს საცა სურს, – თქვა აკაკიმ, – ჩვენთვის საჭიროა შაურიანი ყურისმგდებელნი. ისინი უნდა მივიზიდოთ თეატრში, იმათ უნდა გაუღვიძოთ ჩვენი თეატრის სურვილი, ისინი უნდა იყვნენ ბურჯნი ჩვენი თეატრის აღმშენებლობაში“... **(21, გვ.37).**

აკაკიმ თეატრის სათავეები ქუთაისში აიღო – ამ „შაურიან ყურისმგდებელთა“ დასაახლოვებლად. პოეტმა, როგორც წარმოდგენის ორგანიზატორმა, რეჟისორმა და როლების მოთამაშემ მთელი გულისყური სასცენო ხელოვნებისაკენ მიმართა. მან ამ დროს თეატრისათვის დაწერა დრამატული ნაწარმოებები, სტატიები და ლექსები.

ახალი თეატრალური მოძრაობიდან ერთი წლის შემდეგ, 1862 წელს, აკაკი წერეთლის რეჟისორობითა და უშუალო მონაწილეობით ქუთაისის საზოგადო საკრებულოში დაიდგა ზურაბ ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“. ჯერჯერობით თეატრის ხალხთან დაახლოებისათვის წარმოდგენილი იყო ადვილი კომედიები და ვოდევილები, რადგან ცხოვრებიდან აღებული შინაარსით ჯერ კიდევ ახალგაზრდა აუდიტორიისათვის ადვილი გამხდარიყო მისი გაგება.

„...წელს დროებით ჩამოვედი რუსეთიდან ქუთაისს. აქ ერთი ქართული ენის მასწავლებელი

იყო გიმნაზიაში, მოსიძე. იმან მითხრა ერთხელ: მოდი ერთი ვსინჯოთ და თეატრი გავმართოთ ამ მიყრუებულ ქალაქში – სადაც გასართობი არ არის რა!... აქაურებს გაგონებით, კი ბევრი რამ გაუგონიათ თეატრზე, მაგრამ თვალით არა უნახავთ და ვაჩვენოთ ერთიო!...

–კი, მაგრამ ქალი არავინ გამოვა სცენაზედ? და უქალოდ როგორ მოვახერხოდ-მეთქი, – ვუპასუხე.

– ახალგაზრდა ვაჟები მოვრთოდ ქალებად.

–ეგეც რომ არავინ იკისროს?

–ვსინჯოთ! ვეცადოთ!...

გადავწყვიტეთ და ხმა რომ გავარდა თეატრი უნდა წარმოადგინონ, თუ მოახერხესო, მაშინ ერთმა ახალგაზრდა ქალმა ნინო აბაშიძემ სთქვა, არა თუ მე გამოვალ სცენაზე, ჩემ მეგობარ კეკელა აგიაშვილსაც ავაგულიანებო და მართლაც იკისრეს როლები. მათ როგორც ოჯახის შვილებს სხვებმაც წაბაძეს და გაიმართა რეპეტიციები!... ავირჩიეთ „მზის დაბნელება“. ხან ერთისას და ხან მეორისას ვიყრიდით თავს. დროს ვატარებდით ქართულად: ლხენითა და მხიარულებით. წარმოდგენამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. ერთი რეპეტიცია პარასკევს შეგვხვდა. იმ დროს მარხვას არავინ ჭამდა და მასპინძელმაც ვახშმად სულ სამარხვო მოიტანა. ნავახშმევს სულ ყველა ავად გახდა, ხოლერა გვეგონა და შევშინდით. თურმე მზარეულს ფლავისათვის ნიგვზის ზეთის მაგიერ შეცდომით სასაქმებელი ზეთი ექნა. ამ გარემოებამ რამდენიმე დღე კიდევ გადაგვადებინა წარმოდგენა. ბოლოს, როგორც იქნა წარმოვადგინეთ. ზოგიერთი დარბაისლები, ძველი კაცები, ჯავრობდნენ: ჯამბაზობა და მაიმუნობა რა საკადრისიაო, მაგრამ უმეტესობა კი კმაყოფილი დარჩა და იმ ზამთარს კიდევ ორჯერ-სამჯერ წარმოვადგინეთ და დიდი ამბავიც იყო ხოლმე ყოველთვის“, –წერდა აკაკი წერეთელი.

მალე აკაკი რუსეთში დაბრუნდა და ქუთაისში წარმოდგენების გამართვა 4-5 წლით შეწყდა. 1867 წელს მგოსანი ისევ დაბრუნდა ქუთაისში.

ამ დროს გაიმართა სალიტერატურო საღამო ქალთა უფასო სკოლის სასარგებლოდ, სადაც მიიწვიეს აკაკი წერეთელი. „... „სცენები საპყრობილეში“ ახალი დაწერილი მქონდა და დავიწყე მისი სხვადასხვა ხმით კითხვა ზეპირად. უნდა გამოვტყდე, რომ ის კითხვა დიდი არა იყო რა, მაგრამ გამოფხიზლებულ პუბლიკას მოეწონათ, ასტყდა სიცილ-ხარხარი და იმდენად მოეწონა, რომ ითხოვა განმეორება“, –იხსენებდა აკაკი.

სალიტერატურო საღამომ ცხადყო, რომ მსგავსი წარმოდგენები ქალთა უფასო სკოლის დასაფინანსებლად კარგი შემოსავლის წყარო იყო. აკაკი წერეთელმა პოეტ რაფიელ ერისთავთან ერთად სცენისმოყვარეთა წრე დაარსა, რომელიც ქართულ წარმოდგენებს დროგამოშვებით ორი წლის განმავლობაში მართავდა.

წრემ გამოავლინა არტისტული ძალები, შემოიკრიბა მაყურებელი, შექმნა საზოგადოებრივი აზრი და ნიადაგი ქუთაისში მუდმივი თეატრის დაარსების შესახებ. ორი წლის შემდეგ წრემ გასტროლები თბილისშიც გამართა, სადაც გ. ერისთავის ისტორიული დრამა „ყვარყვარე ათაბაგი“ წარმოადგინა. აკაკი წერეთლისა და ეფრო კლდიაშვილის თამაშმა მაყურებლის აღფრთოვანება გამოიწვია.

ორი წლის მანძილზე ქუთაისის სცენისმოყვარეებმა მაყურებელს უჩვენეს: გ. ერისთავის პიესებიდან: „ყვარყვარე ათაბაგი“, „გაყრა“, „დავა“, „ძუნწი“, „უჩინმაჩინის ქუდი“, ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, რაფ. ერისთავის: „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „მბრუნავი სტოლები“, „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელ ხარზე უმძლავრესია“, – აკაკის – „ძველსა და ახალს შუა“ და სხვა.

1869 წელს აკაკი წერეთელი თბილისში გადასახლდა და ქუთაისში წარმოდგენები ისევ შეწყდა.

დრო და დრო 1871 წლიდან საქველმოქმედო მიზნით, შემთხვევითი ხასიათის წარმოდგენები ეფრო კლდიაშვილისა და ანტონ ლორთქიფანიძის ორგანიზატორობითაც იმართებოდა.

ოთხი წლის შემდეგ ქუთაისში სათეატრო საქმემ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ამ მიზნით 1875 წლის დასაწყისში სცენისმოყვარეთა დრამწრე დაარსდა, რომლის შესახებ „დროება“ იუწყებოდა:

„ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ ამ მოკლე ხანში იქ შემდგარი პატარა „წრე ქართული

სცენისმოყვარეთა“. „წრის“ მიზანია შემდეგი: გამართოს სცენა ქართული წარმოდგენებისათვის და ამის შემწეობით გაავრცელოს საზოგადოებაში ქართული თეატრის სიყვარული. წარმოდგენებიდან შემოსული ფულით, შეძლებისდაგვარად, ისეთ კეთილ საქმეებს დაეხმაროს, რომელსაც „წრე“ უფრო საჭიროდ და სასარგებლოდ დაინახავს“.

სცენისმოყვარენი მუქთად მუშაობდნენ. საქმისათვის ზოგჯერ ფულს საკუთარი ჯიბიდანაც ხარჯავდნენ. წარმოდგენიდან მიღებული წმინდა შემოსავლის ერთი ნაწილი ხმარდებოდა თვით წრის ფეხზე დაყენებასა და თეატრისათვის საჭირო საგნების შეძენას, დანარჩენი კი საქველმოქმედო საქმეებს.

1876 წელს ქუთაისში დაარსდა მეორე დრამატული წრე, რომელსაც ალექსანდრე გამრეკელი ხელმძღვანელობდა. წრემ სპექტაკლების გამართვა საქველმოქმედო მიზნით დაიწყო. ხუთი თუ ექვსი წარმოდგენის შემდეგ წრე დაიშალა, რადგან მეორე წრის არსებობამ გამოიწვია აქტიორული ძალების დაქსაქსვა, მაყურებელთა დაყოფა სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით და შემოსავალი შემცირდა.

მალე მეორე წრე პირველს შეუერთდა და ზოგიერთი წევრი დრამწრის გარეშე დარჩა. „სამეფო სახლი“, სადაც წარმოდგენები იმართებოდა, 1877 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის გამო, ჰოსპიტლად გადაკეთდა, დრამატული წრე დარჩა უბინაოდ... მაგრამ მაინც ფარ-ხმალი არ დაჰყარა და დაიწყო სპექტაკლების კერძო ბინაზე გამართვა. მათ ანანოვის ზალაში ორი პიესა, ერთი კომედია „ცოლ-ქმარ შუა ომი“ და მეორე ვოდევილი „ცოლი თუ გინდა ეს არის“ დადგეს.

1878-79 წლებში ქუთაისის გუბერნატორმა დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ დრამწრეს „გუბერნატორის სახლში“ სპექტაკლების გამართვის ნებართვა მისცა.

„გუბერნატორის სახლი“ პატარა იყო. ორასი კაცი ძლივს ეტეოდა. მხოლოდ არისტოკრატიასა და მაღალი თანამდებობის პირებს შეეძლოთ აქ თავისუფლად სიარული, და იგი ქალაქის მოსახლეობისათვის მიუწვდომელი იყო. დღის წესრიგში თეატრის აშენების საკითხი დადგა. ამ დროს ცირკის შენობა იჯარით აღებული ჰქონდა ცირკის პატრონს ტომსონს.

ამ პერიოდისათვის ქუთაისში პროფესიული თეატრი ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული. სცენისმოყვარეთა დასს კვლავ ეფრო კლდიაშვილი და ანტონ ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდნენ...

„როცა ქართულ თეატრს გადახედავ, თვალწინ უსათუოდ ორი სურათი გადაიშლება. პირველი თეატრი სცენისმოყვარეთა, დაბალი ხარისხის შინაარსითა და ფორმას მოკლებული. თეატრი მოწოდებული მხოლოდ გართობა-სიამოვნებისათვის...

მაშინ, როდესაც ქართული პოეზია, ქართული პროზა, ლირიკა-ეპოსი საკმაოდ განვითარებულია და ქართველ კლასიკოსთა შორის არა ერთი შედევრი ხელოვნებისა მოიპოვება, ქართულ დრამატურგიაში ვერაფრით ვერ დაიკვეხებ.

თვით უფრო თვალსაჩინო ქართველი დრამატურგის ასიკო ცაგარელის პიესათა სფერო იმდენად ვიწროა, იმდენად ერთფეროვანი და სპეციფიური, რომ მთელი მისი დრამატურგია განისაზღვრება მხოლოდ ყოფით და ისიც საზოგადოების ერთის მეტად ვიწრო ნაწილით. რასაკვირველია ასეთი პრიმიტიული დრამატურგია, მიუხედავად ბასრი და მახვილი დიალოგისა, ხშირად ცოცხალი და მკაფიოდ გამოკვეთილი ტიპებისა ვერ დააკმაყოფილებს დღევანდელ თეატრის რთულ მოთხოვნილებებს.

აღნიშნულ გარემოებას რასაკვირველია თავისი ისტორიული და სოციალური მიზეზები აქვს“... **(25, გვ.17)**.

ერის მამამ და წინამძღოლმა ილია ჭავჭავაძემ თეატრის საკითხებს წერილების მთელი სერია მიუძღვნა, რომელიც გამოწვეული იყო იმ დროს სპეციფიკური ვითარებითაც, რომელშიც ქართველი ხალხი იმყოფებოდა.

„...დიდი რამ არის სცენა საზოგადოდ და ნამეტნავად ჩვენთვის.. სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველი სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზე უფრო მედგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე... სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანაც იმისთანა, შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევინებს, ფრთას აშლევინებს“, – ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე.

თეატრის დიდ ღირსებასა და მნიშვნელობას ი. ჭავჭავაძე იმაში ხედავდა, რომ „თეატრი „ცხოველი სურათებით“ ძლიერ ზეგავლენას ახდენდა მაყურებლის გრძნობასა და გონებაზე ერთსა და იმავე დროს“.

როცა თეატრის მნიშვნელობასა და საჭიროების შესახებ ლაპარაკობდა ი. ჭავჭავაძე, ცხადია, მხედველობაში ჰქონდა ჭეშმარიტად რეალისტური თეატრი. მისი თქმით, „თეატრი საჯაროდ გამოტანილი სარკეა, სადაც უნდა გამოჩნდეს კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი, მისაბაძი და უარყოფითი“. მაგრამ როგორც ყველაფერს, თეატრსაც ილია ეროვნული ინტერესების პოზიციიდან აფასებდა: თეატრს იგი უყურებდა როგორც ეროვნული კულტურის ერთ-ერთ საიმედო კერას, რომელიც ერის ტკივილებისა და სიხარულის შეგრძნებაში დიდ სიფაქიზესა და გაბედულებას იჩენდა.

„...ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლს ვსთხოვთ. პირველი –რომ მართლა განწმენდელი იყოს ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე –იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენებითა და სიმდიდრითა“, –აღნიშნავდა ილია.

ნათლად ჩანდა, რომ , „ი. ჭავჭავაძე სერიოზულ მოთხოვნილებას უყენებდა თეატრს და დიდ იმედებსაც ამყარებდა მასზე. კერძოდ, ილია მოითხოვდა თეატრის ისეთ დონეზე დგომას, რომ მისი სცენიდან ერის სახე გამოჩენილიყო. თეატრი ხომ, მისი თქმით, „ეროვნების საჯარო ნიშანია“.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, „თეატრმა რომ თავის მიზანს მიაღწიოს, მან უნდა მიიზიდოს მაყურებელთა ფართო წრე, ამას კი მხოლოდ მაშინ შეძლებს, როცა მის სცენაზე საზოგადო მნიშვნელობის მოვლენები განსახიერდება და თვით ეს განსახიერებაც მაღალ მხატვრულ დონეზე იქნება.

„...თეატრმა ხანგრძლივად უნდა შეიჩვიოს ხალხი, აუცილებელ საჭიროებად უნდა შეექმნას ხალხს თეატრში დროს გატარება და გართობა. ამისათვის საჭიროა ჯერ ერთი ისა, რომ თეატრი მართლა თეატრი იყოს, ესე იგი – კერძო პირთა მასხარად ასაგდები კი არა, არამედ საზოგადო ჭირისა და ლხინის თვალწინ წამომყენებელი. ამისათვის საჭიროა რიგიანი რეპერტუარი“, – წერდა ილია.

ილია თეატრის წინაშე დრამატურგიას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა.

დრამატურგიისაგან იგი მოითხოვდა სინამდვილის პირუთვნელ ასახვას, ენის სიწმინდის დაცვას, ადამიანის სულის ღრმა ცოდნასა და გმირის მოქმედებაში ჩვენების დიდ ოსტატობას. ილია საგანგებოდ აფრთხილებდა დრამატურგებსა და თეატრის მუშაკებს: „ყოვლის ღონისძიებით ერიდენით კერძო პირთა მასხარად აგდებას სცენაზედ. ეგ თეატრის უკადრისი ქცევაა და შეუნდობელი ცოდვაა“....

ილია თეატრის აბუჩად აგდებას პირადადაც ვერ ასცდა, რომლის ნათელ მაგალითს პოეტ გრიგოლ ორბელიანის პასუხი წარმოადგენს:

„ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ, – დღეს ვერ ვიქნები ჩვენი საზოგადოების კრებაზე თეატრის გამო, რადგან ვარ მიწვეული â ýêåòåðí î å çàñåäàí è å î áù åñòâà âî ñòàí àâëåí è ÿ õðèñòèàí ñòâà, მაგრამ გავბედავ და გულწრფელობით მოგახსენებ, რომ მე არა ვარ თანამგრძნობი ქართული თეატრის ამჟამად დაწესების, რომელზედაც დახარჯული ფული მგონია დაკარგულად. მე არ მესმის, როგორ უნდა დამყარდეს თეატრი, რომელსაც არა აქვს თავისი შენობა, რომელსაც არა ჰყავს განსწავლული აკტიორები, რომელსაც არ შეუძლია შენახვა თავის თავისა? და თუ ქართული სცენისმოყვარენი წარმოადგენენ რასმე წელიწადში ორჯერ, სამჯერ, ხომ ეხლაც არის ამგვარი თეატრი. – არა მგონია, რომ ჩვენი ბანკი იყოს ასე გასუქებული, რომ სამასი თუმნის უსარგებლოდ დახარჯვა არაფრად მიაჩნდეს მას“.

ილია ჭავჭავაძე წინააღმდეგობის მიუხედავად თავის გადაწყვეტილებაზე მაინც მტკიცედ იდგა და ყოველწლივ აგონებდა საზოგადოებას, რომ „წელიწადში სამასი თუმანი, სულ ფეხზედ დააყენებს ჩვენს თეატრს, იმ მხრით მაინც, რომ დასი ეყოლება“.

„...უსახსრობის გამო მსახიობები დიდ გაჭირვებას განიცდის, დრამატული წრის შედგენა თანხას მოითხოვს, ქართული თეატრი დიდ გასაჭირშია. აუცილებელია ეროვნულ თეატრში ხალხის მიზიდვა. ილია ამბობს: „ჩვენი, ეგრეთწოდებული არისტოკრატია, მომეტებულ შემთხვევაში უფრო ხშირად დადის ოპერებში, ოპერეტებზე. არისტოკრატია ჩვენთვის საჭირო არ არის, ჩვენ უნდა მივიზიდოთ თეატრში მდაბიო ხალხი, გავუღვიძოთ მათ

თვითცნობიერება“... **(19, გვ. 28)**

ილია თეატრალურ ხელოვნებას ყველაზე ურთულეს ხელოვნებად მიიჩნევდა: „დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია...

უდიდესი ძვრა სულისა და გულისა ერთადერთი საგანია დრამისა, ერთადერთი ბუნებაა მისი...

შინაგანი ძალა დრამისა უნდა გამომეტყველდეს გარეთა და არა ავტორი შიგ ჩასძახოდეს გარედან...

გარეგანი სახე დრამისა ვერასდროს ვერ დაფარავს შინაგან ცარიელობას, ფუქსავატობას, არარაობას“...

ილიამ ქართულ თეატრს მისცა სამი სასცენო ნაწარმოები: „დედა-შვილი“, „გლახა ჭრია-შვილი“ და „კაკო ყაჩაღი“.

სხვადასხვა ავტორებმა სასცენოდ გადააკეთეს ილიას ნაწარმოებები: „ოთარაანთ ქვრივი“, „ჩატეხილი ხიდი“, „ყაჩაღი კაკო ბღაჭიაშვილი“, „დიმიტრი თავდადებული“, „ბატონები“, „ლუარსაბ თათქარიძე“, „მკითხავი“, „მაჭანკალი“, „კაცია ადამიანი?!“ და სხვა. ილია მუდმივი დასის შესაქმნელად გულმოდგინედ მუშაობდა.

ქართული თეატრის აღსადგენად ილია ყველაფერს აკეთებდა. თვითონ მონაწილეობდა ყველა ღონისძიებასა და სპექტაკლშიც.

„იმხანად ქუთაისს ილია ჭავჭავაძე ეწვია. 1874 წლის 18 აპრილს მან მონაწილეობა მიიღო სალიტერატურო საღამოში. წაიკითხა ი. მაჩაბელთან ერთად შესრულებული უ. შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმანი“.

ერის სულიერი წინამძღოლი და მოჭირნახულე ილია ჭავჭავაძე თეატრს, როგორც მაყურებელზე უშუალო ზეგავლენის, მისი იდეურ-მორალური აღზრდის უძლიერეს საშუალებას ისე უყურებდა.

ილია თეატრს არასოდეს სთვლიდა მხოლოდ უბრალო გასართობ იარაღად:

„...თეატრი ეგ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმარისია, რომ კაცმა თავი გამოიდოს“...

1874 წელს ივ. მაჩაბელი „დროებაში“ წერდა: „ჩვენი თეატრი წინ წავა და ხალხში ფესვებს გაიდგამს თუ რიგიანი მოთავე ეყოლება“.

ასეც მოხდა.

ქართულ თეატრს, ისე როგორც სხვა ყოველ ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებას სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა, როგორც ყოველთვის მის გვერდით იყო აკაკი წერეთელი.

„...თუ გიორგი ერისთავმა აღადგინა ძველი ქართული თეატრის ძირები. ილიამ განაახლა და ააყვავა ამ ფესვების რტოთა ლაშქარი“,–წერდა გაზეთი „დროება“.

„...როცა ქართველი საზოგადოებრიობა ეროვნული მნიშვნელობის რაიმე საკითხს წყვეტდა, შეუძლებელი იყო ეს ილიას და აკაკის გარეშე მომხდარიყო. ეს ბუმბერაზი ადამიანები თავიანთი ხალხის საკეთილდღეოდ არაფერს ზოგავდნენ. მათთვის ამ დროს უცხო იყო პატივმოყვარეობა, სხვადასხვა საბაბით განზე გადგომა და საქმის გვერდის ავლა. საკმარისი იყო მათ ერთმანეთისათვის ეთქვათ, ეს საქმე უშენოდ არ იქნებაო, რომ მაშინვე კისრად ეღოთ და გულმოდგინეთ შესდგომოდნენ.

როგორც ცნობილია, აკაკი ადმინისტრაციულ სამუშაოს გაურბოდა. მას დევიზად ჰქონდა თავისი მადლიანი მუზა და მახვილი კალამი სხვა საქმეებით არ მოეცდინა. მაგრამ ამას ყოველთვის მაინც ვერ ახერხებდა. და ვერ ახერხებდა იმიტომ, რომ ზოგჯერ აუცილებლობა ითხოვდა ამ მხრივაც მსხვერპლი გაეღო“... **(6, გვ.347).**

აკაკიც არაერთხელ ჩასდგომია სათავეში კარგ წამოწყებებს თუ ცუდად დაწყებული კარგი საქმეების მოგვარებას. ეს ითქმის თუნდაც იმ დიდ ამაგზე, რაც მან ქართულ თეატრს დასდო. ერთი ამგვარი შემთხვევის გამო თვითონ აკაკი აღნიშნავდა: „ერთხელ ილია შემოვიდა ჩვენთან და მითხრა: დავიღუპეთ!... თეატრი ხელიდან გამოგვაცალეს და ასე კარგად დაწყებული საქმე უნდა შევაჩეროთ ამ სეზონში და ეს ხომ დაღუპვაა!... მეც ჩემი გულდაწყვეტა გამოვუცხადე. მერე მომიბრუნდა და მითხრა: მოდი, ერთი შენ მოჰკიდე ამ საქმეს ხელიო“.

ილიამ და აკაკიმ ყველაზე უკეთ იგრძნეს, რომ ერის ინტელექტუალური ცხოვრების სწრაფვა წინსვლას თეატრალურ ასპარეზზეც საჭიროებდა. მათი თაოსნობით თბილისში

1879 წელს აღსდგა მუდმივი ქართული თეატრი, ხოლო მისი მოვლა-პატრონობის მიზნით შეიქმნა დრამატული საზოგადოება, რომელსაც 1881 წელს სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა. საზოგადოება არა მარტო თბილისის ქართულ დასს ხელმძღვანელობდა, არამედ ხელს უწყობდა პროვინციაში მოქმედ სცენისმოყვარეთა საქმიანობასაც.

ეროვნული თეატრი ერის ინტელექტუალურ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო. იგი იცავდა ქართულ ენას გადაგვარებისაგან, აღვივებდა მაყურებელთა პატრიოტულ გრძნობებს, ამხნევებდა და გმობდა ხალხის ყოფაში შემოპარულ ნეგატიურ მოვლენებს. თეატრი მუდამ კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე იდგა და აღაგზნებდა საზოგადოებას ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად.

1881-1882 წლებში აკაკის ხელმძღვანელობით სცენისმოყვარეთა დასი ქუთაისშიც შეიქმნა. მათ პოეტის რეჟისორობით ბარბარე ჯორჯაძის დრამა „მშვენიერი კეკელა“, მოლიერის „ეჭვით ავადმყოფი“ და აკაკისავე კომედია „რეპეტიცია“ წარმოადგინეს.

სულ მალე ქუთაისის თეატრს რეჟისორად კოტე მესხი მოევლინა.

ქართველ სამოციანელთა ძალისხმევით, ილიასა და აკაკის თაოსნობით ფრთამოტეხილი ქართული თეატრის კარიბჭე ფართოდ გაიღო.

ილიას თაოსნობით თავად-აზნაურთა ბანკმა ქართული თეატრის შენობა დაარსა. ერის მამას ამის თაობაზე ერთი ცნობილი კახელი მემამულე კიკო ჩოლოყაშვილი, ნაციმბირელად წოდებული, უკიჟინებდა: „...ახალი ქართული თეატრის შენობა ისე ძვირად დაგვჯდომია, რომ ჩვენ გატყავებული დავრჩით. მაგრამ წარსულ ხარჯებს ვინა სჩივის, მომავლისაგან მაინც გვიხსნას ჩვენმა დიდმა „ფინანსისტმა“ ილიამ. აბა, შეხედეთ ამ თეატრის ჭერს“...

სათეატრო დარბაზში გაჭედილმა ხალხმა და თვით ილიამაც თვალები ზევით აღაპყრეს.

„...აგერ შუაში ხომ ხედავთ მთელ მსოფლიოში ცნობილი ხუთი გენიოსის სურათებს, ირგვლივ ჩამომწკრივებულთა. ამშენებლებს შუაში თავისუფლად დაუტოვებიათ ერთი ცარიელი ადგილი და იქ ჯერ არავინ მიუხატავთ. რას უნდა ნიშნავდეს ეს, ბატონებო, თუ არა იმას, რომ მალე იქ დახატავენ მეექვსე გენიოსის სურათს, და ეს გენიოსი, რაღა თქმა უნდა, თავად ილია ჭავჭავაძე იქნება“...

ასტყდა ამ სიტყვებზე ზალაში ერთი ხალისიანი ხარხარ-სიცილი. ილიაც იცინოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ისიც კვირაობდა ამ ამბავსა. ბოლოს სცენაზე გამოვიდა თეატრის მშენებელი და ახსნა, რომ მაგ ადგილას ელექტრონის ლუსტრა უნდა ჩამოვკიდოთო და ამით დაამშვიდა ჩოლოყაშვილიც და სხვებიც“, – იგონებდა პოლიტიკური ემიგრანტი გიორგი ჟურული.

ილიას „ბანკობიანობის“ დროს ბევრი ებრძოდა. ერთხელ უკმეხი სიტყვებით შეეხო მას ბრწყინვალე თავადიშვილი თურმე, რომელსაც მწერალმა ეკატერინე გაბაშვილმა ქოლგა დაამტვრია თავზე. „როცა ილიამ გაიმარჯვა, ბრწყინვალე თავადიშვილმა ბოდიში მოიხადა, დამსჯელ ხელზე ეამბორა ეკატერინეს და უთხრა: მართალი ბრძანდებით, ქალბატონო, ილიას მგმობს იმაზე მეტიც ეკადრებაო“, – წერდა 1958 წელს პარიზში გამომავალ პრესის ფურცლებზე ილიას მეგობარი გიორგი ჟურული.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ თეატრში უკვე მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მსახიობები და რეჟისორები, რომელთაც ქართული თეატრალური ხელოვნება მაღალ დონეზე აიყვანეს.

...ძველი კვდებოდა, იშლებოდა...

–ახალი იბადებოდა, ისახებოდა...

...თეატრი როგორც მეტად მგრძნობიარე ბარომეტრი ტოკავდა, ეძებდა ცხოვრების ახალ ნაკადს, ცდილობდა შეერთებოდა, დაწეოდა და აჰყოლოდა მას ფეხდაფეხ...

იმ დროს ქართული თეატრის სატკივარს, ჭირსა და ვარამს, სიხარულს უკვე იზიარებდნენ და მისი ერთგული დარაჯნი იყვნენ ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლები, რომელთაც დიდი თეატრალური ოჯახი შექმნეს...

და, მოდით ახლა მათზე ვთქვათ...

დიდი თეატრალური ოჯახის მემკვიდრეები

„თუ ნიჭი გაქვთ, თეატრს მოახმარეთ. ეს მთელი ცხოვრებაა, ეს მშვენიერი ხელობაა დედამიწაზე“...

ჟან ანუი

ქართული სიტყვის ქურუმი ილია ჭავჭავაძე სცენას ხალხის მწვრთნელად და ხალხის გამზრდელად მიიჩნევდა. ღვთით ბოძებული ნიჭით სცენიდან ერის სახის ასახვა რჩეულთა ხვედრი იყო და ეს თვალსაჩინო მისია – ადამიანის სულის ხატვა სცენაზე – უზენაესმა ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლებს დააკისრა. მარჯანიშვილთა გვარის – კოდში ჩადებული გენით –– მათ დიდი თეატრალური ოჯახი შექმნეს.

მარჯანიშვილთა გვარის აქტიორული ხელოვნების ტალანტმა პირველად მძლავრად ანდრიას ქალიშვილის ღვთისნიერისა და ღირსეული დედის მაგდალინას შვილებსა და შვილიშვილებში იფეთქა.

„...ჩვენი სცენისათვის მესხები შესამჩნევი მოვლენაა. ჭკვიანი, წინდახედულნი, შრომისმოყვარენი.

შრომისმოყვარეობაც ხომ ნიჭის მონახევრობაა...“, –აღნიშნავდა აკაკი.

მესხებმა სიახლის ძიება იცოდნენ ჟინით, გატაცებით, ვნებით, სინდისიერად. ისინი ადამიანის სულის სიდიადის ძალას სინდისში ხედავდნენ...

სჯეროდათ, რომ მხოლოდ გულწრფელობით, სიწმინდით და უტყუარი პირდაპირობით შეიძლებოდა სამშობლოსათვის უანგარო სამსახური...

სწამდათ, რომ სიყვარული კეთილი ნიჭი იყო და მას ემსახურებოდნენ მთელი თავიანთი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე...

იბრძოდნენ, რომ უსამართლობა და უზნეობა დაემარცხებიათ ცხოვრებასა და თეატრში...

და, რაც ყველაზე მთავარია – ისინი გამარჯვების რწმენას არასოდეს კარგავდნენ!...

იმდროინდელი ქართული კულტურის დაქვეითებისა და ერის სულიერი ტრაგედიის მიზეზად ქვეყნის თავისუფლების დაკარგვა და არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება სახელდებოდა. „საქართველოს პოლიტიკურ დამონებას თან მოჰყვა მისი ეკონომიური და სულიერი დამონებაც“... ყოველი ერის ისტორიაში მოსალოდნელია კრიზისი, როცა ძველი წყობილება ირღვევა და მის ადგილს კი ახალი ძალა ნათლად არა ჩანს“...**(21,გვ.15)**.

ეს ახალი ძალა ქართულ ხელოვნებაში მოიტანა ორმა კოტემ – კოტე მესხმა და კოტე მარჯანიშვილმა, რომლებმაც სამართლიანი რეფორმებით და სიმართლით რჩეული რეჟისორული ნიჭის წყალობით დაამკვიდრეს ქართული რეალისტური თეატრის ტრადიციები, მსახიობთა მიერ განცდით შექმნილი ფსიქოლოგიური სახეები, სადაც მაყურებელთან უშუალო კონტაქტის დამყარებით, სისადავითა და გულწრფელობით სპექტაკლები ემოციურ მუხტს იძენდნენ. სადაც სცენასა და დარბაზში ერთიანი განწყობა სუფევდა, მაყურებელიც მოქმედების მსვლელობაში თანაგანცდით ერთვებოდა და სპექტაკლის მონაწილე ხდებოდა...

„მართალი სიტყვა სცენიდან თქმული“ – ეს იყო ორი დიდი კოტეს მისია ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში...

ქართული თეატრის დამაარსებელი
და რეჟისორი გიორგი ერისთავი





გაბრიელ თამამშევის თეატრი
თბილისში 1851-1874 წწ.

„მიდიოდნენ საცხოვებლად, ნაწყვეტილი ბრუნდებოდნენ“...

„არ შეიძლება მოვალეობის უგულვებელყოფა მხოლოდ იმის შიშით, მტრებს გავიჩენ, ანდა ვინმეს არ მოვეწონებით, მოვალეობის შესრულება ადამიანს სახელს უხვეჭს, ეს კი ბევრად სასარგებლოა, ვიდრე შესაძლო მტრისაგან მოყენებული ზიანი“...

ფ. გვიჩარდინი

გიორგი მესხი გონებით ნათელი, ზნეობით – წმინდა, ფიზიკურად ფაქიზი ადამიანი იყო. მასში სახეც და ტანსაცმელიც, სულიც და აზრიც ლამაზი იყო.

მისი პიროვნების ჩამოყალიბება განაპირობა გარემომ, აღზრდამ, ოჯახმა და საზოგადოებამ, რომელშიც ცხოვრობდა.

მაგდალინა მარჯანიშვილმა და სიმონ მესხმა პირველი შვილის განათლებისათვის ყველაფერი გააკეთეს.

ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას ჩამოაყალიბა გიორგიმ თავისი აზრები და წინდასახული მიზანი: ეს იყო ქართველი ხალხის გამოფხიზლება და ქვეყნად ყველაზე მშვენიერის სამშობლოს განთავისუფლება. ქუთაისის გიმნაზიაში ამ დროს მასთან ერთად სწავლობდნენ: ბესარიონ ღოღობერიძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და შემდგომში სხვა ცნობილი მოღვაწეები.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გიორგიმ მტკიცედ გადაწყვიტა სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში წასვლა.

„...საუნივერსიტეტო რუსეთის ქალაქებისაკენ პირველი ყინული ღოღობერიძეებმა და ორიოდე სხვებმაც განვლეს, გაამტვრიეს, და უფრო წარჩინებულები რომ დაუბრუნდნენ მშობელ ქვეყანას, ამათ კვალს სხვებიც გაჰყვნენ...

გიორგის გამგზავრებამ დედაჩემის „უზარო ტირილი“ გამოიწვია, მაგრამ მამა უფრო გულმაგრად იყო და ამბობდა თურმე: –ჯიხაიშელმა ღოღობერიძემ რატომ უნდა მაჯობოს სისო მესხსაო.

მამამ, მცირე ხანს შემდეგ, პირველ შვილს გიორგის, ორი – სერგეი და ივანეც მიაყოლა, მაღალი განათლების შეძენისთვის...

გიორგი რუსეთში რომ მიდიოდა, ახალგაზრდა, პატარა ტანის და ძალიან მარჯვე კაცი იყო, შნოიანი და ლამაზი. გიმნაზიაში მისი მომრევი არავინ იყო. გიორგიმ პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩააბარა“...**(21, გვ.31)**.

იმ დროისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტს მთელ იმპერიაში განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული.

რუსეთში სასწავლებლად მიმავალი ახალგაზრდები უმთავრესად საქართველოს სამხედრო გზით მიემგზავრებოდნენ. მათ მქუხარე და მოუსვენარი თერგის ხეობა უნდა გაევლოთ. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლებამიღებულ ახალგაზრდებს კონსერვატორიულად განწყობილმა არისტოკრატიამ ირონიულად მათ „თერგდალეულები“ და „რუსეთუმეები“ უწოდა.

ყველა „თერგდალეული“ და „რუსეთუმე“, ცხადია, ერთი მიმართულების არ ყოფილა და ისტორიამაც თერგდალეულთა სახელი დაუმკვიდრა მხოლოდ მათ, რომლებმაც ჭეშმარიტად გაიზიარეს რუს დემოკრატთა იდეები და იგი საქართველოს განთავისუფლების იდეას დაუდეს საფუძვლად.

„თერგდალეულთა“ ამ ჯგუფის, როგორც მოღვაწეების ჩამოყალიბება ძირითადად სტუდენტობის პერიოდში მოხდა, რომლის შემდეგაც გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე.

გიორგი მესხმა, პირველ ყოვლისა, სწორად გაიგო თავისი როგორც სტუდენტის დანიშნულება. მან მალე აუღო ალღო პეტერბურგის უნივერსიტეტის ცხოვრებას და დარწმუნდა, რომ პროფესორთა მიერ წაკითხული ლექციებისა და რეკომენდირებული ლიტერატურის შესწავლა ბევრს არაფერს აძლევდა სტუდენტობას.

გიორგი მესხი საგნებს წარმატებით აბარებდა. გამოცდებისათვის მხოლოდ სესიების პერიოდში ემზადებოდა. მთელ დანარჩენ დროს კი ახმარდა ისეთი წიგნებისა და ჟურნალ-

გაზეთების კითხვას, რომლებსაც გვერდს უვლიდნენ უნივერსიტეტის პროფესორები.

მაშინ ქართველ სტუდენტებზე რუს დემოკრატთა გავლენა, უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ მისმა მოწინავე წარმომადგენლებმა ილია ჭავჭავაძემ, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი მესხმა და სხვებმა მტკიცედ გადაწყვიტეს მთელი თავიანთი ცოდნა და ენერგია სამშობლოს კეთილდღეობისთვის შეეწირათ. მათმა იდეებმა ქართველი სტუდენტები მოამზადეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

გ. მესხი პეტერბურგში ჩავიდა 1861 წლის 9 მაისს, თავის ორ ამხანაგთან ნიკო ნიკოლაძესა და დავით აბდუშელიშვილთან ერთად.

იმ დროს სტუდენტები პეტერბურგის უნივერსიტეტის ავტონომიას მოითხოვდა, რათა რუსეთის უნივერსიტეტის პროგრამა ევროპის უნივერსიტეტების პროგრამისნაირი გამხდარიყო და სტუდენტები და პროფესორები გათავისუფლებულიყვნენ პოლიციის მეურვეობისაგან.

პეტერბურგში მყოფი რევოლუციურად განწყობილი სტუდენტების ხელმძღვანელად 1861 წლის გაზაფხულამდე ილია ჭავჭავაძე იყო არჩეული, ხოლო მისი სამშობლოში წამოსვლის შემდეგ, 1861 წლის გაზაფხულიდან თვით სტუდენტთა მღელვარების დამთავრებამდე, ხელმძღვანელობა ილიას უახლოესმა თანამებრძოლმა ნიკოლოზ ღოღობერიძემ აიღო.

ვითარება თანდათანობით დაიძაბა. გიორგი მესხი ქუთაისელ გიმნაზიის მეგობრებთან ნიკო ნიკოლაძესთან, ნიკო და ბესარიონ ღოღობერიძეებთან, კირილე ლორთქიფანიძესა და დავით აბდუშელიშვილთან ერთად აქტიურად ჩაება სტუდენტთა მოძრაობაში.

„ჩვენ ქართველი სტუდენტების პირველი თაობა ვართ. ჩვენ რომ ახლა დავბრკოლდეთ, ქართველ მამებს შემდეგ ვერც კი გააგონებ–შვილები უნივერსიტეტში გაგზავნონ. ძველებურად საკადეტო კორპუსში მიაბარებენ, მით უმეტეს, რომ ეს უფრო ადვილი საქმეა და არც ფულის დახარჯვაა საჭირო...

.... ვინც მშიშარა ხართ სახლში დარჩით, – მიმართა ნიკოლოზ ღოღობერიძემ თანამემამულეებს და უნივერსიტეტში გაიქცა.

მშიშარა ხარო!... ქართველმა სტუდენტებმა იხუვლა, ქუჩაში გაცვივდა და ამბოხებულ სტუდენტების ზღვას შეერია.

„ხელმწიფე ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა. ფოთსა და ქუთაისში შინაურ ჯეირნებზე თავადების ბაღებში ნადირობდა. საქართველოში ჯერ კიდევ მზადდებოდა გლეხთა განთავისუფლების პროექტები, ამიტომ საჭირო იყო ქართველ თავად-აზნაურების გულის მოგება და დატკბობა“....

უკვე პეტერბურგი სტუდენტთა ხელში იყო, მაგრამ რაკი იმპერატორი საქართველოში გახლდათ, ამიტომ უიმისოდ ვერავინ გაბედა რაიმე გადაწყვეტილების მიღება. იმპერატორმა დაუყოვნებლივ გამოსწია პეტერბურგში. ალექსანდრე მეორის ბრძანებით სტუდენტების მასიური დაჭერა დაიწყო. 1861 წლის 14 ოქტომბერს დაიკითხა ნიკო ნიკოლაძე, გაიჩხრიკა ნიკო ღოღობერიძისა და კირილე ლორთქიფანიძის სახლები.

გიორგი მესხმა 1861 წლის სტუდენტთა ცნობილი „არეულობის“ მონაწილემ და პოლიციის მიერ შემჩნეულმა პირმა დაუყოვნებლივ მიატოვა პეტერბურგი და თავი მოსკოვის უნივერსიტეტს შეაფარა“...**(6, გვ.312)**.

„...პეტერბურგის უნივერსიტეტში არეულობის დროს რამდენიმე სტუდენტმა აქედან მოსკოვამდე კაი ძალა გზა ფეხით გაიარა, რადგან სდევნიდნენ, აპატიმრებდნენ. ამ საზღაპრო მოგზაურობაში გიორგიც გარეულა, შიშიც ბევრი გაუვლია, შიმშილი, სიცივეც. ვინ მოთვლის, რამდენი ახალგაზრდა ქართველი შეიწირა ჩრდილოეთმა. „მიდიოდნენ საცხონებლად, წაწყმედილი ბრუნდებოდნენ“.

გიორგი, ცოტა მოკეთდა თუ არა, მოსკოვის უნივერსიტეტში მოეწყო. ერთი არდადეგების დროს რომ შინ ჩამოვიდა, ფერიც ცუდი დაჰკრავდა, და ძველებური არც ჯანი და სიცოცხლე ჰქონდა. დედა ძალიან უარზე იყო, მაგრამ გიორგი მაინც დაუბრუნდა უნივერსიტეტს...

„...ექვსი წლის შემდეგ უნივერსიტეტდამთავრებული გიორგი მესხი შინ დაბრუნდა. იგი ქუთაისის გიმნაზიაში ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლობას ეწეოდა“...**(21, გვ.29)**.

სამშობლოში დაბრუნებულ სამოციანელთა წინაშე მთელი უშუალობით აღიმართა ცხოვრების სინამდვილე, რომელიც მათგან არა მარტო სიტყვას, არამედ საქმესაც მოითხოვდა. გიორგი მესხიც დიდი ენთუზიაზმით შეუდგა სამშობლო ქვეყნის ინტერესებისათვის

ბრძოლას.

–„...რაც უნდა მოხდეს, მხნეობა არ უნდა დაკარგოთ... სიმამაცე სამშობლოს დასაცავად – ქველმოქმედებაა... ჭეშმარიტი ვაჟკაცობა უბედურების ჟამს გამოჩნდება... უსარგებლო სიცოცხლე უდროო სიკვდილია...

...ყველას გააჩნია საკმარისი ძალა, გააკეთოს ის, რაშიც დარწმუნებულია...“

–შთააგონებდა გიორგი მესხი გიმნაზიის მოსწავლე-ახალგაზრდობას.

მისი, ისე როგორც ყველა თერგდალეულთა მიზანი იყო გარდაექმნათ იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება და მიეცათ მისთვის ახალი მიმართულება.

ერთ ადგილზე შეჩერებული და ჭაობად ქცეული ცხოვრების წინააღმდეგ მებრძოლი გიორგი მესხი ვერ იტანდა გიმნაზიიდან და საერთოდ განათლების სისტემიდან ქართული ენის დისკრიმინაციასა და ყოველგვარი ეროვნულის განდევნას.

ჩვენი სამშობლოს გამოღვიძებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თქვენ უნდა შეიტანოთ მნიშვნელოვანი როლი, რადგან მომავალი თქვენია, ახალგაზრდებისაა,–

–მოუწოდებდა იგი თანამემამულეებს.

ყოველ ადამიანს თავისი ისტორია აქვს, ისტორიას კი თავისი კრიტიკული მომენტები. როდესაც გიორგი მესხის ღირსება ბედის სასწორზე იდო, მან კრიტიკულ მომენტში მაღალი ზნეობა მაინც ბოლომდე შეინარჩუნა.

გიორგი მესხი ვერ შეეჩვია სასწავლებლებში გამეფებულ მაშინდელ ვითარებას. „თავი გაანება მასწავლებლობას და მომრიგებელ შუამავლად დაინიშნა საჩხერის რაიონში“... **(21, გვ.23).**

ამ დათმობაზე მაშინ იგი იმიტომ წავიდა, რომ აშკარად ჩანდა – სამშობლოს „გამოღვიძება“ ჯერ კიდევ ადრე იყო – და მოქმედების ტაქტიკა უნდა შეცვლილიყო. ქართველ სამოციანელებს მოღვაწეობის დაწყება მოუხდათ ცარიელ ადგილზე. მათ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ კონსერვატიულ და ლიბერალურ პოზიციებზე მდგომი თანამემამულეები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები. ამიტომ მათ სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის პოზიციები შეიცვალეს და იგი იდეურ-ლიტერატურულ სფეროში გადაიტანეს.

ამ ხანად გიორგი მესხი უკვე დაცოლშვილებული იყო. მას ცოლად ჰყავდა ანდრია მრევლიშვილის ასული ანა.

„...ანდრია მრევლიშვილი პირველდაწყებითი ორ-კლასიანი სასწავლებლის გამგე იყო ქუთაისში. თითონ ანდრია და მთელი მისი ოჯახი შესანიშნავი მუსიკის მცოდნე ხალხი იყო. ანდრია ლოტბარობდა გიმნაზიის საეკლესიო გუნდს. და ამ მწყობრ გუნდის გალობის მოსასმენად გიმნაზიის ეკლესიაში დიდძალი ხალხი გროვდებოდა. ოჯახიც მრევლიშვილისა მომღერალთა ტკბილი გუნდი იყო და ოთხი სიძეც მომღერლები და მემუსიკენი იყვნენ. გიორგისაც მეტად უყვარდა მუსიკა და ჩინებულად უკრავდა სიმებიან ინსტრუმენტზე.

გიორგი ამ დროს უკვე ოთხი შვილის მამა იყო. ერთი ვაჟისა და სამი ქალის. დიდხანს არც მომრიგებელი შუამავლის თანამდებობას შერჩენია, დასნეულდა გულის ფრიალით. დიდხანს სამსახური ვერ შესძლო გიორგიმ. გულის ფრიალს წყალმანკიც ზედ დაერთო, ჩავარდა ლოგინად, კარგა ხანს იავადმყოფა და შუახანსაც მიღწეული არ იყო, რომ გარდაიცვალა ქუთაისში. დაკრძალულია სოფელ რიონში.

დარჩა ქვრივი და ოთხი შვილი. მამაჩემმა შვილიშვილები გაზარდა, ქალებს „ზავედენია“ დაამთავრებინა. ვაჟმა ანდრიამ (რომელიც დიდი ბაბუის ანდრია მარჯანიშვილის სეხნია იყო) საშუალო ცოდნა მიიღო, რკინიგზის სამსახურში შევიდა და ბაბუის (სიმონ მესხის) მზრუნველობას აღარ საჭიროებდა. ქალები გათხოვებამდე, და, გათხოვების შემდგომაც, მონაწილეობას ღებულობდნენ ქუთაისის ქართულ თეატრში. საერთოდ ჩვენი ბუდე-ოჯახის თითქმის ყოველი წევრი, მას შემდეგ, რაც კოტე (კ.მესხი იგულისხმება) სათავეში ჩაუდგა ქუთაისის ქართულ სცენას, ქართული თეატრისაკენ ისწრაფვოდა. დღევანდელი თვალსაჩინო მსახიობი ქალი – ვერიკო ანჯაფარიძე გიორგის შვილიშვილია, მისი უფროსი ქალიშვილის მარიამის ქალი“... **(21, გვ.25).**

გიორგი მესხს მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ უყვარდა. საგნებს თავის სახელებს გაბედულად არქმევდა. იგი მთელი თავისი სიცოცხლე გულწრფელად იღწვოდა იმისათვის,

რომ ადამიანთა საზოგადოება უკეთესი გამხდარიყო. XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ცნობილ მოღვაწეთა მსგავსად გიორგი მესხმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობასა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში.

რუსეთში სტუდენტობისას გადატანილმა მრავალმა გაჭივრებამ, პოლიტიკურმა დევნამ, შევიწროებამ, ხელმოკლეობამ, სულიერმა დეპრესიამ გიორგი მესხის ჯანმრთელობა ახალგაზრდობაშივე შეარყია, მაგრამ მის გმირულ სულს ჩრდილოეთმა ვერაფერი დააკლო.

გიორგი მესხმა თავისი ღვაწლით შექმნა და დატოვა ლამაზი და შინაარსიანი ისტორია, რომელზეც არ შეეძლო თაობებს ეთქვა: ის არარაობა იყო და კიდევ უარესი.

გიორგი მესხი ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა, მაგრამ კაცის ცხოვრება ხომ მისი შინაარსით იზომება და არა ხანიერებით.

მამა ივლიანე ანჯაფარიძე,
დედა — მარიამ მესხი,
პატარა ვერიკო და-ძმასთან ერთად

სიმონ მესხისა და მაგდალინა
მარჯანიშვილის პირველი შვილი
გიორგი მესხი

ვერიკო ანჯაფარიძე და მიხეილ
ჭიაურელი, იტალია 1946 წელი



„სინათლის“ საზოგადოების დამსმარე ქალთა კომიტეტი უმორჩილესად გთხოვთ მოუმზადებელთ სალიტერატურო-სამუსიკო და საცეკვაო საღამოზე, რომელიც გაიმართება 6 იანვარს 1916 წ. საზოგადო კრებულოს აცალ მინაზე „სინათლის“ საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

კომიტეტის თავმჯდომარე
თავმჯდომარის ამხანაგი

„გზა ეკლიანი, სახიფათო, მაგრამ საზოგადო“...

„მე სხვებსავით უბრალო კაცი ვარ და თუ რამე ღირსება მაქვს, ეს ღირსება ჩემი სამშობლოს მტკიცე და თავგანწირულ სიყვარულში მდგომარეობს“...

სერგეი მესხი

იგი ეროვნული სულის პიროვნება იყო, სამოქალაქო პირი, რომელიც თავისი ქვეყნის დამპყრობთა სამსახურში ვერ ჩადგებოდა და თანამოძმეთა დათრგუნვის ხარჯზე კარიერას ვერ გაიკეთებდა.

სერგეი მესხი სამოციანელთა იმ თაობის წევრი იყო, რომელთაც მახვილი უარყვეს და კალამი აიღეს. პეტერბურგიდან დაბრუნებულ ჭაბუკ სერგეის სამშობლოში ისევ ისეთი მიძინებული და უმოქმედო საზოგადოება დახვდა.

დამარცხებული სამშობლოს ბედი მასში თავგანწირვას, სულიერ ძალთა მობილიზებასა და აზვირთებას იწვევდა, როგორც სწრაფვას თავისუფლებისაკენ.

დიდი განათლება, ფხიზელი გონი, მასშტაბური ხედვა, ძლიერი ნებისყოფა, მტკიცე ხასიათი მან 14 წლის განმავლობაში ერთადერთი გაზეთის „დროების“ წინსვლას შეალია.

„....თოთხმეტი წელიწადი განვაგებდი, ვმწყემსავდი მე გაზეთ „დროებას“. თოთხმეტი წელიწადი განუწყვეტლივ, ჯერ კვირაში თითოჯერ, მერე სამჯერ და ბოლოს თითქმის მუდამ დღე მე და ჩემი მკითხველი შევხვდებოდით ერთმანეთს და სხვადასხვა ათასგვარ საგნებზე, ჩვენს ჭირსა და ლხინზე გვქონდა ლაპარაკი და მასლაათი.

...ბევრი გაჭირვება გამოვიარეთ მე და ჩემმა გაზეთმა ამ ხნის განმავლობაში: ბევრი დაბრკოლება გვიხვდებოდა წინ, ბევრი განსაცდელი ვნახეთ...

ავად თუ კარგად, ყველა ამ დაბრკოლებას გადავურჩით და როგორც იყო, დღევანდლამდინ მოვიტანეთ.

და დღეს, ამის თქმა თამამად შემიძლიან, რომ მე ულაქო, შეუმწიკვლელს, პატიოსანს გაზეთს ვაბარებ ახალ რედაქციას.

...ჩემი დამსახურება აქ ბევრი არაფერია: მე ვხედავდი, რომ ჩვენ გაჭირვების დროს ვცხოვრობდით, ისეთს დროს, როდესაც ჩვენს ხალხსა და ქვეყანას კეთილი წარმატება ეჭირვებოდა და მე, რამდენადაც სუსტი ღონე და ათასგვარი გარეშე და შინაური დაბრკოლება ნებას მაძლევდა, ვცდილობდი სწორი გზა ჩვენი საზოგადო ცხოვრებისა გამეკვლია და ერთგულება არ მომეკლო ჩვენი ქვეყნისათვის“, – აღნიშნავდა სერგეი მესხი.

ს. მესხმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო არა მარტო გაზეთ „დროებას“ არამედ ჩვენს სამშობლოს, ქართველ საზოგადოებას. 14 წლის განმავლობაში იწვოდა ეს ჩუმი და უანგარო მუშაკი ეროვნული თვითცნობიერების, ქართული კულტურის გაღვივებისათვის. მან „იცოდა, რომ ეს საქმე საშვილიშვილო საქმეა და უამისოდ ვერ დამკვიდრდებოდა წარმატება, ვერ აღორძინდებოდა ის ძლიერი ჭახრაკი კაცობრიობის ისტორიისა, რომელსაც საზოგადოებრივ აზრს ეძახიან...“

ილია ჭავჭავაძემ ფრიად მაღალი შეფასება მისცა ს. მესხის ჟურნალისტურ მოღვაწეობას: „...საკმაო კაცმა იცოდეს, რომ მთელი თოთხმეტი წელიწადი ტანჯვით, ვაებით, უფულობით და ათასნაირ დამაბრკოლებელ გარემოებით თითქმის ერთმა კაცმა ატარა თავის მხრებზედ ეგ მძიმე ტვირთი გაზეთისა. საკმარისია კაცმა იცოდეს ეს და მაშინ ცხადი იქნება, რომ ბ-ნი მესხი ღირსად იცნონ იმ პატივისცემისა, რაც საზოგადოებამ აკუთნა. ნუთუ თოთხმეტი წლის რედაქტორობა ყოველგვარის „შავბედითის“ გარემოებით გარს მოხვეული, თვალსაჩინო საქმე არ არის ყველგან და ნამეტნავად ჩვენში? ბ-ნმა მესხმა გაუძლო ყოველივე ამას და რომ ჯანის სიმრთელეს არ ემტყუნა, კიდევაც არ ჩამოეცლებოდა ამ მძიმესა და უმადლო საქმესა, როგორც რედაქტორობაა ჩვენში“...

ს. მესხს, მოწინავე თაობის მოვალეობად, პოლიტიკურად დამონებული, სოციალურად შევიწროებული და რაც მთავარია, ჯერ კიდევ მიძინებული, გონება-გაუხსნელი ხალხისათვის, თავისი უბედურებიდან გამოსავალად, გასაჭირის ახსნა-გარკვევა მიაჩნდა.

„...რამ გამოიწვია ქართველი ხალხის ეს გონება გაუხსნელობა, უბედურება? აუტანელმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა...

ფეოდალურმა ურთიერთობამ და მისმა აუცილებელმა შედეგმა, უმეცრებამ, დაჰბადა ჩვენში

ყოველგვარი ბოროტება, ცუდ-კაცობა, ავაზაკობა, ქურდობა და ა.შ...

ვის და რა საშუალებებით შეუძლია აღნიშნული სოციალური პირობებისა და მისი საშინელი სენის მოსპობა?

–განათლებულ და გონება გახსნილს კაცს ყოველთვის შეუძლია თავის ცხოვრებით და სიტყვით დიდი და კეთილი გავლენა იქონიოს საზოგადოთ გაუნათლებელ საზოგადოებაზე", –წერდა სერგეი მესხი.

იგი განმანათლებლური მოღვაწეობის ერთ-ერთ ფაქტორად თვლიდა სოციალური უსამართლობის მოსპობას, რადგან ამავე განათლების წყალობით „კაცობრიობას ისეთი თვისება აქვს, რომ ერთ ადგილზე გაჩერება არ შეუძლია. „ის მუდამ წარმატებაშია, მუდამ წინ მიდის, ერთ უაზრო ჩვეულებას გადააგდებს და მის ნაცვლად შემოიღებს მეორეს უფრო საფუძვლიანს"... **(16, გვ.27).**

„თავისი ხალხის გამოღვიძების" საქმეში ს. მესხი ასევე დიდ როლს აკისრებდა თეატრს. ქართველ სამოციანელთა კვალდაკვალ ს. მესხი ცხოვრების გარდაქმნის ამოცანებს ცხოვრებისა და ხელოვნების დაახლოებაში ხედავდა. იზიარებდა და იცავდა დიდი ილიას შეხედულებას იმის შესახებ, რომ მეცნიერება და ხელოვნება –„ეს ორნნივ ერთ და იგივეს მსახურობენ: აზრის მოძრაობას და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედებენ და გამოთქვამენ"...

„...წაკითხულს თავის დღეში არ აქვს კაცზე ისეთი მნიშვნელობა, როგორც თვალით ნახულს, როგორც მაშინ, როდესაც საზოგადოება ნათლად, ცოცხლად ჰხედავს მომქმედ პირებში იმ კაცის ხასიათის მხარეებს, რომელნიც დასაზრახნი და მოსაშლელნი არიან"... **(20, გვ. 25).**

თეატრი მისი თვალსაზრისით, უპირველესად, ესთეთიკური დატკბობის წყაროა, გრძნობის ამაღელვებელი და ზნეობის გამწმენდი, სულის გამაძლიერებელი, გულის გამალმობიერებელი და ვინაობის დამცველი, ერთი სიტყვით უდიდესი შკოლაა საზოგადოებრივი ცხოვრების გახსნისათვის და წარმატებისათვის"... **(20, გვ.26).**

ქართული თეატრის აღდგენისა და თეატრალური ხელოვნების სწორი გზით განვითარების პრობლემები მოსვენებას არ აძლევდნენ სამშობლოსათვის თავდადებულ პატიოსან მუშაკს.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში სერგეი მესხის მიერ თეატრალურ ხელოვნების შესახებ გამოთქმული რიგი მოსაზრებანი საფუძვლად დაედო შემდეგი თაობის მრავალ თვალსაჩინო თეატრალურ მოღვაწეთა შემოქმედებას: „მსახიობი თუ კარგად მოინდომებს, თუ ეცდება, თუ რიგიანი ხელმძღვანელი ეყოლება, ყოველთვის შესძლებს მის წინაშე მდგარ ლიტერატურულ-დრამატურგიული და სცენური ამოცანის განხორციელებას...

...მსახიობი უწინარეს ყოვლისა, დრამატურგიულ ნაწარმოებში მოცემული მხატვრული სახის სულის ჩამდგმელია –პროფესიული, სცენური საშუალებებით.. დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად წარმოთქმულ სიტყვას, მეტყველებას, რიგიან მიხრა-მოხრას, სცენურ მოძრაობას, როლის ბუნებას, მისი დედა-აზრის ღრმა გააზრებას..." **(20, გვ.36).**

სერგეი მესხს მსახიობის შემოქმედებაში ბუნებრივი ნიჭის, აქტიორული მონაცემების განვითარების ძირითად პირობად მიაჩნდა ცხოვრების ღრმა შესწავლა, თვითგანვითარება, სცენური პრაქტიკა. მისი აზრით: „ფასი ეკარგება ისეთ თამაშს, რომელშიც ერთნაირი ზომიერებით არ ვლინდება მსახიობის შემოქმედების ყველა კომპონენტი, სადაც არ იხატება მოქმედი პირის ხასიათი, ტიპი, მოქმედება", –მიუთითებდა სერგეი მესხი.

გ. ერისთავის მიერ დაარსებული ქართული თეატრის მზის ჩასვენების შემდეგ, 1855 წლიდან 1870 წლამდე ქართული წარმოდგენები იმართებოდა შალიკაანთ, ანდრონიკაანთ და ჩითახოვიანთ მამულში, სადაც ახლა ოპერის თეატრია.

ეს წარმოდგენები შინაურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მუდმივი დასის დასაარსებლად მაინც ერთგვარ საფეხურს წარმოადგენდა.

„...ეხლა ქართული სცენისმოყვარულების წარმოდგენებს თავი უნდა დავანებოთ და მუდმივი ტრუპის შედგენას შევუდგეთ", –მოუწოდებდა სერგეი მესხი „დროების" ფურცლებიდან.

ქართველი საზოგადოება, რომელიც იმავე „დროების" სიტყვით, ღვინის სმას, ქაღალდის თამაშობას და საკიცხავ დროს გატარებას" იყო ჩვეული და აინუნშიაც არ აგდებდა პერიოდული პრესის ღაღადის.

ს. მესხი ხედავდა, რომ ეკონომიურად ხელმოცარული ინტელიგენცია ქართული თეატრის აღდგენისათვის საჭირო ფინანსურ ხარჯებს ვერ გაიღებდა და ამიტომ თავისი მისწრაფების განხორციელებას პირველ ხანებში ქართული კულტურის გულშემატკივართა შორის ფულის შეგროვების, სააქციო კომპანიების შექმნითა და სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად შემოსული სახსრებით ცდილობდა.

მშობლიური განახლებული თეატრის აღდგენისათვის გულანთებულ ს. მესხს ვერც ქართველ საზოგადოებაში ფულის შეგროვებამ, ვერც სააქციო კომპანიებმა და საქველმოქმედო ღონისძიებებმა ვერ გაუმართლა იმედი.

ამის შემდეგ იგი ქართველი ხალხის დიდ ეროვნული საქმის მოთავეს მდიდარი შეძლების მქონე ვაჭართა წრეში ეძებდა და ცდილობდა წარმოდგენების გამართვის შედეგად მიღებული შემოსავლით დაეინტერესებინა ქართული თეატრის „მომავალი ანტეპრენიორი“.

„სამშობლოს სცენა“, –არის ძალა, რომელიც თითქმის ისეთივე ღირსია ყურადღებისა, როგორც, მაგალითად, შკოლა, ლიტერატურა და სხვა საზოგადოების წინ-წამწევი სახსრები... ამ დროში არა რა ლიტერატურას, არა რა შკოლას არ ექნება ისეთი ზნეობითი ზემოქმედება საზოგადოებაზედ როგორც თეატრს“... **(20, გვ.37).**

ს. მესხის მიერ თეატრის შესახებ გამოთქმული შეხედულება ავადმყოფურად აკვიატებული თვითმიზნური მოსაზრება როდი იყო.

ს. მესხი მთელი არსებით ისწრაფვოდა გ. ერისთავის შემდეგ მიყუჩებული თეატრალური ცხოვრების აღდგენისათვის და ინტელიგენციის მხარდაუჭერლობით გულგატეხილი თეატრის მფარველს ვაჭართა წრეში ეძებდა. თან ისიც აფიქრებდა, რომ ქართული თეატრის ბედი ისეთ ჩარჩ-ვაჭარს არ ჩავარდნოდა, რომელიც თეატრის პირდაპირ დანიშნულებას პირად სარგებლობას ანაცვალებდა.

ს. მესხი მთელი თავისი შეურიგებელი პრინციპულობით ებრძვოდა იმ ხელაღებულ, მყვირალა და მოწუწუნე პირებსაც, რომლებიც სკეპტიკურად შეჰყურებდნენ ქართული თეატრის აღდგენის საქმეს. „ჩვენ რომ ამისთანა იმედ-დაკარგულ არსებებს ვუგდოთ ყური და დავუჯეროთ, უეჭველია, არც ერთ საზოგადო საქმეს ხელი არ უნდა მოვკიდოთ და უსათუოდ ან ყველა ჩინოვნიკებად უნდა შევიქმნათ, ან სხვაფრივ შევუდგეთ საკუთარი ჯიბეების გასქელებას“... **(20, გვ.102).**

იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ თუ ქართული საზოგადოება ერთიანი სულისკვეთებით, თანაგრძნობითა და თანხმობით მოჰკიდებდა ხელს ამ დიდ ეროვნულ კულტურულ საქმეს, ძალაც ეყოფოდა და გამოცდილებაც მისი ბოლომდე მიყვანისათვის.

ცხოვრებამ დაადასტურა ს. მესხის მოსაზრების სისწორე. მთელი მისი იმედი უმთავრესად საზოგადოების დახმარებაზე, მის უნარსა და მონდომებაზე იყო დამყარებული. მხოლოდ ამ გზით, ქართველი საზოგადოების ერთიანი და შეგნებული მოქმედებით შეიძლებოდა ეროვნული თეატრის შენობას მკვიდრი საფუძველი ჩაჰყროდა.

შეუნელებელმა ენთუზიაზმა, დაუზოგველმა შრომამ 1879 წელს ქართული მუდმივი თეატრის დაარსების ოცნება სინამდვილედ აქცია.

თბილისში ეროვნულმა პროფესიულმა თეატრმა მუშაობა დაიწყო.

„დროების“ მოწოდებას, თანხის შეგროვების შესახებ, დაგვიანებით გამოეხმაურნენ. აღმოჩნდა ვინმე მაიორი იოსელიანი („ყარა მაიორად“ წოდებული), რომელმაც ქართული თეატრის სასარგებლოდ სამასი თუმანი შესწირა.

„ეს პირველი მაგალითია, რომ ქართველ კაცს ამდენი შეეწიროს რომელიმე საზოგადო საქმისათვის“, –კმაყოფილებით აღნიშნავდა სერგეი მესხი.

შემოწირულობით თეატრის საქმე თითქმის სანახევროდ გაჩაღდა. დაარსდა კომიტეტი და საჯარო კრების მოსაწვევად ილია ჭავჭავაძის ხელმოწერილი ქაღალდები დაიგზავნა.

1881 წელს ახლად დაარსებული დრამატული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძე აირჩიეს. მუდმივი ქართული თეატრის მიერ გამართულ წარმოდგენას ს. მესხი ქართველი ხალხის მოწინავე ნაწილთან ერთად დიდი სიხარულით შეხვდა. „პირველად ქართულმა მუდმივმა ტრუპპამ გახსნა წელს წარმოდგენების სეზონი, და სიამოვნებით ვაცხადებ, რომ კარგადაც გახსნა“... –აუწყებდა ს. მესხი „დროების“ საშუალებით საზოგადოებრიობას.

ქართულმა მუდმივმა დასმა სეზონი 1879 წლის 5 სექტემბერს გახსნა.

ამ პირველ შემთხვევისათვის ტრუპპამ წარმოადგინა ქ-ნ ბარბარე ჯორჯაძის სამმოქმედებიანი კომედია „რას ვეძებდი და რა ვიპოვე?!“ და თ. რაფ. ერისთავის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „იჭვიანი“. ეს არის ოფიციალური თარიღი. ამის შემდეგ გაჰქრა „ქართველი სცენისმოყვარე“ და სცენაზე მოთამაშეს „ქართველი მსახიობი“ ეწოდა. ასე აინთო 1879 წელს ლამპარი გ. ერისთავის შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ჩაბნელებულ ქართულ თეატრში. მუდმივი „ტრუპპის“ შემადგენლობაში 10-12 მსახიობი შევიდა: მ. საფაროვი, ნ. გაბუნია, მ. ყიფიანი, ბარ. კორინთელი, კ. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, ნ. შანშიაშვილი, ზაალ მაჩაბელი და რეჟისორი მ. თუმანიშვილი. თბილისის მსგავსად, 1885 წელს ს. მესხის უმცროსი ძმის კოტე მესხის თაოსნობით ქუთაისშიც დაარსდა მუდმივი ქართული თეატრი, რომლის სცენაზე პირველად მოუხდა გამოსვლა სერგეი მესხის დას –ანას.

თავისი ცოდნისა და გამოცდილების გასაღრმავებლად, იქაური ცხოვრების შესასწავლად ს. მესხი პარიზში გაემგზავრა.

„მე, იქნება ამ ხუთშაბათს მომიხდეს სამზღვარ გარეთ წასვლა და ამიტომ შენი აქ ყოფნა ეხლა აქ აუცილებლად საჭიროა... თუ, ვინცობაა, წამოსვლა არას გზით არ შეგიძლია, დასწერე ცენზურის კომიტეტში წარმოსადგენი ქაღალდი, და პირველსავე ფოჩტით უთუოდ გამომიგზავნე. ეს ქაღალდი უბრალო ერთ ფურცელ ქაღალდზე უნდა იყოს დაწერილი ამგვარათ:

Â Çâêàâêàñêèé Öåí çóðí û é Êî ì èòåò

Êí ÿçÿ òî êî ãî òî

Çàÿâëåí èå

×åñòèì åþ çàÿâèòü Çâêàâêàçñêî ì óÖåí çóðí î ì óÊî ì èòåòó, ÷òî ÿ ñî ãëàñåí ï ðèí ÿòüí à ñáÿâðåì åí í î å ðåäàêòèðî âàí èå Ãðóç. ãàçåòî þ „Äðî ýáà” çà î òñóòñòâèåì í àñòî ÿù åãî ðåäàêòî ðà âû ø åï î èì åí î âàí í î é ãàçåòû Ñåðãåÿ Ñåì åí î âè÷à Ì åñõè è ÷òî âî âðåì ÿ ðåäàêòèðî âàí èÿ î áÿçóþ ñü ñòðî ãî äåðæàòüñÿ óñòàâëåí í î é ï ðî ãðàì ì û .

Òàêî é òî .

÷èñëî .

შენი ჭირიმე, კირილე, ეს თხოვნა პირველივე თხოვნით შემისრულე.

შენი სერ. მესხი...“

კირილე ლორთქიფანიძე პეტერბურგიდან ჩამოვიდა და გაზეთ „დროებას“ ს. მესხის დაბრუნებამდე რედაქტორობდა.

სერგეიმ საზღვარგარეთ 14 თვე დაჰყო.

მშობლიური ლიტერატურის, თეატრისა და დრამატურგიის აღორძინებაზე მეოცნებე ს. მესხი მთელი გულით დაეწაფა ვიქტორ ჰიუგოსა და შილერის დრამებს, ბომარშეს კომედიასა და სტერნის „სანტიმენტალურ მოგზაურობას“, გატაცებული იყო ფლობერის „მადამ ბოვარით“, დიუმა-შვილის „მარგარიტა გოტიეთი“ და ვ. ჰიუგოს ახალ გამოსული რომანით „93 წელი“.

ს. მესხი თვალს პოლიტიკურ ცხოვრებასაც გაფაციცებით ადევნებდა. მას სურდა პოლიტიკური ვითარების ცენტრში ყოფილიყო და მის ყოველ კუნჭულს ჩასწვდომოდა.

იგი ჟენევაში დაესწრო ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მიერ სპეციალურად მოწვეულ კონგრესის მუშაობას, რომელშიც სომეხი და დაღესტნელი პატრიოტები მონაწილეობდნენ.

საზღვარგარეთ ყოფნისას ს. მესხმა შეისწავლა ფრანგული ენა. მან მომავალი პუბლიცისტური მუშაობისათვის ევროპის ცხოვრების გასაცნობად უამრავი მასალა შეაგროვა. თავისი განმანათლებლური და განმათავისუფლებელი იდეების მოხერხებული გავრცელებისათვის გამოჩენილ პიროვნებათა, სახელდობრ ვაშინგტონის, ლივინგსტონის, გარიბალდის, ოუენის და სხვათა ბიოგრაფიები შეადგინა და მიზნად დაისახა, რომ საქართველოში დაბრუნებისთანავე 30-40 ასეთი ბიოგრაფია დაეწერა.

1874 წელს ს. მესხი სამშობლოში დაბრუნდა.

„...ისევ ის მიძინებული საზოგადო ცხოვრება, ისევ ძველებური წვრილმანი, კერძო სარგებლობისათვის და ინტერესებისათვის თავგანწირული ბრძოლა.

...საზოგადოდ სამშობლოსა და საზოგადო საქმეების ზრუნვის მაგიერ პირობითი სარგებლობის სამსახური; სიყვარულის მაგიერ სიძულვილი, შრომის მაგიერ უზრუნველობა, იმედის მაგიერ სასოწარკვეთილება“, –სამშობლოს უილაჯო მდგომარეობაზე გულისტკივილით

აღნიშნავდა სერგეი მესხი.

ერთი წლის შემდეგ ს. მესხმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილისა და გაზეთ „დროების“ გამომცემლის სტეფანე მელიქიშვილის და ეკატერინე (კეკე) ცოლად შეირთო, რომელსაც განათლება ციურიხში ჰქონდა მიღებული.

„...ს. მესხის დემოკრატიული იდეები, სამართლიანი რეფორმები, ქალთა უფლებების დაცვის საკითხი, ევროპული და ამერიკული საგანმანათლებლო სისტემის დანერგვისათვის ღია ბრძოლა აღიზიანებდა ძველი თაობის კონსერვატიულად მოაზროვნე ადამიანებს“... **(26, გვ.38)**.

„...არსად არ არის ისე ძნელი პატიოსნების სახელის დაცვა, როგორც ჩვენში. სანამ არავის პიროვნებასა და იმის საზოგადო მოქმედების რომელსამე ცუდ მხარეებზე არა გითქვამს –რა, სანამ თავ-მოყვარე კაცებს აქებ და არავის არ ამხილებ ნაკლულევანებისა და შეცდომისათვის, მანამ პატიოსანი და ყოვლად საქები, ღირსეული კაცი ხარ.

მაგრამ ერთი გაბედე და ცოტა რამ ლაქა მონახე ვისმეს საზოგადო ცხოვრებაში და მოქმედებაში, გაბედე და საქვეყნოდ გამოააშკარავე ისეთი ნაკლულევანება და მოქმედება, რომლისამე პირისა, რომელსაც რამე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, და მაშინ ნახავ, თუ როგორ შემოგიკურთხებენ, რა ეპიტეტებითა და სახელებით შეგამკობენ!

–ეს კაცი მთელს ქვეყანას ჰკიცხავს! ყოვლად საპატიო პირები და საქმეები ჩვარათაც არ მიაჩნიაო! ერიდეთ მაგას! ცუდი ენისა და უპატიოსნო კალმის პატრონი კაცი არისო!“, –სამართლიანად ამხელდა ვაი კაცებს ს. მესხი.

სამწუხაროდ, ასე იყო მაშინ და ასეა დღესაც. მართლის თქმა და მართლის ქმნა ყველა დროში აღიზიანებს მედროვეებს. როდის იყო ლაჩარი ვაჟკაცს იტანდა?!...

სერგეი მესხი, როგორც პროგრესულ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი პიროვნება, არა მარტო აქტიურ მონაწილეობას იღებდა ძველი თაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ამ ბრძოლის ერთგვარ ინიციატორისა და ორგანიზატორის როლშიაც გამოდიოდა.

ეს კარგად იცოდა პოეტმა გრ. ორბელიანმა და როგორც ილიასა და აკაკის, ასევე სერგეი მესხსაც თავს დაესხა, მისი მხრიდან შეუფერებელი საქციელი გახლდათ „დროების“ დაარსების ათი წლისთავისადმი მიძღვნილი პასკვილიც – „ფერხული და ბუქნა“.

ს. მესხს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„...ის იყო კაცი, თავაზიანი და თან პირში მთქმელი, უსიამოვნო ამბავს ისე თავაზიანად გეტყოდათ, რომ წინააღმდეგობას ვეღარ აკადრებდით და თითქმის სიხარულით ემორჩილებოდით იმის სიტყვას. ეს ღირსება იმ ადგილზე, რა ადგილიც ეჭირა სერგეი მესხს, დიდი ღირსებაა და ამით უნდა აიხსნებოდეს ის საერთო სიმპათია, რომელსაც ჩვენის ლიტერატურის მოღვაწენი გრძნობდნენ სერგეი მესხისადმი“... **(32, გვ.17)**.

„...იგი იყო პირველი პუბლიცისტი, მამა პოლიტიკური მწერლობისა. მთელი ცხოვრება პროგრესულ გზაზე იდგა და იბრძოდა მოწინავე აზრებისათვის“...

„...ამასთან იყო ადამიანი იშვიათის ზნეობრივის სიფაქიზისა და პირად ანგარიშს და არასაზოგადოებრივ ინტერესს ერთხელაც არ გაუმრუდებია მისი კალამი“, – ასეთ შეფასებას აძლევდნენ თანამედროვენი ს. მესხს.

„...შენმა ძმამ ძალიან გამაკვირვა (იგულისხმება ივანე მესხი). დედაშენი უთუოდ ძალიან წმინდა ზნეობის ქალი ყოფილა, თორემ ასე ერთნაირ შვილებს ვერ დაბადებდა. სახე, ხმა, ლაპარაკი, მიხრა-მოხრა სულ სერგეის არის“, –აღნიშნავდა კირილე ლორთქიფანიძე.

სერგეი იყო დიდი ბუნების ადამიანი.

ს. მესხმა დიდი წვლილი შეიტანა ახალი ქართული სალიტერატურო ენის, მშობლიური ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკის, ჟურნალისტიკისა და ქართული თეატრის განვითარების საქმეში.

მასვე ეკუთვნის მოთხრობა – „ორი სიყვარული“, პიესა „ხუმრობა“ და სხვები. მან ვრცელი წერილი მიუძღვნა ხალხურ „არსენას ლექსს“,მიმოიხილა გიორგი და რაფიელ ერისთავების, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ანტონ ფურცელაძის და სხვათა შემოქმედების ცალკეული საკითხები.

„...ს. მესხი მკვეთრად გამოხატული ევროპულ-ამერიკული ორიენტაციის მამულიშვილია, რომელიც საქართველოს განვითარების ყველაზე მისაღებ გზად დასავლეთ ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებთან კავშირ-ურთიერთობას მიიჩნევდა.

დემოკრატია უბრძოლველად არ მიიღწევა და ვერც დემოკრატია იარსებებს, თუკი მასში დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანები არ იცხოვრებენ.

სერგეი მესხმა თავისი მოღვაწეობით შექმნა დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანის ტიპიური სახე, რომელიც თავისი მისწრაფებებით ყოველთვის წინ უსწრებდა დროსა და ეპოქას, და რომელსაც ყოველ დროსა და ეპოქაში უპირისპირდებოდნენ"... **(27, გვ.49)**.

ს. მესხი უკიდურეს მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდა. თვეში 40 მანეთი, რომელიც ჯამაგირად ეძლეოდა რედაქტორობისათვის ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მის ყოველდღიურ საარსებო მოთხოვნილებებს. იგი მთელი დღეები მშიერ-მწყურვალი იყო და უპალტოობის გამო ზამთარში გარეთ ვერ გამოდიოდა. ქაღალდის შესაძენად არაერთხელ დაუგირავებია საათი, რათა გაზეთის გამოცემა არ შეფერხებულიყო.

სერგეი აუტანელ მატერიალურ და ფსიქოლოგიურ პირობებში მუშაობდა. მას მთავრობის მხრიდან არავითარი ფინანსური დახმარება არ ჰქონდა. სამწუხარო უფრო ის იყო, რომ თავიანთი ერთადერთი ქართული გაზეთის შენარჩუნებას, თვითონ საზოგადოების ფართო მასებიც კი არ უჭერდნენ მხარს. ის მცირეოდენი ხელმომწერებიც ზოგჯერ უარს აცხადებდნენ გაზეთის ღირებულების გადახდაზე და ამ საკითხის მოგვარებაც მას უხდებოდა.

ამრიგად, საერთო საზოგადოებრივ საქმიანობისათვის ზრუნვამ, პირადულმა უმადურებამ ვალებში ჩააგდო „დროების" რედაქტორი. მაგრამ ვალებში ჩავარდა არა მარტო სერგეი მესხი, დავალიანდა მისი ოჯახიც. სერგეის მამამ სიმონ მესხმა, რომელიც უკვე ხანში შესული იყო და შვილებისაგან ელოდა დახმარებას, სოფელ რიონის მამულები ქუთაისის საადგილმამულო ბანკში „დროების" ვალებისათვის დააგირავა. სერგეის გარდაცვალების შემდეგ ოჯახს ბანკის ვალი მძიმედ დააწვა და იძულებული გახდნენ მიწის ორი-სამი ნაკვეთი გაეყიდათ და ბანკის ვალი ნაწილობრივ მაინც დაეფარათ.

სერგეი მესხი დიდი მოთმინებით იტანდა საზოგადოებრიობის გულცივობას, მოვალე ჩარჩი-ვაჭრების მიერ მიყენებულ დამცირებას, შეურაცხყოფას. გულში იკლავდა ყოველგვარ სიძნელეებს და არასოდეს უფიქრია „დროებისათვის" თავის დანებება, თუმცა არა ერთხელ შესთავაზეს თბილი ადგილები.

„...რიონის მამული მამამ „დროების" ვალებისათვის დააგირავა ქუთაისის საადგილმამულო ბანკში. ვალის განაღდებას რედაქცია კისრულობდა: სერგეი მუდამ წესიერად იხდიდა ვალს, მაგრამ, როცა სერგეი დავკარგეთ და მამაც დიფტერიამ გადაიტანა, ბანკისა და კერძო ვალები შეუძლებელ ოჯახს კისრად დაგვაწვა მძიმე უღლად. ზუსტად ვერ შეგვქონდა სარგებელი. იზრდებოდა მამულის ვალები. ბანკის ვალის დასაფარავად ორი-სამი ნაკვეთი ადგილი მივყიდეთ ჩვენებურ გლეხებს, მაგრამ ხუთასი მანეთი კიდევ გვრჩებოდა ბანკის ვალი. მირჩიეს, ბანკის ყრილობას განცხადება მიეცი, რომ ის ფული მთლიანად საზოგადოსაქვეყნო საქმეს მოხმარდაო, ქართული გაზეთის დავალიანებულ რედაქციას. ამ განცხადებას ჩემის თხოვნით აკაკიმაც დასძინა სიტყვა, რომლითაც მიმართა ბანკის კრებას:

„ბატონებო! იყო დრო, დრო შავბნელი, როცა ჩვენში გარდა კუჭისა არავინ არაფერზე ჰფიქრობდა. ამისთანა დროს ორი თუ სამი ახალგაზრდა გამოვიდა საზოგადო სარბიელზე საეროვნო პროგრამით. მათ რიცხვში სერგეი მესხიც იყო. დაამთავრა თუ არა სწავლა, ის მიადგა ორკაპ გზას, ერთი იყო ია-ვარდით მოფენილი, საპირადო, საფუნდრუკო, მაგრამ ქვეყნისათვის კი საუკეთესართო. მეორე-ეკლიანი, სახიფათო, მაგრამ საზოგადო. იმან ეს მეორე აირჩია. დაუდვა თავი და საზოგადოებას მსხვერპლად შეეწირა. დიდხანს იტანჯა და რომ ვეღარ აიტანა, თან გადაყვა გულს. დარჩა ვალი, ვალი საზოგადო საქმისათვის აღებული, და არა საპირადოთ, რომელიც მისმა მცირე ადგილ-მამულმა გადაიხადა, გარდა ხუთასი მანეთისა, რომლის სახსარი აღარსად იყო. ამგვარი კაცის დავიწყება ჩვენის მხრივ უსამართლობა და დიდი უბედურება იქნება. ვალდებული ვართ –ეს დანარჩენი ვალი ჩვენს თავზე მივიღოთ და მის საფლავზე, სადღაც სოფლად მივარდნილზე, ნიშა რამ დავდგათ. პირადად მისთვის ეს ყველაფერი უსარგებლოა, მაგრამ დე იცოდეს ყველამ, რომ ქართველი შეძლებისდაგვარად არასოდეს არ ივიწყებს მის საზოგადო, გულწრფელ მოღვაწეს!!

კრება ვაშას ძახილით მიეგება აკაკის სიტყვას. ვალი მოხსნეს. საფლავზე ნიშას აგება აუსრულებელი დარჩა..." **(21, გვ.47-48)**

აკაკი წერეთელი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე განსაკუთრებით სათუთ დამოკიდებულებას იჩენდა მესხების ღირსეული ოჯახისადმი და მას სულიერი მეგობრობა

აკავშირებდა მის ღირსეულ შვილებთან, რადგან პოეტი აფასებდა ყველას, ვინც თავს დებდა მშობლიური ეროვნული კულტურის საკეთილდღეოდ.

არაადამიანურმა შრომამ, 14 წლის განმავლობაში რედაქტორად, კორექტორად ყოფნამ, ერთადერთი ოთახის რედაქციად, სასტუმროდ, საძილედ, სამეცადინო ოთახად გამოყენებამ, რკინის ჰაერით სუნთქვამ და საზოგადოების უმადურობამ გატეხა სერგეი მესხის ჯანმრთელობა.

„...სერგეიმ დაიწყო ავადმყოფობა. ის ერთობ დაიღალა-მუშაობით. ექიმებმა ურჩიეს დასვენება, მაგრამ თავს არ იზოგავდა, განაგრძობდა შრომას, თავის საყვარელ საქმეს. ბოლოს ვეღარ შეძლო და იძულებული გახდა თავი დაენებებინა. გულისტკივილით გადასცა მან თავისი საყვარელი „დროება“ ივ. მაჩაბელს და იმ ზაფხულს სოფელში წამოვიდა დასასვენებლად. ყველანი იქ ვიყავით. პირველ ხანებში მოუხდა თავისი საყვარელი სოფლის სუფთა ჰაერი. ერთობოდა კითხვით, ხან ჩვენთან, ბავშვებთან თამაშით. ასე გაატარა ერთ თვეზე მეტი. შემდეგ ტკივილებმა უმატა იმდენად, რომ ამოდენა კაცს ხანდახან ცრემლები ემჩნეოდა თვალებზე...“ **(23, გვ.39)**.

„...მინდა ერთი უცნაური სიზმრის ამბავი მოვიყვანო:

ერთ ღამეს საძაგელი სიზმარი ვნახე: ოდის აღმოსავლეთით ერთი ვეება რცხილის ხე იყო, ლამაზად აყრილი, საჩრდილობელიც და საქარულიც. დამესიზმრა, ვითომ საშინელი ზენა ქარი ამოვარდა, ღონიერი. მოგლიჯა ეს რცხილა და სწორედ იმ ოთახს დაეცა, სადაც სერგეის ეძინა. ოთახი ერთიანად ჩალეწა და სერგეიც ნანგრევებში მოჰყვა. ალიონზე გაბოროტებული წამოვარდი, ავიღე ნაჯახი და მივარდი ხეს მოსაჭრელად. ნაჯახის ხმაზე დედა გამოვიდა და გაოცებულმა შემომძახა: –რას შვრები, შვილო, რა მოსაჭრელია ეს ხე?–დედას ანიჩკაც (ანა) გამოჰყვა და ამანაც მომაყვირა. ხმაურზე სერგეიმ ფანჯარა გამოაღო, –რას ჩადიხარ დათიკო! მაგისთანა ლამაზი ხე რა მოსაჭრელია? თავი დაანებე თუ ძმა ხარ!... გადარჩა ხე. სიზმარს არ ვამხელდი...

წავედით აბასთუმანს ექიმების რჩევით. რიონსა და აბასთუმანში სერგეიმ ჩინებულად მოიკეთა. რიონიდან თითქმის მუდამდღე ბარათი მოგვდიოდა. დედაჩემი და ანა ყოველ წერილში მეკითხებოდა თუ ძმა ხარ, შემატყობინე, რად გინდოდა იმ ხის მოჭრა, შენც ხომ ძალიან გიყვარდა და უვლიდი მას, ალბათ, რაღაც ჩვენება ან სიზმარი ნახეო. მეც მივწერე სიზმრის ამბავი.

აბასთუმანში სერგეი გაუთამამდა თავის სენს და ერთ დღეს მე და სერგეიმ პარკისაკენ გავისეირნეთ, სადაც სათამაშო „კეგლი“ იყო გამართული. თამაშობდნენ სერგეის თბილისელი ნაცნობები. სერგეიც ჩაერია და მოგებამ უფრო წაათამამა. ხის ბურთი გვარიანად მოზრდილი იყო. მარჯვენა მკლავს გვარიანი ჯაფა უხდებოდა. სწორედ ამ მარჯვენის დაღალვას უკრძალავდნენ ექიმები. მაგრამ სერგეის ეს აღარ ახსოვდა. სანამ დაჟინებით არ ვთხოვე და თავი არ დავანებებინე.

წამოვედით შინ, სერგეი მარჯვენით დამეყრდნო მხარზე. შევხედე, ფერი აღარ ჰქონდა. ძლივს მივედით ბინამდე, ჩაწვა და... ის იყო ერთს საათსაც აღარ უცოცხლია. ეს იყო ივლისის 21-ს... რიონშიც ამ დღეს მისვლოდათ ჩემი წერილი და დედას გამწარებულს იმავე წამს მოეჭრევინებინა რცხილა. მერე გავარკვიეთ, რომ ერთსა და იმავე დღეს სერგეიმ აბასთუმანში დახუჭა სამუდამოდ თვალები, –რცხილა რიონში წააქციეს...“, – წერდა დავით მესხი.

„...აბასთუმანში გამგზავრების წინ იმ ოთახის კარებზე, რომელიც მისთვის ცალკე ყოფილა გამოყოფილი, ნახშირით დაუწერია:

„მშვიდობით _ დედავ, გიკვდება შვილი,
ვეღარ დამატკბობს ჰაერი
რიონის წმინდა გრილი,
შუქს ვეღარ მომფენს მზე, მთვარე,
მიწა დამფარავს გრილი,
მშვიდობით, დედავ, სამშობლოვ!
აგშორდეთ გასაჭირი“.

ამ ლირიული ლექსის ქვეშ სერგეის რამდენიმე სტრიქონით მიუწერია, „მშვიდობით, ჩემო პატარა და ლამაზო რიონო. შენი წმინდა ჰაერით უკანასკნელად ვსუნთქავ“-ო

სერგეი...“ **(23, გვ.41-42).**

ს. მესხის აბასთუმანში გარდაცვალება გაზეთ „დროებაში“ დიდი გულწრფელობითა და დიდი გულისტკივილით იყო შეფასებული.

„დღეს, როდესაც სერგეი მესხის გვამი ჯერ კიდევ საფლავში არ ჩასვენებულა, სხვაზედ ვერაფერზე ვახერხებთ ლაპარაკს,თუ არ იმ კაცზედ,რომელმაც ჩვენს გაზეთს ზედ შეალია თავისი ყმაწვილკაცობა და რომლის ცხოვრება მტკიცედ შეკავშირებულია „დროების“ ისტორიასთან. ჩვენი გაზეთი რომ ხორციელი ადამიანი იყოს და ყოველ ჟამს მოვალეობად არ აწვეს საქვეყნო საქმეებზედ ზრუნვა, დღეს ცხარე ცრემლით უნდა ეტირნა ის კაცი, რომელსაც იმდენი ამაგი აქვს მასზედ, რასაც თავის დღეში მოსიყვარულე დედაც კი ვერ დასდებს თავის დედის-ერთა საყვარელ შვილს...“

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი პატიოსანო მშრომელო და საზოგადოებისათვის გულშემატკივარო მამულის-შვილო“, – წერდა 21 ივლისს გაზეთი „დროება“.

„...25 ივლისს, რვა საათზე, ქუთაისის სობოროში დანიშნული იყო სერგეი მესხის პანაშვიდი. სობოროს ეზოში მის გამოსათხოვრად ჩამოსულან თბილისიდან, ბათუმიდან, ბაქოდან, სოხუმიდან, თელავიდან. ტევა არ იყო გვირგვინებისა, რომელსაც გულწრფელი სტრიქონები ამშვენებდათ.

პანაშვიდის დამთავრების შემდეგ სერგეი მესხის ცხედარი საეკლესიო გუნდის გალობით სობოროდან გამოუსვენებიათ...

„...პროცესიამ, აუარა ბაღს, მერე გაემართა პოლიციის გვერდით და კათოლიკების ქუჩით იმ ადგილს, საცა ებრაელების ახალი სინაღოდა შენდება. იქ გადაუხვია ვიწრო გზაზე, რომელიც გელათს მიდის და როცა ქალაქის საზღვრამდის მივიდა, კუბო დაასვენეს და საზოგადოება გამოეთხოვა განსვენებულს...“, –აღნიშნავდა „დროება“.

სერგეი მესხის ცხედართან პირველი გამოსათხოვარი სიტყვა გიორგი წერეთელმა წარმოთქვა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა:

„...გული კვდება, სული იტანჯვის, ძმაო სერგეი, შენის ცხედრის შემხედვარე... რად ჩასვი წყვდიადის ბნელეთში შენის შვილობით სახელ-განთქმული მშობელი და ერთგული ცხოვრების მეგობარი? რად დასწვი და დასთუთქე ასე უწყალოდ შენი აღმზრდელის მკერდი, რომელსაც ოქროთი უნდა მოეჭედოს თავები მაგ შენისთანა ღირსის მამულის შვილის გამოზრდითა. აწ საქართველოში ისეთი წერა-კითხვის მცოდნე არ მოიპოვება, რომ სერგეი მესხის სახელი არ გაეგონოს, მისის მამაცურის სიტყვებით გულში არ ჩავარდნოდეს მამულისადმი წმინდა სიყვარული.

მისი გამბედავი სიტყვა, რომლითაც ის დიდსა და პატარას ყურში ჩასძახოდა: დრო არის, გავიღვიძოთ, დრო არის აღვადგინოთ ჩვენი სამშობლო ენა...

მის მიერ ტარებულს დროშის ქვეშ შედიოდნენ აღრჩეულნი მუშაკნი, რომელიც ერთგულად მუშაობდნენ ჩვენის ერის გამოსაღვიძებლად...

ნეტავი იმ დედის გულს, რომლის ძენიც სამშობლო მამულს დაუმტკიცებენ მსხვერპლით სიყვარულს. საქმე –მან შენმა აღგიგო, ძმაო, უკვდავი ძეგლი, საუკუნო იყოს შენი ხსენება!“... **(21, გვ.41).**

ქუთაისიდან სერგეი მესხი თავის საყვარელ სოფელ რიონში გადაასვენეს.

„ყველა გულწრფელად სწუხდა ასეთი ახალგაზრდის –37 წლის -ჯერ კიდევ სასარგებლო კაცის უდროოდ დაკარგვას. სერგეის გარდაცვალებამ საზოგადო გლოვა გამოიწვია ქართველ ხალხში. სამგლოვიარო დეპეშები მოდიოდა ყოველი მხრიდან. აკაკიმ იქვე სოფელში დასწერა აკროსტიხი, რომელიც საბრალო დედამ ამოაჭრევინა იმის ძეგლზე...“ **(23, გვ.37).**

„**ს**ამაგალითო მოღვაწევ,
ერთგულო შვილო ქართლისა,
რწმუნება გქონდა მომავლის,
გულყვარდა ძებნა მართლისა.
მაგრამ უდროოდ გაგვიქრი,
ერთი ძმა პირველთაგანი.
საფლავში ჩაგყვა ნატვრისთვლად
ხსნის, იმედისა საგანი.
აქ კი დაგვიგდე ანდერძათ,

ქვალში რომ მოვყვეთ იმ თქმულსა,
ამინ, მსხვერპლი ვართ იმ აღთქმის,
ქიდობნად მივცემთ ჩვენს გულსა...

„...ვფიქრობ, სერგეი მესხი მეტის ყურადღების ღირსი უნდა გამხდარიყო. იგი იყო პირველთაგანი ჟურნალისტი-პუბლიცისტი ქართველი, რომელიც აუტანელი შრომით უმკლავდებოდა საცენზურო ულმობელ თვითნებობას, აღვირახსნილობას, დაუზოგველობას, სიმკაცრეს.

ქართველებს საზოგადოდ გვემარჯვება დიდი რიხით გასვენების მოწყობა, კუბოზე ჭრელ-ჭრელი სიტყვების მოგვირისტება, მიცვალებულის გაპატიოსნება, მაგრამ ცივია ჩვენი გული, გრილდება, როცა ცივი მიწა შეივრდომებს ჩვენი ქვეყნის მოღვაწეთ. ვივიწყებთ და ღირსეულად, თვალსაჩინოდ ბევრს ამათგანს არ ვუწყობთ რიგიანად უკანასკნელი განსვენების ადგილს, რომ შემდგომში თაობისათვის საცნაური დარჩეს ჩვენი მოვალეობა და ადამიანის ღვაწლის დაფასება“, –გულისტკივილით აღნიშნავდა აკაკი წერეთელი.

„...გულდაწყვეტილი ვარ იმის გამო, რომ სერგეი მესხის საფლავი, სულ დავიწყებასაა მიცემული. ერთ დროს იყო თქმა, რომ სერგეის ნეშტი გადაეტანათ ქუთაისში და დაეკრძალათ იქ, სადაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ღვაწლდადებულთა პანთეონის მაგვარი ადგილია, არქიელის გორაზე, ბაგრატის ტაძრის გვერდით. მაგრამ ეს თქმა თქმად დარჩა...“

ს. მესხის გარდაცვალებიდან მეოთხე საუკუნის გასვლის შემდეგ აკაკიმ „ჩემს თავგადასავალში“ სერგეი კიდევ ერთხელ დაახასიათა, როგორც საზოგადო საქმეებისათვის თავდადებული მოღვაწე, ხოლო პირად ცხოვრებაში ზედმიწევნით სათნო და კეთილშობილი ადამიანი. „თუმცა დიდი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც ის მოკვდა, მაგრამ უიმისოდ ვერაფერი საზოგადო საქმე წარმომიდგენია: ცოცხალივით დგას გვერდით და თანაგრძნობით იძლევა სიმხნევესო“.

ერის კეთილდღეობისათვის წამებულის მწარე ბედს ყველა მწუხარებით განიცდიდა.

–...„იქნება ზოგიერთმა სთქვას, რისთვის იჭირებდაო საქმეს, რად შეალიაო სრული ყმაწვილკაცობა იმისთანა საქმეს, რომელიც დასაჩუქრების მაგივრად ულუკმა-პუროდ ისტუმრებდა მას...“ **(21, გვ.83).**

ამ კითხვაზე თავად სერგეი მესხი გვპასუხობდა:

ყოველი კაცის ბედი იმთავითვე ღვთის მიერაა განსაზღვრული, –„რაიც ხარ და რაც უნდა იყვე“... ს. მესხს ყმაწვილობიდანვე სატრფოს სიყვარულზე მეტად დიდ ბედნიერებად სამშობლო ქვეყნის სამსახური მიაჩნდა. პარიზში ყოფნისას მან თამარ დედოფლისა და მისი საცოლის ეკატერინე მელიქიშვილის სურათების ერთ ჩარჩოში მოათავსების შემდეგ თავის განცდებზე კეკეს აუხსნა:

„...როდესაც შენ გიყურებ, მე ვტკბები იმ ტკბილი დროების მოგონებით, რომელიც შენთან გამიტარებია, მე ვტკბები შენი სიყვარულით, ერთი სიტყვით, მაშინ მე კაცად ვხვდები, ისეთ კაცად, რომელსაც სიყვარული, სიცოცხლე და ბრძოლა ჰსურს. როდესაც თამარ დედოფალს შევჩერებივარ, მე მაგონდება უნებლიეთ ჩემი საყვარელი, მშვენიერი, მაგრამ დატანჯული სამშობლო, ჩემი ბუნებით მდიდარი, მაგრამ კაცისაგან დაღარიბებული და აოხრებული საქართველო!

და ეს მხოლოთ ერთი შეხედვა თამარ დედოფლისა მე მაგონებს, რომ ამ ჩემს სამშობლოს დახმარება, ხელები, მშველელნი და კაცები სჭირია...

...და შენი დანახვა ჯანს მიმატებს, ენერგიასა და იმედს მაძლევს, რომ ამ ბრძოლას ვიკისრებ და შეძლებისა და გვარათ, ორივენი ვემსახურებით იმ იდეალს, რომელიც ჩვენ მუდამ ფანარსავით უნდა გვინათებდეს ჩვენი ცხოვრების გზასა. დიახ! ჩემო კეკე, მე ჩემს თავს ბედნიერათ ვგრძნობ, მე შენ მიყვარხარ და შენც მე გიყვარვარ, მაგრამ ამაზე უფრო ბედნიერებათ ის მიმაჩნია, რომ მე მაქვს შემთხვევა ჩემს ქვეყანას ვემსახურო“...

ახალგაზრდულ გულს მრავალი ცდუნება და საფრთხე ელის. მხოლოდ ზნემაღალნი და დიდსულოვანნი უძლებენ დროჟამის ვარამს. არ ირღვევიან, არ მწარდებიან, არ კნინდებიან. ასეთი იყო სერგეი მესხიც.

ამ უბადლო და სასიქადულო მამულიშვილმა, მადლიანმა პიროვნებამ, კაცურ-კაცურად გაუძლო მსახვრალ მძიმე ხვედრს, რადგან იცოდა, რომ სამშობლოს დაუნგრევლობა და

შეუბღალაობა ჩვენს მთლიანობაზე არის დამოკიდებული და მისთვის არც რაი ყოფილა სამშობლოზე უტკბილესი და საქართველოზე ნაკურთხი.

დღეს სოფელი რიონი წყალტუბოს რაიონში შემოდის. სამწუხაროდ, წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩემი ხელმძღვანელობის ჟამს აღმოჩნდა, რომ სერგეი მესხზე ძალზე მწირე მასალაა მოპოვებული, რაც იმაზე მეტყველებს რომ დიდი მამულიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღრმად შესწავლა ჯერ კიდევ ისევ მომავლის საქმედ რჩება.

ჩვენს აჩეხილ-დაჩეხილ სამშობლოში, დროა დაფასდეს ს. მესხისთანა ევრო-ამერიკული ორიენტაციისა და დემოკრატიის მომხრე ადამიანები და სამუდამოდ დასამარდეს რუსული ბოლშევიზმისა და „წითელი კომუნისტების“ ზეობა...

მოღვაწე კაცი მომავლით ცხოვრობს. დღეს, როცა ღირებულებათა გადაფასების დროჟამია დამდგარი, იქნებ მივხედოთ და ღირსეულად დავაფასოთ სერგეი მესხის ფასდაუდებელი და ჟამგაუსვლელი მოღვაწეობა?!...

თუმცა, ხშირად როგორც იტყვიან დიდი ადამიანები უძეგლოდაც იკარგებიან....

გაზეთ „დროების“ რედაქტორი
სერგეი მესხი



ეკატერინე გაბაშვილი, სერგეი მესხის
მეუღლე ეკატერინე (კეკე)
მელიქიშვილი-მესხისა და ელენე ყიფიანი

* * *

„მეღვიძარეების გვარი თრი იყო საქართველოში. ერთი საქართველოს სოფლების ხელისუფლების მეღვიძარესგან იყო წარმოდგენილი. ამ გვარის ჩვენი თავადები იყვნენ. მეორე – საშცხოელთან იყო, ქართველი ყოთოლეიძეების გვარი, რომელიც ან ქართველოსტანელნი, ზოგნი უფრო სოფლებს ეკუთვნოდნენ... ესენი მეღვიძარეებისა და ეკეკ მეღვიძარეების მამის თჯახი იმთავითვე ქართველოსტანელნი“... (44. გვ. 149)

„ამ კაცს ქვეყანა უნახავს, განათლებული კაცია“!

„განათლების მოთხოვნილება ყოველ ადამიანშია; ხალხს უყვარს და ეძებს განათლებას ისე, როგორც უყვარს და ეძებს ჰაერს სუნთქვისათვის...”

ლ. ტოლსტოი

„...ტყუილად კი არ ამბობენ ჩვენში, როდესაც რომელიმე კაცის ღირსებაზე იტყვიან: „ამ კაცს ქვეყანა უნახავს, განათლებული კაციაო! “

ამ აზრს თავისი საფუძველი აქვს:

„...ახალი თაობა – ისინი მიდიან ევროპული სწავლა-მეცნიერებისა და ცხოვრების გასაცნობათ და შემდეგ ამაების თავის ქვეყანაში დასამკვიდრებლად. ვინ გაამტყუნებს იმათ ამგვარი განზრახვისათვის?... განა ყოველთვის იმ წყაროს წყალი არა სჯობია, რომელიც პირდაპირ მიწიდან ამოჩუხჩუხებს?...

მაშ მივესალმოთ ამ ახალ მოვლინებას და გზა დავულოცოთ იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მიილტვიან ევროპისაკენ წმინდა წყაროს დასაწაფებლად. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ერთი დასავლეთ ევროპაში გაზრდილი ქართველი თავისი სწავლითა და სამაგალითო ცხოვრებით უფრო მომეტებულ სარგებლობას შესძენს ჩვენს, ღონისძიებით საწყალს, მაგრამ ბუნებით მდიდარ საქართველოს!“, –წერდა სერგეი მესხი...

ივანეს, თავისი ბაბუის ივანე მესხის სეხნიას, ოჯახიდან მარჯანიშვილებისა და მესხების გენეტიკიდან მოსდევდა თავისი ღირსებისა და თავისი პიროვნების თავისუფალი განვითარების მრწამსი. ჯერ კიდევ ჭაბუკმა გადამთიელისაგან დაბეჩავებული სამშობლოს პოლიტიკური თავისუფლებისა და ქვეყნის მართვა–გამგეობის, გარდაქმნა–განახლების მიზნით იმთავითვე გეზი ევროპული განათლებისაკენ აიღო. 1871 წელს ივანე მესხი შვეიცარიაში ჩავიდა. უფროსი ძმებივით „თერგდალეული“ ჯერ პეტერბურგის ქირურგიულ აკადემიაში სწავლობდა, ორი წლის შემდეგ კი ციურიხის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

მესხების მრავალშვილიან ოჯახს მისი სწავლის ქირის გადახდა გაუჭირდა და ამიტომაც ივანე ციურიხის პედაგოგიურ ინსტიტუტში გადავიდა. იმ დროს ციურიხში უმაღლეს განათლებას იღებდნენ დავით მიქელაძე (ქართულ ჟურნალისტიკაში „მეველის” ფსევდონიმით ცნობილი), კეკე (ეკატერინე) მელიქიშვილი (სერგეი მესხის მეუღლე), ოლიმპიადა და ეკატერინე ნიკოლაძეები (ნიკო ნიკოლაძის დები), ოლღა გურამიშვილი და შემდგომში მრავალი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე. ივანე მესხი შინაგან თავისუფლებას თავიდანვე უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა.

ივანე მესხმა სტუდენტობის დროს, საქართველოდან საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებთან ერთად, 1873 წელს, ციურიხში საზოგადოება „უღელი“ ჩამოაყალიბა. მისი მიზანი იყო საზღვარგარეთმყოფი ქართველი ახალგაზრდების გაერთიანება, ევროპული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის შესწავლა და პოპულარიზაცია საქართველოში, საერთოდ, კავკასიაში. სამშობლოს განთავისუფლების მიზნით ისინი ცდილობდნენ კონტაქტების დამყარებას სხვა ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

„უღელის“ ყოველი წევრი დიდ ყურადღებას უთმობდა ლიტერატურის კრიტიკასა და ესთეტიკას. ხელს უწყობდნენ ქართულ ლიტერატურაში ევროპული მხატვრული კულტურის ათვისებას, მათვე შეიმუშავეს ქართული სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენის გეგმა და მთარგმნელთა კომისია ჩამოაყალიბეს.

„უღელმა“, რუს და ევროპულ ცივილურ სამყაროსთან ქართული კულტურის შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. „უღელმა“ 1876 წლამდე იარსება. ივანე მესხი წლების განმავლობაში ამ საზოგადოების უცვლელი მდივანი იყო. შვეიცარიაში ყოფნისას იგი ევროპის პოლიტიკურ, სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან მასალებს აწვდიდა „დროებასა” და „კრებულს”. ახალგაზრდა პედაგოგ–მეცნიერმა ივანე მესხმა პირველად ქართულ ენაზე „დაწყებითი არითმეტიკის“ სახელმძღვანელო შეადგინა.

მესხების დიდი ოჯახის შვილების მსგავსად, ივანეც ჩინებული მოღვაწე იყო. მან ქართულად თარგმნა გოგოლის „შინელი”, რომელიც 1871 წელს ჟურნალ „კრებულში” დაიბეჭდა. მანვე ქართულად აამეტყველა ასევე დობროლუბოვისა და ნეკრასოვის რჩეული

ნაწარმოებები.

საქართველოში დაბრუნებულმა ივანე მესხმა თან ჩამოიტანა ახალი სიო, ახალი იდეები, რომლის რეალიზაცია ქუთაისში ევროპული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებით დაიწყო. მან თანაკურსელ ალ. ჭიჭინაძესთან ერთად ქუთათურებისათვის შვეიცარული ტიპის პირველ-დაწყებითი სასწავლებელი დაარსა, მაგრამ მეფის მთავრობამ თავისუფალ შვეიცარიაში სწავლა-დამთავრებულ მესხს მასწავლებლობა აუკრძალა და სასწავლებელიც დახურა.

დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ევროპული დემოკრატიული ღირებულების დამკვიდრების მიზნით, ივანე მესხმა 1876 წლის აგვისტოში ქუთაისში ისევ გახსნა ახალი სასწავლებელი პანსიონი, რომელიც ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას ემსახურებოდა. მთავრობამ აშკარად იგრძნო, რომ განათლებული მესხი თავისუფალი იდეებით აღზრდილ მომავალ თაობას რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ ამზადებდა და ამიტომაც მათ პანსიონიც სასწრაფოდ დაკეტეს.

რუს დამპყრობთა კოლონიზატორულ პოლიტიკას თავისუფლების თაყვანისმცემელი მესხი ებრძოდა ევროპული საგანმანათლებლო სისტემის შემოღებითა და ქვეყნის მართვა –გამგეობაში დემოკრატიზაციის პრინციპების დაფუძნებით. ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის წევრად არჩევისას, ქალაქის გამგეობის მდივნად 11 წლის მუშაობის პერიოდში, მას აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა წუთითაც არ შეუწყვეტია. როგორც ანდრია მარჯანიშვილის თითქმის ყველა შთამომავალმა მანაც გაიღო ხარკი დიდი თეატრალური ოჯახის წინაშე.

1879 წლის შემოდგომაზე გაზეთი „დროება" იტყობინებოდა, რომ „...ქუთაისში დაარსდა მუდმივი დასი. დასის მართვა–გამგეობისათვის ქუთაისში, ისევე, როგორც თბილისში, შეიქმნა დრამატული კომიტეტი, მისი წევრები იყვნენ ქუთაისის მოწინავე საზოგადო მოღვაწეები: კ. ლორთქიფანიძე, ივანე მესხი, მ. ქიქოძე, დ. ნაზაროვი, ვ. ლოსაბერიძე..."

დასმა სახელმძღვანელო წესდებაც შეიმუშავა. იგი თითქმის ისეთივე შინაარსისა იყო, როგორც თბილისის დასის წესდება.

„დროება" დასს ნაყოფიერ მუშაობას უსურვებდა. ამასთან გაზეთი ხაზს უსვამდა: „...ვინატროთ, რომ ქუთაისის ქართულ სცენას დღეგრძელობა არ მოკლებოდეს და კარგად შეესრულებინოს ის საზოგადო მოვალეობა, რომელიც უკისრია. საქმე ერთგულება და სიბეჯითეა, თორემ ნიჭიერი მოთამაშეები იმერეთის თეატრს არასდროს არ დაკლებია. ვინატროთ აგრეთვე, რომ ქუთაისის საზოგადოებას თანაგრძნობა არ მოეკლოს თავის მშობლიური თეატრისათვის"...

ივანე მესხი დრამატული კომიტეტის წევრობასთან ერთად თავადაც აქტიურად მონაწილეობდა სპექტაკლებში.

„...1875 წელს ჩამოყალიბებულ სცენისმოყვარეთა დრამწრეში, რომელსაც ეფრო კლდიაშვილი და ანტონ ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდნენ, ირიცხებოდნენ შემდეგი სცენისმოყვარენი: ივანე მესხი, კოტე მესხი, ანა მესხის ქალი, ვასო აბაშიძე, ანდრია მრევლიშვილის ქალები, ნიკოლაძის ქალები, ივ. აბაშიძე, ზაქ. ჭეიშვილი, ევგენია ჩხეიძისა, ანტ. ქურციკიძე, თ. ლეჟავა, ალ. ჭიჭინაძე, ილ. მიქელაძე, ბ. ღოღობერიძე და ხელთუფლიშვილისა.

დრამატული წრის წარმოდგენები იმართებოდა „სამეფო სახლში", სადაც „დარბაზი კაი სრული იყო, სცენაც კარგი მოწყობილი"...**(21, გვ. 92).**

ივანე მესხი აქტიორულ ხელოვნებასთან მთელი ცხოვრებით იყო დაკავშირებული: "...ვიქნებოდი 12-13 წლისა, როდესაც ქუთაისში, ჩვენს ოჯახში პირველად ვნახე ჩვენი პირველი მსახიობები: ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა, ნ. გაბუნია, კ. ყიფშიძე, ა. ცაგარელი, ა. მოხევე (ყაზბეგი), ივ. მაჩაბელი, კორინთელი, მელიქიშვილისა და სხვა.

ვნახე ისინი, მხოლოდ არა სცენაზე. ჩემმა ძმამ ივანემ მოიწვია სადილად. გაგონილი მქონდა, რომ თბილისში შესდგა ქართული დასი და იმართებოდა იქ წარმოდგენები, მესმოდა იმათი ქება და გულით მეწადა მათი ნახვა, დიდხანს გაგრძელდა ქეიფი"...**(23, გვ.8).**

ივანე მესხი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული და გამორჩეული ახალგაზრდა იყო. „ანდრია მრევლიშვილის მგალობელთა გუნდში გამოირჩეოდა ივანე მესხის მოძახილი (ალტი) და ზორბა მაიაკოვსკის ბანი." **(21, გვ.8).**

„ერთხელ ჩემს ძმას ივანეს მოეკრა ყური ჩემი სიმღერისთვის და მეტად გაკვირვებულიყო.

ბევრი მთხოვა, რომ მემღერა მასთან, მაგრამ იმ დროს სხვასთან მე არასდროს არ ვმღეროდი“...(23, გვ.7).

საერთოდ ივანე ხელოვნებისა და ნიჭიერების დიდი დამფასებელი იყო. „ჩემს ძმას ივანეს უნდოდა რომ მე, როგორც კარგი ყურთასმენის პატრონს, მესწავლა მუსიკა და სიმღერა“, –წერდა ეფემია მესხი.

ივანე ახალგაზრდობიდანვე ცდიდა თავის კალამს ჟურნალისტიკაში. ქართულ ჟურნალ–გაზეთებში პერიოდულად იბეჭდებოდა მისი სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული წერილები და სტატიები.

მას ჰქონდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნათა შეცნობის მახვილი უნარი და ობიექტური აზრის გაგებისა და შეფასების სწორი ალღო. ი. მესხს ყოველთვის მხედველობაში ჰქონდა ხალხის, საზოგადოების ინტერესები და იცნობდა ცხოვრებას.

ივანე ყველგან და ყოველთვის სამშობლოს ინტერესებს იცავდა და მაღლა აყენებდა. 1888 წელს მოურავ ლუკა ასათიანის მოთხოვნით იგი ბათუმის მუნიციპალიტეტში მიიწვიეს სამუშაოდ, სადაც გამგეობის მდივნად დაინიშნა.

„...ივანე მესხი იყო მოხერხებული, ქალაქის საქმეების მცოდნე, ცოცხალი, მოქმედი. იგი სული და გული შეიქმნა ახლად შემოღებული თვითმმართველობისა“, –აღნიშნავდა მწერალი დავით კლდიაშვილი.

ბათუმში მასთან ერთად მოღვაწეობდა ექიმი გრიგოლ ვოლსკი, რომლის დედა კეჟერაძის ქალი იყო. ვოლსკი მწერლობაში უმწიფარიძის ფსევდონიმით იყო ცნობილი.

მათ მტკიცე ხელი მოჰკიდეს ბათუმში წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ სკოლის დაარსებისა და შენარჩუნების საშვილიშვილო საქმეს. ამ მიზნით თბილისიდან ქართველთა ყრილობაზე დასასწრებად წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ნიკო ცხვედაძე მოიწვიეს. იქ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ბათუმში გაიხსნა სკოლა და აშენდა ბინები მასწავლებლებისათვის. ბათუმის პირველმა ქართულმა სკოლამ ბევრი მოწინავე ახალგაზრდა აღზარდა. ბათუმში ასევე ზედიზედ ჯერ ვაჟთა, შემდეგ კი ქალთა გიმნაზიებიც გაიხსნა.

რეაქციონერები ათასნაირ ხრიკებს მიმართავდნენ, რათა სკოლები სხვადასხვა ეროვნების ბავშვებით გაევსოთ და ქართველები სასწავლებლის მიღმა დაეტოვებინათ, მაგრამ მესხისა და ვოლსკის ჩარევით მიზანს ვერ მიაღწიეს.

ივანე მესხის სახით ბათუმის დასს და თეატრს გულმოდგინე, საქმის მცოდნე და თავდადებული მოთავე გაუჩნდა. ყოველწლიურად სკოლების სასარგებლოდ ქართული თეატრის დღეს, 14 იანვარს, მისი მეცადინეობით ფასიანი საღამოები ეწყობოდა...

„სკოლის სასარგებლო პირველი საღამო არაჩვეულებრივი იყო ბათუმისათვის. საღამოს გამართვისათვის მზადებას თითქმის სამი თვე მოუნდნენ. საღამოზე მოწვეული იყო სასიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი. საღამო ჩატარდა დიდი წარმატებით. შემოსავალმა სამი ათას მანეთს გადაამეტა“...(23, გვ.39).

ივანე მესხს სათეატრო მოღვაწეობა მიაჩნდა ყველაზე საპატიო საზოგადო საქმედ და თეატრი სიმართლის შენობად, ამიტომ ემსახურებოდა თავდადებით, უანგაროდ და უსაზღვრო გატაცებით. იგი იყო ბათუმის დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრი, რომელშიც შედიოდნენ დავით კლდიაშვილი, იონა მეუნარგია, გამყრელიძე და სხვები. ივანე მესხმა კარგად იცოდა, რომ თეატრს შესწევდა უნარი განევითარებინა ადამიანის სულის უმაღლესი მისწრაფება. ქართული თეატრის დროის შესაფერის სიმაღლეზე ასაყვანად, იგი ბათუმში ხშირად უხმობდა სასცენო ხელოვნების უბადლო ოსტატებს.

„...ამ წელს (იგულისხმება 1912 წელი) ზამთარში მე ვმსახურობდი ბათუმში მთელი სეზონი შალვა დადიანის ანტრეპრიზაში და იმის რეჟისორობით. დასი ჩინებული შემადგენლობისა იყო: შ. დადიანი, ელ. ანდრონიკაშვილი, სუზ. ბეჟანიშვილი, ოლ. ღოღობერიძე, ევ. წუწუნავა, ოლ. ლეჟავა, მ. გელოვანი, დ. მგალობლიშვილი... ამ სეზონში დაიდგა ბათუმში პირველად „მადამ სან–ჟენ“. რისთვისაც კოტე (მესხი) იყო მოწვეული თბილისიდან ნაპოლეონის როლისათვის. ეს იყო უკანასკნელად ჩვენი ერთად თამაში. მე არ მახსოვს, კოტეს ოდესმე ასე კარგად ეთამაშოს ეს როლი“, –იხსენებდა ეფემია მესხი.

მართლაც, 1912–1913 წლების სათეატრო სეზონი მნიშვნელოვანი იყო ბათუმის თეატრალურ ცხოვრებაში. ამ სეზონში შალვა დადიანმა საძირკველი ჩაუყარა ბათუმში პროფესიულ

დრამატულ თეატრს.

ყველაფერი ბრძოლით წარმოიშობა და როდესაც ერთად იბრძვიან, სუსტებიც კი იმარჯვებენ. 1895 წლის ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებისას მესხი და ვოლსკი ცდილობდნენ ახალ თვითმმართველობაში მეტი ქართველი გაეყვანათ. ამ საქმეში მათ მხარი ილია ჭავჭავაძემ დაუჭირა, რომელიც მუდამ ზრუნავდა თურქეთის უღლისაგან განთავისუფლებული აჭარის მოსახლეობის კეთილდღეობაზე. არჩევნებზე თავად ილია ჩავიდა საგანგებოდ ბათუმში. ივანესა და გრიგოლის მეცადინეობით ხმოსანთა არჩევნები ქართველი ინტელიგენციის გამარჯვებით დამთავრდა.

ილია ჭავჭავაძე დიდ როლსა და ფუნქციას ანიჭებდა ადგილობრივ თვითმმართველობას. იგი თავის ნაშრომში „ცხოვრება დ კანონი“-ში წერდა: „თვითმმართველობა თავის ადგილას ყოველის შინაურის საქმის გამგებელია და მეოხე; ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის გამნაწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისი ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია. თვითმმართველობა ერთის მხრით ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით უმაღლესის მთავრობის ხელისუფალი ორღანოა“...

ახალმა თვითმმართველობამ ქალაქისთავის ლუკა ასათიანის, ივანე მესხისა და გრიგოლ ვოლსკის მეთაურობით ბათუმში გახსნეს: 120 ადგილიანი საავადმყოფო, ელექტრო სადგური, ამოაშრეს ქალაქის გარშემო ჭაობები. დიდი ვაი–ვაგლახით შეძლეს ბათუმში ქართველებისაგან შემდგარი საურთიერთო–საკრედიტო საზოგადოების დაარსება. ბათუმის ქალაქისთავი ლუკა ასათიანი მოულოდნელად გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა ქართველი მოსახლეობა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მათ კვლავ ისევ ილია ჭავჭავაძე წამოეშველათ და ურჩია ივანე მესხს, ქალაქისთავად ივანე ანდრონიკაშვილი წამოეყენებინათ. ახალი ქალაქისთავის არჩევამდე კი დანიშნული იყო ქართველთა მოძულე შავრაზმელი ივანოვი, რომელიც 1906 წელს ბათუმში მოკლეს. ივანოვმა ორჯერ ჩაშალა არჩევნები. ბოლოს ივანე მესხისა და გრიგოლ ვოლსკის ჩარევით ქალაქისთავად არჩეული იქნა ილიას კანდიდატი ანდრონიკაშვილი. ბათუმის ქალაქის ახალი გამგეობა ბათუმის აღორძინებისა და განვითარებისათვის ყველაფერს აკეთებდა.

„1902 წელს რამდენიმე ხნით ვიყავი ბათუმში ჩემს ძმა ივანე მესხთან. ქალაქში დიდი მოძრაობა იყო და თან ფარული კრებები. ხან ერთ ოჯახში იკრიბებოდნენ, ხან მეორისას. ივანეც იღებდა მონაწილეობას ამ კრებებში. ერთ დღეს მან გამოგვიცხადა სახლიდან ნურსად გახვალთ ამ ორიოდე დღეს, შეიძლება სროლები ატყდეს. მართლაც დიდ ხანს არ გაუვლია ამის შემდეგ, რომ შორიდან მოგვესმა თოფის სროლის ხმა... ივანე მოვიდა შინ და გვიამბო, რომ როტშილდისა და მანთაშოვის ქარხნის გაფიცულ მუშებს დაუშინეს თოფები, ამბობენ, ბევრი დაჭრილი და დახოცილიაო. ცუდ გუნებაზე იყო. რამდენიმე დღის შემდეგ დავით კლდიაშვილი შემოვიდა ჩვენსას, თითქმის თვალცრემლიანი, მეტად შეწუხებული და დაღონებული გვიამბობდა მომხდარ ამბებზე”...**(23, გვ.79).**

ივანე მესხმა ბათუმის ზრდა–განვითარების 25 წლისთავზე გამოუშვა 190 გვერდიანი ნაშრომი „Î ÷åðê ðàçâèòèÿ Áàòóì ñêîãî ãî ðî äñêîãî õî çÿéñòâà“. 1913 წლის 1 ოქტომბერს მის საიუბილეო სხდომაზე სიტყვით გამოსულმა მესხმა განაცხადა: „ჩემ მიერ განვლილია 36 წელი საზოგადოებრივ სამსახურში და, ამასთან ერთად, არჩევითს თანამდებობაზე, მათგან 25 წელი აქ და 11 წელი ქუთაისში, რომ დროა ვისინდისო, დროა დავისვენო, დროა ადგილი დავუთმო ახალგაზრდებს, რომლებიც ვალდებულნი არიან გასწიონ საზოგადოებრივი სამსახური.

„...ივანემ მესხების მიჯნას 22 წლით გადააბიჯა. იგი 82 წლისა გარდაიცვალა თბილისში. მცირე ხანს რევოლუციის შემდეგაც მსახურობდა ბათუმში, მაგრამ ორმა ვაჟმა სიმონიკამ (ბაბუის სეხნია) და ილიკომ, რომელთაც უმაღლესი სწავლა მიიღეს და თბილისში მსახურობდნენ, მამა აღარ ამსახურეს და თბილისში გადაიყვანეს, ცოლით ეკატერინეთი და ქალიშვილით ქეთევანით. ივანემ ერთხელ შემომჩივლა:– ჯერ კიდევ შემეძლო მუშაობა, შვილებს დავაწექი სარჩენადო. სწუხდა, და სანამ დღე არ დაეთვალა, საქმეს ეძებდა, სამუშაოს. ტკბილი მოხუცი იყო, ზრდილი, ჯენტლმენი. წყნარად, მშვიდად გარდაიცვალა საყვარელ ცოლ–შვილში. დაკრძალულია თბილისში“...**(21, გვ.102).**

ივანე მესხს ნიჭთან და ცოდნასთან ერთად ამკობდა წმინდა გული და წრფელი სული. წინააღმდეგ შემთხვევაში მის მოღვაწეობაში თავს იჩენდა „მრუდე ხაზები". მოსალოდნელი დევნა–შევიწროების გამო ზოგჯერ იგი ფრთებშეკვეცილი იყო, მაგრამ გულსა და სულში არასოდეს გაუვლია საკუთარი შთაგონების, თავისი რწმენის ღალატი.

გულმხურვალე პატრიოტისა და ღრმად ეროვნული მამულიშვილის საზოგადო მოღვაწეობა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის თავისი ხალხის ცხოვრებისა და ფიქრების სარკეს წარმოადგენდა.

მრავალმხრივი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ჟურნალისტის, მთარგმნელის, პედაგოგის, მსახიობის, ჭეშმარიტი ქართველის ივანე მესხის ცხოვრება არის მთელი აწმყო თავისი დროებისა და თესლიც მომავლისა...

...და როგორც ილია იტყოდა: „ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი".



ივანე მესხის ფოტოები

ივანე მესხის ოჯახი
მარცხნიდან მარჯვნივ: ეკატერინე დაშკევიჩ–მესხი (რძალი, სიმონიკას მეუღლე), ილიკო მესხი (ივანეს უმცროსი ვაჟი), ივანე მესხი, სიმონიკა მესხი (ივანეს უფროსი ვაჟი), ქეთევან მესხი (ივანეს ქალიშვილი), ეკატერინე გაბუნია–მესხისა (ივანეს მეუღლე).

განცდის თეატრის მეხოტბე

„კოტე მესხმა გზა გაუხსნა აქტიორთა მთელ თაობას. მან ისეთი ნერგი დარგო ქუთაისის თეატრში, რომ მისი წასვლის შემდეგაც იხარა“...

ნ. ჩხეიძე

მსახიობი ნატო მესხი თავის „მოგონებებში“ კოტე მესხზე წერდა:

„...ჩემს მეზობლად გრიბოედოვის ქუჩაზე ცხოვრობდა ოთარ ამილახვრის ოჯახი, სადაც დედაჩემმა რაღაცისთვის გამგზავნა. იქ გავიცანი მარიამ საფაროვ-აბაშიძისა. გავიდა ერთი კვირა და მაკო საფაროვმა შემომითვალა, ცოტახნით მათთან მივსულიყავი. ისიც იქვე ახლოს იდგა, მაშინვე გავიქეცი, დამხვდა ცოლ-ქმარი, ვასო აბაშიძე და მისი მეუღლე მაკო. იქვე იყვნენ პატარა ტასო და ერთი სტუმარი, ყმაწვილი კაცი –კოტე მესხი. თუმცა გულმა რაღაც შეკრთომა იგრძნო, მაგრამ მე მაშინვე ტასოს მივუბრუნდი და თამაში დავუწყე. ტასო მაშინ სამი წლისა იქნებოდა, მეტად ცოცხალი და ცქრიალა ბავშვი იყო. მიმიზიდა მისმა ცელქობამ. კოტე ემასხრებოდა და ისიც ცელქობდა.

როცა შინ დავბრუნდი, იმ ღამეს თვალწინ სულ ის შეხვედრა მედგა. ვცდილობდი დამევიწყა, არ მომეგონებინა, მაგრამ არ მშორდებოდა თვალთაგან. უეცრად მომეჩვენებოდა და რაღაც სითბოსა მგვრიდა ის მოჩვენება.

ერთი კვირის შემდეგ მაკომ სადილად დამპატიჟა. დედაჩემს სთხოვა დღეს ჩემთან გამოუშვიო, დედამაც ნება დამრთო. კოტე მესხი იქ დამხვდა. თურმე კოტეს თხოვნით ვიყავი მიწვეული, ეს მერე გავიგე. გაიმართა რამსის თამაში, რაც მე არ ვიცოდი. კოტემ მითხრა გასწავლიო. დავიწყეთ თამაში, ე.ი. მათ დაიწყეს. კოტე თავისა და ჩემს მაგივრად თამაშობდა, რადგან მე არა გამეგებოდა-რა. მაშინ მე თოთხმეტი წლისა არც-კი ვიყავი, სრულებით არაფერი ვიცოდი ცხოვრებისა. იმ დღეს მითხრეს ვასომ და მაკომ, ჩვენთან უნდა წამოხვიდე თეატრში, როლს მოგცემთ და ითამაშებო. მომცეს ყმაწვილი ქალის როლი, სადაც ჩემი სიტყვები იყო და მერე უაზრო რეპლიკები, რაც მე არ მესმოდა. არც მენახა არც პიესა, არც წარმოდგენა, ან კი ვინ წამიყვანდა მანამდე თეატრში, როცა თეატრი გარყვნილებად მიაჩნდათ (რა ბედნიერია ახლანდელი თაობა).

როლი კი მომცეს, მაგრამ არ მითამაშია, რადგან კოტემ გამომიცხადა, მომწონხარ და ცოლად გამომყვიო. შევკრთი, გავჩუმდი, თუმცა მომწონდა უზომოდ, მაგრამ არ ვიყავ გარკვეული გრძნობებში. მოხდა ეს 1882 წ. სექტემბერს. უთხარი არ ვიცი, დედა-ჩემს ვეტყვი-მეთქი. მაშ, კარგი, უთხარიო.

ჩემი მშობლები უარზე დადგნენ. მაგრამ კოტემ სიცილით გამოუცხადა, ნებით გთხოვო, მაგრამ თუ უარს მეტყვი, მე მაინც წავიყვანო. თუ გნებავთ „დროების“ რედაქციაში მიბრძანდით სერგეი მესხთან და იმას ჰკითხეთ ვინ არის კოტე მესხი. ის ყველაფერს გეტყვით. სერგეი მესხი ჩემი უფროსი ძმა არისო.

თუმცა მამაჩემი პეტრე ივანეს ძე მესხი იყო, მაგრამ ამ მესხებს არ იცნობდა. არც ნასწავლი იყო. ლეკების ომში დიდად დაჯილდოვებული იყო ოქროსა და ვერცხლის ჯვრებით და მედლებით. ჩინი კი პატარა ჰქონდა. არ მახსოვს, რა ჩინი ჰქონდა. დედა-ჩემი, მარიამი ივანეს ასული ლორთქიფანიძის ქალი, მოტაცებული ჰყავდა მამა-ჩემს. ის ჭკვიანი, დარბაისელი და მასთან ლამაზი, მაღალი, თვალტანადი დედაკაცი იყო. ჩვენს უბანში ეხლაც იგონებენ, როგორც გულკეთილ ადამიანს. გარდაიცვალა 1922 წ. მარტში. ორი შვილი ვყავდით, მე და ვაჟი, რომელიც შვიდი წლისა გარდაიცვალა. 7 ოქტომბერს ქორწილი გადავიხადეთ, რომელსაც დაესწრნენ ილია ჭავჭავაზე, დავით ერისთავი, „სამშობლოს“ ავტორი (გიორგი ერისთავის შვილი), მაკო საფაროვ-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ალ. ყაზბეგი (მამად იყო), ავქსენტი ცაგარელი (მეჯვარედ იყო), დავით სარაჯიშვილი, სერგეი მესხი, დავით მესხი, ეფემია მესხი, კეკე მესხი და სხვანი. მე ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს ასეთ საზოგადოებაში. ბავშვი ვიყავი და ჩემს საპატარძლო მოწყობილობაში ჩემი თავი

სათამაშო დედოფალს მაგონებდა. ხან ერთი მაზლი მომიჯდებოდა, ხან მეორე, მელაპარაკებოდნენ. მე კი დაჭრილი ჩიტივით გული მიფართხალებდა. ქორწილი დილის რვა საათზე გათავდა. ილია ჭავჭავაძემ მოითხოვა ეტლებით ქალაქში და ბაღებში სეირნობა და ქეიფი. ეს მეორე დღეს გვიამბეს. ყველას უკვირდა, ასეთი მხიარული ილია არასოდეს არ გვინახავსო. ყველას მოეწონა ნატო გაბუნიას სიმღერა. საერთოდ დიდად ილხინეს იმ დღეს"... **(23, გვ. 18-20).**

ოცდახუთი წლის კოტე მესხი ამ დროს თბილისის სცენაზე საკმაოდ აღიარებული მსახიობი იყო, სადაც იდგმებოდა მის მიერ გადმოკეთებული დრამა „თამარ ბატონიშვილი", ნ. გოგოლის „რევიზორი" და უ. შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი". კ. მესხს თბილისის დრამატულ დასში მუშაობისას აწუხებდა თავისი მშობლიური ქალაქის თეატრის სვე-ბედი. „...ქუთაისში თეატრალური ცხოვრების გამოცოცხლებისათვის 1884 წლის მაისში ადგილობრივი ძალების დახმარებით დადგა ჯერ ა. გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან", სადაც ჩაცკის როლი შეასრულა. ხოლო 1885 წელს მ. ლერმონტოვის დრამა „მასკარადი", რომელშიც არბენინის როლი ითამაშა. კ. მესხმა თავისი თამაშით აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება... **(„დროება", №118,1885წ.).**

კოტე მესხმა იმთავითვე დაინახა და იწამა, რომ ადამიანის გონებას სრულქმნილებისა და ზნეობათა გასაწმენდად თეატრალურ სანახაობაზე უფრო კეთილშობილური და სასარგებლო არაფერი გამოუგონია, რადგან თეატრი სჯიდა ათასობით ბიწიერებას, რომელსაც სამართალი დაუსჯელად სტოვებდა და ითმენდა.

პირველი სცენური ნათლობა მან ბავშვობაშივე მიიღო:

„...1867 წლის ყველიერში აკაკი წერეთელმა ითავა ქუთაისში წარმოდგენის გამართვა. სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ზურაბ ანტონოვის კომედია „ქმარი ხუთი ცოლისა". ამ წარმოდგენაში პირველად გამოვიდა სცენაზე ათი წლის პატარა კოტიკო მესხი. მისი ნამდვილი სახელი იაკობი იყო, ბავშვობისას კოტიკო შეარქვეს, ხოლო შემდეგ ეს კოტიკო კოტედ იქცა"... **(3, გვ.18).**

„კოტე მესხი ჯერ კიდევ მოწაფე იყო, როდესაც ქალაქ ქუთაისში წარმოდგენების დადგმა დაუწყია. პირველად გუბერნატორის სახლში გაუმართავთ წარმოდგენა. წარმოდგენებს საკმაოდ ხშირად მართავდა თურმე, რაც კოტეს იუბილის დროს მოლოცვაში აღნიშნა განსვენებულმა ალექსი ჭიჭინაძემ, იგი სწერდა: გილოცავ არა ოცდაათს, არამედ ოცდათხუთმეტ წელს, რადგან შენ ჩემთან ერთად დაიწყე მუშაობაო. ალექსი ჭიჭინაძე იყო ქართული გიმნაზიის დირექტორი, ჯერ ქუთაისში, მერე თბილისში, კოტე ჯერ ქუთაისში მართავდა წარმოდგენებს, შემდეგ თბილისში"... **(22, გვ.46).**

დიდ ილიასთან შეხვედრა და ურთიერთობა ჭაბუკი კოტე მესხისათვის სულიერი საყრდენი და მისი მსოფლმხედველობის ჩამომყალიბებელი გახდა.

„...1874 წელს პირველად ვნახე ილია ჭავჭავაძე, ის მაშინ მომრიგებელ-მოსამართლედ მსახურობდა. ერთ საღამოს ჩვენი რედაქციის პატარა ოთახში შეიკრიბა რედაქციის ყველა წევრი და ქართული მწერლობის ყველა მოყვარულნი, ილიაც მოვიდა და თან მოიტანა თავისი „გლახის ნაამბობი", წაგვიკითხა. ასეთი ტკბილი, ძლიერი, ქართული კითხვა ან სიტყვა ჯერ არ მსმენია.

ვატყობდი, ყველა აღტაცებული იყო და მე ხომ სულ დამონებული ვიყავი ძლიერი შთაბეჭდილებით", – იგონებდა კოტე მესხი.

ამ შეხვედრის შემდეგ ითამაშა კოტემ ილია ჭავჭავაძის „სცენებში" გზირის როლი. „...ვთამაშობდი გზირის როლს, უმნიშვნელოს, მაგრამ ჩემს მედიდურობას საზღვარი არა ჰქონდა, როცა შიშველ სახეზე დიდი ულვაშები და წვერი დამაკრეს. ისე ვიბერებოდი, თითქოს ჩემზე დიდი კაცი ქვეყანაზე არ დაბადებულიყო", –წერდა კოტე მესხი.

ასე გულუბრყვილო მედიდურობით, ჭაბუკური სიხალისით დაიწყო კოტე მესხის არტისტული გზა.

კოტე მესხმა ქუთაისში ოსტროვსკის ნაწარმოებში „შემოსავლიანი ადგილი" ჟადოვის რთული და საპასუხისმგებლო როლი წარმოადგინა, რითაც ნიჭიერი და საყვარელი მსახიობის სახელი მოიპოვა.

და რაც მთავარია, ამ როლით შეიცნო აქტიორული ხელოვნების სირთულე, მისი მისია ქართულ თეატრში და ის ჭეშმარიტება, რომ მთავარია სცენაზე –სიმართლის დამკვიდრება.

მე-19 საუკუნის ქართველი მსახიობები დიდი საზოგადო მოღვაწეებიც იყვნენ, რადგან თეატრი გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრიბუნა და იგი ხალხის აღზრდის უმაღლეს იდეებს ემსახურებოდა.

გმირობას უდრიდა იმჟამად მსახიობის პროფესიის არჩევა. მოწამეობრივი იყო მათი გზა, რადგან ისინი ნივთიერ შევიწროებას განიცდიდნენ და მოამაგეც არავინ ჰყავდათ, ცოტა მაინც რომ გაეუმჯობესებინათ მსახიობების მდგომარეობა. ამიტომ ოჯახმა კოტე მესხს ურჩია მომზადებულიყო რაიმე სამსახურისათვის.

„...კოტე ატყობდა, რომ ასეთი მდგომარეობა აუტანელი იყო, რადგან იმედი არსაიდან სჩანდა. სერგეიმ მას ურჩია შეესწავლა ბუხჰალტერია, რომელიც არ დაუშლიდა თეატრში მუშაობას, თუ თეატრის საქმეს რიგიანად გაუძღვებოდა ვინმე და ხელს მოჰკიდებდა. ამ მიზნით სერგეიმ ის გაისტუმრა ოდესაში, სადაც საუკეთესო ბუხჰალტერიის კურსები იყო“... **(23, გვ.27).**

კოტეც გაემგზავრა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მას მხოლოდ ფოთამდე ჩაჰყვა. ისევ თეატრისადმი სიყვარულმა და თავისუფლებისაკენ სწრაფვის მისმა დაუოკებელმა ბედისწერამ სძლია.

„...ძმაო ივანე!

ეს არის პარიზში მოვედი და გწერ, თუ ძმა ხარ, ნუ შეწუხდები, აქ რომ ჩამოვედი. მართალი გითხრა, ფოთამდე გადაწყვეტილი არ მქონდა, აქეთ წამოვიდოდი თუ ოდესისაკენ, მაგრამ ფოთში რომ მარსელის გემის ამბავი ვიკითხე, შემაცდინა ჩემმა გამოუთქმელმა სურვილმა. კოტე ჭავჭავაძემ სულ ტყუილად დამიჯინა გზა მარსელამდე... მაგრამ დავფიქრდი, შემდეგ კი მივაფურთხე ეშმაკს და გამოვსწიე. თუ თბილისი დამეხმარა, დავრჩები ოთხხუთ თვეს, სწორედ იმდენს, რომ წაკითხული ფრანგულის გაგება შევძლო და თარგმნაც“...

კოტეს წერილით ყველას პირკატა ეცა, რადგან ჩვენი ოჯახი მასზე ამყარებდა იმედს“... **(21, გვ.43).**

„...საფრანგეთში არტისტი და რედაქციის თანამშრომელი დიდის პატივით მიიღეს ჟურნალისტებმა. დაჰყავდათ თეატრებში, აცნობდნენ დირექტორ-არტისტებს. ერთხელ თურმე სადილზე დაჰპატიჟეს ჟურნალისტებმა. ყველანი ფრანგები იყვნენ, სთხოვეს, რამე ლექსი გვითხარიო. კოტეს უცბად არაფერი გახსენებია, მოაგონდა მხოლოდ ერთი უხეირო ხუმრობით ნათქვამი ბავშვებისათვის „ბებია შენი ბერია, ლობიოს გაუბერია“. ისე რიხიანად უთქვამს ეს ლექსი წამოდგნენ, და „ვივას“ იძახოდნენ დიდხანს. იცინოდა კოტე, იმათ ეგონათ რაღაც კარგი ვთქვიო“... **(22, გვ.147).**

კოტე მესხმა საფუძვლიანად შეისწავლა ევროპის მოწინავე თეატრალური კულტურა. იგი 1880 წელს პარიზიდან წერდა აკაკი წერეთელს:

„ძმაო აკაკი!

რაღა თქმა უნდა, რომ გამეხარდებოდა შენგან ჩვენი თეატრის კარგად წაყვანა. სერგეი მწერს: ცოტათი აკაკიმ ადმინისტრაციის მხრით ჩამოიქვეითაო. როდი გამკვირვებია, სად პოეტი და სად ფულების ანგარიში (ილიას გარდა), მაგრამ მაინც ყველაფრიდან ჩანს, რომ საქმე ორჯერ უკეთ მიდის, ვინემ ნეტარხსენებულ გეორქას (იგულისხმება გიორგი თუმანიშვილი 1879-80 წლებში თბილისის ქართული თეატრის რეჟისორი) ხელში. შენც მოწადინებული იქნები ამაზე და მეც შემოგითვლი, რომ რაც უნდა გაგიჭირდეს, იმათზე ნაკლებ დროს არ გასტანო, თორემ საქმე თუ ჩაგვეფუშა (1880 წელს გ. თუმანიშვილი ილიამ ჩამოაშორა ქართულ დასს და ქართულ თეატრს სათავეში ჩაუდგა აკაკი წერეთელი, რაც აღნიშნულია ამ წერილში), შენ წარმოდგენილი გექნება, რამდენს ნიშნს მოგიგებენ და რა ალიაქოთს ასტეხენ ეგ, მართლა, თხის და ცხვრის თავები. რატომ უფრო ხშირად არ აძლევთ ახალ პიესებს? არ არის თუ, ვერ ასწრებენ როლების სწავლას? ერთს პიესას მე გაგახსენებ თუ აღარ გახსოვს, ჭყონიამ რომ თაიგული გამოსცა, იმაში არის „ფერი-ფერს და მადლი ღმერთს“ (ჩემის აზრით სცენაზე გვარიანი გამოვა). ვ. აბაშიძეს გლასნი ალადათოვის (მოქმედი პირი კომედიის) გამოსახვა შეუძლია შიგა. აქტიორ-აქტრისები როგორ არიან შენთან? თუ გახსოვს, არ გწყალობდნენ. ჩემი საქმე ეგრე არის. ორ თვეს კიდევ დავრჩები აქ და მერე წამოვალ პეტერბურგში. იქ ვნახავ, ბუხალტერიის საქმე თუ ოთხ თვეში შევიძელი შესწავლა, დავიწყებ, თორემ მეტს დროს ვერ დავრჩები, სხვა მიზეზები ბევრი მაქვს, რომლის მოწერით თავს არ მოგაბეზრებ.

პიესებს აქედან ვერ გამოვგზავნი, რადგან დრო არა მაქვს, რომ გადმოთარგმნის შემდეგ შევასწორო და შევაკეთო. ჩამოვიტან ერთად რამდენიმე პიესას გადათარგმნილს და მანდ შენის რჩევით გადავაკეთებ. რამდენი პიესაა, რომ ჩვენთვის სწორედ ძალიან კარგად გამოდგება. თუ თეატრს დავუბრუნდები (მგონია, რომ ვერ შევიძლო მიტოვება), მგონია, რომ შემეძლოს შენი კარგად დახმარება. ასე, რომ თუ მარჯვენა არა, მარცხენა ხელი მაინც გაგიხდები. შენს ფელეტონებს აღტაცებაში მოჰყავს ყველა აქაური ქართველი... რასაკვირველია, ძალიან მადლობელი ვარ შენი, რომ გაგახსენდი და მონაწილეობა მიიღე ჩემს სასარგებლო წარმოდგენაში.

თუ მოგეჩვენოს და წერილი მომწერო, ადრესს სერგეი მესხი გაცნობებს. ქართულ ენას თუ შევცოდე, მაპატიე, ნახვამდის.

შენი პატივისმცემელი კოტე მესხი".

ზოგჯერ მსახიობი, რეჟისორი და აქტიორული ხელოვნების დიდი ქომაგი აკაკი წერეთელი, ქართული თეატრის აღორძინებისათვის დღენიადაგ ზრუნავდა. მსახიობებისათვის დიდი იმედი იყო ილიასა და აკაკის ყურადღება. მათ მაგალითს ბაძავდნენ მსახიობებიც. მაშინდელი მსახიობი მეტწილად რეჟისორიც იყო. თეატრის საკეთილდღეოდ არავითარ სამუშაოს არ ერიდებოდნენ.

„...პარიზში კოტე დარჩა თითქმის ერთი წელიწადი. სერგეის აღტაცებულ წერილებს წერდა იქაურ თეატრებზე და მსახიობებზე. იქ მან ნახა ყველა შესანიშნავი მსახიობი: სარა ბერნარი, კოკლენები –ორივე ძმა, როსი, ჟიუდიკი და მრავალი სხვა. მან შეისწავლა ფრანგული ენა, შეიძინა მრავალი საუცხოო პიესა, რომელიც საგანგებოდ შეარჩია, თარგმნა და ისე ჩამოვიდა.

ის ცოტა ხნით მოეწყო სამსახურში ქუთაისის ბანკში, მალე თავი დაანება, რადგან არავითარი სამსახური არ იზიდავდა გარდა თეატრისა"... **(23, გვ.47).**

კოტე მესხმა დიდი გულისყურით შეისწავლა პარიზის თეატრალური ცხოვრება. პარიზში კი მუდამ იგრძნობოდა თეატრალური მსოფლიოს სუნთქვა. თეატრალურ სამყაროს ცენტრში მოქცეულმა ხელოვანმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა წერილები, რომლებშიც „საფრანგეთის თეატრებზე" რამდენიმე საინტერესო საკითხი იყო განხილული:

I. რეალისტური აზროვნების მსახიობი ფრანგულ თეატრს უწუნებს „გალობით ლაპარაკს". დრამის თეატრში – „არტისტები კი არ ლაპარაკობენ, მღერიან"...

კ. მესხს რეალიზმის პრინციპების უარყოფად მიაჩნდა დეკლამაციური მეტყველება. მისი აზრით, ამგვარი ლაპარაკი „ხელოვნების წინააღმდეგაც არის და თვით ცხოვრებასთან მიუმსგავსებელიც, რადგან თეატრი კაცობრიობის ცხოვრების სურათებს წარმოგვიდგენს. თეატრში მოთამაშე ისე უნდა მოიქცეს და ილაპარაკოს, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში მოქმედებენ და ლაპარაკობენ!"

II. მეორე წერილში კ. მესხი თავის რეალისტურ შეხედულებას აკონკრეტებდა და აქტიორული შემოქმედების მაგალითზე ხსნიდა მხატვრული სახის შექმნაში სცენური ბუნებრიობის მნიშვნელობას.

„...როდესაც ვინმე გელაპარაკება საინტერესო და საჭირო საქმეზე, შენ იმას თვალებში შესცქერიხარ, სახეზე გეტყობა – თუ შენთვისაც ისე საინტერესოა ეს საგანი, ან არაფრად გეპრიანება. თუკი სინამდვილში ასეა, რატომ თეატრშიც, რომელსაც ცხოვრების ნამდვილ სარკეს ეძახიან, არ უნდა იყოს ეგრე?!"

კოტე მესხის ნააზრევში ჩანდა ილიასა და აკაკის რეალისტური თეატრის კონცეფციის გამოძახილი. მისი თეატრალური ესთეტიკა ემიჯნებოდა პირობითი თეატრის პრინციპებს. თეატრი – ეს ცხოვრებაა მინიატურაში, მასში სავსებით თავსდებოდა დიდი ადამიანური ვნებები, ქვეყნის ტკივილი და სიხარული.

კ. მესხისათვის მთავარი იყო „განცდის თეატრი –არისტოტელეს ესთეტიკურ მრწამსზე დაფუძნებული თეატრი, რომლითაც შეუძლია მას შეაღწიოს ადამიანის სულის სიღრმეში, ამოიცნოს მისი საიდუმლოება, ამოხსნას რთული სამყარო"...

III. შემდეგ წერილებში ჩანდა, რომ კ. მესხისათვის სრულიად მიუღებელი იყო მაყურებლისა და თეატრის ურთიერთობის ზოგიერთი უცხოური ფორმა. დაქირავებული ტაშის დამკვრელს (კლაკიორს) იგი თეატრის „პატიოსნების დამამცირებელს" უწოდებდა.

კოტე მესხის შემოქმედებაში უმთავრესი მაინც მსახიობისა და რეჟისორის თვისებათა შერწყმა იყო, მათი ბუნებრივი სინთეზი.

„...კოტემ დაარსა ქუთაისში მუდმივი ქართული თეატრი, ეგრეთ წოდებული ხარაზოვის თეატრი. 1885 წელს ქუთაისში მან დადგა ლერმონტოვის „დემონი“. ეფემია თამარის როლს თამაშობდა, კოტე –დემონის. მე კი ანგელოზს. ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა ქართულ სცენაზე. მახსოვს დიდხანს მეძახოდნენ ახალგაზრდები ქუთაისში ანგელოზს. შემდეგ სხვა როლებში გამოვედი“... **(22, გვ.147).**

„...წარმოდგენებს ვმართავდით კვირაში ორჯერ. ძველ თეატრში ციოდა...

თუმცა ჩვენი ცივი თეატრი მუდამ სავსე იყო მაყურებლებით“... **(23, გვ.51).**

კოტე მესხის ცხოვრებისა და შემოქმედების უმთავრესი პერიოდი მაინც ქუთაისის პერიოდი გახლდათ, სადაც მან საფუძველი ჩაუყარა პროფესიულ თეატრს. ქუთაისის, საქართველოს ამ უძველესი კულტურული ცენტრის, დიდი სანახაობითი კულტურის ტრადიციები ორგანულად შეერწყა ახალს. თითქოს ერთბაშად გამოცოცხლდა ყველაფერი, რაც ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებაში იყო მანამდე, გაიღვიძა ქართველი არტიციზმის დიდმა პოტენციალმა, ნიჭიერი და გამოცდილი კაცის ხელში ურთიერთს შეერწყა ტრადიცია და თანამედროვეობა.

კოტე მესხმა თეატრი მტკიცე საფუძველზე დაამკვიდრა. მან თეატრში მიიტანა მაღალი პროფესიული ხელოვნება, პრინციპულად გაემიჯნა ყოველგვარ სცენისმოყვარეობას, შექმნა ერთი მთლიანი, კარგად ორგანიზებული პროფესიული თეატრი, რეალისტური თეატრი...

ქუთაისის თეატრმა კოტე მესხის მოღვაწეობის წლებში მთელ საქართველოში დიდი სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა. მან სცენიდან განდევნა უმიზნო, მხოლოდ გამრთობი იაფფასიანი კომედია-ვოდევილები.. შექმნა აქტუალური თემებისა და პრობლემების, დიდი ადამიანური ვნებების, ფართო სოციალური მიზანდასახულობის რეპერტუარი. მის თეატრში დაიდგა: ნ. გოგოლის „რევიზორი“, ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, მ. ლერმონტოვის „მასკარადი“, ა. ოსტროვსკის ნაწარმოებები.

რუსული დრამატურგიის გვერდით იყო დასავლეთ ევროპის კლასიკა – ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“, ვ. სარდუს „მადამ სანჟენი“, ბომარშეს „სევილიელი დალაქი“, მოლიერის „დონ-ჟუანი“.

საქართველოში პირველმა კოტე მესხმა დადგა ქუთაისის თეატრში ი. მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექსპირის „ოტელო“, „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“.

ასევე პირველმა დადგა ქუთაისში „ურიელ აკოსტა“, „ესპანელი აზნაური“ და სხვა, მაგრამ ამ რეპერტუარმა მაინც ვერ გადაწყვიტა თეატრის პრობლემა, რადგან თეატრის მაღალი ეროვნული მისია შესაფერის ეროვნულ რეპერტუარს მოითხოვდა. სამწუხაროდ, იმ დროისათვის, ქართული დრამატურგია არ იძლეოდა საამისო საშუალებას, მაგრამ კ. მესხი გულხელდაკრეფილი როდი ელოდა საუკეთესო ქართულ პიესებს. იგი გულისყურით მუშაობდა მწერლებთან, მთარგმნელებთან. მისი ძალისხმევის შედეგი იყო, რომ ქუთაისის თეატრის სცენაზე დაიდგა: ა. წერეთლის „პატარა კახი“, „თამარ ცბიერი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ვ. გუნიას „და-ძმა“, დავით მესხის „ონიკა ბატონიშვილი“, კოტე მესხის „ბაგრატ მეოთხე“, ა. ყაზბეგის „არსენა“ და სხვა.

„...კ. მესხმა 1886-1887 წლების სეზონი მშვენივრად წაიყვანა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დასი საქმეს წრეულსაც ენერგიულად მოჰკიდებს ხელს. თვეში ორ-სამჯერ მაინც არ მოაკლებს ქუთაისელებს ქართული თეატრის ნახვის სიამოვნებას“, –აღნიშნავდა ჟურნალი „თეატრი“.

კოტე მესხი საკმაოდ დიდხანს მუშაობდა ყოველ პიესაზე. როგორც რეჟისორი „დიდად სასტიკი და მკაცრი იყო.. როცა რეჟისორობდა, მუდამ მრისხანე, წარბშეკრული იყო, თითქოს ქვეყნის დარდი მას აწვა. იცოდა ყვირილი, ჩიჩინი, ხშირად მაგარი სიტყვებითაც“, –წერდა ძმაზე დავით მესხი.

„კოტე მესხმა 1885 წელს შეადგინა ქუთაისში მუდმივი დასი – და დაიწყო მუდმივი წარმოდგენების გამართვა. ამ დასში ფეფიკო მესხი მუშაობდა. მას ბევრი ცრემლი დაუღვრია კოტეს წყალობით, რადგან კოტე ყველასაგან განურჩევლად მოითხოვდა ერთნაირ შრომას და ერთგულ მუშაობას. ხშირად ეტყოდა ხოლმე მსახიობებს: „მარტო ნიჭი არ კმარა, მსახიობი მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი და კარგი მსახიობი, როდესაც ნიჭიერია და მასთან შეგნებული მეცადინე და ერთგული მუშაკი. მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ გახდეთ შემოქმედი ამა თუ იმ პიროვნებისაო“. ამიტომაც ამუშავებდა ყველას ერთნაირად, როგორც

სხვას, ისე თავის დასაც. კოტე რომ გაუსწორებდა და დაუყვირებდა კიდეც, შეურაცხყოფილი ფეფიკო მოვიდოდა სახლში, ტირილს მორთავდა და მეტყოდა ხოლმე: უთხარი შენს ქმარს, რომ ყველას წინაშე ნუ მამცირებს და ნუ მიყვირისო“... **(22, გვ.149).**

ცხრა წლის განმავლობაში ქუთაისში თეატრი 1885 წლიდან 1894 წლამდე არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ კოტე მესხის ორგანიზატორული და რეჟისორული უნარის წყალობით.

ქართული თეატრის ისტორიაში კ. მესხის სახელი უპირველესად და სამარადჟამოდ ბევრი სიახლის შემოტანით დარჩა:

კოტე მესხმა გააფართოვა ქართული თეატრის თვალსაწიერი, გაამდიდრა რეპერტუარი, ჩაატარა დიდი რეჟისორულ-ორგანიზატორული მუშაობა, აამაღლა რეპეტიციების კულტურა, გააღრმავა კავშირი მწერლობასა და თეატრს შორის, გამოავლინა ახალი აქტიორული ძალები. შემოიღო საგასტროლო სისტემა, მსახიობებს დაუნიშნა გადაჭრილი ხელფასი. იგი თავად მოაზროვნე,განსწავლული მსახიობის ტიპი იყო. იცნობდა რუსული თეატრის გამოჩენილ მსახიობებს, რეჟისორებს, უნახავს საუკეთესო ფრანგი მსახიობები: სარა ბერნარი, მუნე–სიული, კოკლენ–უფროსი, დელონე...

ყველაფერი ეს თვისებრივ გამოძახილს პოულობდა მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. თავად მებრძოლი, აქტიური პიროვნება იყო. მას ყურადღების მიღმა არაფერი რჩებოდა.

კოტე მესხი მუდამ მოუსვენარი და ახლის მაძიებელი ხელოვანი იყო. ახალგაზრდებს მუდამ გვერდში ედგა. მას განახლებული თეატრის ბურჯად ახალგაზრდობა მიაჩნდა. ახალგაზრდობას მოჰქონდა ცხოვრების ახლებური გააზრება, შეუპოვრობა, უკომპრომისობა, იმედიანობა. კოტე მესხი გრძნობდა, რომ თეატრს მუდამ სჭირდებოდა ეს შინაგანი, ძველის დამანგრეველი იმპულსები და იგი ახალგაზრდებს გაბედულად აწინაურებდა.

„...კოტეს მთელი ხანგრძლივი მოღვაწეობა, როგორც სათეატრო, ისე საერთო ყოველთვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. ამ დროს თეატრში ორი ნაკადი იყო: ახალგაზრდობა, რომელსაც სიახლე, წინსვლა სწყუროდა, უკეთეს მომავლისაკენ გზას იკაფავდა, და ძველი თაობა, კონსერვატორები, რომელნიც ძველი წესების, ძველი მიმართულებისა და საზოგადოებრივად ძველი აზროვნების შემნახველნი იყვნენ. ერთი მხრივ რადიკალები თავის სიახლით, მეორეს მხრივ კონსერვატორები – ამ სიახლის მოწინააღმდეგენი. რადიკალების მეთაური და ბელადი ყოველთვის კოტე იყო“, –აღნიშნავდა თავის მოგონებებში მსახიობი ნუცა ჩხეიძე.

კოტე მესხმა სიახლის ძიება იცოდა ჟინით, ვნებით, გატაცებით. იგი განათლებული მოაზროვნე ხელოვანი იყო. მშვენივრად ხედავდა, თუ რა დიდი თეატრალური პროცესები მიმდინარეობდა მსოფლიოში, ამიტომაც დიდი გატაცებით ამკვიდრებდა ახალსა და ღირებულს ქუთაისის თეატრში.

კ. მესხის არტისტული პალიტრა მრავალფეროვანი იყო. რეცენზენტების ნაწილს იგი კომედიურ მსახიობად მიაჩნდა, ნაწილს კი დრამატულ მსახიობად. მისი რეპერტუარის ანალიზიდან ირკვევა, რომ კ. მესხის არტისტული ბუნება ვერ თავსდებოდა ამპლუის საზღვრებში. წარმატება ჰქონდა როგორც კომედიურ, ისე დრამატულ როლებში. საერთოდ, კ. მესხი კრიტიკულად უყურებდა მსახიობთა დაყოფას ამპლუის მიხედვით და ღიად დაუპირისპირდა ამ საერთო წესს.

ეს იყო დიდი სითამამე – ახალი ესთეტიკური მრწამსის შემოტანა. მან ადრევე იგრძნო სიახლე და პერსპექტიულობა ახალი აქტიორული პრინციპისა. „...აქტიორმა ყველა როლი უნდა ითამაშოს, გუშინ სხვა იყავით, დღეს სულ სხვა უნდა იყო, აი მაშინ გამოჩნდება შენი ნიჭი და უნარი“... **(19, გვ.31).**

კ. მესხი ამ პრინციპით ანაწილებდა როლებს,ასე დგამდა სპექტაკლებს. მან გაბედულად შეუტია შტამპებს. ამპლუა ხელს უწყობდა სწორედ შტამპების წარმოქმნასა და დამკვიდრებას. ასე რომ, კ. მესხის ბრძოლას ფართო ჩანაფიქრი ედო საფუძვლად. შტამპი შეიძლება ამპლუის გარეშეც გაჩნდეს, მაგრამ აქ საკითხი ეხებოდა არა ცალკეულ გამოვლინებას, არა რომელიმე აქტიორის ნიჭიერებისა თუ ოსტატობის მეტ-ნაკლებობას, არამედ არტისტული ხელოვნების უნივერსალიზმის თვით პრინციპს.

„...ნიკოლოზ გამრეკელმა და კოტემ გადააკეთეს 1891 წელს ბულვარში ალექსანდრე მესამის მისაღებად აგებული პავილიონი. მოიწვიეს მხატვრები მამა-შვილი მილიარები და

დეკორაციები დაახატვინეს. იქ ვთამაშობდი, ვიდრე არ დაიწვა. მე 1894 წლამდე ვთამაშობდი ჩემი ქმრის კოტე მესხის ხელმძღვანელობით. ჩვენ მაშინდელ დასში შედიოდნენ: ეფემია მესხი, მარიამ კაუხჩიშვილი, დესპინე ივანიძე, პატიკო მიქელაძე, ნატო მესხი, მაშო ჩხეიძე, (ნუცას და), და შემდეგ ნუცა ჩხეიძე. კაცები: კოტე მესხი, ნიკო ბადრიძე, გიორგი თუთბერიძე, ვასო ბალანჩივაძე, შალვა დადიანი, დავით ჩარკვიანი, დათიკო მესხი, კოწია მესხი (კოტეს ძმები), გრიგოლ ჩარკვიანი, ბოლქვაძე, სხვების გვარები აღარ მახსოვს“... **(22, გვ.14)**.

„...კოტე მესხი პატარა ტანის, მუდამ შუბლგახსნილი კაცი იყო, ყოველთვის სუფთად და კოხტად ჩაცმული. მწუხარება და გულისტკივილი არ აკლდა, მაგრამ ვაჟკაცურად იტანდა ყოველგვარ სიძნელეს და სულიერი მხნეობის მაგალითს აძლევდა მსახიობებს“, – იგონებდა ნუცა ჩხეიძე.

„...კოტე მესხი იყო ფიცხი, სწრაფი, ოხუნჯი, მხიარული. ცხოვრობდა დაძაბული რიტმით. სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრებით. მისი შემოქმედება და ცხოვრება საზოგადოების დიდ ინტერესსა და აზრის მღელვარებას იწვევდა. იგი იყო შესანიშნავი ორატორი, გონება მახვილი ხელოვანი. დისკუსიებში იწვევდა მოწინააღმდეგეებს. იჩენდა მტრებსა და მოქიშპეებს, თავად კი დიდად განიცდიდა, თუ ვინმეს აწყენინებდა“... **(22, გვ.150)**.

„...ერთხელ კოტე მესხმა „კოვერლეის მკვლელობა“ თავის საბენეფისოდ დადგა. ამ ბენეფისს წინ უძღვოდა ერთი საინტერესო ამბავი:

ერთმა ოფიცერმა კ. მესხს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მან ვერ მოითმინა და ოფიცერს ჯოხი დაარტყა. ოფიცერმა იგი დუელში გამოიწვია.

„..მე რასაკვირველია, ამიტანა შიშმა, მაგრამ კოტე მარწმუნებდა, სულელი ხომ არა ვარ დუელში გავყვე ჩემს გალახულსო. თუ ვაჟკაცი იყო, მაშინვე უნდა გადაეხადა სამაგიეროო. ასე მარწმუნებდა და მეც მჯეროდა. თურმე ამას ჩემს დასამშვიდებლად ამბობდა. კვირას კოტეს ბენეფისი იყო. შაბათს, გენერალური რეპეტიციის შემდეგ, კოტე მეუბნება: ამადამ კლუბში წავალ და იქნება დამაგვიანდეს –მე ნუ მომიცდი და დაიძინეო. მეც დავუჯერე. ჩავუჯექი სცენაზე ჩასაცმელი კაბის კერვას და მთელ ღამეს, გათენებამდის ვკერავდი, სანამ სულ არ გავათავე... დავწექი, მაგრამ არ დამეძინა. გვერდით ოთახში ჩემს მაზლს დავითს ეძინა. აუტყდა ხველა, ფრუტუნი. მერე ადგა და ბუხარში ცეცხლს შეუკეთა, და დაიწყო წინ და უკან სიარული. ეს არ მომეწონა და დავუძახე – დათიკო, რატომ არ გძინავს – მეთქი, ან კოტემ რატომ დაიგვიანა, კი არაფერი აუტეხოს იმ კაცმა – მეთქი. არაო, მითხრა, საცაა მოვა. თურმე დავითმა ყველაფერი იცოდა და ამიტომ ვერ ისვენებდა. დუელი იმ დილისათვის იყო დანიშნული საღორიის ტყეში. იმ ღამეს სეკუნდანტებს კოტე დავით მიქელაძესთან წაეყვანათ და იქ ასწავლიდნენ, თურმე, დამბაჩის სროლას, მე შიშმა ამიტანა. ამ დროს მომესმა ისმაილ მესხის ხმა, რომელიც კოტეს სეკუნდანტი იყო თურმე. ახალი გათენებული იყო, როცა დ. მიქელაძე მეძახდა! აბა, რძალო, ჩაი დაგვალევინე, ქმარი მოგიყვანეთ მთელი და უვნებელი, ხელში დაიჭრა, მაგრამ ეს არაფერიაო“...**(22, გვ.141)**.

...არაჩვეულებრივი ყოფილა იმ საღამოს კ. მესხის ბენეფისი. ხალხს გაეგო დუელის ამბავი და კ. მესხს უთანაგრძნობდნენ. „წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, თეატრს ზანზარი გაჰქონდა, იმდენი ხალხი მოაწყდა, ამბობდნენ –დღეს კოტეს ორი ბენეფისია, ორნაირი გამარჯვებისაო. საჩუქრებს და ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა, კოტე ხელში აიტაცეს და ისე მიიყვანეს სახლამდე“... **(22, გვ.16)**.

„...ქართულ თეატრს დღითიდღე წარმატება ემჩნევა... ამერ-იმერის ორი ქალაქი თბილისი და ქუთაისი ერთმანეთს ეჯიბრება“... **(21, გვ.48)**.

ქუთათურების ხშირი სტუმარი იყო თბილისის დასი, რომელთა გასტროლებს დიდი ოვაციებით ხვდებოდნენ მასპინძლები.

„... 1885 წელს გვეწვივნენ ასიკო ცაგარელი და ნატო გაბუნია. დადგეს ცაგარელის მგონი „ხანუმა“. თითონ ავქსენტი ცაგარელმა დივერტისმენტში მიიღო მონაწილეობა. წარმოსთქვა სცენები, ლექსები, მაგრამ ხალხი მაინც არ მოეშვა და განმეორებას ითხოვდა. გამოვიდა, წაიკითხა მეგრელებზე „მეგრელების ფაცხაშია, ტურა კივა ნაცარშია“. პირველ რიგში იჯდა თავადი კოწია დადიანი, დიდად გადაბრინჯული და ამაყი კაცი, შეიარაღებული ხმლით, ხანჯლით და ფიშტოთი. იუკადრისა მეგრელებზე თქმული სცენა და წამოვარდა სკამიდან, იშიშვლა ხმალი და გაექანა სცენისაკენ. ამ დროს ფარდა ჩამოუშვეს, ასიკო ცაგარელი გააპარეს, წაიყვანეს ჩვენს სახლში. დადიანს შემოესივნენ, დაუწყეს დამშვიდება, წაიყვანეს

სასტუმროში, სადაც ის ცხოვრობდა. ჩვენ მივედით ჩვენს სახლში, მაგრამ ნატო გაბუნია ძალიან შეშინებული იყო. არ გაუვლია ათ წუთს, დადიანის გამოგზავნილი კაცები მოვიდნენ, გაიხმეს კოტე და ასიკო და უთხრეს: დადიანი გაგიჟებულია და თხოულობს წახვიდეთ ბოდიშისთვისო, ცაგარელმა უთხრა, ბოდიშს მოვუხდი, მაგრამ ვაი რომ არ დამჯერდეს, ამკუწოს, ის შეიარაღებულია, მე კი არაო. დაარწმუნეს, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებაო. ეს რომ ნატომ გაიგო, კინაღამ გაგიჟდა და დაიწყო ტირილი. ჩასჭიდა ხელი ასიკოს და არ უშვებდა. როგორც იყო წაიყვანეს, წაჰყვნენ კოტე და მისი სამი ძმა, ჩემი მაზლები. კოტე წინ შევიდა თურმე, დაუწყო დადიანს ოხუნჯობა და გააცინა, ისეც იამა, რომ მიიყვანეს ცაგარელი, შერიგებით დამთავრდა საქმე. ნატოს ვამშვიდებდით, სანამ მოვიდოდნენ, ცოტა შესარიგებელიც დაელიათ. მეორე დღეს თბილისისაკენ გაეშურა ცოლ-ქმარი. კოტემ უთხრა, მოიცადეთ, ერთი წარმოდგენა კიდევ დავდგათო, კაცო გინდა გიჟმა კნიაზმა მომკლას, არა ძმაო, გამიშვი ჩემს ქალაქშიო. წავიდნენ. ჩვენც გავაცილეთ სადგურზე. თურმე დადიანს გაუგია ამათი წასვლა და ისიც მოვიდა ამათ გასაცილებლად. ამათ კი შეეშინდათ არაფერი აგვიტეხონო, უფრო ნატოს, მაგრამ ნატოსთან ბოდიში მოიხადა და კარგი თაიგული მიართვა“... **(22, გვ.14).**

„კოტე მესხმა რამდენიმე სპექტაკლი დადგა ლიტერატურული თეატრის პრინციპით. რეჟისორი ეძებდა სხვადასხვა ფორმას, არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით, დაჟინებით მი-ისწრაფვოდა სიახლისაკენ. წელი ისე არ გავიდოდა, რომ მას რაღაც ახლებური არ გაეკეთებინა. სიახლის სულით იყო აღბეჭდილი მის მიერ დადგმული გ. ერისთავის „გაყრა“ და პ. უმიკაშვილის „სამართალი“. ყველა ქება-დიდებას ასხავდა მაშინ რეჟისორ კოტე მესხს. რთული სტრუქტურის, მრავალპლანიანი საღამო – წარმოდგენა გამოცდილი რეჟისორის ხალას ორგანიზატორულ ნიჭზე მეტყველებდა.

კოტე მესხი ღრმად მოაზროვნე ინტელიგენტი მსახიობი და რეჟისორი იყო. იგი წერდა პიესებს „რუსთაველი“, „ბაგრატ-მე-4“, „თამარ ბატონიშვილი“, აქვეყნებდა სტატიებს, ფელე-ტონებს. თარგმნიდა კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებებს. კოტე მესხი ფართო მასშტაბის მოღვაწე იყო. „მას დიდი ამაგი მიუძღვის ქუთაისში ქართული მუდმივი დასის შექმნაში, რომელიც პირველი ფუძემდებელი იყო ამ საქმის. მისი რეჟისორობის დროს მთელი რეგუ-ლარული სეზონები მოეწყო ქუთაისში. თეატრი არა ერთხელ მიიწვიეს საგასტროლოდ თბილისში, სადაც წარმოდგენილი იყო პიესები: „შეშლილია“, „მარგარიტა გოტიე“, „ლანგ თემური“, „დალილა“. **(1, გვ. 348).**

კოტე მესხმა „გზა გაუხსნა აქტიორთა მთელ თაობას. მან ისეთი ნერგი დარგო ქუთაისის თეატრში, რომ მისი წასვლის შემდეგადაც იხარა“, –აღნიშნავდა ნუცა ჩხეიძე.

„...კოტემ არ იცოდა მოწყენა და არ უყვარდა არავის მოწყენა, სწუხდა, როცა მოწყენილს მნახავდა, მეტყოდა –ავად ხომ არა ხარო. ხშირად მომმართავდა, თუ გიყვარვარ, არასოდეს მოწყენილი არ დამხვდე. ხომ იცი, თეატრში რამდენ შრომას, ნერვიულობას განვიცდი და ვბრუნდები სახლში იმ იმედით, რომ მშვიდი და მანუგეშებელი სახე დავინახო, რომელიც დამავიწყებსო ყველა უსიამოვნებას. მეც ვცდილობდი, ავადაც რომ ვყოფილიყავი, გამეცინა. კოტეს ნასადილევს ძილი უყვარდა, მეტყოდა, უეჭველად ამა და ამ საათზე გამაღვიძეო, მეც ვაღვიძებდი. მაგრამ იქ იწყებოდა გაუთავებელი ვაჭრობა, რაც ხან ნახევარ, ხანაც ერთ საათს გასტანდა ხოლმე. მერე დაიწყებდა საყვედურს –რატომ უფრო ადრე არ გამაღვიძეო. ასე იყო ყოველთვის.

ქონებრივად კოტე დიდ გაჭირვებას განიცდიდა. სამაგიეროდ მისი ხანა მდიდარი იყო მსახიობებით. ქართულ სცენას ამშვენებდნენ ისეთი ბუმბერაზები, როგორნიც იყვნენ ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე მესხი, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია, ნატო გაბუნია, მარიამ საფაროვ-აბაშიძე, ეფემია მესხი, ნინო ჩხეიძე, ლიზა ჩერქეზიშვილი.

კოტე მეტად თავმოყვარე იყო. ადვილად არავის არაფერს სთხოვდა, რაც უნდა გაჭირვე-ბული ყოფილიყო. მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაში იყვნენ ჩვენი მსახიობები მაშინ. ხუთ თვეს იღებდნენ სულ უმნიშვნელო ჯამაგირს. დანარჩენ შვიდ თვეს დიდი გაჭირვებით ირჩენდნენ თავს... მიდიოდნენ წარმოდგენების გასამართავად პროვინციაში და ზოგჯერ უფრო გაჭირვებულნი და დავალიანებულნი ბრუნდებოდნენ, რადგან მაშინ ხალხი ნაკლე-ბად ეტანებოდა თეატრს. ბევრჯერ იტყოდა კოტე, ვიცი, ზარალი იქნება, მაგრამ მაინც საჭიროა ხალხს მივაწოდოთ სულიერი საზრდო, განვავითაროთ, რომ გაიგოს, შეიგნოს ავი

და კარგი, თორემ ჩვენი ქვეყანა რუსმა ჩინოვნიკებმა დაიუფლეს და წარმოდგენებსაც რუსები მართავენო. კოტეს საჭიროდ მიაჩნდა მდაბიო ხალხის განათლება თეატრის საშუალებით“... **(22, გვ.24)**.

კოტე მესხი იყო მსახიობი, რეჟისორი, რეფორმატორი. იგი ყოველთვის იცავდა აქტიორის ცხოვრებას, იცავდა სიმართლით, დიდი საქმით, მადალი ზნეობრივი სიწმინდით.

„... 1894 წელს კოტემ მოინდომა სუნდუკიანცის პიესის დადგმა, რისთვისაც თბილისიდან მოიწვია არტისტი არაქსიანი. აი ამ პიესის უკანასკნელი რეპეტიციის დროს გაუჩნდა მაღლა სართულში გარდერობს ცეცხლი და რამდენიმე საათის განმავლობაში მთლად შთანთქა თეატრი. ჩაიფერფლა პატარა,მაგრამ მეტად ლამაზი და კოხტა თეატრი. ეს თეატრი ქალაქის ბაღში იყო და ცეცხლისაგან ბევრი ხეც დაიწვა. ამის შემდეგ გადმოვედით თბილისში, რადგან დრამატიული საზოგადოების გამგეობამ სთხოვა კოტეს იმ სეზონში რეჟისორობა და კოტეც დასთანხმდა“... **(22, გვ.15)**.

ქუთაისს კოტე მესხის მიერ დაარსებულმა თეატრმა თავისი დაღი დაასვა და საბოლოოდ განამტკიცა აზრი, ქუთაისში პროფესიული თეატრის დაარსების შესახებ.

ქუთაისის თეატრს კოტე მესხმა მართლაც სული და გული შესწირა. ხანძრის შემდეგ შეუძლებელი გახდა სახსრების შეგროვება და თეატრის აღდგენა. ამიტომ სამოღვაწეოდ თბილისში გადავიდა, მაგრამ ქუთაისთან მაინც არ გაუწყვეტია კავშირი, ხელი არ აუღია ქუთაისის სიყვარულზე. ამ ქალაქთან ბევრი უხილავი სიმი აკავშირებდა. ქუთაისში მიაღწია სრულ შემოქმედებით სიმწიფის ხანას. იქ დავაჟკაცდა, დაბრძენდა, შეიძინა გამოცდილება. დამოუკიდებლად მუშაობის ამ წლებში მან ბევრი რამ გაიგო, ღრმად ჩასწვდა თეატრის შემოქმედებით და ორგანიზაციულ ცხოვრების საიდუმლოს. გული ერჩოდა შრომისათვის. მისი მოუსვენარი ბუნება ახალ შემოქმედებით გზებს ეძებდა.

კოტე მესხმა დიდი ღვაწლი ჩადო ქუთაისში პროფესიული თეატრის შექმნისა და განვითარების საქმეში. რეჟისორმა კ. ანდრონიკაშვილმა ამიტომაც უწოდა მას –„მამა ეხლანდელი თეატრისა ქუთაისში“...

კ. მესხის მოღვაწეობის ხანა ის პერიოდი იყო ქუთაისის თეატრისათვის, როცა სცენაზე მკვიდრდებოდა და დომინანტობდა დრამა და ტრაგედია, როცა ისტორიული ჟანრი გამოყენებული იყო თანამედროვეობის პრობლემებთან კავშირში, კერძოდ, იგი უკავშირდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, როცა ახლებურად აჟღერდა პიროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა...

„...კოტე უპირველესად მაინც იყო დიდი ოსტატი და პოპულარული მსახიობი. „თავის შესაფერ როლებში მას არც მეტოქე ჰყავდა და არც ბადალი. ვისაც შემთხვევა ჰქონია ენახა კოტეს მიერ შესრულებული პეტრუჩიო, ნაპოლეონი, ნერონი, დე-ბაზან, სკაპენი, გოჩა, რუსთაველი, ლევან ხიმშიაშვილი, ოტია, ანანია და მრავალი სხვა სახასიათო როლი, ის კოტეს არასოდეს არ დაივიწყებს. პეტრუჩიოს და ნერონის როლში კოტეს თავის დროს ბადალი არ ჰყავდა და ამ როლებში ისეთ მწვერვალებს აღწევდა, როგორც ბუმბერაზი ვასო და ლადო თავიანთ როლებში. ამ როლების განსახიერებისას იმდენად გარდაიქმნებოდა ხოლმე მსახიობი, ისეთი ბუნებრივი და წარმტაცი იყო, რომ მზად იყავი დაუსრულებლივ გეცქირნა და დამტკბარიყავი მსახიობის დიდოსტატობით“, – წერდნენ მასზე „დროების“ ფურცლებზე.

„...1900 წელს კოტე მეორედ წავიდა საფრანგეთს. მაისის დამლევს გავაცილე ბათუმამდე. მე ვერ წამიყვანა უფულობის გამო. მასთან ერთად მიდიოდა კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი. ჯერ ლენინგრადში წავიდნენ, ხოლო იქიდან საფრანგეთში. თურმე კოტეს არსად უშვებდა, როცა დააგვიანდებოდა დამით სადმე, ეტყოდა –კოტე, იცოდე, შენს ცოლს მივწერ დეპეშასო, კოტეს დეიდაშვილები იყვნენ მაშინ იქ და იმათთანაც უშლიდა წასვლას, შენმა ცოლმა მე ჩამაბარა შენი თავიო, და მე ვარ პასუხისმგებელიო. ამაზე დომინიკა განდეგილი მწერს: ნატო, კოტეს შესახებ ნუ გეშინიან, რადგან კარგი გამდელი ჰყავს და არსად არ უშვებსო. განდეგილი იმ დროს პეტერბურგში იყო და კოტეს ხშირად ხედავდა. კოტე ოქტომბერს დაბრუნდა პარიზიდან და რაც გამოგზავნა, ოდესის დამოჟნაში გაეხსნათ. რაც კარგი რამ იყო, ამოეღოთ, ამაზე ძალიან სწყდებოდა გული“... **(22, გვ.151)**.

კოტე მესხი წერდა სტატიებს, ფელეტონებს. მის ყველა ნახელავს, წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიუხედავად, მაინც ღრმად მოაზროვნე კაცის ხელი აჩნდა.

„...1906 წელს პირველი რევოლუციის დროს, კოტე შეუდგა პატარა ყოველდღიური გაზეთის

გამოცემას. გამოდიოდა „პატარა გაზეთის“ სახელწოდებით. გაზეთი ცოცხალი და პროგრესიული შინაარსისა იყო. საზოგადოება ინტერესით კითხულობდა. მაგრამ საუბედუროდ მოკლე დღისა გამოდგა. ერთ უბედურ დღეს გაზეთი მიკეტეს, ერთი ცალიც ვერ ვიშოვეთ იმ ნომრისა, რისთვისაც დაკეტეს. რასაკვირველია კოტე პასუხისგებაში მისცეს და გაასამართლეს კიდეც რევოლუციური გაზეთის გამოცემისათვის. მიუსაჯეს დაპატიმრება, მაგრამ იმ დროს ალექსანდრე (საშიკო) ორბელიანი იყო მსაჯულად ზემო ინსტანციაში და ის ძალიან დაეხმარა. სასჯელი მოუხსნეს“... **(22, გვ. 152).**

კოტე მესხის დიდ დამსახურებათა ნუსხაში ღირსეული ადგილი უჭირავს მის მოღვაწეობას ბაქოს ქართულ თეატრში. „...1906 წლის შემდეგ კოტეს ბაქოში მოუხდა წასვლა დასთან ეფემია მესხთან და იქაურმა თეატრის გამგეობამ სთხოვა ბაქოში თეატრის მოწყობა და მისი ხელმძღვანელობა“... **(22, გვ.151).**

„...უკვე იყო შენობა. ჩამოვიდა რეჟისორი. ახლა საქმე პიესის არჩევანზე მიდგა. კ. მესხმა ეს არჩევანი რამდენადმე სიმბოლური გახადა. მან გადაწყვიტა პირველ წარმოდგენად პ. უმიკაშვილის „სამზადისი“ დაედგა. პიესაში მოთხრობილია, თუ როგორ მზადდებოდა გ. ერისთავის თეატრის პირველი სპექტაკლი, როგორ იღწვოდნენ ქართული თეატრის დაარსებისათვის პლ. იოსელიანი, დიმ. ყიფიანი, ვახტანგ და ილია ორბელიანები, რევაზ ერისთავი, გრ. შანშიევი და სხვა ქართველი მოღვაწეები. წარმოდგენაში მთავარ როლებს ასრულებდნენ თვით კ. მესხი, ვლ. ამაშუკელი, ა. ახობაძე, გ. მატარაძე, დ. შველიძე, ვლ. ახობაძე, ქალთაგან ეფ. მესხი, ანა ნადირაძისა, ნინო გამრეკელ-თორელი. მეფისნაცვლის ვორონცოვის როლის შესასრულებლად კ. მესხმა მოიწვია რუსი მსახიობი მ. ვორონოვი.

სპექტაკლი ჩინებულად წარიმართა. მსახიობებმა და სცენისმოყვარეებმა მაყურებლის წინაშე გააცოცხლეს გასული საუკუნის შუა წლების თბილისი, ორბელიანების უბანი, სამზადისი ქართული თეატრის შექმნისათვის. რაც მაყურებელს მიანიშნებდა, ჩვენც ასევე ვიღწვით ახლა ბაქოში თეატრის შესაქმნელადო“... **(35, გვ.41).**

1907 წლის 17 თებერვალს მთელი საღამო სადღესასწაულო იყო. ზეიმი 3 ნაწილისაგან შედგებოდა: წარმოდგენა, აპოთეოზი და ცეკვა. ამ დღესასწაულს მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო. ქართველებთან ერთად იყვნენ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც – რუსები, თათრები, სომხები, უკრაინელები, პოლონელები. იყვნენ მუშები, ინტელიგენცია, პრესის მუშაკები.

„გარდა წარმოდგენების გამართვისა, ბაქოს ქართული დრამატული წრე და იქაური ქართველობა ეხმაურებოდნენ ყოველივე იმას, რაც ხდებოდა საქართველოში. 1907 წლის 28 ოქტომბერს ბაქოში ჩაატარეს ილია ჭავჭავაძის დიდი საიუბილეო საღამო. წარმოდგენილი იქნა ილიას „დედა და შვილი“, „გლახა ჭრიაშვილი“, ცოცხალი სურათები ილიას ნაწარმოებებიდან.

1908 წლის 21 დეკემბერი ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულად იქცა ბაქოში. აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოზე თვითონ პოეტი იყო მოწვეული. აქ აჩვენეს აკაკის „თამარ ცბიერი“, „სიზმარი“ და ეპიზოდები „პატარა კახიდან“, სიმღერები პოეტის ლექსებზე“... **(35, გვ.44).**

ბაქოს თეატრის სათავეში ჩადგომისთანავე კოტე მესხმა ახლებურად წარმართა მუშაობა. იგი მსახიობებს აცნობდა დასადგმელად არჩეულ პიესას, შემდეგ როლებს დაწვრილებით უხსნიდა. ყოველივე ამას იგი ისე აკეთებდა, რომ სცენისმოყვარენი ადვილად უგებდნენ და უჯერებდნენ. კ. მესხმა ბაქოელ მაყურებლებს უჩვენა: „დედა და შვილი“, „და-ძმა“, „მამულდედული“, „ცხოვრების გარეშე“, „ალიაქოთი კეთილშობილთა ოჯახში“ და სხვა.

თავის მუშაობაში კ. მესხი ძირითადად მსახიობებსა და გამოცდილ სცენისმოყვარეებს ეყრდნობოდა, რომლებიც უკეთ ართმევდნენ თავს რეჟისორის მოთხოვნებს. ასეთები იყვნენ: ეფემია მესხი, ნინო გამრეკელ-თორელი, ევტროფი თალაკვაძე, ვლადიმერ ამაშუკელი, დ. შველიძე, გ. მატარაძე. ა. ნადირაძე, ქ. ანდრონიკაშვილი.

1908 წლის ზაფხულში კოტე მესხი ბაქოდან წავიდა. დასის ხელმძღვანელობა და რეჟისორობა კ. მესხის დისშვილმა ნინო გამრეკელ-თორელმა იკისრა.

კ. მესხმა ქუთაისისა და თბილისის პროფესიული დასის მონაწილოებით გასტროლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და მხარეში გამართა. ეს იყო ნიჭიერი სცენის ოსტატის შემოქმედებითი ანგარიში თანამემამულეების წინაშე.

„...1908 წელს ჩვენი დასი სამოგზაუროდ იყო გორში, სურამში, ზესტაფონში, ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, ბათუმში, ოჩამჩირეში, ზუგდიდში, სოხუმში, გაგრაში, ოზურგეთში. დაბრუნებისას გორში გვირჩიეს, ცხინვალში წავსულიყავით. წავედით კიდეც.

იქ კოტე ავად გახდა, დიდი სიცხე მისცა, რამაც ძალიან შემაშინა, მაგრამ წარმოდგენაზე მაინც უარი ვერ ვათქმევინე. სასტუმროს მაგივრად დუქნის ოთახში შეგვიყვანეს, საიდანაც თოფ-ნაკრავივით გამოვვარდით. ისეთი საშინელი სუნი იდგა თუთუნის, ღვინის თუ არყისა და სიმუავისა. ერთ მტკაველზე ნაგავი ეყარა. კოტემ მედუქნეს დაუძახა, მედუქნემ გააღო ფანჯარა, დააგვევინა და გაარეცხვინა იატაკი. ბოდიში მოიხადა, აქ მთელი დღე-ღამეს ბანქოს თამაშობდნენ აქაური ახალგაზრდები და ვერ მოვასწარით დასუფთავებაო. იმათ გაწმენდას არ დავჯერდი, ხელმეორედ მოვითხოვე ტილო და წყალი და მე თვითონ გავწმინდე და მერე მივაწყვე საწოლები. მოვასვენე კოტე, წამალი დავალევინე. მეორე დღეს უნდა ეთამაშა. მეორე დღეს წავედით თეატრში, კოტეს 38^0 სიცხე ჰქონდა. თეატრი ფარღალალა იყო, მარტო ზემოდან იყო დახურული, გვერდებიდან კი ქარი უბერავდა. გორაკი ჩამოუჭრიათ, სცენად გაუკეთებიათ, სადაც მსახიობები კოჭლობით დადიოდნენ ოღრო-ჩოღრო მიწაზე.

მიუხედავად კოტეს ავადმყოფობისა, მან კარგად ჩაატარა თავისი „სტატსკი-სოვეტნიკი“. შემოსავალი ძალიან ცოტა იყო, ისე რომ გორამდე ძლივს გვეყო, გორშიაც ცოტა იყო შემოსავალი, ასე რომ სამგზავრო ფული არავის ჰქონდა. მოვიდა კოტე და მეუბნება: –ნატო შენი ბეჭდები მომეცი, გზის ფული არა გვაქვს, გორში ხომ ვერ დავრჩებით ამდენი ხალხიო. მერე რას უპირებ-მეთქი, უნდა დავაგირაო ოქრომჭედელთან და ზეგ თბილისში ჩამოვა და გამოვისყიდიო. არ დაგიკარგავსო. ძალიან არ მიამა, მაგრამ რას ვიზამდი, მეტი გზა არ იყო და მივეცი, მე სადგურზე წავედი, სადაც დამხვდნენ ჩვენი მსახიობები კოტეს მოლოდინში, რომ ბილეთები ეყიდათ. ერთმა მსახიობმა ქალმა დაღონებულმა მითხრა – ეს რა უბედურება მოგვივიდა, თურმე კოტეს თქვენი ბეჭდები წაუღია დასაგირავებლადო, მე უთხარი – ეს უბედურება კი არა, ბედნიერებაა, უბედურება მაშინ იქნებოდა, რომ ბეჭდები არ მქონებოდა-მეთქი. ასე დასრულდა ეს მოგზაურობა.

მესამე დღეს მართლაც მივიღე ჩემი ბეჭდები“, –წერდა ნატო მესხი.

კ. მესხი უბადლო ორატორიც იყო. ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს 1908 წელს მოსკოვში ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის საიუბილეო დღეებში მისი გამოსვლა, რომლითაც მოსკოველებისა და მრავალრიცხოვან სტუმართა აღფრთოვანება გამოიწვია.

მოსკოვის ერთ-ერთი გაზეთი იუწყებოდა: „სხვადასხვა მომლოცველთა შორის უეცრად გამოჩნდა სცენაზე ლამაზ კოსტუმში სხარტად გამოწყობილი ქართველი მსახიობი და გაისმა მისი სიტყვა ძლიერი, აღმაფრთოვანებული აქცენტით. სიტყვის დაწყებისთანავე თითქოს სიცილი ერეოდა მსმენელთ, მაგრამ, აი, მეორე ფრაზა არ დაეთავებინა, როდესაც მას აღფრთოვანებულმა საზოგადოებამ რამდენჯერმე შეაწყვეტინა სიტყვა მხურვალე ტაშის ცემით“...

საღამოზე კოტე მესხმა ქართველი ხალხისა და თეატრის სახელით – ა. სუმბათაშვილს მიმართა: „შენი მოღვაწეობისა და სცენის უანგარო შრომის აღსანიშნავად გამომგზავნა მე შენმა შორეულმა სამშობლომ საქართველომ... მე კავკასიონის მაღალი მთის მწვერვალების, შენი დებისა და ძმების, პატარა საქართველოს პატარა მსახიობთაგან მოგიტანე გულწრფელი სალამი შენ, დიდ მსახიობს მცირე თეატრისას, აღფრთოვანებულ სალამს გიშლი ფეხთა წინაშე“. თავის მისასალმებელ სიტყვას კ. მესხი ასე ამთავრებდა: „მაშ ნურავინ ნუ იტყვის, რომ შენ უღალატე სამშობლო სცენას, შენ ღალატი „ღალატითვე“ გამოისყიდე“.

დასასრულს გაზეთი დასძენდა: „სიტყვა ქართველი მსახიობისა იყო ერთ-ერთი საუკეთესო სიტყვა, რომელიც კი წარმოითქვა იუბილარის პატივსაცემად გამართულ წარმოდგენაზე“.

მეორე დღეს სტუმრები იუბილარმა მოსკოვის ლიტერატორთა წრის კლუბში მიიწვია ბანკეტზე, რომელსაც ესწრებოდნენ მოსკოვის თეატრების გამოჩენილი მსახიობები, მწერლები, ლიტერატორები, მხატვრები და სხვა.

ამ ოქროპირთა თაიგულში ქართულ ქულაჯაში გამოწყობილმა კოტე მესხმა კვლავ გაიელვა და ყველას ყურადღება თავისი მოხდენილი იუმორითა და სადღეგრძელოებით კვლავ მიიპყრო.

მან რუსეთის საამაყო მსახიობს მარია ერმოლოვას მოხდენილი ფრაზებით ისე მიმართა,

რომ მთელი დარბაზი დაიპყრო და ოვაციებს ორატორის მიმართ დასასრული არ უჩანდა:

„მე მიბრძანეს, რომ როდესაც დაგინახავდით თქვენ მარიამ ნიკოლოზის ასულ ერმოლოვას, აქ საზოგადოება ადგა და ოვაცია გაუმართა როგორც ერმოლოვას, ისე კ. მესხს, მთელი საქართველოს სახელით თავი დამეხარა მოწიწებით (შეუწყვეტელი ტაში). გუშინ, როდესაც დავინახე, თქვენი საკვირველი თვალები ცრემლებით სავსე – ჩემი გულის სიმები ათრთოლდნენ (ძლიერი ტაში). მაშინვე მივხვდი, თუ როგორ უნდა იტანჯებოდეთ თქვენ, ამდენი სიყვარულის გრძნობით აღსავსე. და მომაგონდა, რომ თქვენ ერთადერთი რუსი ქალი ხართ, რომელიც იტანჯებოდით, როგორც ქართველი დედა... აი ამ ტანჯვისათვის, მოწიწებით სალამს გიძღვნით, იცოცხლეთ დიდხანს და უფრო ძლიერი ცეცხლით აღგენთოს გულნი, რომელნიც არა ერთხელ აღიგზნიათ ზენაარის ნიჭით“.

კ. მესხის გამოსვლებით აღფრთოვანებულმა მოსკოვის სამხატვრო თეატრმა და მისმა ხელმძღვანელმა –კ. სტანისლავსკიმ და ი. ნემიროვიჩ-დანჩენკომ დიდი შეხვედრა მოუწყეს მას თეატრში. კ. მესხი იუბილეს დროს ქართულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, შეხვედრის დროს სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელები და დასი ქართულ ტანსაცმელშივე დახვდნენ. კ. მესხი კი შავი ფრაკით მოვიდა საღამოზე. მოსკოვის მაშინდელმა პრესამ ფართოდ გააშუქა კ. მესხის გამოსვლები.

ბანკეტზე მსახიობები ახლად შეძენილ მეგობარს კოცნიდნენ. ბოლოს ალექსი სუმბათაშვილმა თავის თანამემამულეს კოტე მესხს ასეთი სიტყვებით მიმართა:

„ძვირფასო ძმაო და მეგობარო კოტე! გადაეცი ჩემს ძვირფას საქართველოს, რომ შენი გუშინდელი სიტყვებისათვის მე ვკოცნი ჩემი სამშობლოს მიწას და, იმ სიტყვებისათვის კი, რომლითაც შენ მიმართე ჩემს ძვირფას დას (იგულისხმებოდა მსახიობი ერმოლოვა), მზად ვარ მოვრწყო ეს მიწა ჩემი საკუთარი სისხლით“...

მოსკოვში მთელი ორი კვირის განმავლობაში ყოფნისას კოტე მესხი ყურადღების ცენტრში იყო. გამოთხოვებისას მცირე თეატრის მსახიობებმა ახლად შეძენილ მეგობარს კოსტიას გამოსათხოვარი ბანკეტი გაუმართა.

ენამზეობასთან ერთად კოტე მესხი მკვეთრი კალმის პატრონიც ყოფილა –და თავისი უფროსი ძმის სერგეი მესხის კვალს, რომ გაყოლოდა, ალბათ, კარგი ჟურნალისტის სახელსაც დაიმკვიდრებდა.

„გუნიამ კალენდარი გამოსცა! და შიგ მოათავსა სხვადასხვა სურათი, მათ შორის კოტეს სურათიც. გიორგი წერეთელმა თავის „კვალში“ დასწერა: კოტე მესხს თავი ქართულ გოგრას მიუგავსო, ამაზე კოტემ „სახალხო ფურცელში“ უპასუხა გიორგი წერეთელს: ძალიან საწყენია რომ მისი სურათიც არ იყო კალენდარში მოთავსებული, მაგრამ რა ექნა გუნიას, მისი ბრალი არ იყო, რამდენი არ ეცადა მის დაბეჭდვას, არ იქნა და არა, ტანი გამოდიოდა, თავი კი არა. ეს რომ წაიკითხა წერეთელმა, თურმე ავად გახდა. ანასტასია მივიდა კოტესთან და შეეხვეწა, შენი ჭირიმე ასე აღარ ეხუმროო“... **(22, გვ.55).**

იშვიათი მოუბარი, სიცოცხლითა და სიხარულით აღსავსე, ფაქიზი და თავისი ქვეყნის დიდი მოყვარული კოტე მესხი მხურვალე მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. იგი დიდი ილიას მეგობარი იყო. მისი ხშირი და სასურველი სტუმარი, ჭადრაკის თამაშში –პარტნიორი.

კოტე მესხი ფართო მასშტაბის მოღვაწე იყო. მას სავსებით შეგნებული ჰქონდა თავისი მისია ქართულ ხელოვნებაში. მესხთა ოჯახის ღირსებას იცავდა თავისი კაცურ კაცობით.

ჯერ კიდევ ისევ შემოქმედებით ამპლუაში იყო, როცა ფილტვების ანთება დაემართა. ეს იყო 1914 წლის 15 მაისი.

„...ამ დილით ჩვენს დაუხმარებლად მარჯვედ წამოჯდა საწოლზე გულმოსული, თვალებ გაბრწყინებული, თითქოს უჩინარ მტერთან შესაბრძოლებლად წამოიჭრა და გამწყრალი ხმით დაიძახა:

–წყალი, ჩქარა!

მაშინვე მივუტანე ბაგეებთან ჭიქა.

–მე მომეცი, თვითონ დავლევ.

გამომართვა, მიიტანა პირთან: თავი გადასწია და გადაქანდა საწოლზე. ხელი მივაშველე, მძიმედ დაესვენა ჩემს მკლავებზე და გათავდა“, – ძმის, რეჟისორისა და პარტნიორის დაკარგვის მძიმე წუთებს იგონებდა ეფემია მესხი.

ელვის სისწრაფით მოედო მთელს საქართველოს კოტე მესხის გარდაცვალების ამბავი. მეგობრები ცრემლად იფრქვეოდნენ მის ცხედართან.

„ხელთ კრიალოსანს ვმარცვლავდი გუშინ,
ოქროვან ლექსით ვეძახდი ვნებას_
და ნერვიული მეც ვგრძნობდი
გულში სიამოვნებას.
მაგრამ, ო, მგოსანს, ჩემნაირ მგოსანს
ექნება განა ყოფნა მუდმივი?
გამიწყდა ძაფი და კრიალოსანს
მოაკლდა მძივი“.

(ი. გრიშაშვილი)

ხალხის საყვარელი მსახიობი კოტე მესხი კუკიის სასაფლაოზე მასავით სიცოცხლითა და სიხარულით აღსავსე ასიკო ცაგარელისა და სიცილის ოსტატ ნატო გაბუნიას გვერდით დაკრძალეს...

ქუთაისის თეატრს მუდამ ჰყავდა თავისი ნიჭით გამორჩეული მსახიობები, რეჟისორები, საზოგადო მოღვაწეები, რომელთა ღვაწლსა და ამაგს ქართული კულტურისათვის გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დიდ თანავარსკვლავედში განსაკუთრებით ბრწყინავდა კოტე მესხის სახელი, რომლის შემოქმედებითმა მოღვაწეობამ დროის გამოცდას გაუძლო.

დღეს კოტე მესხის სახელს ატარებს ქუთაისის მსახიობთა სახლი.

თავისი სიმართლითა და სამართლიანი რეფორმებით კოტე მესხის მოღვაწეობა დარჩა, როგორც წარსულისა და მომავლის რეჟისორის ცოცხალ ლეგენდად.

ასე, რომ ანდრია მარჯანიშვილის ორმა შვილიშვილმა, ორმა კოტემ – კოტე მესხმა და კოტე მარჯანიშვილმა, ორმა სულიერმა თანამოსაქმემ ქუთაისის სცენაზე მოახდინეს თავიანთი გენეტიკური კოდის გაშლა-გამომზეურება. ისინი დღესაც, საყრდენად და დედაბოძად უდგანან ქართული თეატრის ნათელ მომავალს.

...თეატრი იყო მათი მარად დაუოკებელი გრძნობების ნავსაყუდელი და თეატრის ხვალინდელ დღეზე ფიქრი და ოცნება მარადისობაშიც თან წაიმძღვარეს.

კოტე მესხის სულის დარბაზში აუწერელი გარძი იდო, რომელშიც მარგალიტებივით თვალისმომჭრელად ელვარებდა კეთილშობილება, პატიოსნება, სიწმინდე, მოყვასის სიყვარული, ადამიანისადმი უფაქიზესი დამოკიდებულება, ქვეყნისა და საქმისადმი მოვალეობის განუმეორებელი გრძნობა.

...სწორედ, მასზე იყო ნათქვამი: „მოკვდა და თავის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობს მკვდარი“-ო...

რეჟისორი და მსახიობი
კოტე მესხი

ქართული თეატრი.
ოთხშაბათს, 1 აპრილს
ბენეფისი
კოტე სვიმ. მესხისა
ГРУЗИНСКІЙ ТЕАТРЪ
Въ Среду, 1-го Апрѣля 1909 г.
БЕНЕФИСЪ
К. С. Месхи

კოტე მესხი პეტრუჩიოსა და
ნაპოლეონის როლებში

რა არის ცხოვრება ჭეშმარიტი, უხელოვნებოდ?!...

„ხელოვნება ზნეობრივ ზეგავლენას ახდენს არა მარტო იმიტომ, რომ სიამოვნებას გვანიჭებს ზნეობრივი საშუალების გზით, არამედ იმიტომაც, რომ ხელოვნების მიერ მონიჭებული სიამოვნება თვითონ წარმოადგენს გზას ზნეობრიობისაკენ“...

ფ. შილერი

„...უცნაურია მსახიობის ბედი!

რაც არ უნდა დიდი ხელოვანიც იყოს მსახიობი, იგი ფასდება, სანამ ცოცხალია, სანამ სცენაზე მოქმედებს, თეატრს ამშვენებს... გამოჩენილ დრამატიულ მწერალთა უდიდესი ნაწარმოები თითქოს უსიცოცხლო საგანძურია, უსიცოცხლო საუნჯეა, და საზოგადოებაც და ხშირად ავტორიც ღირსეულ ფასს მაშინ დაადებენ ამ ნაწარმოებს, როცა აქტიორი-ხელოვანი დრამატულ თხზულებების გმირს ცოცხალ სულს ჩაბერავენ. სცენის ქურუმნი ხშირად ისეთ შტრიხებს, ხაზებს უკეთებენ მწერლის მიერ დახატულ, გამოყვანილ პიროვნებას, რომ იგი მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გმირად და ისეთ დიდ გმირად, რომლის წარმოდგენა, დაფასება არც მკითხველს შეეძლო მანამდე და ხშირად ავტორნიც ვერა სცნობენ მათ მიერ აღწერილ გმირების სახეს...

ქართული თეატრი დიდი სკოლაა ქართველებისათვის!

ჩვენს ყოფაში უადრესად მნიშვნელობის გახდა იგი. როცა მეფის რუსეთის პოლიტიკა მწვავედ შეიჭრა სკოლაში და ქართულ ენას განზე ცქერა დაუწყეს, აბუჩად აიგდეს და სასწავლებლიდან თითქმის განდევნეს იგი. ამ ენის სალაროდ, ასპარეზად და საუნჯედ ქართული თეატრი შეიქმნა. დეე, ნუ იყოს სასცენოდ აგებული, იმის მოთხოვნილებისათვის გამოსადეგი და ზედგამოჭრილი აკაკის, ილიას, რაფიელის ნაწარმოებები, თუნდაც ბევრი სხვისაც.. მაგრამ იქ ქართული ენის მარგალიტები იყოს და ეს სცენიდან გვესმოდეს...

სკოლიდან ექსორიაქმნილმა ქართულმა ენამ ბინა თეატრში მოიძია“... **(21, გვ.37)**.

ამ სიტყვების ავტორი დავით მესხი, ისე როგორც ანდრია მარჯანიშვილის ყველა შთამომავალი წილნაყარი იყო ქართულ თეატრთან და ლიტერატურასთან, რომელიც ქართველ სამოციანელთა ბრძოლის მთავარი სტრატეგია იყო.

დავითი, მაგდალინა მარჯანიშვილის, მეცხრე შვილი იყო. ეს ოჯახი შვილებს კონსერვატიული და დრომოჭმული აზრებით არ თრგუნავდა.

მესხების ოჯახის ყოველ წევრს უფლება ჰქონდა თავისი მრწამსი თავისუფლებაზე თამამად გამოეთქვათ, რაც შინაგანის გარეთ გამოტანის საწინდარი იყო.

დავით მესხმა ეს შინაგანი თავისუფლება ჯერ კიდევ გიმნაზიის მერხიდან გამოავლინა.

„...გამომასალმეს გიმნაზიას 1879 წელს, სწორედ გამომასალმეს ძალით ამ საშუალო სწავლის საბუდარს, კერას, სადაც იმ დროს ყაზარმული სული იყო გამეფებული. მოწაფენი ჯარისკაცებივით დამონებულები იყვნენ. წკეპლა, კარცერი, უსადილოდ დატოვება და ბევრი სხვა სასჯელიც... ორმაგი სასჯელი ქართველს, ყოველ არა რუსს... მაგრამ ასეთი ზომები, მკაცრი რეჟიმი ჩვენს „ქართველობას“ ვერ აფერხებდა.

პატრიოტულ გრძნობას დევნიდნენ, აბუჩად იგდებდნენ, ქართველ მოსწავლეებში კი ეს გრძნობა მით უფრო მეტად ღვიოდა“, –წერდა თავის მოგონებებში დავით მესხი.

მკაცრი, უსამართლო, გესლით სავსე, თავისი ცუდი ზნითა და ავი მოპყრობით, ბევრ მოწაფეს გული გაუტეხა და სწავლის განგრძობის საშუალებაც მოუსპო ლათინური ენის მასწავლებელმა ვანდალოვსკიმ.

„...ჩემმა ძმამ დათიკომ გიმნაზიას თავი დაანება ქუთაისში, ანუ უკეთ, თავი დაანებებინეს იმიტომ, რომ ლათინური ენის მასწავლებელთან მოუვიდა უსიამოვნება გაკვეთილის დროს, როდესაც ის გაზეთს კითხულობდა და გაკვეთილს ყურს არ უგდებდა“...

დედას უნდოდა ის სამხედრო სამსახურში შესულიყო“... **(23, გვ.43)**

„...გიმნაზიის უდროოდ გამოთხოვებამ გული იმდენად დამიჩაგრა, რომ სულ გასოფლება მინდოდა. ხოლო ჩემს მშობლებს, უფრო კი დედაჩემს ეს ხალხოსნური მოძღვრება არაფრად ეჭაშნიკებოდა, და მოუხშირა სერგეის წერილები: „არ დამიღუპო –ეს ერთი შვილი, სოფიოსა და ივანიკასთან (ჩვენი გადია და მოურავი) რა უნდა შეიძინოს? ამდენ შვილებში, რა იქნება,

ერთი „ვოენი“ გამოხვიდეთ, ურჩიე შენ, შვილო, „ვოენში“ წავიდეს“... **(21, გვ.44).**

„...სერგეი და დავითი ამის წინააღმდეგი იყვნენ. სერგეიმ ის დაიბარა თბილისში რედაქციაში სამუშაოდ. იმ დღიდან დათიკო არ მოშორებია სერგეის სიკვდილამდე და ბეჯითად მუშაობდა რედაქციაში“... **(23, გვ.47).**

1880 წელს დავით მესხმა „დროების“ რედაქციაში ყოფნის დროს დაიწყო ფელეტონების წერა. „...მე მაშინ ცოტა ვითომ თავს მოდონიერებულად ვგრძნობდი და ფელეტონიც დავწერე –„ცივი ამბები“, –...სვიფტის გავლენის ქვეშ, –ეს ჩემი პირველი ნაშრომი სერგეის დავახვედრე, გადაიკითხა. სახეზე სიამოვნება შევატყვე, დაიბეჭდოსო –გამახარა... **(21, გვ.31).**

„დროების“ რედაქციაში მუშაობამ დავით მესხი გამოჩენილ ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს დააახლოვა. რედაქციის სხვა თანამშრომლებთან ერთად დ. მესხი შეუნელებლად ზრუნავდა იმისათვის, რომ გაზეთი მრავალფეროვანი და საინტერესო ყოფილიყო. ეს არც თუ ისე ადვილი იყო, რადგან რედაქციას სულთამხუთავივით თავზე ადგა ცენზორი ისარლოვი. ხშირად მოდიოდათ უთანხმოება რედაქციის მუშაკებსა და ცენზორს.

„...ერთ შაბათს მოვრჩი საქმეს, მხიარულ გუნებაზე ვარ, ხვალ კვირის ნომერი გაზეთისა ლაზათიანი იქნება, შერჩეულ მასალასთან აკაკის ფელეტონიც იქნება –„ცხელ-ცხელი ამბები“.

„საპრაზნიკოთ“ გამოვეწყვე, ჩოხა-ახალოხი, ხანჯალი, რევოლვერი. უნდა გავისეირნო მუშტაიდისაკენ... შემოვარდა გაზეთის უფროსი ასოთამწყობი –დიომიდე კილაძე, დაანარცხა იატაკზე ცენზორის ფარატინები: ჰა! მიირთვი, იგემე... ნახე, რა უქნია იმ მ.....ლს! აკაკის ფელეტონი ერთიანად აეჭრელებინა წითელი ხაზებით! მეცეცხლა. დავავლე ხელი ფარატინებს და იმ წამსვე გავწიე ცენზორისაკენ! გაცეცხლებული შევიჭერი ოთახში, რომ დაინახა ჩერქეზი, შეკრთა, არც სალამი, არც ჩალამი.

–აბა!–...ეგ წითელი მელანი იქით, აიღე შავი და ახლავე გაუშვი ეს ფელეტონი, თვარა...

–რა ამბავია, ვინ ხარ შენ?! –შემკრთალი მეკითხება.

–ხომ ხედავ ფარატინებს, ვერ მიხვდი, საიდანაც უნდა ვიყო? ახლავე გადახაზე შავად ეგ წითელი ხაზები და წააწერე –დაიბეჭდოს. ჩქარა! მივაძახე და თან ხანჯალზე ხელი დავიდე.

–კაცო, შამილობაა... რა ამბავია?!

აცახცახდა, ლუღლუღი დაიწყო... გადაუსვა წითლებს შავი მელანი და წააწერა –დაიბეჭდოსო“, – იხსენებდა გაზეთზე ზეწოლის ერთ-ერთ ეპიზოდს დავით მესხი.

„დროება“ თანმიმდევრულად იბრძოდა სამოციანელთა ესთეტიკური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის. მის ფურცლებზე გამოძახილს პოულობდა იმდროინდელი საზოგადოებისათვის თითქმის ყველა საინტერესო საკითხი. ამიტომაც გაზეთი თერგდალეულთა მხატვრული ზრდისა და პუბლიცისტური ოსტატობის ნამდვილ სარკედ იქცა.

დავით მესხი მახვილი იუმორით ებრძოდა საზოგადოების მანკიერ მხარეებს. მან თავისებური „ეკალი“ ჩადო ლიტერატურის ამ ჟანრში. მკითხველი ყოველთვის მოუთმენლად ელოდა მის წერილებს.

უაღრესად საინტერესო იყო დ. მესხის მოღვაწეობა იუმორისტულ ჟურნალებში. მაშინ, როდესაც იოსებ გრიშაშვილი ქართული იუმორის ისტორიის წერას შეუდგა, მან დ. მესხს შემდეგი წერილით მიმართა: „ძვირფასო დათიკო. ვწერ ქართული იუმორის ისტორიას და გთხოვ მომანდო შენი ავტობიოგრაფია საჩქაროდ... ამ დარგში შენი მოღვაწეობა ქუთაისში და ფსევდონიმებიც: ვის ჰკილავდი, ვის ჰკეწლავდი, საზოგადოს, თუ კერძოს, ყველაფერი მომწერე... მეორე: მომწერე სია შენ მიერ ნათარგმნი პიესებისა. საკუთარი ცალკე ჩამიწერე და ნათარგმნი ცალკე“...

„ჩემი იუმორის ისტორიის შესახებ მელაპარაკები, –ჯერ პროგრამა არა მაქვს. მინდა კი დავიწყო ძველი პერიოდიდან: ხელნაწერების სახით, მერე „გაზეთი გაზეთში“, „პატარა ფელეტონები“, მერე 1905 წლისა და შემდეგი წლების იუმორისტული ჟურნალები... შენ რას მირჩევ? შენი აზრი მომწერე. იქნება გაქვს პროვინციაში გამოცემული საოხუნჯო ალმანახები. ან რა გადავათვალიერო. ცენტრისა ყველა მაქვს, მინდა ქუთაისს ბათუმიც მივაყოლო. ქუთაისის მამამთავარი შენ იქნები. რასაკვირველია... მომწერე რაზე აეშლებოდით ხოლმე შენ და ეშმაკი? იქნებ საოხუნჯო მასალები გაგახსენდეს“...**(11, გვ.149)**.

დ. მესხმა დაუყოვნებლივ შეასრულა ი. გრიშაშვილის თხოვნა. დ. მესხი ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობდა სხვადასხვა ფსევდონიმებით, რომელთაგან განსაკუთრებით ცნობილია

„სამშაბათელა“ და „კვირიკე“.

1913 წლის 19 მარტს გამოგზავნილ წერილში ი. გრიშაშვილი დ. მესხს წერდა: „დათიკო გენაცვალე“, დღევანდელ „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილი განცხადება –ანონსია, ამოსჭერი და „კოლხიდაში“ გადაბეჭდე, მე კვირას ამოვალ... შენი **ს ა მ შ ა ბ ა თ ე ლ ა** წავიკითხე „მორევშიც“. რა ამბავია კაცო, სულ შენ მუშაობ?!“.

დ. მესხის მეგობარი ქალის ლიზა ტყეშელაშვილის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „სულით და გულით მოგილოცავ ახალ წელს ჩემო „კვირიკე-დათიკო“. ამ წერილებიდან ცხადი ხდება, რომ „კოლხიდასა“ და „იმერეთში“ სამშაბათელასა და კვირიკეს ხელმოწერით დაბეჭდილი წერილები დავით მესხს ეკუთვნოდა.

დ. მესხი „დროების“ რედაქციაში მუშაობდა 1880-1883 წლებში. 1883 წელს „დროება“ ივანე მაჩაბლის ხელში გადავიდა, ხოლო სერგეი მესხი სოფელ რიონში დაბრუნდა. ძმასთან ერთად „დროების“ რედაქცია დავით მესხმაც დატოვა.

სერგეი მესხის სიკვდილის შემდეგ დ. მესხმა გადაწყვიტა საბოლოოდ დარჩენილიყო სოფელში, მაგრამ ივანე მაჩაბელმა მას რამდენიმე წერილი გაუგზავნა თხოვნით, დაბრუნებულიყო „დროების“ რედაქციაში, და კიდევაც დაითანხმა იგი. დ. მესხი რედაქციაში დარჩა ვიდრე გაზეთი არ დახურეს, ე.ი. 1885 წლამდე.

„...ახლა კი სამუდამოდ გამოვეთხოვე „დროების“ რედაქციას, –იგონებდა დ. მესხი და ისევ რიონს დავბრუნდი. კარგა ხანმა განვლო, სარედაქციო მუშაობა აღარ შემხვედრია. მაგრამ წერა არ დამიგდია. წერილებს ვაწვდიდი „სახალხოს“, „თეატრსა და ცხოვრებას“, „ნიშადურს“ და კოტე მესხის ერთობ ხანმოკლე „პატარა გაზეთს“...

დ. მესხი იყო აგრეთვე გაზეთების „კოლხიდის“, „იმერეთისა“ და „თემის“ აქტიური თანამშრომელი. აღნიშნულ გაზეთებში იგი ბეჭდავდა არა მარტო პუბლიცისტურ წერილებს, არამედ თავის ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მოთხრობებსა და ლექსებს...“ **(20, გვ. 27)**.

დავით მესხი დიდი პოტენციის მწერალი არ იყო, მაგრამ მისი სტატიების თემატიკა და ჟანრი საყურადღებო იყო ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისათვის. ეს თვით დავითმაც კარგად იცოდა და ხუმრობდა: „ჩემი „იმერელის წერილები“ ერთგვარ შთაბეჭდილებას ახდენდა და თუ მწერალი არ გავხდი, მათ მარაქაში მაინც გავერიე-ო“...

დავით მესხისათვის „დროების“ რედაქცია იყო განათლების, კულტურის, სულიერების, ინტელექტუალური აზროვნებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის ნამდვილი კერა, სადაც თავს იყრიდნენ 19-ე საუკუნის მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ღირსეული წარმომადგენლები: ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, დავით ერისთავი, ივანე მაჩაბელი, იონა მეუნარგია, ალექსანდრე ყაზბეგი და მათი მასპინძელი სერგეი მესხი.

„...აკაკის წვევა დღესასწაული იყო ჩვენთვის, თუ რასმე დამზადებულს მოგვიტანდა, თუ არა და დავედრიჯებოდით, დავსვამდით რედაქტორის ოთახში და მალე ან ლექსი იყო მზად, ან სხვა რამ სხარტული მასალა, რაც გაზეთის ნომერს შნოს აძლევდა.

ჩვეულებრივ მოგვინახულა მგოსანმა. შემოვიდა ღიმილით, ჩუმი ღიღინით, ჩვენც გავმხიარულდით, ვიცოდით, რომ ასეთ გუნებაზე როცაა, უთუოდ აქვს რაიმე ძვირფასი ძღვნად. დაჯდა, იგივე ღიმილი, მხიარული სახე.

–ჰო, კარგი ახლა, რაღას გვაწვალებ, მოიტა! –და ხელი გავუშვირე.

–ჯიბეს გაიკარ ხელია!–იხუმრა ხონელმა.

–არა, შვილო, იმ ჯიბეს ერთხელ თქვენც გაიკარით ხელი! – გვეუბნება. – ეტლი მიცდის, გაისტუმრეთ და...ლექსიც იქნება!

–ამ ერთი მანეთის მეტი არაა რედაქციაში, შემოგფიცავ, აკაკი! –და მანეთიანი გავუწოდე.

–დაგჯერდები... მეც უნდა დაგჯერდე, მეტი რა გზაა?!

და ამოიღო, წაგვიკითხა „არაბი ფაშა“, საუცხოო ლექსი, აჯანყებულ აბაშელების სარდალზე დაწერილი. აღტაცებით მოვისმინეთ. პეტრე უმიკაშვილმა თქვა:

–ყმაწვილებო, ქართული მწერლობის მომავალმა მემატიანემ, დეე, გულის ტკივილით მოიხსენიოს ის ფაქტი, რომ საქართველოს უწარჩინებულეს მგოსანს –აკაკის ერთადერთი ქართული გაზეთის რედაქციამ ერთი მანეთი მისცა ისეთ ლექსში, როგორიც „არაბი ფაშაა“...**(19, გვ. 45)**.

აკაკი წერეთლის მსგავსად თავისი ყოველდღიური შემოქმედებითი შრომით რედაქციის

გაჭირვების ტალკვესი იყო ალექსანდრე ყაზბეგი.

„ალექსანდრე ყაზბეგი დილიდან საღამომდის იჯდა ხოლმე რედაქციაში და თავაუღებლივ წერდა საგაზეთო მასალებს. ამ დაძაბულ შრომაში „მას ხელს არ უშლიდა მეორე ოთახიდან ხმაური, ხმამაღალი ლაპარაკი, უბეში ჩახუტებული სერგეის მაიმუნი „ჟაკო“, რომელიც ხშირად გამოჰყოფდა ხოლმე თავს და კალამს მოსტაცებდა, ხან ქაღალდის ფურცლებს წაართმევდა და ჩაიბღუჯავდა უბეში“.. **(21, გვ.51)**.

ამბობდნენ, რომ დავით მესხს ქართული ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკისადმი სიყვარული სერგეიმ ჩაუნერგა, ხოლო თეატრისადმი კოტე და ეფემია მესხებმა. თუმცა, როგორც ყველა ანდრია მარჯანიშვილის შთამომავალს დავით მესხსაც გულსა და სულში ჰქონდა ჩაბუდებული სასცენო ხელოვნებისადმი სიყვარული.

„... ჩვენი დიდი ოჯახის უმცროსები: დათიკო, მე და მარიამი ჩვენი კარის მეზობლის ეფროსინე კლდიაშვილის, პეტრე ნაკაშიძის შვილებთან ერთად ვმართავდით საბავშვო წარმოდგენებს. ოჯახის უფროსი წევრები გვიმზადებდნენ ტანისამოს, გვიწყობდნენ სცენას, გვასწავლიდნენ...

ჩემი ძმა დათიკო იყო ჩვენი რეჟისორი, ძალიან სასტიკი, ვაი იმის ბრალი, ვინც როლი ზეპირად არ იცოდა.

ერთხელ მოვამზადეთ აკაკი წერეთლის ვოდევილი „ბუტიაობა“ და რუსული საბავშვო პიესა „ჭიქა წყალი“. ეს იყო 1877 წელს. ოსმალეთთან ომიანობის დროს ყველა ოჯახში რამეს ამზადებდნენ მეომრებისათვის გასაგზავნათ.

ჩვენც გადავწყვიტეთ ჩვენი წარმოდგენებიდან შეგვეგროვებინა ცოტა რამ და გაგვეგზავნა იმათთვის. ამ მიზნით წარმოდგენის დღეს დარბაზში ჩამოვკიდეთ ყულაბა წარწერით: „წითელი ჯვრის სასარგებლოდ“, რომ სურვილისამებრ ვისაც რამდენი შეეძლო, შეეწირა...

ჩვენს წარმოდგენებს ბავშვების გარდა ესწრებოდნენ ოჯახის უფროსებიც. მახსოვს ამ წარმოდგენას დაესწრო ნიკო დადიანი – დიდი ნიკო. თავისი პატარა ქალ-ვაჟით –შალვათი და მარიამით.. ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჩვენს თამაშში და აღტაცებით გვიკრავდა ტაშს... წარმოდგენის მეორე დღეს ნიკო დადიანმა იხმო თავისთან ჩვენი რეჟისორი და ურჩია სცენიდან კარგი ქართული ენით ლაპარაკი და უფრო შესაფერი პიესების არჩევა “... **(21, გვ.8)**.

დავით მესხი ქართულ სცენას პირველად 1879 წელს უფროსი ძმის კოტეს თხოვნით დაუკავშირდა:

„...დათიკო, თბილისის ქართული დასი ჩამოდის და უნდა წარმოდგენები გამართონ. ოთხშაბათს მოდიან. ხვალ დილით მოგელი, ჩამოდი უსათუოდ ადრე, საჭირო ხარ –დეკორაციებს უნდა გაკეთება. კოტე“...

ამ ქვეყნად არაფერი უმიზეზოდ არ ხდება. კოტე მესხმა ქუთაისის მაშინდელი გუბერნატორის მალაფეევის ნებართვით, საგუბერნიო კანცელარიაში ქართული წარმოდგენებისათვის სცენის მოწყობის შემდეგ დათიკო შეაგულიანა და სცენაზე გამოიყვანა.

„...დათიკო მესხი –უფრო იმერული როლების განმსახიერებელი და საერთოდ დიდად ნიჭიერი კაცია თეატრში, დეკორატორი, რეკვიზიტორი, ბუტაფორი, მთარგმნელი, ავტორი პიესების, ლექსების და სხვადასხვა საესტრადო ნომრებისა. იმავე დროს იგი იყო მშვენიერი ჟურნალისტი“, –აღნიშნავდა შალვა დადიანი.

დ. მესხს თეატრალური ქუთაისი იცნობდა, როგორც „კარგ ნიჭიერ მსახიობს და საოხუნჯო იმერული სცენების ზეპირად მთქმელს“, –წერდა გაზეთი „კვალი“.

თანდაყოლილი იუმორის გრძნობა მას შველოდა როგორც ჟურნალისტიკაში ასევე სცენაზეც. დ. მესხმა სამახსოვრო სახე შექმნა ა. ცაგარელის პიესებში:

„...ერთხელ ასიკო ცაგარელის პიესაში, მახსოვს, კოტემ კინტოების როლებიც დაგვაკისრა მე და კოლა ბადრიძეს. გაბედულობის ასაწევად, წარმოდგენის საღამოს ორივე ძალად გაკინტოვებულმა თითო ბოთლი ღვინო ვხუხეთ... სანამ ჰაერზე ვიყავით არაფერი, თავს მარჯვედ ვგრძნობდით, მაგრამ კულისებში, რომ შევედით და ცხელი ბუღი დაგვეტაკა, მტრისას, ფეხიც კი აგვერია, ქანაობა დავიწყეთ. გვიყვირა კოტემ... მოატანინა ნიშადური და ოცოცი წვეთი შეგვახუხეს. ცოტად გამოვფხიზლდით და წარმოდგენასაც გადავრჩით მშვიდობით. გიორგი წერეთელმა რეცენზიაში დაწერა: „დავით მესხი ჩინებულად ასრულებდა კინტოს როლსო“... **(21, გვ.53)**.

კოტე მესხი ცნობილი იყო, როგორც მკაცრი, მომთხოვნი და სამართლიანი რეფორმების გამტარებელი რეჟისორი, რომლის სუსხი დათიკოსაც არაერთხელ შეეხო: „...კოტე განურჩევლად ყველას სასტიკად ექცეოდა და თავისიანებს ხომ უფრო მეტად შეუტევდა ხოლმე. ხშირი იყო არტისტების რეპეტიციიდან მოკურცხვლა. ერთხელ მახსოვს, მეც გავექეცი, როცა მიყვირა. შინ რომ მოვიდა მითხრა: „იმიტომ გექცევით ასე, იქნებ, დანარჩენებს შევასმინო რამე-ო“... **(21, გვ.97)**.

ქუთაისის თეატრში 1892-1893 წლების სეზონი „ურიელ-აკოსტათი“ გაიხსნა, სადაც დე სილვას როლს დავით მესხი ასრულებდა: ასევე ემზადებოდა იგი „პეპოში“ მონაწილეობისათვის, როდესაც შენობა დაიწვა.

თავისი და-ძმების მსგავსად დავითი ბაქოს ქართულ თეატრშიც მოღვაწეობდა: „აქაურებს შენ უნახიხართ იმერულ როლებში, მთხოვეს შენ გთხოვო ჩამოსვლა. ჯიბის ფულად 50 მანეთს გიგზავნი“, –უთვლიდა ეფემია მესხი.

დავით მესხი ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს ემსახურებოდა, როგორც მწერალი, მსახიობი, მთარგმნელი და დრამატურგი. მას ჰქონდა ღრმად წვდომის უნარი, ლიტერატურული გემოვნება, აზრის სითამამე, რაც არასდროს ღალატობდა.

რედაქციაში მუშაობის პარალელურად დ. მესხი უცხოურ და რუსულ ენებიდანაც თარგმნიდა, უფრო ხშირად თეატრისათვის აქართულებდა პიესებსა და სცენებს. მაგალითად, დ. მესხის გადმოქართულებული ხუმრობა –ვოდევილი–„სუსტი მხარე“ დაიდგა თბილისში 1880 წლის 7 დეკემბერს. დ. მესხმა მთარგმნელობითი მუშაობა შემდგომშიც გააგრძელა. მას ეკუთვნის პიესების „მედეას“,„ადრიენა ლუკუვრერის“ და სხვათა თარგმანი. დ. მესხი წერდა კომედიებსაც. მისი კომედია „გემრიელი ლუკმა“ 1898 წ წარმატებით დაიდგა, – წერდნენ გაზეთ „დროების“ ფურცლებზე.

„...ზოგიერთი პიესების თარგმანში მას (კოტე მესხს) ეხმარებოდა ჩემი ძმა დათიკო. სხვათაშორის იმათი გადმოქართულებულია პიესები: „მარგარიტა გოტიე“,„ადრიენა ლუკუვრერი“, „მადამ სანჟენი“, „დენიზა“, „მედეა“, „მეგობრები“, „ღალატი“ და სხვა.

ეს პიესები თავის დროზე ბევრჯერ დადგმულა ჩვენს სცენაზე და ასეთი რეპერტუარის ყურისმგდებელი არ იყო რჩეული საზოგადოება, როგორც იმ დროს ეძახდნენ, არამედ მათ ისევ „შაურიანი“ ხალხი“ უსმენდა... **(21, გვ.46)**.

დავით მესხი თბილისსა და ქუთაისში ჩატარებულ ლიტერატურულ საღამოებში აქტიურად მონაწილეობდა. მე-19 საუკუნის 90-იან წლებიდან მოყოლებული ქუთაისში არ ჩატარებულა თითქმის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღონისძიება დ. მესხის მონაწილეობის გარეშე. დ. მესხთან ერთად ლიტერატურულ საღამოებში მონაწილეობდნენ: აკ. წერეთელი, დავით კლდიაშვილი, გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია, სილოვან ხუნდაძე, ი. გრიშაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, ცახელი, დ. თომაშვილი, ვ. რუხაძე.

ახალგაზრდა დამწყებ მოღვაწეებს დ. მესხი ყოველთვის გულისხმიერად და მზრუნველობით ეკიდებოდა. ამ მხრივ დ. მესხისა და ი. გრიშაშვილის ურთიერთობა განსაკუთრებით საინტერესო იყო. თავის მხრივ ახალგაზრდები დაუღალავ მოღვაწეს დ. მესხს ყოველთვის მოწიწებითა და ღრმა პატივისცემით ეპყრობოდნენ. მაგალითად, ი. გრიშაშვილი თავის ლექსებს და პატარა ფელეტონებს ყოველთვის დ. მესხს უგზავნიდა თხოვნით –შეემოწმებინა და თუ გამოადგებოდა შემდეგ გადაეცა დასაბეჭდად. „ძმაო დავით, სად ხარ და როგორ ცხოვრობ? დამივიწყე ხომ, – მე მაინც მახსოვხარ და მიყვარხარ, როგორც ჩემი პირველი ნაბიჯის მოწმე ქუთაისის სცენაზე. პირველი ადამიანი, რომელიც დამამახსოვრდა ქუთაისში, ეს შენ იყავი. შენი მზრუნველი ხელი და ღიმილი ეხლაც მახსოვს“...

ი. გრიშაშვილის, ტ. ტაბიძის და სხვათა თხოვნით, დ. მესხმა დაწერა მეტად საინტერესო „მოგონებები“, რომელიც ჯერ ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა (1935 წ. №1 და 2-ში), ხოლო შემდეგ ცალკე გამოსცა „ფედერაციამ“. **(24, გვ.23)**.

დ. მესხს ცხოვრების მიზნად დასახული ჰქონდა ქართველ ხალხში დემოკრატიული სულიკვეთების გაღვივება და მას ამ პრინციპებისათვის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ უღალატია. იგი კეთილსინდისიერად იღწვოდა ქართული თეატრისა და ლიტერატურის საკეთილდღეოდ.

დავით მესხმა ჩვეული იუმორით თავისი დის ფეფიკოს საიუბილეო სადამოზე დამსწრეთ მეტად საინტერესო ეპიზოდზე მოუთხრო: „კაი ხანია სადღესასწაულო იყო შენი სასცენო შრომა.

შენი იუბილე ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს უნდა გადაეხადათ..

ამ მოხუცებულობის დროს კაი სიხარული მოგაწოდეს... ინებოს ღმერთმა კარგად და ჯანიანად კაი ხანს გაცოცხლოს. შენ კი არა, სიბერის ხანს მეც მომიგონეს. გამიხსენეს პატარა მწერალი, პატარა კოჩი –პენსია მაქ და ისე დავდივარ, ვით კარგი ყოჩი... ახლა აქვე მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო. ეს ამბავი კინადამ სახიფათოდ გათავდა ჩვენთვის–შენთვის და ჩემთვის, ორმოცი წელიწადი კი უნდა იყოს მას შემდეგ, რაც თბილისი გადარია ერთმა ოპერის მომღერალმა ქალმა –პავლოვსკაიამ. ბენეფისი იყო ამ ქალის... მომღერალს ეტლი მოართვეს... ხალხი ელვისებურ მიცვივდა ეტლს, გამოხსნა ცხენები და თვითონ გაება შიგ. ყიჟინითა და ვაშას ძახილით ეტლს უკან მიყვა ეს ხალხი. ხელიხელგაყრილი მე და შენ გაგვიტანა ამ ხალხის დენამ. შენი გულის ცემა მესმოდა, ორივე აღტაცებული ვიყავით.

და უეცრად სადღაც გამიქრი. თურმე ნუ იტყვი, ქვაფენილს რომ მივყვებოდით, ერთი სახლის ქვედა სართულს მოაჯირი მოშლოდა. შენ იქ ფეხი გადაგცდენოდა და ქვევით ჩავარდნილიყავი. მე ერთს წამს დავიბენი და გამოვერკვიე მხოლოდ მაშინ, როცა მომესმა: –ქალი გადაიჩეხაო... იმ წამსვე მე შენსკენ გადმოვეშვი... ცოტა გული შეგღონებოდა... ამოვჩოჩდით იმ ორმოდან... ორმოც წელიწადზე მეტი იქნება მას აქეთ.

გავიდა 40 წელიწადი და დღეს შენ გიხდიან დღესასწაულს, აფასებენ შენს ღვაწლს მშობლიური თეატრისათვის... დღეს, იქნება შენს ეტლში არ გაებან და არ მიგიყვანონ ბინამდე, გული არ დაგწყდეს, აღარც ეტლებია... შიგ „დიდებულები“ ჩასვეს და შორს გზას გაუყენეს...

გული ნურც იმით გაგიტყდება, თუ ფულიანი არ იქნეს შენი 40 წლის მოღვაწეობის დაფასება, სულითა და გულითადი იქნება იგი და ეს ყოველ ჯილდოს გერჩიოს.

გაგიმარჯოს!

ეს ამბავი მოვიყვანე აქ იმის საბუთად, რომ ჩვენი ოჯახის წევრებს, თითქმის ყველას რამდენად გვეინტერესებოდა ყველაფერი, რაც კი თეატრს შეეხებოდა: ჩვენს ორს კინადამ კისერიც მოგვატეხია ამ თეატრის საქმის სიყვარულმა“...

დავით მესხი ყოველთვის უმსუბუქებდა ერის სამსახურში მყოფ თავის და-ძმებს მძიმე ტვირთის ზიდვას. ის იყო დიდი ბუნების ადამიანი, დაჯილდოებული იუმორის მადლით, რომელიც მოხუცებულობაში ერთგვარადაც კი უმსუბუქებდა ცხოვრებას:

„...სიბერემდე სიქაჩლეო –ამ მოხუცებულობაში პედადოდობაც დავიწყე. აქაურ შვიდწლედში (იგულისხმება სოფელი რიონი) რუსულის გაკვეთილები თავს მომახვიეს, არ იქნა, ხელიდან ვერ დავუძვერი...

...ბავშვების ჩიჩინმა გამომალაყა, ისეც გამოლაყებული. ოჰ, ერთი შენ გაგაგონა ამათი „უდარენიები“. კარგა მოჩოტმა ქალიშვილმა ამას წინათ დაიჟინა í àï èñàëà, í àï èñàëà... í àï èñáëà–მეთქი! ის კიდევ თავისებურად í àï èñàëà....

რომ იცოდე –მეთქი –რას ნიშნავს ეგ შენი í àï èñàëà გაწითლდები და აქედან გავარდებიმეთქი. გაეგო, ეკითხა და სამ დღეს კლასს აღარ გაკარებია... ბოდიშს ვიხდი-ამისთანები ხშირია...უარესიც...

წაიკითხე ჩემი „მოგონებანი“...იცი, რო გამინახევრეს... ისარლოვიც არ ყოფილა იმ დროში, ამისთანა მკაცრი ცენზორი...

ბევრი უცოდველი ადგილები ამოშალეს, მაგრამ ეს ჩემი გაგებით იყო უცოდველი და მათთვის იქნებ გადამეტებული ცოდვილიანიც გამოდგა. გული კი დამწყდა და წერის ხოშიც აღარ მოდის... ბევრს მთხოვენ მოგვაწოდე მასალებიო, მაგრამ ðóêó í å ääàéî à..

ეჭვი დაგბადებია ისარლოვთან რო „ისტორია“ მქონდა. ჭეშმარიტი სიმართლეა“, –წერდა დავითი თავის მეგობარს ლიზა ტყეშელაშვილს.

დავით მესხი იყო უკანასკნელი მოჰიკანი მესხების მრავალრიცხოვანი ოჯახის დედმამის შვილებიდან, რომელმაც ბოლოს ეს საწუთრო დატოვა. მას არ ჰქონდა პრეტენზია დიდ ჭკუაზე, დიდ სწავლაზე, დიდ ენერგიაზე, დიდ მოღვაწეობაზე, მაგრამ ანდრია მარჯანიშვილის შთამომავალთა დამახასიათებელ თვისებაში თავისუფლებისადმი შეუნელებელ სწრაფვასა და სიკეთეში მათი თანაბარი და თანასწორი იყო.

დავით მესხის ცხოვრება, ისე როგორც ყველა ჩვენგანისა, ეპიზოდებისაგან შედგებოდა, რომელიც შეუმჩნევლად ერთმანეთს აეკინძება ხოლმე და ბოლოს, ერთად „შეკრული“ წინ დაგვხვდება. იგი გზებს ზეცაში არასოდეს ეძებდა, რადგან დედამიწაზე გზა არასოდეს დაბნევია და კარგად იცოდა რისთვის მოვიდა და რა უნდა ეკეთებია...



მსახიობი, მთარგმნელი
და ჟურნალისტი
დავით მესხი

„...ეკრძალა თუ არა რაიმე ლიტერატურული სიმთნე მესხის ოჯახის აღტაცებას? ლეკვიანლელია საზოგადოებისათვის საგულისხმო ლაპარაკი ეს მითხრეს? რაღა ამ მიხეკერტულობის დროს ვიკრძალო ამ ვაღლის მიხლა? შეეძლება თუ არა მე – ერთ-ერთი ჩვენი ამ ოჯახისა – სწორი გზა დაეკარგა, გზა იმისა, რომ ურაკლიოდ აღვირსხა ვითარება ამ ოჯახისა, ისე რომ ნათესაურმა გრძნობამ არ გაამეტებინოს?“

დავით მესხი

ეფემია და დავით მესხები

მაგდალინა მარჯანიშვილისა და სიმონ მესხის
შთამომავლები: შვილები და შვილიშვილები

წუთისოფლის ხანმოკლე ქამით დაღდასმულნი

„წოდება როდი ამაღლებს კაცსა,
წოდებას თავად ამაღლებს კაცი“.

ჯამი

„...წუთია წუთის ქვეყანა, წუთის წუთობით იწვება“, მართლაც წუთისოფელს წუთიერი სიცოცხლით მოევლინენ ძმები: მიხეილ, ნესტორ და კონსტანტინე (კოწია) მესხები.

„ძალაუნებურად მაგონდება აქ ძველთაგან ნათქვამი მესხების გვარზე: მესხი იშვიათად გადასცდებაო სამოც წელიწადს და თუ კი გადასცდა, მერე ოთხმოცსაც გადააბიჯებსო. ყველა ჩემიანი, გარდა ივანესა და ჩემისა, სამოც წლამდის არ მიღწეულან“, –წერდა დავით მესხი.

„სერგეის ნათლიას მელიტონ დადიანს უჩუქებია მამისათვის ქუთაისში სამოსახლო ადგილი, სადაც მას აუშენებია ოთხი თვალი ქვის სახლი და იქ დაბინავებულა. დანარჩენი შვილები: მიხეილი, ნესტორი, კოტე, დათიკო, მე, მარიამი, კონსტანტინე და ნინო ქუთაისში ვართ დაბადებული“, –აღნიშნავდა ეფემია მესხი.

„ქუთაისელი ბავშვებიდან“ მიხეილი ბავშვობიდან ყველაზე ონავარი იყო.

„თითქმის ყოველ შაბათობით თუ არა, ორკვირაში ერთხელ უთუოდ აბანოში უნდა წავსულიყავით უფროსი ძმის, ან მოჯამაგირის თანხლებით... ერთ შაბათ საღამოს ნააბანოვარი შინისაკენ მივდივართ. უფროსად ივანე გვახლავს. ივანეს მომდევნო ვაჟი მიხა იყო ძალიან ცელქი, ქვასროლია. ძაღლს არ გააცდენდა, ქვა არ მიეყოლებია. ახლაც ატყდა, ივანეს აკრძალვას ყური არ უგდო. შენიშნა ძაღლი და ქვაც ხელში მოიმარჯვა. ძაღლი აღმუვლდა, მაგრამ გასროლილმა ქვამ ისხლიტა და იქვე სამიკიტნოს მინა ჩაამტვრია. გამოვარდა მიკიტანი, ააგლიჯა მიხას ქუდი და შებრუნდა დუქანში. ივანე ბევრს ეხვეწა, ვინაობაც უთხრა ჩვენი, მაგრამ მიკიტანმა უყვირა, შეუკურთხა კიდეც და ივანემ ვერ გააწყო რა. გულგახეთქილები დავბრუნდით შინ. მიხა ტიროდა... –რა ამბავია, რა დაგემართათ... – გვეუბნება მამა, ივანე მოუყვა ყველაფერს.. გაცეცხლდა მამა... მიიჭრა იმ მიკიტანთან ერთი თავკოპალა ჯოხი მიაყოლა, დაჰყვა და ჯერ მინები დაულეწა ერთიანად, შემდეგ თაროებს მისდგა და სასმელებიანი ბოთლებიც მიამსხვრია დიდ ძალი.

– წადი ახლა და მიჩივლე! – მე სისო მესხი ვარ, ნააბანოვარ ბავშვს ქუდი მოგლიჯე, შენი ერთი ფანჯრის ფასს ვერ გადავიხდიდი“-ო.

„მიკიტანს ორ მოზრდილ გობზე დაეგროვებინა სიმონის დამტვრეული ჭურჭელი. დუქნის წინ დაეწყო და პოლიციელის გამოვლას უცდიდა. ამ დროს ჩამოევლო „კვარტალს“ და ჭურჭლის დამტვრევის ამბავი რომ გაეგო, ეთქვა: „ახლა გაგწყრომია ღმერთი!... – სისო მესხის შვილს ქუდი რომ წაართვი, შენი ერთი ფანჯრის ფასს ვერ გადაგიხდიდა, შე უბედურო! სუდის სეკლეტარია, კანონი და სამართალი მის ხელშია... იმას უპირობ ჩივილს? ეიღე, ეიღე, შეათრიე დუქანში ახლავე... არ გაგიწყრეს ღმერთი, არაფერი გაამხილო, თვარა გაგაციმბირებსო“... **(21, გვ.13).**

რა თქმა უნდა სიმონს პასუხს აგებინებდნენ ჩადენილი საქციელისათვის, მაგრამ მაგდალინა მარჯანიშვილმა და მისმა უფროსმა შვილმა გიორგიმ, სიმონის გაუგებრად მიკიტანს ზარალის ნაწილი აუნაზღაურეს და ამით უსიამოვნება თავიდან აიცილეს...

ასე ძვირად დაუჯდა ცელქი მიხა ბიჭის საქციელი მესხების ოჯახს.

სუსტი აგებულების მიხეილი ბავშვობიდან ავადმყოფობამ დაჩაგრა. სწავლას მოწყურებულმა ჭაბუკმა ქუთაისში მხოლოდ მრევლიშვილის პირველდაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა.

მიხეილ მესხი მერე სოფელ რიონში დამკვიდრდა და მთელი სიცოცხლე მამა-პაპეულ სახლ-კარის მოვლა-პატრონობაში გაატარა, სადაც მასთან ერთად ცხოვრობდნენ უფროსი და-ძმის გადია სოფიო და მოურავი ივანიკა. ადგილ-მამულიდან მესხების ოჯახი დიდი სანოვაგით მარაგდებოდა.

სოფელს უყვარდა მართალი და ალალი მიხეილი. ჭირსა და ლხინში ყველას დამხმარე, მოზარე და თანამგრძნობი. ისიც სცენისმოყვარეთა და-ძმის მარქაფაში ირიცხებოდა.

მიხეილის მომდევნო იყო ნესტორი. მშობლებისაგან გამოყოლილი ნიჭითა და კეთილი თვისებებით ნესტორი ცამეტივე და-ძმაში გამოირჩეოდა.

„ნესტორი ძალიან ფაქიზი კაცი იყო, თანაც გულფიცხი: არისტოკრატიული მიდრეკილება ჰქონდა. აკაკი წერეთელი ფხიკიან იმერელს ეძახდა, ვერც იმის არისტოკრატიულობას ურიგდებოდა. ყვარელში ნესტორი ჭავჭავაძეების ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, სანატრელი სტუმარი ყველგან, როგორც კარგი „სუფრის კაცი“, მახვილი მოსაუბრე, მომლხენი, მომღერალი, მაცეკვარი....

აკაკის საკბილო არისტოკრატიული ელფერი ნესტორს კახეთში, ჭავჭავაძეთა ოჯახში ჰქონდა შენაძენი“... **(21, გვ.49).**

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნესტორი ბიძასთან ალექსანდრე მარჯანიშვილთან ცხოვრობდა და ყვარელში მასწავლებლობდა.

„იმ დროს აკაკი ხშირი სტუმარი იყო რედაქციისა. ღამესაც იქ ათევდა. ჩემს ძმას სერგეის ძალიან უყვარდა საზოგადოდ ცხოველები და განსაკუთრებით ჩხიკვი – მატია ჩიტი. სერგეის საწერი მაგიდა და საერთოდ, მთელი რედაქცია აფორიაქებული იყო ამ მატიასაგან...

ზაფხული იყო. თბილისის სიცხეები. აკაკის ხალს ან ჭილობს გავუფენდით იატაკზე, ზეწარს გავუშლიდით, ზეწარსავე-სახურავად. პერანგა წვებოდა. რედაქციის ამ დიდ ოთახში ვწვებოდით მე და ჩემი ძმა ნესტორიც, რომელიც იმ დროს კახეთში, ყვარელში იყო მასწავლებლად და არდადეგების გამო შინისაკენ, ქუთაისს მიმავალმა თბილისში გამოიარა...

ერთხელ დილით აკაკის მხიარულ გუნებაზე, „თავის ღიმილით“ გამოეღვიძა. ვინც კი დაკვირვებული იყო, აკაკის ასეთი სახე იმის მეტყველი იყო, რომ პოეტს გონებაში ან ლექსი აქვს გამოკოპიტებული და ან უთუოდ რასმეს იოხუნჯებს. ახლაც ასე იყო, გამოვიდა თუ არა სერგეი ოთახიდან აკაკიმ მიაძახა:

–სერგეი, სერგეი! ამ შენმა მატიამ სწორედ სული ამოგვართვა, ძილი არ მოგვცა და მოსვენება. იალოზე მომპარვია და რაღაცას მაკვეტებს. რა უბედურებაა – მეთქი დაუქშიე, მოვისვი ხელი და შაქრის ნატეხი შემხვდა, ვესროლე წყეულს... გაბაციკუკდა, აიღო ის შაქარი და ამ შენს სახლისკაცს ნესტორს, გულაღმა პირღია რომ ეძინა შიგ პირში ჩაუგდო შაქარი და მოკურცხლა. გაღვიძებულმა ნესტორმა რომ ეს ამბავი გაიგონა, წამოვარდა და ფურთხება დაიწყო...

–არა ბიძია, რაღას აფურთხებ, ის შაქარი ახლა უკვე გამდნარია შენს კუჭში, – დასძინა აკაკიმ“.. ნესტორი გაწიწმატდა, ჩვენ სიცილი შეგვსკდა, აკაკი თითქო ნაწყენი იყო, ისეთი სახე მიიღო“... **(21, გვ.71).**

ნესტორ მესხი ყვარელში მუშაობისას ჭავჭავაძეების ოჯახში საქართველოს მოწინავე ინტელიგენციასა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს ხვდებოდა, სადაც ხშირად იმართებოდა დიდ სამოციანელთა და კონსერვატორიულად მოაზროვნე მამათა კამათი. პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა პედაგოგი დემოკრატიულ პოზიციაზე მდგომ შვილთა იდეებს იზიარებდა.

ნესტორ მესხი მშობლიურ ქუთაისთან და ქუთაისელებთან სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული. ღირსეული და ცნობილი კულტურული ოჯახის შვილი აქტიურად მონაწილეობდა ყველა საზოგადოებრივ თუ საქველმოქმედო ღონისძიებაში, რაც 1903 წლის 19 ოქტომბრით დათარიღებულ ეფემია მესხის წერილის ამონარიდიდანაც დასტურდება:

„ძმაო ნესტორ!

თუმცა გვიან არის, მაგრამ არა უშავს! გილოცავ ახალ წელს და გისურვებ ჯანმრთელად ცხოვრებას! ერთი სათხოვარი მაქვს შენთან და თუ ძმა ხარ უარს ნუ მეტყვი: ამჟამად ყველგან აგროვებენ საწყალ მესხიევისათვის ფულს (ლადო მესხიშვილი იგულისხმება), რომელიც ძალიან ავად არის და თუ დროზე არ გაიკეთა ოპერაცია, შეიძლება მოაღრჩოს ავადმყოფობამ. შეადგინე სია და მოაგროვე შენს კარგ ნაცნობებში რამდენიც შეგიძლია და დროზე გაუგზავნე. მე აქ ვაგროვებ“...

ნ. მესხი შთამომავალთა „ვალსაც“ პირნათლად იხდიდა.

ქუთაისის თეატრის სულისჩამდგმელი ძმის კოტე მესხის გვერდით იყო ნესტორიც.

„საერთოდ მესხების ოჯახიდან, გარდა ეფემიასი და დავითისა, კოტეს სხვა და-ძმებიც დროგამოშვებით მუშაობდნენ ქუთაისის სცენაზე.

დასში იყო ერთ დროს კოტეს და ანაც, აგრეთვე, ძმები ნესტორი და კონსტანტინე. დასში მუშაობდა, აგრეთვე, კოტეს მეუღლე ნატო მესხი. ეს ნათესაური კავშირი დასის წევრებისა ერთ–ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა მისი მთლიანობის შესანარჩუნებლად“,

–აღნიშნავდა თეატრმცოდნე გ. ბუხნიკაშვილი.

ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლებს თვალისჩინივით უყვარდათ ერთმანეთი. ისინი გულწრფელი სიყვარულით, სიკეთით და ალალად იყვნენ ერთმანეთთან შეკრულნი და ერთ ოჯახად შედუღაბებულნი. სიმართლის ტაძარში ერთად ლოცულობდნენ. მათ თეატრის უსაზღვრო სიყვარული და მოვალეობის სინდისიერად შესრულება აერთიანებდათ...

მაგდალინა მარჯანიშვილის ცამეტივე შვილი ერთიმეორის პატრონი, დამხმარე, მზრუნველი, თანამდგომი და თანამგრძნობნი გახლდნენ.

მესხების ოჯახი სიყვარულით, სიკეთითა და მაღალი ზნეობით იყო ძლიერი.

პარიზში მყოფი სერგეი მესხი 1873 წლის 8 დეკემბერს კირილე ლორთქიფანიძეს წერილში უმცროსი ძმების დავითისა და კოტეს შესახებ თხოვდა:

„თუ ძმა ხართ, შემატყობინეთ, ჩემი ძმები რას შვრებიან, სწავლობენ რიგიანათ, თუ არა. სთხოვეთ, ჩემ მაგიერ, რომ უთუოდ გრძელი, უშველებელი წიგნი მომწერონ ორივემ ცალ-ცალკე და ყველაფერი ამიწერონ, განსაკუთრებით თავიანთი სწავლის ამბები. რასაკვირველია, თქვენი იმედი მაქვს, რომ კარგათ უგდებთ იმათ ყურს“...

სერგეის არც ივანე მესხის ბედი ჰქონდა ღვთის ანაბარად მიტოვებული.

„...ივანეზედ რაც მოგწერე, იმაზე მეტს ვეღარ მოგწერ, გეუბნები, შენი äâî éí èê არის-მეთქი და სხვა რა გინდა“,– ატყობინებდა კირილე ლორთქიფანიძე.

ეფემიამ ბაქოში ქმართან ივანე გეპნერთან ერთად გადასვლისთანავე, თავისთან მიიწვია კოტე მესხი მეუღლითურთ და ბაქოს ქართული თეატრის სათავეში ჩააყენა. აქვე ჰყავდა მას ნაბოლარა ძმაც.

„მეთორმეტე შვილი და მერვე ვაჟი კოწია იყო. ქუთაისის გიმნაზიაში მხოლოდ საშუალო ცოდნა მიიღო. ქართულ-რუსულ წერაში მარჯვე იყო, ეხერხებოდა, მაგრამ შორს დარჩა ოჯახიდან, ბაქოში. მის ცოდნასთან შედარებით ბაქოს როტშილდის ნავთის წარმოებაში გვარიანი ადგილი ეჭირა“... **(21, გვ.25).**

ბაქოს თეატრალურ ცხოვრებაში კოწიაც ჩართული იყო.

იგი ბავშვობიდან სუსტი აგებულების იყო. უყვარდა ბოჰემური ცხოვრება. გარდაიცვალა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა. დაკრძალეს უფროსი და-ძმის გვერდით საგვარეულო სასაფლაოზე, სოფელ რიონის მაცხოვრის ეკლესიის ეზოში.

ახალგაზრდობაშივე სიცოცხლის ნაადრევად დასრულებული ძმების სვე-ბედი მოუშუშებელ და ღია იარად რჩებოდა ცოცხალთათვის, რომელთაც ერთი რამ ასულდგმულებდათ მხოლოდ-მათი ღირსეული მოღვაწეობით გაკვალული გზის ნათელი კვალი...

ძმების მიზანი ქართველ ხალხში დემოკრატიული სულისკვეთების გაღვივება, სიკეთისა და თავისუფლებისაკენ შეუნელებელი სწრაფვა იყო.

მათზე ყურადღება აქ საგანგებოდ იმიტომაც გავამახვილეთ, რომ თეატრალურ კულტურას მარტო დიდი ოსტატები როდი ქმნიდნენ. მართალია, მიხეილი, ნესტორი, კონსტანტინე, ანა, მარიამი, ნინო ქართულ სცენაზე ისე არ ბრწყინავდნენ, როგორც კოტე, ეფემია და დავით მესხები, მაგრამ ეს პატარა სანთლებიც იმავე საქმეს აკეთებდნენ, რასაც მნათობნი. ამიტომაც, მათთან ერთად ის პატარა სანთლებიც არ დავივიწყეთ და ჩამოლეწილი წლების ჩეროდან გამოვიყვანეთ...

მესხის ქალების მარად ჩაუქრობელი განცდა...

„...რა არის მოვალეობა?... შეასრულო მართალი საქმე, იზრუნო საკუთარ კეთილდღეობაზე და კეთილდღეობაზე ზოგადსაყოველთაო განსაზღვრებით, – სხვის კეთილდღეობაზე“...

ჰეგელი

იმ დღიდან მოყოლებული, როდესაც დედამიწაზე მამაკაცთა დომინანტობა დამკვიდრდა, ქალი ყოველგვარი უბედურების მიზეზი გახდა.

უძველესმა საისტორიო ერებმა ებრაელებმა, ბერძნებმა, ეგვიპტელებმა და სხვებმაც თავისი დამხობის მიზეზთა სათავედ დედაკაცი მიიჩნიეს.

ერთ დროს ზვიადი ებრაელები თავის ეროვნული ძლიერების დასუსტებასა და დამარცხებას დალილას აბრალებდნენ.

ტროას ლაშქრობის, დიდებული ილიონისა და ატრიდთა ოჯახის უბედურების მიზეზად ბერძნებმა ელენეს მშვენიერება მიიჩნიეს.

ხოლო ბჭე-მაღალ ფარაონთა დამხობასა და ეგვიპტის განადგურებას კლეოპატრას მხურვალებას მიაწერდნენ...

მთელმა კაცობრიობამაც ხომ სამოთხის დაკარგვის მიზეზად ერთხმად – პირველი დედა – ევა დაასახელა.

...მაგრამ, ძველ ხალხებშიც ერია ერთი ტომის ხალხი, ივერიელები, ანუ ქართველები, რომლებიც სულ სხვა თვალით უყურებდნენ ქალებს.

ამაზე მოგვითხრობენ თქმულება-გადმოცემები, მეცნიერული გამოკვლევები, სხვადასხვა წერილობითი ცნობები ქართველი მწერლებისა თუ უცხოელი მოგზაურების, რომლებშიც ასახულია ქალის დიდი და საპატიო როლი პატრიარქატის ეპოქაში.

ქართველი ქალები ყოველთვის ბრწყინავდნენ გარეგნობით, სულიერებით, სიბრძნით, შორსმჭვრეტელობით, ღირსებით, თავისუფლებისა და ჭეშმარიტების სიყვარულით. მიუხედავად ამისა ისინი მაინც არ იყვნენ მამაკაცთა თანასწორნი.

„დამტკიცებულია, რომ ქალი მარტო შვილოსნობისთვის, ტკბილი გრძნობისთვის და ქვეყნიერების დასამშვენებლათ არ არის გაჩენილი, დამტკიცებულია ათასი მაგალითებით, რომ ქალის ტვინსა და ხშირად ხელსაც ისეთნაირათვე შეუძლიათ კაცობრიობის სასიკეთოთ მოქმედება და მუშაობა, როგორც კაცებისას. ერთი სიტყვით დამტკიცებულია, რომ ცხოვრებაში ქალს თითქმის ყველა იმ მოვალეობის და საქმის ასრულება შეუძლია, რასაც ამჟამად მხოლოდ კაცები ასრულებენ.

მაშ, თუ ეს ასეა, რატომ ყოველგვარი უფლება, ყოველი საქმე მარტო კაცებს აქვთ მინდობილი? რატომ არიან იმათ მოკლებული ქალები? ნუთუ ჩვენ ცხოვრებაში ქალებისათვის საქმე აღარ არის?“...

ჯერ კიდევ საუკუნე ნახევრის წინ მწვავედ დააყენა ეს საკითხი გაზეთ „დროების“ რედაქტორ-გამომცემელმა და მკვეთრად გამოხატული ევროპულ-ამერიკული ორიენტაციის მამულიშვილმა სერგეი მესხმა. იგი თავის წერილებში ლოგიკურად სვამდა საკითხს, რომ უფლებრივად ქალსა და მამაკაცს შორის სრული თანასწორობა დამყარებულიყო და ქალებსაც მისცემოდათ საზოგადოებრივ ასპარეზზე თავისუფალი მოქმედების შეუზღუდველი უფლება.

„...მართალია, ქალთა უფლებების ამგვარ დახასიათებაში დღეს ახალი და მოულოდნელი არაფერია, მაგრამ იმ დროისათვის, როცა ს. მესხი თავის ამ მოსაზრებებს გამოთქვამდა, საზოგადოების უდიდესი ნაწილი სულ სხვაგვარად ფიქრობდა და უფლებრივად ქალისა და მამაკაცის ერთმანეთთან გათანაბრების მოთხოვნა უაღრესად მწვავე პრობლემას წარმოადგენდა, რომელსაც უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავდა“, –აღნიშნავს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ოთარ ნიკოლეიშვილი.

ს. მესხის პუბლიცისტური წერილების ერთ-ერთი უმთავრესი თემა იყო აგრეთვე იმდროინდელი ჩვენი განათლების სისუსტე და უბადრუკობა. მას საგანმანათლებლო სისტემის მიღწევების მთავარ შემოქმედ ძალად ქალი მასწავლებელი მიაჩნდა, მაშინ როცა ჩვენს საზოგადოებაში ქალს საზოგადოებრივ ასპარეზზე სათანადო ადგილი ჯერ კიდევ არ

ჰქონდა დამკვიდრებული და მის უმთავრეს დანიშნულებად მხოლოდ საოჯახო საქმეების მოგვარება იყო მიჩნეული...

„...ევროპულ და პრომერიკულ პოზიციაზე მდგარი სერგეი მესხის უმთავრესი მიზანი კი იყო საქართველოში საგანმანათლებლო დარგის აღმავლობა-გარდაქმნა, ქალთა უფლებებისა და თავისუფლებების მიღწევა, მათი ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა-მოღვაწეობის პროცესების ქართულ სინამდვილეში დაწყება.

ამ მიზნით ს. მესხი იმ პერიოდის სხვა დიდ ქართველ მამულიშვილებთან ერთად ყველაფერს აკეთებდა არსებული ვითარების რამდენადმე მაინც შესაცვლელად“...**(26, გვ.15)**.

სერგეი მესხმა და მისმა სახელგანთქმულმა ოჯახმა ხუთივე ქალიშვილს პელაგიას, ანას, მარიამს, ნინოს, ეფემიას და მათ შვილებსაც საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსასვლელად ყველა პირობა შეუქმნეს, რათა თავისი მოღვაწეობით ეჩვენებიათ რომ ქალებიც ღვთისაგან მამაკაცთა დარად თავისუფლებით, თანასწორობითა და თანაბარუფლებიანობით იყვნენ მოვლენილნი.

„...თუ მიზნისაკენ გაგიწევიათ და ხშირ-ხშირად ჩერდები, რომ ქვა ესროლო ყოველ ძაღლს, რომელიც შემოგიყეფს, მაშინ მიზნამდე ვერასოდეს მიაღწევთ“, – ბრძენი კაცის სიტყვებს ხშირად ახსენებდა სერგეი მესხი დებს.

სამშობლოს უანგარო სამსახური და თავისუფლებისაკენ სწრაფვა იყო მესხის ქალების მარად ჩაუქრობელი განცდა...

პელაგია მესხი

ეფემია მესხი

ეკატერინე მელიქიშვილი
და ანა მესხი

ვალმოხდილი მანდილოსნის ნათება

„როცა მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობისათვის ვშრომობთ, ჩვენივე ხელით ვაგებთ საკუთარ ციხეს და მარტოდმარტონი ვიკეტებით ამ ციხეში ჩვენს მოჩვენებით საუნჯესთან ერთად, რომლისთვისაც სიცოცხლე არც კი ღირს“

ეგზიუპერი

„ადამიანის ჭეშმარიტი ღირსება მისი წარმოშობის წარჩინებულობა და საქმეთა კეთილშობილებაა“, –უთქვამს ბრძენკაცს.

–პელაგია მესხი ერთსაც ფლობდა და მეორესაც.

იგი იყო დიდგვაროვანი, ჭკვიანი და განათლებული ქალი. დარბაისელი, ქართული კაბითა და ჩიხტი-კოპით მორთული, ლამაზი, წარმოსადეგი. „...კარგი ქართულ-რუსული მოლაპარაკე. მის დროს იშვიათად შეხვდებოდით ასეთს ტკბილ მობაასეს იმერეთში“... **(21, გვ.17).**

მაშინდელ საქართველოში სწავლა-განათლების საქმეში ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. ამის შედეგი იყო ქართული თქმულება: „წიგნი დედაკაცის საქმეა და არა მამაკაცისა, წერა-კითხვას ქალები უნდა ასწავლიდნენ და არა კაცებიო“. პელაგიას დედამ ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლა წერა-კითხვა, მშობლიური მწერლობა. დედის ჩარევითა და მზრუნველობით განსწავლულმა გოგონამ წარმატებით დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელი.

რაც უფრო შესტკივა კაცს გული საზოგადოებრივ ჭირ-ვარამზე, მით უფრო ჭეშმარიტი ადამიანია. ასეთი გახლდათ პელაგია მესხი, რომელიც თავის სულში, თავის გულში, თავის სისხლში ატარებდა თავდაუზოგველ ლტოლვას საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი. „პელაგია თავის ირგვლივ იკრებდა ახალგაზრდებს, ხნიერ ქალებსაც და გონიერ საუბრებს მართავდა მათთან“...**(21, გვ.7).**

მას კარგად ესმოდა, რომ სახელმწიფო ფასობდა იმით, თუ როგორ იყო უზრუნველყოფილი მომავალი თაობა, მოხუცები და ქალთა სიცოცხლე...

ქართველ „სამოციანელთა“ დიდი თაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლების მისი ძმების გიორგის, სერგეისა და ივანე მესხების ეროვნულ დამოუკიდებლობის იდეებს პელაგია გულწრფელად იზიარებდა. მე-19 საუკუნის ქართველ საზოგადო მოღვაწე ქალთა მსგავსად მასაც ერთი რამ სწამდა და სჯეროდა, რომ „ადამიანებისათვის ძვირფასია მშობლები, ძვირფასია შვილები, მახლობლები, ნათესავები, მაგრამ სიყვარულზე ყოველგვარი წარმოდგენა თავს იყრის ერთ სიტყვაში – სამშობლო“ და როგორც პატიოსანი ადამიანი პელაგიაც მზად იყო მომკვდარიყო სამშობლოსათვის, – თუკი ამით სარგებლობას მოუტანდა მას. იგი სისტემატურად მართავდა საუბრებსა და ლექციებს საქართველოს ისტორიულ წარსულზე, ქართველ ხალხთა გმირობასა და თავდადებაზე, ქვეყნის მომავალსა და დამოუკიდებლობაზე. იბრძოდა სიტყვით, კალმით და საქმით უკეთესი მერმისისათვის.

სიმონ მესხს განსაკუთრებით უყვარდა მისი პირმშვენიერი და გონიერი ასული. ამაყობდა და ხარობდა მისით.

მაღალი ადამიანური თვისებებით, დიდი ნებისყოფითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით გამორჩეული, საქველმოქმედო საქმეებით გატაცებული, თავის სამშობლოს პატრიოტი ქალი, ქუთაისის ახალგაზრდობაში დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. ქართველი ქალის მაღალი ზნეობრივი თვისებებით გამორჩეულ კეთილშობილ მანდილოსანს მაგალითად მოჰყავდა, რომ „ძველად რომელიმე უბრალო ჯილდოსათვის, ამაყი ქართველი არასოდეს არ დაიმცირებდა თავს. თავის სამშობლო ქვეყნისა და სჯულის დასაცავად კი ყველა მუდამ მზად იყო, თუგინდ თავისი სიცოცხლეც კი შეეწირა მისთვის“-ო...

პელაგიამ თავის თავზე აიღო უმცროსი დის ანას განათლების საქმე.

„მამა ანას სასწავლებელში უპირებდა მიცემას, პელაგიამ წინადადება მისცა: – მამა, კმარა რაც ხარჯი გაქვს, ამ ერთ დას მე მივცემ ცოდნას, ჩემს სახელზე ვასწავლიო.

და მისცა კიდეც ცოდნა. ასწავლიდა უფრო ბეჯითად. ანა მესხი იმ დროს ნასწავლ ქალებს ქართულისა და რუსულის ცოდნაში არ ჩამორჩებოდა“... **(21, გვ.8).**

„...მამულის ყოველ ნამდვილ შვილს ყველაზე პირველად თავის სასიამოვნო და სასარგებლო შრომათ მხოლოდ ის უნდა მიაჩნდეს, რაც ამ მამულისათვის სასარგებლო და გამოსადეგია. კერძოობით მიდრეკილება, საკუთარი, პიროვნული სიამოვნება ხშირათ უნდა დაივიწყოს, თუ ეს საზოგადო, სამშობლოს სარგებლობას არ ეთანხმება“. ეს იყო ვალმოხდილი მანდილოსნის სამოქმედო კრედო...

პელაგია ახალგაზრდებს არწმუნებდა, რომ „ყოველი ნასწავლი ქართველი ზნეობითა და სხვა ყოველი მხრით ვალდებულია, ხალხის ოფლისა და მეოხებით შეძენილი სწავლა და განათლება ისევ ხალხს მოახმაროს“.

რაც სამშობლოს წინსვლისა და უკეთესი მერმისის გარანტია იყო.

„პელაგია ცოლად გაჰყვა მომრიგებელ შუამავალს ლუკა ავალიანს. უშვილოდ ამოვარდა. გიორგობისთვეში წყალმანკმა იმსხვერპლა – ჯერ კიდევ თითქმის ახალგაზრდა. ქმარმა, პეტერბურგსაც წაიყვანა. პირველი ოპერაცია სამეფო კარის დიდმა ექიმმა დოსტაქარმა სკლიფასოვსკიმ გაუკეთა. ჩამოვიდა მცირე ხნით მომჯობინებული, მაგრამ წყალი კვლავ ჩაუდგა და გადაიტანა ამ სენმა“... **(21, გვ.16).**

პელაგიას სიკვდილმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მთელი ოჯახი. იგი სოფელ რიონში მესხების საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს. მას მერე ყველაზე უფროსი ძმა გიორგიც მიჰყვა. ისიც წყალმანკით გარდაიცვალა.

უფროსი და-ძმის სიკვდილმა იქამდე მიიყვანა მესხების ოჯახი, რომ ასე ეგონათ თითქოს ცხოვრებაში მხოლოდ წყლული და იარა, კვნესა და ვაება, ცრემლი და მწუხარება სუფევდა...

სიცოცხლეში ყოველი ადამიანი არაერთი არჩევანის წინაშე დგება. პელაგია იყო მესხების ოჯახიდან პირველი საზოგადო მოღვაწე ქალი, რომელმაც ქუთაისის კულტურულ და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას ღრმა კვალი დაატყო.

ადამიანი ხომ დაბადებიდანვე უკავშირდება სამშობლო-ქვეყნის ისტორიულ ბედს, ურთიერთობა უხდება საზოგადოებასთან, რომელიც თავის მხრივ, ისტორიის გავლენას განიცდის, საზოგადოების განვითარების პროცესები, ყველა ადამიანის ბედს ეხება მეტ-ნაკლებად. პელაგია მესხის მოღვაწეობაც თავისთავად დაკავშირებული იყო საქართველოს ისტორიის წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან.

...და ადამიანისგანაც ხომ მისი დიდი საქმეები რჩება...

1870 წლის ქუთაისის გიმნაზიის კურსდამთავრებულები:
ვასილ პეტრიაშვილი (ანა მესხის მეუღლე), პეტრე წულუკიძე, დიმიტრი ნაზაროვი, დარახველიძე, დავით ლორთქიფანიძე, გიორგი ზდანოვიჩი, ალიოშა გაბაევი, ალექსი ჭიჭინაძე, ალექსანდრე ჭყონია, ილარიონ მიქელაძე. ქუთაისი 1905 წლის იანვარი.

„ცხოვრებითა გონიერებითა ცხოვრობდა“

„...თავისუფლებისა და სიცოცხლის ღირსი ის არის, ვინც მას დაიპყრობს ყოველდღიურ მედგარი ბრძოლით“...

გოეთე

„...დაუფასებელი ღირსება აქვს ქალს, აურაცხელსა სარგებლობასა მისცემს იგი მთელ საზოგადოებრიობას, როდესაც იგი სცხოვრობს ცხოვრებითა გონიერებითა“, – აცხადებდა გაბრიელ ქიქოძე.

„ანა მეხუთე შვილი იყო. სისტემატური სწავლა არ მიუღია. უფროსი და პელაგია ასწავლიდა და იმ დროინდელ „ზავედენია“ დამთავრებულ ქალებს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა. ქართულის სწავლაში დედაც შველოდა და ანამ, დედაჩემისა არ იყოს ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“. იმ დროს და უფრო ადრე ქართულის მცოდნის სასწორად შოთას ნაწარმოები ითვლებოდა. დედამ „ანბანზე“ იცოდა „ვეფხისტყაოსანი“.... ასე გაწაფული იყო ანაც. მახსოვს, ანა მონაწილეობას იღებდა იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს აშალაშინებდა“...**(21, გვ.35).**

„...შოთა რუსთაველმა საკაცობრიო საგანძურში გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ შეიტანა – ეს უძირო მორევი, ზღვა აზრისა დ გრძნობისა“, –წერდა ილია.

...და ბუნებრივია, ასეთ უნიკალურ და გენიალურ ქმნილებაზე მუშაობა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხელოვნების დიდ ტაძარში, ღრმა, ფუნდამენტალურ ცოდნას, დიდ ერუდიციას, სერიოზულ, გააზრებულ და ფაქიზ მიდგომას მოითხოვდა. ანა მესხმა ამ კომისიაში მუშაობას მოწინავე ქართველი საზოგადოების ფიქრი და გრძნობა ჩააქსოვა.

„...ქართველიშვილმა განიზრახა სურათებიანი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა და ივანე მაჩაბლის თაოსნობით შესდგა მაშინ ეს კომისია მოქართულე პირებისაგან. ანამ რამდენიმე დამაჯერებელი მახვილი შენიშვნა მისცა კომისიას“... **(21, გვ.35).**

სწორედ XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს, საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი, ლერმონტოვის პოემის „დემონის“ ილუსტრაციების დასახატად. ამ დროს გ. ქართველიშვილის ხარჯით მზადდებოდა პოემის ახალი გამოცემა. ქართველიშვილმა მოწინავე საზოგადოებასთან ერთად ისარგებლა ზიჩის ჩამოსვლით და მას დაუკვეთა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები. მიხაი ზიჩმა შეისწავლა „ვეფხისტყაოსანი“, საქართველოს ისტორია, ყოფა-ცხოვრება. პოემის გმირების დახატვის მიზნით თბილისში უჩვენა პოემის ცალკეული ცოცხალი სურათები.

1884 წელს ზიჩმა ქუთაისშიც „სამეფო სახლის“ ეზოში ორჯერ დადგა ცოცხალი სურათები, სადაც რუსთაველის სახე განასახიერა პოეტმა მამია გურიელმა, ტარიელის – გიორგი შერვაშიძემ. სურათების ჩვენებას წინ უძღვოდა აკაკი წერეთლის ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“.

„...რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დღემდე ერთგვარ ბიბლიას წარმოადგენს ქართველთათვის, როგორც პოლიტიკური და მორალური წყარო...

თუ ვინმე მათ (ქართველებს) სამსახურს გაუწევს ყოველთვის მზად არიან სიკეთით გადაუხადონ სამაგიერო, რითაც კი ძალა შესწევთ, თანაც ამას აკეთებენ უფაქიზესი მეგობრული გრძნობით“, – წერდა მიხაი ზიჩი.

„გ. ქართველიშვილი შეძლებული კაცი იყო. დიდი განათლებისა არ იყო, მაგრამ შოთას თაყვანისმცემელი დიდი იყო. მან გამოსცა დიდი, სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ და ყურს მოკრავდა, თუ არა რომ შოთას ეს განძი ვინმემ გადათარგმნა უცხო ენაზე, ამ მთარგმნელის დიდ პატივისცემას კისრულობდა. უცხო სტუმრებს, ინგლისელ მწერლებს და-ძმა უორდროპებს, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებს დიდი ბანკეტი გაუმართა“... **(39, გვ.117).**

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საშვილიშვილო საქმიანობასთან ერთად ანა მესხი მწერლობაშიც სინჯავდა თავის კალამს.

იგი იყო ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალის „ქართული ბიბლიოთეკის“ რედკოლეგიის წევრი.

„...ანა დარბაისელი, გონიერი მოუბარი იყო. ქართულ მწერლობაშიც მონაწილეობდა. ქუთაისიდან სერგეის „დროებას“ აწვდიდა მასალებს. ქუთათურ ქალთა მიერ გამოცემულ ჟურნალში მონაწილეობას იღებდა. ამ ჟურნალში დაიბეჭდა მის მიერ რუსულიდან თარგმნილი „არა, დამნაშავე, არაა“.... **(21, გვ.53).**

მისი თარგმანები დაიბეჭდა წიგნში „მოთხრობანი ქართველის ქალებისაგან ნათარგმნი“.

ანა მესხი პირველი ქალი იყო, რომელიც 1870 წლიდან ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრეში ირიცხებოდა. იმ დროს თითქმის არც ერთი ქალი არ თანხმდებოდა სცენაზე გამოსვლას. პატრიარქალურ საზოგადოებაში სცენაზე თამაში ჯერ კიდევ ჯამბაზობად ითვლებოდა და ყველა ერიდებოდა ამ ასპარეზს. მესხების ოჯახს თეატრის დაარსება დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნდა. მაგდალინა მარჯანიშვილი და მისი უფროსი „თერგდალეული“ ვაჟები მოუწოდებდნენ ანასა და ქართველ ქალებს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ. ანა მესხი ტიპიური წარმომადგენელი იყო იმ ქართველი ქალებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ სუფთა და ამაღლებული მორალური ცხოვრებით და მოწინავე პროგრესული იდეების დამკვიდრებისათვის ხშირად თავსაც კი სწირავდნენ.

ქუთაისში აკაკი წერეთლის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა პატარა დასი, რომელშიც მონაწილეობდა ანა მესხი, ელენე ლორთქიფანიძე, ეფროსინე კლდიაშვილი, მარიამ ხელთუფლისშვილისა.

„ესენი სინჯავდნენ აქ თავის ნიჭსა და ძალას. სდგამდნენ პიესებს: „ყვარყვარე ათაბაგი“, „მზის დაბნელება“, „ფიგაროს ქორწინება“, „სკაპენის ოინები“, „დავა“, „ქოროდლი“, „ქმარი ხუთი ცოლისა“ და სხვა. კირილე ლორთქიფანიძე იყო მათი მოკარნახე. თუმცა, ჩვენ, ბავშვები არ ვესწრებოდით იმათ წარმოდგენებს, მაგრამ მე ეს პიესები ყველა წაკითხული მქონდა“, –წერდა ეფემია მესხი.

სცენისმოყვარეთა წრე თანდათან გაიზარდა. 1875 წლისათვის ქუთაისში უკვე სცენისმოყვარეთა მუდმივი წრე ჩამოყალიბდა, რომელშიც ირიცხებოდა ანა მესხი, ეფ. კლდიაშვილი, დები მრევლიშვილები (გიორგი მესხის ცოლისდები), დები ნიკოლაძეები, ე. ნიჟარაძე, ევ. ჩხიკვაძე და სხვები. მათ ერთი წლის განმავლობაში 12 წარმოდგენა გამართეს.

ანა მესხი სცენისმოყვარეებთან ერთად კირილე ლორთქიფანიძეს თეატრალური კომიტეტის ჩამოყალიბებას სთხოვდა:

„...კირილე ბეჟანის ძევ!

ქუთაისის ქართულმა ტრუპპმა გადაწყვიტა კომიტეტის დაარსება, რომლის წევრებათ აგირჩიათ თქვენ, ივანე მესხი, მოსე ქიქოძე, ნიკოლოზ ყიფიანი და დიმიტრი ნაზაროვი და უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ შრომა თქვენ თავზე შემდეგი: პიესების ამორჩევა, ქართული რეპერტუარის გაუმჯობესება –და მათი რეჟისორებისადმი გადაცემა და ყოველ-გვარი ტრუპპის უთანხმოების გარჩევა“...

„....ანა ცოლად გაჰყვა ვასილ პეტრიაშვილს, პედაგოგს. ამ „პეტრიაშვილის კლასის“ სახელი ბევრს ახსოვს ქუთაისში. ბევრმა სახელოვანმა ქართველმა მოღვაწემ სწორედ სკოლაში შეიცნო „დედა-ენის“ განუმეორებელი სიტკბო. ანას ქალიშვილი ელენე პეტრიაშვილი მამასავით ცნობილი პედაგოგი იყო“... **(21, გვ.56).**

ანა მესხი კარგი მეოჯახე ქალი დადგა, მაგრამ საზოგადოებრივ მოღვაწეობისათვის თავი არც გათხოვების შემდეგ დაუნებებია. 1885 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: „ქუთათურები რამდენიმე ხანია ზეციურ მანანასავით მოველით ერთ ხეირიან ქართულ წარმოდგენას. კ. მესხმა 30 აგვისტოს წარმოადგინა დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული კომედია „დროებით სიყვარული“. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ თეატრალური მესხების ოჯახის მრავალი წევრი: კოტე მესხი, მისი მეუღლე ნატო მესხი, ეფემია მესხი, დავით მესხი და ანა მესხი-პეტრიაშვილისა“...

ანა მესხი თანამემამულეებს საუკეთესო მაგალითს აძლევდა, როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შემგროვებელიც. მან ჩაწერა და გამოაქვეყნა მრავალი ხალხური ლექსი, თქმულება, ანდაზა და სხვა.

ანა მესხს ხალხური ზეპირსიტყვიერება იტაცებდა არა მარტო მოხდენილი თქმებით, ენის სისადავითა და ბუნებრივი სახეებით, არამედ მისი მდიდარი შინაარსითაც, რომლის დახმარებითაც იგი ეცნობოდა და ითვალისწინებდა იმას, რის შესახებაც ხშირად დუმდნენ მატიანენი; მასში იგი კითხულობდა ხალხის თავგადასავალს, მის წარსულსა და აწმყოს.

ანა მესხი ხალხურ ზეპირსიტყვიერებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მარჯვედ იყენებდა ხალხის გმირული სულის გასაცნობად და იმ სოციალური უკუღმართობის გასათვალისწინებლად, რომელიც ხალხის ჩაგვრის ანგარიშზე არსებობდა ისტორიულად.

„...XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლის

ინიციატორებთან ერთად ანა მესხიც ქართველი ხალხის აღორძინების, ცხოვრების წინსვლისათვის ბრძოლის, ახალი აზრის გამოჭედვისა და განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს იარაღად ქართულ ფოლკლორს თვლიდა.

ღირსეული დედა, მეუღლე, საზოგადო მოღვაწე, ლიტერატურისა და მწერლობის მოტრფიალე, მთარგმნელი, მსახიობი ანა მესხი ბრწყინავდა ყველგან არა მხოლოდ გარეგნობით, არამედ სულიერადაც. იგი მთელი არსებით გულწრფელად კვალავდა იმ უვალ გზას, რომელზედაც მას შემდეგ ბედნიერ და თავისუფალ ქართველებს უნდა გაევლოთ. ის იყო დიდი ბუნების ადამიანი, დაჯილდოებული იმ მადლით, რომელსაც ასე იოლად ვერ შეხვდებით ცხოვრებაში“... **(15, გვ.142).**

„...მესხის ოჯახი ქართული კულტურის მთელი ხომლია, რომლის ყოველი სანთელი მეტნაკლების სიძლიერით, მაგრამ ერთგვარის ურყევობით იწვოდა მრავალი წელი.

მე არ ვეხები მათ ნიჭსა და მიმართულებას-ეს დღეს, საფლავის წინ, ადგილს უთმობს კაცურ-კაცობას, სიწრფელეს და მისწრაფებით გატაცებას.

აი სერგეი მესხი-რაინდი ქართული პუბლიცისტიკისა და ქართული კულტურისადმი უმწიკვლო, თავდადებული სიყვარულით არჩილ ჯორჯაძის წინამორბედი.

კოტე მესხი-თეატრის ზოგჯერ ფიანდაზი, ზოგჯერ ბურჯი და მტვირთველი, სცენის თაყვანისცემით რომ თარგმნიდა, როლებს ასრულებდა, რეჟისორობდა და გარემოს ხელოვნებისადმი მიჯნურობით რომ აცოცხლებდა.

დათიკო მესხი-რედაქციის ჩუმი მუშაკი, მსახიობი, იუმორისტი, მარად გამზადებული წრფელი თავდადება და სამსახური მიუძღვნა საქმეს.

ეფემია მესხი უეცრათ რომ დაიპყრო თეატრი, თავისი ზოლი გააკლო ქართულ სახიობობაში, კურთხევა თავიდანვე აკაკისაგან მიიღო...

ივანე მესხი-ბათომის და მთელი აჭარის სულიერათ შემოერთების საქმეში – თანამებრძოლი პოეტ გრ. ვოლსკისა და ლ. ასათიანისა, შავ-რაზმელ რუსეთის პრესსით გამაგრებულს რუსეთის ბიუროკრატიას კრიჭაში რომ უდგნენ და მუსლიმან ქართველთა გამარუსებელ ტალღებს რომ ებრძოდნენ...

უცნაური ოჯახია! ყოველ წევრს შინაგანი დემონი მიიზიდავდა კულტურული საქმიანობისაკენ.

და ვინც თვით ვერ შეიტანა წვლილი ოჯახის ვალის გადასახადათ, იგი სამაგიეროთ ზრდიდა შვილებს: ჩვენი დღევანდელი თეატრის დამამშვენებელი მსახიობი-ანჯაფარიძე და გამრეკელის ასულნი-ორივე დედით ამ საკვირველი ოჯახის შვილები არიან!

დღეს მიწას მიბარებული ანნა მესხის ასული მხარში უდგას თავის და-ძმას, როგორც მწერლობაში ისე სცენაზე. ის პირველი ქალთაგანი იყო ქუთაისის მუდმივ დასში, რომ შევიდა 1870 წელს და, როცა სცენას ჩამოშორდა, მის თანაგრძნობას, დახმარებას და წაქეზებას ხშირათ შეუმსუბუქებია ქართველი მსახიობისათვის ნაღვლიან გზაზე სვლა. ჟურნალ გაზეთებში გაბნეულ და ცალკე წიგნებათ გამოცემულ მრავალ თარგმანთა გარდა, იგი აგროვებდა ხალხურ სიტყვიერების ნაწარმოებს“, –აღნიშნავდა მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე.

სამშობლოს ჭრილობას გულის სიღრმეში განიცდიდა ანა მესხი. იგი ღირსეულ ქართველ ქალთა იმ პლეადას ეკუთვნოდა, რომელთა მოღვაწეობაში აღბეჭდილი იყო სულის დიადი სწრაფვა, დიადი სილამაზისა და ძალის გონება...

ანდრია მარჯანიშვილის შვილების, შვილიშვილების და საერთოდ მათი შთამომავლობის ცხოვრება და მოღვაწეობა ერთი თაობის მიერ მეორე თაობისათვის დატოვებული სულიერი ანდერძია...

მათი ანდერძი იყო ოცნება თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოზე.

ოცნებანი კი თავისთავად აძლევენ ქვეყნიერებას ინტერესსა და აზრს. მითუმეტეს თუ ისინი თანმიმდევრული და გონივრულია.

ᲒᲝ • ᲒᲔ

სხვისი ბედნიერებისაკენ სწრაფვა...

„ყველაზე ბედნიერი კაცი ის არის, ვინც ადამიანთა უდიდეს რიცხვს ანიჭებს ბედნიერებას.”

დ. დიდრო

მაგდალინა მარჯანიშვილის მე-13 შვილს დედის მაღალი სულიერი თვისებები და ნათელი გონება გამოჰყვა.

„უკანასკნელი შვილი ჩვენი ოჯახისა, ნაბოლარას ვეძახდით, იყო ნინო. ქუთაისის ქალთა გიმნაზია ნინომ წარჩინებით დაამთავრა და ხელი მიჰყო მასწავლებლობას. დიდი წარმატებებითა და სიბეჯითით ეწეოდა მოწაფეთა აღზრდას. მალე გონიერი პედაგოგის სახელი დაიმსახურა. ასწავლიდა ქუთაისის ქალთა უფასო სასწავლებელში. მის დროს, გამოცდილი რუბანის ქალის ხელმძღვანელობით. ეს სასწავლებელი საუკეთესო კერა იყო ქუთაისელი ღარიბი გოგონებისათვის”... **(21, გვ.66)**.

„...ქალთა უფასო სასწავლებელი მოთავსებული იყო ორსართულიან შენობაში. იგი პეტერბურგის ფილიალი იყო, რომლის ხანდაზმული დირექტორი მარიამ ივანეს ასული ტიმჩენკო-რუბანი სასწავლებელში იღებდა ყველა სოციალური წრის წარმომადგენლებს, მათ შორის გაღარიბებულ თავად-აზნაურთა შვილებსაც.

ქალთა უფასო სასწავლებელი ამზადებდა დიასახლისებსა და კანცელარიის მუშაკებს. იგი ექვსკლასიანი იყო. გოგონებს 8 წლის ასაკიდან იღებდნენ. ისწავლებოდა რუსული ენა, არითმეტიკა, საღვთო სჯული, ქსოვა, კერვა, გალობა, ბეჭდვა, დიასახლისობა, ბაღ-ბოსტანში მუშაობა. ყოველი მეხუთე გაკვეთილი მხატვრულ კითხვას ეთმობოდა, რომელსაც რუსულ ენაზე ასწავლიდა დირექტორი ტიმოშენკო-რუბანი. აქვე ქართულ ენაზე იკითხებოდა „ვეფხისტყაოსანი“... **(10, გვ.28-29)**.

ნინო მესხს ერთი მიზანი დ პრინციპი ამოძრავებდა, რომ მისი ლამაზი და მშვენიერი ცხოვრებით მრავალ ადამიანისათვის მიენიჭებია ბედნიერება. ქალთა სასწავლებელში ნინო თავის მოწაფეებს უპირველესად „იავ–ნანას” მადლით მოსილ მშობლიური ენის სიყვარულს უნერგავდა, რადგან ენის სიწმინდის დაცვა და განვითარება მტკიცედ უკავშირდებოდა ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას.

მაშინდელ საქართველოში ეგრეთწოდებული მაღალი საზოგადოება თავის სამარცხვინოდ, თაკილობდა თავისი დედა–ენით ლაპარაკს. ნინო მესხი ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ ენას, მაგრამ ქართული ენის დიდებას ფარვანასავით თავს დასტრიალებდა. მისი სიმდიდრე და ღირსება დღის სინათლეზე გამოჰქონდა და ამით ლახვარს სცემდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და იმ ადგილობრივ ლაქიებს,რომლებიც თავისი მოქმედებით ხელს უწყობდნენ მშობლიური ენის დაკნინებას, საგანმანათლებლო სისტემიდან მის სრულიად განდევნას...

„ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა... ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“, –აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე.

ნინო მესხი არა თუ იზიარებდა დიდი ილიას სიბრძნეს, არამედ მას ენა მიაჩნდა ერის მთავარ განმსაზღვრელ ნიშნად ქართველი ხალხის კონსოლიდაციისა და თანამედროვე ერად ჩამოყალიბების საქმეში.

იმ დროს მშობლიური ენისა და ლიტერატურის დაცვა და ახალგაზრდებში მისი სიყვარულის გაღვივება ეს დინების წინააღმდეგ სწრაფვას მოასწავებდა.

ქართველთა ხელიხელთსაგოგმანებელი წიგნის „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული მაგდალინა მარჯანიშვილმა თავის ნაბოლარა შვილსაც მტკიცედ ჩაუნერგა, რომელიც მის სიბრძნეს თავის მოსწავლეებს სიყვარულითა და სიამაყით გადასცემდა.

მესხების ოჯახის ნორჩი ყვავილისათვის ხანდახან მტანჯველიც იყო ქვეყნის წინაშე მოვალეობის აღსრულება, მაგრამ კიდევ უფრო მტანჯველი იყო მისი შეუსრულებლობა.

„...ნინო სილამაზითა და მოხდენილობით გამორჩეული იყო. ოჯახი თავს ევლებოდა „ნაბოლარას”.

უზომოდ მიყვარდა ეს ტურფა ყვავილი ჩვენი ოჯახისა, მისმა უდროო სიკვდილმა მთელი ოჯახი გააუბედურა“... **(21, გვ.67)**.

სიცოცხლითა და ჯან–ღონით სავსე ნიჭიერ ქალიშვილს უმაღლეს სასწავლებელში

შესვლის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ მატერიალური ხელმოკლეობის გამო მან ეს წადილი ვეღარ განახორციელა. ქალთა განათლების საკითხზე ნინო მესხი ფიქრობდა, რომ ის მამაკაცზე მეტად თუ არა, ნაკლებ არ სჭირდებოდა ქალს, რადგან მომავალი თაობის აღმზრდელი ქალი იყო. აღსაზრდელი რომ კარგი ყოფილიყო, თავად აღმზრდელი უნდა ყოფილიყო კარგად აღზრდილი. მხოლოდ დიდად განათლებულ და მაღალი მორალური თვისებებით აღჭურვილ ქალს შეეძლო ასეთივე თაობის აღზრდა.

ნათელი იყო, რომ ის ერები, რომლებიც ქალთა თავისუფლებას ზღუდავდნენ, გაცილებით დაბალ დონეზე იდგნენ, იმ ერებთან შედარებით, სადაც ქალი მეტი თავისუფლებით სარგებლობდა და საზოგადოებაზე დადებითი გავლენის მეტი საშუალება ჰქონდა...

ნინო მესხი იყო დახვეწილი, ნატიფი ინტელიგენტი, სრულქმნილი მასწავლებელი, რომელიც აერთიანებდა საქმისა და მოწაფეების სიყვარულს. მისი შეგონებები და დარიგებანი მოწაფეებზე ნამდვილ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდნენ.

„შემზარავი იყო მისი მოწაფეების გულსაკლავი ტირილი და გოდება ნინოს ცხედარზე. ნინო ჩემს მკლავზე გარდაიცვალა. ბევრი ჭირი დაადგა ჩვენს ოჯახს, ბევრი კარგები დავკარგეთ, მაგრამ ნინოს სიკვდილმა ყველაზე მეტად დამტანჯა. იქნება ამის მიზეზი ის იყო, რომ მოულოდნელად ორ დღეში გამოგვეცალა ხელიდან ეს ჩვენი ოჯახის თვალი, ჯანიანი, მაგარი აგებულების ახალგაზრდა“, –გულისტკივილით იხსენებდა დ. მესხი.

ნინო მესხი გენეტიკურად მიღებული აქტიორული ხელოვნების „ვალს“ პირნათლად იხდიდა. იგი დებთან ერთად ხშირად თამაშობდა საქველმოქმედო სპექტაკლებში, რათა თავის ღარიბ მოსწავლე გოგონებს დახმარებოდა და მათთვის შემწეობა გაეწია.

სიმამაცე ბედისწერის დარტყმებს არარაობად აქცევს. ნინო მესხმა სუფთა და ამაღლებული მორალური ცხოვრებით, ერის წინსვლისათვის ფასდაუდებელი მოღვაწეობით წარუშლელი ნაბიჯები დატოვა.

ასეა, ჩვენ ყველას ერთი ღუზა გვაქვს. მას ვერასოდეს მოსწყდები, თუ თვითონ არ ისურვე: იგი მოვალეობის გრძნობაა. მოვალეობის შესრულება კი თავისთავად ღირსებაა.

უნგრელი მხატვარი
მიხაი ზიჩი

გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე —
ტარიელის როლში 1882 წ. ქუთაისი.

მ. ზიჩი „ვეფხისტყაოსნის“
ინსცენირება. ქუთაისი 1882 წ.
ნინო წერეთელი —თინათინი,
გ. შარვაშიძე — ტარიელი.

მშვენიერებისა და სათნოების დედოფალი

**„სულიერ სამყაროში ყველა ერი დიდია
არა რიცხვით, არამედ დიდებული შვილების
ნიჭითა და ზნეამაღლებით"...**

ლ. გოთუა

„...მამაჩემს ყავდა მხოლოდ ერთი ძმა, მეტი არავინ არ ყოლია დედმამიშვილი და როცა მათი მშობლები გარდაცვლილან, ძმები გაყოფილან. მამაჩემს ყველაფერი მამაპაპეული: სახლი, კარმიდამო, საყანე ადგილები, საგვარეულო პატარა ეკლესია და სხვა საოჯახო შენობები უმცროსი ძმისათვის დაუტოვებია, თავისთვის ამოურჩევია მაღლობი ადგილი, უფრო ქუთაისისაკენ და იქ დასახლებულა. ...ტყრუშული ღობით შემოკავებულ მაღლობზე გადმომდგარი სიმონ მესხისეული სახლის მწვანედ აბიბინებული ეზო, დაბურული ყოფილა ათასგვარი ხეხილის ხეებით. ეზოს ბოლოში ვეებერთელა მუხის ჩრდილქვეშ ჩაფლული ყოფილა ქვევრები, ხოლო ცოტა მოშორებით მოჩუხჩუხებდა ცივი, ანკარა წყარო, რომელსაც სიმონის ოჯახი გოგითიშას წყაროს უწოდებდა.

...ჩვენი რიონელი სახლი ხუთი ოთახიდან შედგებოდა. ოთახები ასე იყო განაწილებული: ერთი მისაღები ოთახი, რომელშიაც იდგა ორი ტახტი გამართული ხალიჩებით, მუთაქებითა და ბალიშებით, ერთი მრგვალი მაგიდა, ერთი საწერი მაგიდა და რამდენიმე სკამი, კედელზე იყო დიდი სურათები მამასი, სერგეის და ნუცასი (ჩემი და). ერთი პატარა ოთახი მამასი–სამუშაო, ერთი სერგეის ოთახი, ერთი ანასი (ჩემი და). მეხუთე ოთახი იყო ყველაზე დიდი. იქ ვწვებოდით დანარჩენი ბავშვები და დედა. სასადილო იყო ჩვენი დიდი აივანი... როცა ბევრი სტუმარი გვეწვეოდა, სუფრას გაშლიდნენ რუსული ასო „Ï " მსგავსად და შუაზე კიდევ დარჩებოდა ადგილი გასასვლელი...

„...ფერისცვალობა" დღეს დღესასწაულობდა სოფელი, თუ სადმე ნათესავები ან მეგობრებ–ნაცნობები ჰყავდათ ყველანი ამ დღეს ეწვეოდნენ. ნასადილევს სტუმარ-მასპინძლები ყველანი გამოვიდოდნენ სათემო მინდორზე. ჩვენც ბევრი სტუმარი გვეწვეოდა, მაგრამ ჩვენ და ჩვენ სტუმრებს არ გვჭირდებოდა თემში წასვლა. ჩვენი აივნიდან და ეზოდანაც ყველაფერი მოჩანდა, თუ როგორ ატარებდნენ დროს მინდორში თავმოყრილი ხალხი. აქ ნახავდით ყველაფერს: ცეკვას, მუზიკას, ბურთაობას, ჯირითს, სიმღერას და სხვას", – მოგვითხრობდა თავის სოფელ რიონთან დაკავშირებულ ლამაზ მოგონებებზე მარიამ მესხი.

ეროვნული კულტურისა და თეატრისადმი სიყვარული მასაც გენეტიკურად გამოჰყვა. 1875 წლიდან მარიამი უკვე სცენისმოყვარეთა მუდმივ წრეში მონაწილეობდა, რომელსაც ეფროსინე კლდიაშვილი ხელმძღვანელობდა.

სცენისმოყვარეთა მონდომებით წრემ ქუთაისში 12 წარმოდგენა გამართა. ეფრო კლდიაშვილის დრამატული წრის გარდა, 1879 წლისათვის, როგორც ზემო თავში აღვნიშნეთ ქუთაისში ალექსანდრე გამრეკელის თაოსნობით მეორე წრეც დაარსდა.

მარიამ მესხი ცოლად გაჰყვა სწორედ მასავით თეატრზე გადაგებულ სცენისმოყვარეს ალექსანდრე გამრეკელს.

„...მარიამ გამრეკელი დედა იყო მსახიობ ქალებისა ნინო გამრეკელ-თორელის და ბაბუცა გამრეკელისა. მათ თეატრისადმი მარჯანიშვილებისა და მესხების ნიჭი და სიყვარული გამოჰყვათ. ნინო გამრეკელ–თორელი პირველი და ერთადერთი რეჟისორი ქალი იყო სცენაზე, ნიჭიერი და ჭკვიანი"...**(22, გვ.145).**

მარიამმა ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი აჩუქა ალექსანდრე გამრეკელს. მან მთელი თავისი ენერგია შვილების აღზრდას შეალია, რისგამოც მისმა აქტიურობამ სცენაზე თანდათან მოიკლო.

„1905 წელს მე წავედი მოსკოვში ჩემს დასთან მარიამთან. იმ დროს ჩემი და მოსკოვში ცხოვრობდა, რადგან იმისი შვილები იქ სწავლობდნენ"...**(23, გვ.48).**

მარიამს ბავშვობიდან ჰგონდა ჩანერგილი თეატრის სიყვარული. მისი პირველი რეჟისორი დავით მესხი იყო. „ჩვენ ოჯახიდან ამ წრეში სამი ვიყავით, ჩემი დები ეფემია, მარიამი დ მე. ერთხელ აკაკის „ბუტიაობა" მოვამზადეთ და ზალა წარმოდგენისათვის ნიკო დადიანს (შალვას მამას) გამოვთხოვეთ კოლექტიური უსტარით. ცოტაც რომ წამოვიჩიტეთ, ჩვენი დასიც დაიშალა. უფროსებისათვის ჯერ პატარები ვიყავით და პატარაობაც აღარ

შეგვეფერებოდა“...(21, გვ.88).

მარიამის შემდეგი რეჟისორი იყო მისი უფროსი ძმა კოტე მესხი. „ქუთაისში შესდგა მუდმივი ქართული დასი. ჩემი ძმის კოტე მესხის რეჟისორობით იყვნენ მსახიობებად მარიამ მესხი, ნატო მესხი, ნატა ჯავახიშვილი, ა. მიქელაძე, ნ. ჩხეიძე და დედამისი ევ. ჩხეიძისა და მე“, –წერდა ეფემია მესხი.

ოჯახსა და შვილებზე ზრუნვამ მარიამი მართალია საყვარელ საქმეს ჩამოაშორა, მაგრამ თეატრისადმი სიყვარული გენეტიკურად მის შვილებზე გადავიდა, რადგან თაობიდან თაობაში საერთო ღვაწლის გამრავლება ყველასათვის ისევე სავალდებულოა, როგორც სამშობლოს სადარაჯოზე ყოფნა.

თაობათა შორის უმტკიცესი და უსაჭიროესი დუღაბი ნდობაა. მარიამ მესხს სჯეროდა თავისი შვილების. დედის გული გრძნობდა მათ დიდ სასცენო ნიჭიერებას. თუ უნარი გაქვს იქ უნდა ჩადგე, სადაც ყველაზე უფრო სჭირდები შენს ხალხსა და სამშობლოს, –ურჩევდა იგი თავის ქალიშვილებს ნინოსა და ბაბოს...

გამრეკელის ქალებმა ქართულ სცენაზე განუმეორებელი სახეებით დიდი თეატრალური სიცოცხლე შექმნეს. მათ გააგრძელეს დედის გზა. ანდრია მარჯანიშვილის ნაგრამს სცენაზე ყოველთვის მათ ჯიშში ჩადებული შინაგანი დემონი იზიდავდა...

ნინო გამრეკელმა პირველდაწყებითი განათლება ქუთაისში მიიღო, ხოლო თეატრალური –მოსკოვში 1904 წელს მცირე თეატრის მსახიობის ეკ. პოლიანსკაიას კერძო დრამატულ კურსებზე. იგი იყო პირველი რეჟისორი ქალი, რომლის სასცენო აკვანი ბაქოში დაირწა.

პირველად ბაქოში ეფემია მესხი მოღვაწეობდა, ვინაიდან მისი ქმარი ივანე გეპნერი იქ მუშაობდა. ერთმანეთის თანაგრძნობით, ურთიერთპატივისცემით, თანადგომით, თანამშრომლობით, პასუხისმგებლობით, ფუნქციების განაწილებით, ერთმანეთის უფლებების დაცვითა და სიყვარულით აღსავსე ანდრიას შთამომავლები გაერთიანებული ძალით დიდ საქმეებზე იყვნენ შეჭიდებულნი, ეს იყო საზოგადოებრივი მოღვაწეობა და თეატრი, როგორც სიმართლისა და თავისუფლების ლტოლვის ასპარეზი.

ბაქოს მრავალეროვან მოსახლეობაში ყოველ ერს თავისი სათვისტომო ჰქონდა, სადაც გაერთიანებულნი იყვნენ ერის ყველა ფენის წარმომადგენლები, რათა კავშირი არ გაწყვეტოდათ სამშობლოსთან. მათ ჰქონდათ პატარა ეროვნული კერები: ეკლესია, სკოლა, სამკითხველო. ყველა ეს სათვისტომოები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული.

რა ხდებოდა ამ დროს კულტურულ ფრონტზე ბაქოში?

1873 წელს ბაქოში დაარსდა პირველი ნაციონალური ნახევრად პროფესიული თეატრი, რომელსაც საფუძვლად დაედო რეალური სასწავლებლის სცენისმოყვარეთა მიერ დადგმული მ. ფ. ახუნდოვის პიესა „ჰაჯი–ყარა“. 1883 წელს კაპიტალისტმა ტაგიევმა ააშენა თეატრის შენობა, სადაც ამ დასის საფუძველზე პროფესიული აზერბაიჯანული თეატრი შეიქმნა.

80-იანი წლების მიწურულს ნ. ნარიმანოვის ბიბლიოთეკაში სცენისმოყვარეთა ძლიერი დასი ჩამოყალიბდა. ბაქოში არსებობდა საკმაოდ ძლიერი რუსული თეატრიც, რომელსაც ვასილევ-ვიატსკი ხელმძღვანელობდა.

პირველი დაწესებულება, კულტურის პირველი კერა, ქართველების თავშეყრის პირველი მუდმივი ადგილი სამკითხველო გახლდათ. ამ დროს ბაქოში 1000 ქართველი ცხოვრობდა. 80-იანი წლების ბოლოდან ბაქოში ქართული საღამოების გამართვის ტრადიცია დამკვიდრდა, რომელიც წელიწადში ერთხელ, ზამთარში იმართებოდა.

საღამოზე იდგმებოდა ქართული პიესა, პატარ-პატარა სცენები ქართველთა ცხოვრებიდან, ქართული ყოფის ამსახველი ცოცხალი სურათები, ქართული კონცერტი. იმართებოდა ლატარია და შესვენების დროს ფოიეში ქართული და ევროპული ცეკვები და ბოლოს ქართული რესტორანი. ასეთ საღამოს ჰყავდა თავისი დიასახლისი, რომელიც საზოგადოებაში პატივსაცემი ქართველი მანდილოსანი იყო.

საღამოების შემოსავალი სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეს ხმარდებოდა. წარმოდგენებს უფრო ადგილობრივი სცენისმოყვარენი მართავდნენ. ბაქოში ხშირად აღინიშნებოდა თბილისიდან ჩამოსულ მსახიობთა ძალებითაც წარმოდგენები. აქ 1893 წლის 23 იანვარს დაიდგა დ. ერისთავის „სამშობლო“ და ა. ცაგარელის „ბაიყუში“, რომელშიც მონაწილეობდნენ: ნ. გაბუნია-ცაგარელისა, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ვ. აბაშიძე, სვ. სვიმონიძე (ცნობილი ემიგრანტისა და ესეისტის თამარ გოგოლაშვილი-პაპავას მამა) და ა. ნებიერიძე.

1895 წელს ბაქოში დაარსდა ქართველთა სათვისტომო. ასევე ქართულ სამკითხველოსთან ერთად შეიქმნა საღამოს კურსები, რომელშიც მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო მუშაობა მიმდინარეობდა.

1900-1902 წლებში ბაქოში დაარსდა დრამატული წრე, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ შემთხვევით ხასიათს ატარებდა. სათეატრო საქმეს 1903 წლიდან ხელი მოჰკიდა თბილისის სახალხო სახლის მსახიობმა დავით შველიძემ, რომელშიც შედიოდნენ: დ.შველიძე, ოლდა ხავთასი-შველიძის, ცოლ-ქმარი ნადირაძეები, ვლ. და მ. სალარიძეები, მიხ. ქორიძე, ქ. ანდრონიკაშვილი, ბ. ბარველი, ს. რამიშვილი, ა. ახობაძე, მ. ახალციხელი.

ცოტა მოგვიანებით ამ წრეს შეემატნენ: ეფ. მესხი, ნ. გამრეკელ-თორელი, ევტ. თალაკვაძე, ნიკო გამრეკელი (ხარკოველი), მ. ანდრონიკაშვილი, ა. მაჭავარიანი და სხვები.

ნინო გამრეკელთან ერთად ბაქოს სცენაზე გამოდიოდნენ მისი ძმები ნიკო და კაკო გამრეკელები, რომლებიც რუსეთში სწავლობდნენ და არდადეგების დროს სპექტაკლებში მონაწილეობდნენ. აქ ისინი სცენურ ხელოვნებაში ცნობილი მსახიობების დეიდა-ბიძის ეფემიასა და კოტე მესხების გვერდით ოსტატდებოდნენ. მათთან იყო კოტეს მეუღლე ნატო მესხი. პირველად ეფემია მესხი ბაქოში 1898 წელს ჩამოვიდა. ერთი წლის შემდეგ 1899-1900 წლების სათეატრო სეზონში კოტე მარჯანიშვილი და მისი მეუღლე მსახიობი ნადეჟდა ჟივოკინიც ბაქოში რუსულ დრამატულ დასში მონაწილეობდნენ.

რუსულ დასს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მეთაურობდა ანტრეპრენიორი ვასილევ-ვიატსკი, რომელსაც ბაქოში საკუთარი საცირკო შენობა ჰქონდა და იქ რუსული დასის წარმოდგენები იმართებოდა.

სათეატრო სეზონი 1 ოქტომბერს ნ. გოგოლის „რევიზორით“ გაიხსნა. კოტე მარჯანიშვილმა დობჩინსკის როლს საკმაოდ კარგად გაართვა თავი პირველ და მეორე მოქმედებაში, ხოლო მესამე მოქმედებაში გოროდნიჩის მეუღლესთან ანა ანდრეევნასთან წერილის მიტანის სცენა „სრულიად უსიცოცხლოთ“ ჩაატარა.

ა. ოსტროვსკის კომედიაში „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“ კოტე მარჯანიშვილმა ითამაშა კურჩავინის როლი. ცირკის უზარმაზარ შენობაში მსახიობების ხმა ცუდად ისმოდა. „მარჯანიშვილის თამაშის შესახებ არ შეიძლება მსჯელობა, რადგან მაყურებელს მისი ხმა არ ესმოდა“, – წერდა გაზეთი „კასპი“. ბუნებრივია, კოტე ამ შემთხვევაში არ იყო დამნაშავე.

რუსულმა დასმა შემდეგ ა. ოსტროვსკის „ტყე“ წარმოადგინა, რომელშიც კოტე მარჯანიშვილმა გიმნაზიელი ბულანოვის როლი ძალიან კარგად წარმოადგინა. ასევე ბრწყინვალედ წარმოადგინა მან თავისი როლები დრამაში „თავადის ქალი კაპუჩიტა“ და ფრანგულ მელოდრამაში „დანაშაული და სასჯელი“, რაც შეეხება შპაჟინსკის პიესას „ბნელი ძალა“, მას აქ ნევრასთენიული ადამიანის სახე ერთფეროვანი გამოუვიდა. **(36, გვ. 131-132).**

ამ დროს ბაქოში როტშილდის ნავთის სარეწში მუშაობდა კოწია მესხი, რომელიც სპექტაკლებშიც მონაწილეობდა. პერიოდულად სპექტაკლებში მონაწილეობისათვის ბაქოში იწვევდნენ დავით მესხსაც. აქ მოღვაწეობდა კოტე მესხი, როგორც რეჟისორი და მსახიობი. ასე, რომ ანდრია მარჯანიშვილის ერთ მუჭად შეკრული დიდი თეატრალური ოჯახი თითქმის მთელი სპექტრით იყო წარმოდგენილი ბაქოში, სადაც მათ მრავალი სცენური სახე შეჰქმნეს და კულტურულ ცხოვრებაში ღრმა კვალი გაავლეს.

ბაქოში ამ პერიოდის ქართული წარმოდგენებიდან მნიშვნელოვანი იყო: ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დასჯილნი“, ნ. აზიანის „გაცრუებული იმედები“, „უბედური ნაბიჯი“, „სტუმარი“, „ჭკუისა მჭირს“, „ადამ და ევა“, „სამშობლო“, „ღალატი“, „ხანუმა“. წარმოდგენებში მონაწილეობდნენ: ეფემია და კოტე მესხები, ნინო გამრეკელი, ნუცა ჩხეიძე, ქ. ანდრონიკაშვილი, ლ. მესხიშვილი, ს. სვანიძე, რომლებმაც დიდი ოსტატობით გამოქანდაკებულ მთავარ როლებსა თუ მიზანსცენებში საუკეთესო სახეები შეჰქმნეს. წარმოდგენებმა დიდი შემოსავალი მისცა ორგანიზატორებს.

სცენისმოყვარეები უანგაროდ, უსასყიდლოდ, დიდი სიყვარულით მონაწილეობდნენ სპექტაკლებში, რათა აქ მომუშავე ასობით თანამემამულესთან ქართული სიტყვა მიეტანათ.

1906 წლიდან ქართულ დასში ახალი შევსება მოვიდა. ქართული თეატრის მსახიობები ვლ. ამაშუკელი, გ. მატარაძე და ათიოდე სხვა სცენისმოყვარე. დასი ხელმოკლეობასა და უბინაობას განიცდიდა. რეპეტიციები ხან დ. თედეშვილის, ხან გ. ახალციხელის ბინაზე ტარდებოდა, ხანაც შემთხვევით გამოძებნილ ოთახში. წარმოდგენებისათვის ასევე ქირაობ-

დნენ თეატრის დარბაზს. ქართველთა მცდელობითა და საქმისადმი თავგანწირვით დაიბადა საკუთარი თეატრის აშენების იდეა, რომელშიც მოთავსდებოდა თეატრი, სკოლა, სამკითხველო და სხვა. შედგა კომისია. მდიდარი ქართველების დახმარებით იჯარით აიღეს სახლი ნიკოლოზის ქუჩაზე, სადაც გადმოიტანეს ყველა ქართული დაწესებულება. სათეატრო საქმის რიგიანად წარმართვის მიზნით, ბაქოელმა ქართველებმა წრის ხელმძღვანელად კოტე მესხი მოიწვიეს. აქამდე წრეს მუდმივი რეჟისორი არ ჰყავდა.

კოტე მესხი დიდი დიაპაზონის მოღვაწე იყო. მისი ხელმძღვანელობით, მსახიობური და რეჟისორული ოსტატობით ბაქოს ქართულ თეატრში ახლებურად აჟღერდა ევროპული, ქართული და რუსული დრამატურგია. მან ძირეული ცვლილებები მოახდინა სცენისმოყვარეთა თეატრში. იკისრა რეჟისორობა, პროფესიულ დონეზე ატარებდა რეპეტიციებს, რომლის დიდი გამოცდილება ქუთაისში პროფესიული თეატრის დაფუძნებიდან მოჰყვებოდა.

კოტე მესხი ორი წელი ბაქოს ქართულ თეატრს ხელმძღვანელობდა და იგი ქართული პროფესიული თეატრის საიმედო ბურჯად აქცია. ბაქოს ქართული დასის ამაგდარი ხელმძღვანელის კ. მესხის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავს დეპეშებითა და მისალოცებით გამოეხმაურა ბაქოს ქართველობა. მათ თბილისში დელეგაციაც გაგზავნეს, რომელსაც მრავალრიცხოვანი საჩუქრები და ადრესატი გაატანეს, მაგრამ ვერაფერი შეედრებოდა იმ საჩუქარს, მაყურებელმა რომ უძღვნა სცენის ერთგულ და სამართლიან რაინდს, ეს იყო წრფელი სიყვარული, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო.

ბაქოს ქართულ დასს დაუკავშირა მთელი თავისი სიცოცხლე ნინო გამრეკელ-თორელმაც, რომელიც იქაურ ქართველებს სულიერ საზრდოს მრავალი წელი აწვდიდა. ბიძამისის კოტე მესხის დატოვებულმა რწმენამ და სითბომ იგი სცენას კიდევ უფრო მიაჯაჭვა. ნინოს ნათელი გონება, ფაქიზი გემოვნება, შეურიგებელი ხასიათი ბიძამისივით ჰქონდა. იგი არავის აპატიებდა თეატრის უპატივცემულობას, სიზარმაცესა და გულგრილობას.

ბაქოში ორი წელი კ. მესხის ხელმძღვანელობით მუშაობა ნიჭიერი ახალგაზრდა ქალისათვის ჩინებული სკოლა იყო.

„...ბაქოში თამაშობდნენ „ადიკო ზაკაიანს“. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ კოტეს ვუთხარი: –ეს როლი ასე არასოდეს გითამაშია.-იმიტომ, რომ ასეთი ვარო არასოდეს მყოლიაო“, – აღნიშნავდა ნატო მესხი.

სჩანდა, რომ კ. მესხს სწამდა ნ. გამრეკელის, რომელსაც მთავარ როლებსაც აკისრებდა და პარტნიორადაც სიამოვნებით ირჩევდა. ბაქოში კოტეს წასვლის შემდეგ ნ. გამრეკელმა რეჟისურაში სცადა ბედი. ცდა გამარჯვებით დამთავრდა. პიესების შერჩევის საკითხში ნ. გამრეკელი მისი დამრიგებლის და მასწავლებლის კ. მესხის კვალს მისდევდა.

ბაქოში ნინომ პირველად ილიას ხსოვნის საღამოზე „ბატონი და ყმა“ დადგა. შემდეგ ისტორიული პიესები: „თამარ ცბიერი“, „პატარა კახი“, „აღსდგა მკვდრეთით ანუ მარუჩა“, „კაცია-ადამიანი?!“, ვალერიან გუნიას „სიძე-სიმამრი“, გ. სუნდუკიანცის–„ხათაბალა“ და უცხოური პიესაფონ ვილდენბრუხის „ქოჩრიანი ტოროლა“.

„...30-ს აქ ქართული საღამოა. რამე პიესა უნდა დაიდგას ერთმოქმედებიანი. არ ვიცი რა მოვიფიქრო. ნუთუ ჭამა-სმა, ხანჯლის ტრიალი და ჰარიარალე უნდა ვაჩვენო ხალხს? ისიც უბედურებაა, რომ მხიარული როლის მოთამაშე ქალი არ გვყავს... თბილისში ახალი პიესა გამოჩენილა ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“ და გამომიგზავნეთ“, –თხოვდა იგი ნატო მესხს.

ახალგაზრდა რეჟისორმა არც მსახიობთა შერჩევის საკითხში უდალატა მასწავლებლის ტრადიციას. მის დადგმებში მთავარ როლებს კვლავ ეფ. მესხი, დ. შველიძე, გ. მატარაძე, ვლ. ამაშუკელი, ევტროფი თალაკვაძე, არ. და ვლ. ახობაძეები ასრულებდნენ.

ვფიქრობთ, ეს სრულიად კანონზომიერიც გახლდათ. თუ კოტე მესხისათვის საჭირო იყო გამოცდილი შემსრულებელი, დამწყები რეჟისორისათვის მით უფრო აუცილებლობას წარმოადგენდა იგი, რადგან მას, უპირველესად, შემსრულებელთა გამოცდილება უნდა დახმარებოდა.

სარეჟისორო მოღვაწეობასთან ერთად ნ. გამრეკელი წარმოდგენებშიც მონაწილეობდა. თამაშობდა თამროს („ბატონი და ყმა“), მარუჩას, ცირას („თამარ ცბიერი“), ერეკლე მეორეს („პატარა კახი“), ლენას (“ქოჩრიანი ტოროლა“); თამაშობდა დრამატულ როლებსაც. მას აქებდა პრესა, უყვარდა მაყურებელს. თავად კი საკუთარი თავის მიმართ თვითკრიტიკული იყო. „წარმოდგენებს რომ სხვა დგამდეს უკეთ ვითამაშებდიო“, – ამბობდა. ჩანდა, ამ ორი

დიდი საქმის შეთავსებისათვის თავი მზად ჯერ კიდევ არ მიაჩნდა. თუმცა თავისი შემდგომი მოღვაწეობით დაამტკიცა, რომ ამ ორი საქმის შეთავსება ბრწყინვალედ შეძლო. კრიტიკული დამოკიდებულება, რომელსაც ნ. გამრეკელი საკუთარი თავის მიმართ იჩენდა, პირად წერილებშიც იყო გამოხატული.

რეჟისორი ქალი რეპეტიციების დაწყებამდე დაკვირვებით სწავლობდა ნაწარმოებს, უკეთებდა ღრმა ანალიზს, წერდა თავისებურ სარეჟისორო გეგმას, რომელშიც დაწვრილებით იხილავდა პიესას, მის იდეას, ღირსება-ნაკლოვანებას, სათითაოდ ახასიათებდა ყოველ გმირს, რომელსაც აცნობდა მსახიობებს, მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა რეპეტიციები.

ბაქოს ქართული დრამატული დასის მუშაობაში მნიშვნელოვანი იყო რეპერტუარის საკითხი, რადგან იგი განსაზღვრავდა თეატრის სახეს, კოლექტივის მიზნებს, მოთხოვნილებებსა და აზროვნების დონეს. ბაქოს ქართულ დასს ჩინებული ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მოღვაწეები ესწრებოდნენ. 1900-1909 წლებში დასმა მაყურებელს უჩვენა 65 პიესა, აქედან 48 გადმოქართულებული. ბაქოს მაყურებელში ქართველი ხალხის გმირული წარსულის ამსახველი პიესები პოპულარობით სარგებლობდა. ბაქოს ქართული თეატრი წარმოადგენდა იმ ტრიბუნას, სადაც ჭექდა თავისუფლებისმოყვარე ხალხის აღგზნებული, შემართებული, გონების გამხსნელი, გრძნობის გამაფაქიზებელი, იმედიანი სიტყვა.

მართალია, დრამატული წრის წარმოდგენები იმ ძირითად მოთხოვნებს პასუხობდა, რომელსაც თეატრს უყენებდნენ, მაგრამ ეს მაინც საკმარისი არ იყო ბაქოში მცხოვრებ ქართველებისათვის. მშობლიური კულტურის გაცნობისა და განათლებისათვის საჭირო იყო ელემენტარული დაწყებითი სკოლის გახსნა, სადაც მათი შვილები წერა-კითხვას მშობლიურ ენაზე ისწავლიდნენ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძალისხმევით ბაქოში გაიხსნა დაწყებითი სკოლა. აქაც ნინო გამრეკელმა გამოიჩინა ინიციატივა. იგი 1909 წლის 11 სექტემბრიდან იყო ერთ-ერთი პირველი მასწავლებელი, რომელიც ამ სკოლაში ასწავლიდა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სკოლა საჭირო ნივთებით უზრუნველყო. სკოლა ძირითადად წარმოდგენებიდან შემოსული თანხით ფინანსდებოდა. ყოველწლიურად სკოლის სასარგებლოდ იმართებოდა ერთი წარმოდგენა.

„...დიდ უარზე ვიყავი რეჟისორობაზე, მაგრამ ვინ გაიგონა. დაჟინებით აღარა ვთქვი უარი, რადგან ეს წარმოდგენები ახლა წ.კ.გ. საზოგადოების ფილიალური განყოფილების გამგეობამ აიღო თავის თავზე. წარმოდგენები თვითონ ჩვენი სკოლის სასარგებლოდ იმართება და მაშ, როგორ მათქმევინებდნენ უარს“, –აღნიშნავდა ნინო გამრეკელი.

ბაქოში იაკობ მანსვეტაშვილმა თავისი ხარჯით ქართული კულტურის სახლი ააგო. შენობის პირველ სართულზე, 1912წლის 23 დეკემბერს, ქართული სკოლა გაიხსნა. აქვე ჩამოყალიბდა ქართველ ქალთა წრე, რომლის აქტიური წევრი ნინო გამრეკელი გახლდათ. გაჭირვებულთა დასახმარებლად იგი აწყობდა საშობაო დღესასწაულებს და აგროვებდა შემოწირულობას. შენობაში გახსნილი იყო ასევე ჭრა-კერვის, ქარგვის და სხვა ხელსაქმის კურსები.

ბაქოს ქართული სკოლა საქართველოში მიმდინარე ყველა მოვლენას ეხმაურებოდა. ამ სკოლაში სწავლობდა ბაქოში მოღვაწე ქართველების შვილები და მათ შორის ნინო გამრეკელ-თორელისაც. ქართული ენისადმი სიყვარულის გაღვივების მიზნით აქ მშობლების დაინტერესებით ლიტერატურული დილები, საბავშვო წარმოდგენები და შეკრებები იმართებოდა.

1910 წლის 9 ნოემბერს ნინო გამრეკელ-თორელი გამოეთხოვა ბაქოს საზოგადოებას პროტოპოპოვის პიესით „ცხოვრების გარეშე“, სადაც მან პოლიას რთული როლი შეასრულა. ამ წარმოდგენით მან მაყურებელს დაანახა, რომ ფიზიკურად გახრწნილი პოლია სულიერად გაცილებით უფრო წმინდა გახლდათ, ვიდრე მისი ყოფილი ბატონის ქალიშვილი.

დიდი მადლიერებითა და სინანულით გააცილა ნინო გამრეკელი ბაქოს საზოგადოებამ. მეგობრებმა მას გამოთხოვებისას სიყვარულით სავსე ადრესი მიართვეს: „უკვე ოთხმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც სასცენო ასპარეზზედ გამოხვედი სამუშაოდ და ამ ხნის განმავლობაში შენის დაუღალავი შრომითა და ენერგიით შესძელი დაგემსახურებინა ღრმა სიყვარული და პატივისცემა, როგორც შენს ამხანაგთა შორის, ისე ადგილობრივ ქართველთა საზოგადოებაში.

ჟამსა გამოთხოვებისას რა უნდა გითხრათ ისეთი, რომ მით ცოტათი მაინც შევძლოთ დაგიფასოთ შრომა და ღვაწლი ჩვენი საერთო საყვარელი საქმის ბაქოს ქართულ სცენისადმი. მაგრამ არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ, რომ შენში ჩვენ სალამს ვუძღვნით ჭეშმარიტ მსახიობს, ჭეშმარიტ ხელოვანს, რომელსაც სავსებითა აქვს შეგნებული დაბეჩავებული სამშობლო სცენის კულტურული მნიშვნელობა და მისი მაღალი დანიშნულება ქართველი ერის წინაშე. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თუკი მომავალშიც შრომას არ დაიზარებ, შენი სახელი ღირსი იქნება იხსენებოდეს ქართულ მელპომენის იმ წმინდა ტაძარში, რომელშიც დღეს ასე თამამად გაისმის ჩვენი ეროვნული სცენის დაუღალავ და ენერგიულ მუშაკთა სახელი.

მოულოდნელი შენის წასვლით ობლად რჩება შენგან ნაამაგარ-ნაჭირნახულევი ჩვენი ქართული სცენა და მასთან ერთად ობლად ვრჩებით ჩვენც, შენი ამხანაგები... გწამდეს, ამიერიდან შენი სახე წარუშლელი იქნება ჩვენს ხსოვნაში და შენი სახელი უკვდავი იქნება ჩვენს შორის“.

სხვადასხვა დროს ნინო გამრეკელ-თორელი იყო ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის თეატრების რეჟისორი და მსახიობი. მისი დადგმებიდან აღსანიშნავია ნ. ნაკაშიძის „კოტეს დანაშაული“, ბ. ლავრენიოვის „რღვევა“, ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვა.

1920-24 წლებში ნინო გამრეკელი მუშაობდა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. პარალელურად 1922-24 წლებში სწავლობდა ა. ფაღავას დრამატულ სტუდიაში. იგი ხელმძღვანელობდა ქუთაისის თეატრის სეზონებსაც, როგორც რეჟისორი.

1921 წელს ნინო გამრეკელ-თორელმა სახელმწიფო აკადემიური დრამის თეატრში დადგა ნ. ნაკაშიძის „კოტეს დანაშაული“, სადაც ვერიკო ანჯაფარიძე სანდროს როლს თამაშობდა.

ნინო გამრეკელი 1935 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში.

ნინო გამრეკელი მის მიერ განსახიერებულ თუ მისი რეჟისორობით დადგმულ სპექტაკლების გმირ ქალებში ყოველთვის ეძებდა და გამოკვეთდა ქალური სიწმინდის უპირველეს ნიშნებს: ფიზიკურისა და სულიერის ჰარმონიას, სიწრფელეს, ზნეობრივ სიფაქიზეს, სათნოებას... და რაც მთავარია ამ ღირებულებათა შენარჩუნებისა და დაცვისათვის აუცილებელ სიმტკიცეს, გმირულ თავგანწირვას და სწრაფვას თავისუფლებისაკენ.

მსახიობი და პირველი რეჟისორი
ქალი საქართველოში
ნინო გამრეკელი

პოეტი დომინიკა ერისთავი



დომინიკას მეგობარი ინდოეთის
გამოჩენილი მწერალი
რაბინდრანათ თაგორი

სულის აღმაფრენასთან ნილნაყარი

„სცენა და მაყურებელთა დარბაზი, მსახიობები და
მაყურებლები მხოლოდ ერთობლივ ქმნიან ერთ მთლიანს“...

გოეთე

მსახიობმა ბაბო გამრეკელმა დედასავით, ადრე ქალიშვილობაშივე, გადალახა ქართველი ქალის შეზღუდული ატმოსფერო და ქართული თეატრის კარი სასწავლებლის დამთავრებისთანავე შეაღო. და-ძმა, დეიდები, ბიძები, მამიდაშვილები და დეიდაშვილები ყველა თეატრალები ჰყავდა. ამ დროს საქართველოში თეატრი იყო ამაღლებული ტრიბუნა, სადაც მაყურებელი ეროვნული თავისუფლების იდეებს იჭერდა და გულში იბეჭდავდა.

თეატრს იგი ბავშვობიდანვე შეესისხორცა. მარიამ მესხმა და ალექსანდრე გამრეკელმა ბაბოს სახით თეატრს არა მარტო მსახიობი, არამედ განათლებული ქალიშვილი მისცეს.

ორთავე დის ნინო და ბაბო გამრეკელების რეჟისორები ორი კოტე იყო.

ქართულ სცენაზე ბევრი ლამაზი, ნაზი, მშვიდი, მხიარული, მებრძოლი სახე შეჰქმნა ნინო გამრეკელმა, რომელიც კოტე მესხმა დააოსტატა, როგორც მსახიობი და რეჟისორი.

მარიამ მესხის მეორე ქალიშვილს ბაბო გამრეკელსაც ანდრია მარჯანიშვილის ბუდის დაუცხრომელ გრიგალთან კოტე მარჯანიშვილთან არგუნა ბედმა მუშაობა.

„...იმ დროს მოსკოვში ცხოვრობდა ჩემი დისშვილი ბაბუცა გამრეკელი, რომელიც კოტემ მიიწვია „თავისუფალ თეატრში“ მსახიობად და იქ მუშაობდა, სანამ თეატრი არ დაიხურა“...

ათასი ლეგენდა იყო დაკავშირებული „თავისუფალ თეატრთან“. ამ თეატრს ჰქონდა თავისი ცხოვრებისეული ლოგიკა. გარემომცველ სამყაროსაგან გამოწვეულმა შინაგანმა დაუკმაყოფილებამ, უხამსობამ, მეშჩანობისა და გახრწნილების სიძულვილმა, მეამბოხე სულმა, თავისუფლების დამოუკიდებელმა წადილმა და ცხოვრების გამამხნევებელი, ოპტიმისტური აღქმისადმი ლტოლვამ შეაჰქმნევინა მარჯანიშვილს „თავისუფალი თეატრი“, რომელიც აღსავსე იყო იდუმალებითა და გრძნეულებით, რეალობითა და დღესასწაულებრივი დაუდგრომლობით.

„... ხელოვნებამ, თეატრმა, უპირველესად, სიხარული უნდა მოგვანიჭოს. აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიტლანქეს, სიხარული მე მესმის, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფართო გაგებით, არა როგორც მარტოოდენ სიცილი. თეატრში შეიძლება იტირო კიდეც“, –წერდა კოტე მარჯანიშვილი.

კ. მარჯანიშვილს სწყუროდა აღმაფრენა, დამოუკიდებლობა. მომავალი თეატრი მას წარმოედგინა ვითარცა ტაძარი, საკურთხეველი და ყველა იქ შემსვლელი უწმინდესი ხელით უნდა შეხებოდა მას.

ცნება „თავისუფალი“ მის შეგნებაში გახდა წარმტაცი იდეალი, სიწმინდის მომტანი, მშვენიერი. „აბა, შემეძლო სხვა რამ მეწოდებინა თეატრისათვის, რომლისკენაც მე ვისწრაფოდი?!, –აღნიშნავდა კოტე მარჯანიშვილი.

ცხადია, არ შეეძლო. სახელწოდება ბევრ რამეს განსაზღვრავდა, დიდი აზრით იყო დატვირთული, აირეკლავდა თეატრის შემქმნელის ბუნტარულ, თამამ სულს, ბადებდა მღელვარე გრძნობას.

თეატრს ფინანსურად უზრუნველყოფდა კალუგის თავად-აზნაურობის წინამძღოლი, ცნობილი კაპიტალისტი ვასილ სუხოდოლსკი. კ. მარჯანიშვილის სიყრმის მეგობრის ლელია ჭავჭავაძის მეუღლე. ხელშეკრულებით თეატრმა დაქირავებულ შჩუკინის „ერმიტაჟის“ შენობაში ოთხი წლის ვადით დაიდო ბინა.

თეატრი ჯერ კიდევ არ შექმნილიყო, რომ მის ირგვლივ გაუთავებელი აურზაური და კამათი ატყდა.

„თავისუფალი თეატრი“ მართლაც დიდი, საინტერესო და, რაც მთავარია, უჩვეულო მოვლენა იყო თეატრის ისტორიაში.

თეატრის გახსნამდე მარჯანიშვილი ზრუნავდა, რომ დასში ჩარიცხულ ადამიანებს წმინდა გულით მოეკიდათ ხელი საქმისათვის, რომ თავიდან მოეშორებინათ წვრილმანი ზრახვანი, დაევიწყებინათ პატივმოყვარეობა, პრემიერობანა და პირადი ინტერესები.

ასეთი დიდი პასუხისმგებლობა იდგა ბაბო გამრეკელის წინაშე, როცა ის „თავისუფალ

თეატრში“ ჩაირიცხა. რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა გააფრთხილა მსახიობები: „...წინ დიდი, სერიოზული და ძალზე საპასუხისმგებლო საქმე გველის. ყოველი ჩვენგანის ხელშია ჩვენივე მომავალი, ჩვენი ახალგაზრდა თეატრის ბედი“...

„თავისუფალ თეატრში“ მომუშავეთა დღე უკიდურესად დაძაბული იყო. იქ ადგილი არ ჰქონდა იოლ, ზერელე, იაფფასიან წარმატებას. „თავისუფალი თეატრის“ სცენაზე სულ ხუთი სპექტაკლი განხორციელდა: მუსორგსკის ოპერა „სოროჩინცის ბაზრობა“, ოფენბახის ოპერეტა „მშვენიერი ელენე“, შნიცლერ-დონანის პანტომიმა „პიერეტას საბურველი“, ბენრიმოსა და ხაზელტონის „ყვითელი კოფთა“ და ა. დოდეს მელოდრამა „არლელი ქალი“.

„...თეატრში არ რჩებოდა არც ერთი თავისუფალი მოედანი, არც ერთი თავისუფალი ოთახი, სცენა და ორი ავანლოჟა, დიდი და პატარა ფოიე, ვერანდა, ე.წ. იურიდიული შეკრების ოთახი, საკოსტუმო, დირექტორის კაბინეტიც კი, საათებისა და წუთების მიხედვით იყო განაწილებული, კოლექტივის ყოველ წევრს შრომა სწყუროდა“, –წერდა დიდ თეატრალურ მოვლენებზე ბაბო გამრეკელი.

„თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლებით მსოფლიო თეატრალური საზოგადოება შეძრული იყო, მაგრამ იყო ადამიანები, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ რეჟისორის ამ უჩვეულო სპექტაკლებს.

„თავისუფალი თეატრი“ გაცხარებულ მუშაობაში იყო, როცა უკვე, 1913 წლის ნოემბრის თვეში, პრესაში გამოჩნდა შემაშფოთებელი სიგნალები –თეატრში მწიფდება უთანხმოება სამხატვრო ხელმძღვანელსა და თეატრის მეპატრონე სუხოდოლსკის შორისო.

ეს პროცესები დააჩქარა ანდრეევას უკმაყოფილებამაც.

„...ანდრეევას მოსწონდა კატარინა „ჭირვეულის მორჯულებიდან“. მარჯანიშვილს რატომღაც არ იტაცებდა ეს რეპეტიციები, „ვერ გაიტაცა“, ვერ აღანთო იგი და ბოლოს „უარიც“ კი თქვა ამ დადგმაზე“... **(27, გვ.8)**.

ანდრეევამ დატოვა თეატრი.

შეუპოვარ მარჯანიშვილს არ შეეძლო ასეთი მდგომარეობის შეგუება.

„დიახ, ეს თეატრი უნდა ყოფილიყო თავისუფალი. მინდა ვილაპარაკო ხელოვნების ორთოლვაზე, წმინდა სულზე, რომელიც აცისკროვნებდა ამ თეატრის ყველა წმინდა მუშაკს... ვინ ქმნიდა ყოველივე ამას... მე...მე... ის, ვინც იგრძნო, რომ ტაძარი უნდოდათ გადაექციათ სავაჭრო დუქნად, უმაქნის ადგილად, თვითონვე დავანგრიე ეს ტაძარი“, –გულისტკივილით აცხადებდა კოტე მარჯანიშვილი.

ბაბო გამრეკელმა „თავისუფალი თეატრი“ თავის მასწავლებელთან ერთად დატოვა, მაგრამ მათი გზები დიდხანს არ გაყრილა.

ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლებიდან და-ძმის გიორგი მესხის შვილიშვილს ვერიკო ანჯაფარიძესა და მარიამ მესხის შვილს ბაბო გამრეკელს ჯაბადარის სტუდიაში ერთდროულად მოუხდათ სასცენო ხელოვნების დაუფლება და თამაში. ამ შტოს ძველი მსახიობები ახალმა, საიმედო თაობამ შეცვალა. თეატრისადმი გენეტიკური ლტოლვა ისევ თავისთავად მუშაობდა.

„...რა სიამოვნებით ვიგონებ ხოლმე როსტანის პატარა პიესას „თეთრ ვახშამს“. გ. ჯაბადარს უნდოდა მისი დადგმა, მაგრამ ქართული თარგმანი არ არსებობდა. ჯაბადარმა პაოლო იაშვილს მიმართა: იგი დაპირდა, მაგრამ დრო მიდიოდა, თარგმანი კი არ ჩანდა. ჩვენი მოთმინება თანდათან ილეოდა. ერთ მშვენიერ დღეს შევიტყუეთ პაოლო ჯაბადარის კაბინეტში, ჩავკეტეთ შიგ და რამდენიმე საათში ისეთი შესანიშნავი ლექსით თარგმნილი პიესა ჩაგვაბარა, რომ ყველა აღტაცებაში მოგვიყვანა.

მყისვე შევუდექით მუშაობას, ნაწარმოები ძალიან გვიტაცებდა. ვერიკო თამაშობდა მხიარულ პიეროს, მე –სევდიანს, ალისა ქიქოძე –კოლომბინას“... **(29,გვ. 5-6)**.

სპექტაკლში „სარწმუნოება“ ბაბო გამრეკელი იაუმას როლზე იყო დანიშნული. ამავე როლს ვერიკო ანჯაფარიძე თამაშობდა. რეპეტიციებს ერთად გადიოდნენ. სპექტაკლი ერთხელ დაიდგა და „ვერიკომ ისე ძლიერად ითამაშა იაუმა, რომ არც ვაპირებდი მის თამაშს – იმდენად ვერიკოს საკუთრებად მიმაჩნდა იგი“, –აღიარებდა ბაბო გამრეკელი.

„ვერიკო თამაშობდა მხიარულ პიეროს, რა მხიარული გატაცებით მღეროდა ვერიკო გიტარით ხელში... შემდეგ ამავე სიმღერას სევდიანად ვმღეროდი მე“... **(29, გვ.5)**.

გ. ჯაბადარის სტუდია 1920 წელს დაიხურა. სტუდენტებმა ამავე წელსვე დაარსებულ

თეატრს მიაშურეს, რომელსაც სახელმწიფო აკადემიური დრამის თეატრი ეწოდებოდა.

„თბილისის ქართული დრამის 1921-1922 წწ. სეზონის სამზადისი ივლის-აგვისტოს თვეში წარმოებდა. დასში ქართული თეატრის საუკეთესო ძალები შეიკრიბა. გაზეთ „კომუნისტში“ გამოცხადებული იყო დასის შემადგენლობა და განმარტებული იყო, რომ მსახიობებს, ვისაც სამი წლის მუშაობის სტაჟი აქვს სახელმწიფო სამსახურში ჩაირიცხებოდა.

ამ გამოცხადებულ სიაში – შემდეგ ზოგიერთი ცვლილება მოხდა და საბოლოოდ დასი შემდეგი სახით დამტკიცდა: ქალები: ტ. აბაშიძე, ა. აბელიშვილი, ე. ანდრონიკაშვილი, ვ. ანჯაფარიძე, ს. ბეჟანიშვილი, ბ. გამრეკელი, ნ. გამრეკელ-თორელი, ეფემია მესხი, ნ. დავითაშვილი, ელენე დონაური, ირ. დონაური, ქ. ინასარიძე, ნ. კოლხიდელი, ა. ლოლუა, ბ. როინელი, ბ. როსტომაშვილი, ალ. ქიქოძე, ან. ქიქოძე, ე. ციმაკურიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ა. შოთაძე, ც. წუწუნავა, თ. ჭავჭავაძე“... **(2, გვ.87).**

დრამის თეატრში ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლებიდან ოთხი ქალი ვერიკო, ნინო, ბაბო და ეფემია საუკეთესო მსახიობთა შორის ირიცხებოდა.

1925 წლის 25 ნოემბრიდან დრამის თეატრს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სტატუსი მიენიჭა.

რუსთაველის თეატრში მუშაობის პერიოდში (1922-1926 წწ.) „მარჯანიშვილის მუშაობა ქართულ სცენაზე მიმდინარეობდა უმთავრესად ჩვენი თაობის აქტიორებთან და მის მომდევნო ახალგაზრდობასთან. ჩვენი თაობის მთავარ ბირთვს, ვისთანაც მარჯანიშვილი დაკავშირებული იყო თითქმის მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ქართულ თეატრში, შეადგენდნენ: ვ. ანჯაფარიძე, დ. ანთაძე, ბაბო გამრეკელი, ა. ვასაძე, ა. გველესიანი, დ. დავითაშვილი, ე. დონაური, ა. ჟორჟოლიანი, მ. ლორთქიფანიძე, დ. მჟავია, გ. სარჩიმელიძე, შ. ღამბაშიძე, დ. ჩხეიძე, უ. ჩხეიძე, ა. ხორავა, თ. ჭავჭავაძე, ც. წუწუნავა და ვ. ჯიქია. მხატვარი ირ. გამრეკელი და კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი.

კ. მარჯანიშვილის რუსთაველის თეატრში ყოფნის დროს ზემოთ დასახელებული პირები შეადგენდნენ ახალგაზრდების იმ ჯგუფს, რომელსაც იგი ეყრდნობოდა უმთავრესად თავის მუშაობაში.

...თუ მარჯანიშვილის მუშაობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი თაობისათვის, არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს თაობასაც მარჯანიშვილისათვის.

გარკვეული პერიოდის მანძილზე ჩვენი თაობა არა მარტო მხატვრული ძალა და გამტარებელი იყო მარჯანიშვილის მხატვრული იდეებისა, არამედ ეს იყო მაორგანიზებელი ძალაც როგორც რუსთაველის, ისე მისი სახელობის თეატრში. ეს იყო ძალა, რომელიც ციხესიმაგრესავით გარს ერტყა მარჯანიშვილს... ეს იყო ძალა, რომელიც თეატრში საქმით, მხოლოდ თეატრის გარეთ კი –სიტყვით იცავდა იმ მხატვრულ პრინციპებს, რომელსაც მარჯანიშვილი ამკვიდრებდა ქართულ თეატრში“, –მტკიცედ აცხადებდა უშანგი ჩხეიძე.

1925 წელს „ჰამლეტმა“ უდიდესი წარმატება მოუტანა მარჯანიშვილს. ყველანი მოაჯადოვა და საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა ვერიკო ანჯაფარიძის სასწაულებრივმა ოფელიამ.

ამ როლზე მისი დუბლიორი იყო ბაბო გამრეკელი.

„...ოფელიას წარმატებით ასრულებდა ბაბო გამრეკელი, რომელსაც მშვენიერი ხმა ჰქონდა. მისმა სიმღერამ გაამდიდრა ოფელიას როლი“, –იხსენებდა კომპოზიტორი თამარ ვახვახიშვილი.

ბაბო გამრეკელი ლხინსა თუ ჭირში, თეატრსა თუ მის გარეთ ყველგან მარჯანიშვილის გვერდით იდგა. სულ მუდამ მოძრავი და მოხეტიალე რეჟისორი ყოველთვის დაშორებული იყო ოჯახიდან და მარტოობას თავისი მზრუნველობით ნათესაობის წრე უვსებდა.

„...როცა მარტო ვრჩები, თავს ეულად ვგრძნობ... როცა ახლობლები ჩემ გვერდით არ არიან, მუდამ მარტოობას ვგრძნობ“, –ამბობდა კოტე მარჯანიშვილი.

1915 წელს ვარშავაში ომში მყოფ მარჯანიშვილს გვერდიდან არ შორდებოდნენ ბაბოს ძმები ნიკო და კაკო გამრეკელები. მათი ჩარევით მარჯანიშვილს პრაპორშიკობა მიანიჭეს და ბანაკის გამგებლობაც დააკისრეს.

ნიკო გამრეკელმა განათლება მოსკოვში მიიღო. იგი „ხარკოველის“ ფსევდონიმით გამოდიოდა ბაქოს ქართული თეატრის სცენაზე, სადაც კ. მესხთან ერთად ითამაშა შილერის „ყაჩაღებში“ და ერისთავის „სამშობლოში“. ნ. ნიკო გამრეკელი მუშაობდა ექიმად თბილისის

სპეციალურ სანიტარული სამმართველოს საავადმყოფოში.

თეატრი მარჯანიშვილიდან მოითხოვდა გონების, ნერვების, გულის დიდ დაძაბვას. ასე მუშაობდა იგი ორმოც წელზე მეტ ხანს. ამიტომაც იყო რომ ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა კიდეც.

„...ბაბუცა ჯერ არ დაბრუნებულა მიხაილოვოდან, სადაც მარჯანიშვილის დასია სამუშაოდ. კოტე ძალიან ავად იყო –ამ ორი კვირის წინათ. მოსკოვიდან ჩამოვიდა და მაშინვე ავად გახდა. (ქვა ვერ დაბადა) კინადამ გადაჰყვა თან.

ბაბუცა წავიდა ბორჯომში ალეკას მისაყვანად, მაგრამ ეს ავად დახვდა. უთხრა თურმე აქ ჩამოიყვანეთ როგორმე. აქ ყველაფერი საშუალება მოინახება, ვანები და სხვა. მართლაც იმავე დღეს დაბრუნდა ბაბუცა და წაიყვანეს ბორჯომში. გადარჩა სიკვდილს, მაგრამ ამბობენ იმდენად არის დასუსტებული, რომ მუშაობის თავი არა აქვს“, –ატყობინებდა ეფემია მესხი წერილით 1932 წლის 22 აგვისტოს თავის ძმას დავით მესხს.

ბაბო გამრეკელმა კოტეს რეჟისორობით მრავალი როლი ითამაშა თავისუფალ თეატრსა და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. ასევე მეორე სახელმწიფო თეატრში, შემდგომ მარჯანიშვილის თეატრში. მის ბოლო სპექტაკლში „ჯოი-სტრიტი“ გარდაცვალებიდან 10 დღით ადრე მარჯანიშვილმა მას როლების განაწილებისას მესასთუმლე –ანდრეის ცოლის სახის შექმნა მიანდო.

„...ქალთა როლები მართალია პატარაა, მაგრამ ყველა საპასუხისმგებლოა, აქ სულ პირველი მსახიობები ასრულებენ მათ“, –აფრთხილებდა კოტე მარჯანიშვილი.

ბაბო გამრეკელი ბოლომდე დარჩა მისი ერთგული. იგი გარდაცვალებამდე მუშაობდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მუზეუმში. მან კ. მარჯანიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისტორიას ბევრი საინტერესო მასალა შემოუნახა.

ამ ლამაზი დების ლამაზი სიცოცხლე ქართულ სცენაზე უშურველად დაიფერფლა. ერისქალობაც ხომ ისაა, როცა სამშობლოს საკეთილდღეოდ უანგაროდ იღწვი.

...და როგორც სოკრატე ამბობდა: „ღირსეულ და პატიოსან ადამიანებს – ქალებსაც და მამაკაცებსაც – მე ვთვლი ბედნიერებად, ბოროტებსა და ცუდებს – უბედურებად“.

ბაბო გამრეკელი, ე. ვაჩნაძე, ვ. ანჯაფარიძე, ნ ჩხეიძე, კ. მარჯანიშვილი, მ. ქორელი, დ. მჟავია, ე. დონაური (კ. მარჯანიშვილის მეუღლე), ა. ვასაძე, ს. ახმეტელი, გ. დავითაშვილი. ბორჯომი 1923 წ.



ეფემია მესხის წერილი დავით მესხისადმი

კიკიმორა?! არა, დიდი მსახიობი...

„ეფემია მესხი ჩემთვის ყოველთვის სათაყვანებელი იყო და არის, როგორც ადამიანი, მსახიობი, მასწავლებელი და ამხანაგი... ფეფიკოს სასცენო პიროვნება ისეთი მაღალი იყო, რომ თავის დღეში წვრილმანობამდის არ ჩამოსულა, მას სხვისი წარმატება და სცენაზე წინსვლა ყოველთვის პირად ბედნიერებად მიაჩნდა“.

ნუცა ჩხეიძე

ქართულ სცენაზე გამოსვლის პირველ ნაბიჯებსა და განცდებს ეფემია მესხი თავის „მოგონებებში“ შთამბეჭდავად გადმოგვცემს:

„...კულისებში ხალხი ირეოდა. ყველანი ღელავდნენ, რაც მეტად მაკვირვებდა. მე რომ ვღელავ, ეს ადვილი გასაგებია, მაგრამ ამათ რა ემართებათ?

...სახე გამილამაზეს, ჩამაცვეს... დაჰკრა პირველმა ზარმა. მე გული ძალზე მიცემდა... სცენის ფარდაზე დიდი ჭუჭრუტანა იყო, გავიხედე... დავინახე ყველა ჩემი ნაცნობი მწერლები, სერგეი და კეკეც იმათთან იყვნენ. ამან მე მეტად შემაკრთო... გაისმა მეორე ზარი. ყველამ მიაშურა თავის ადგილს. სრული სიჩუმე გამეფდა. მალე მესამეც დაჰკრეს და ფარდა აიხადა.

... უეცრად თითქმის ყველაფერი დამავიწყდა, მაგრამ იმავე წამს მოვედი გონს, გამახსენდა, რომ მე სცენაზე ვარ და ეხლავე უნდა დავიწყო ლაპარაკი. დავიწყე სრულიად აუღელვებლად, თამამად, ძალდაუტანებლად. არაფერი არ მახსოვდა, გარდა ჩემი მდგომარეობისა სცენაზე. თამამად ჩავატარე პირველი მოქმედება, ამან გამამხნევა. როდესაც ფარდა დაუშვეს, გაისმა ტაშის ხმა, გამოძახება: საფაროვა! ყიფიანი! საფაროვა! ვაშა! მესხი! მე მეგონა კოტეს ეძახდნენ, რადგან ისიც თამაშობდა. საფაროვის ქალმა ხელი მომკიდა და რამდენჯერმე გამიყვანა სცენაზე. ხეირიანად თავის დაკვრაც ვერ მოვახერხე.

მეორე მოქმედების დროს უფრო თამამად ვიყავი, რადგან პირველი მოქმედების შემდეგ ყველამ მომიწონა თამაში...

გათავდა მეორე მოქმედებაც და კიდევ დაუსრულებელი გამოძახილი. კიდევ ტაში, ვაშა.

უეცრად კულისებში გაისმა ვიღაცის ხმა: „ãäåÌ åñõè, Ääåîíà, êàêî é ÷óäíû é ãîëî ñ, êàêàÿ çàì å÷àòåëüíàÿ äèêöèÿ”... ეს იყო დავით ერისთავი. დამინახა თუ არა, მითხრა, „Çàâðà âå÷åðîì ïðèõîäèòå ñêîí åíà ÷èòêóï üåñû „Ñàì øîáëî”, íåïðåìåíî. ß êîòåñêàæóîá ýòîì ”...

სახლში გამაცილეს კოტემ და რეჟისორმა ბებუთაშვილმა. დიდი თოვლი იყო და მარხილით წამოვედით.

მივედი შინ. მეტად აღელვებული ვიყავი... ძილი არ მეკარებოდა... ვფიქრობდი დღევანდელ დღეზე, ჩემი თავი უკვე მსახიობი მეგონა.

...ვგრძნობდი, რომ დღევანდელი დღე იყო დასაწყისი ჩემი შემდგომი საქმიანობისა, თითქოს ეს იყო ჩემი გზის მაჩვენებელი. ფანჯრიდან მოსჩანდა ვარდისფერი ღრუბლები მაღლა ცაში.. ჩემს თავშიაც ტრიალებდა ვარდისფერი ფიქრები. არ მახსოვს როდის დამეძინა ბედნიერი ძილით.

ეს იყო 1882 წლის 13 იანვარს: აქედან იწყება ჩემი ქართულ სცენაზე მუშაობა“ ...

პირველ დებიუტს „პარიზელ ბიჭს“ იმავე წელსვე „ჟან ბოდრი“ მოჰყვა. ფეფიკო მესხმა ფრანგულიდან თარგმნილ პიესაში „ჟან ბოდრში“ ქალიშვილის როლი ითამაშა.

„... კარგი როლი იყო და, როგორც ამბობენ, ჩინებულად შევასრულე. ძალიან კარგები იყვნენ ამ პიესაში თვით მობენეფისე კ. ყიფიანი და კოტე მესხი.

სამჯერ კომიკური როლები მათამაშეს. როლები არ გამიფუჭებია, მაგრამ ვგრძნობდი, რომ კომიკური მსახიობობა არ იყო ჩემი ამპლუა“... **(23, გვ.14).**

შინაგანი გრძნობა კარნახობდა ფეფიკო მესხს, რომ იგი ტრაგიკოსი მსახიობი დადგებოდა და ასეც მოხდა.

და, აი კიდევ ანდრიას ერთი შვილიშვილი დაადგა ხელოვნების ეკლიან გზას, რომელთა მოღვაწეობა მაშინ აუტანელი იყო და არც არავინ ჰყავდათ მოამაგე, რომ ცოტა მაინც გაეუმჯობესებიათ მსახიობის მდგომარეობა.

ეფემიას სამი დიადი პრინციპი ამოძრავებდა: სისადავე, სიმართლე და ბუნებრიობა.

მას, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლ მესხების ოჯახის შვილსა დ ეროვნულ-

დემოკრატიული იდეების გარემოცვაში აღზრდილს იმთავითვე შეგნებული ჰქონდა ხელოვნების, როგორც გონებრივი მოძრაობისა და ბრძოლის ორგანოს დიდი მისია: არ ეცრუა, ქვეყნის საჭიროებას თან გაჰყოლოდა, ჩასულიყო ცხოვრების მდინარის ძირში და იქ მოენახა, როგორც დიდი ილია ამბობდა „შიგ–მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის“...

„ხელოვნებას შეიძლება დაუდგეს დაცემის ხანა, მაგრამ იგი ისევე, როგორც თვით ცხოვრება, მარადიულია“, – შალიაპინის სიტყვებს ხშირად იმეორებდა ეფემია, რომელსაც იგი პირადად იცნობდა:

„...გაზაფხულზე გვეწვია საოპერო დასი თბილისიდან. იმათ გუნდში მაშინ უბრალო მომღერალი იყო შალიაპინი, შემდეგში მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერალი. გამოცხადებული იყო ოპერა „ებრაელი ქალი“. კარდინალის პარტია ქორიძეს უნდა ემღერა, მაგრამ ის ამ დღეს ყელის ტკივილით გახდა ავად. მაშინ შალიაპინმა წინადადება შეიტანა, რომ მან კარგად იცის ეს პარტია და შეუძლია ქორიძის მაგივრად იმღეროს.

იმ ღამეს შალიაპინი მშვენივრად მღეროდა კარდინალის პარტიას, თამაშიც შეუდარებელი იყო. ამბობდნენ აქედან დაიწყო შალიაპინის ძლიერებაო“... **(23, გვ.13).**

ბავშვობიდან მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ეფემიას მუსიკას უსასყიდლოდ სწორედ ეს ფილიმონ ქორიძე ასწავლიდა:

„...სიმღერას მასწავლიდა ფილიმონ ქორიძე, რომელიც ეუბნებოდა სერგეის, რომ ის მუქთად მასწავლის, რადგან საუცხოო ყურთასმენა და ხმა მაქვს. ერთი წელიწადი დავდიოდი მასთან. იმ დროს ის მსახურობდა აქაურ ოპერაში. ცოლად ჰყავდა იტალიელი ქალი (ეს იყო უკრაინელი ზინაიდა მიხეილის ასული ვორობეცი), კარგი მცოდნე მუსიკისა. როდესაც მე ვმღეროდი, ის აკომპანიატორობას მიწევდა. მაგრამ ესეც დროებითი აღმოჩნდა, რადგან ქორიძე აქედან სადღაც წავიდა საოპერო დასთან ერთად.

ერთი სიტყვით ყველაფრის სწავლა უნდოდათ, მაგრამ საფუძვლიანად კი არაფერი შემასწავლეს. გიმნაზიას თავი დამანებებინეს იმიტომ, რომ ანგარიშში ჩავიჭერი გამოცდების დროს და მეც მოვიშორე მაბეზარი გიმნაზიის ფორმა...

რადგან სხვა საქმე არა მქონდა რა, მომეტებულ ნაწილს კითხვაში ვატარებდი..

ვკითხულობდი სხვადასხვა წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს. სხვათაშორის წავიკითხე რომანი „ქალი კამელიებით“ (მარგარიტა გოტიე) და ტირილით თვალები დავისიე. ვკითხულობდი ბევრს და ჩქარა, რისთვისაც სერგეი მიჯავრდებოდა:

„–ამგვარი კითხვა არავითარ სარგებლობას არ მოგიტანსო, –ერთს გაათავებ და, მაშინვე მეორეს სტაცებ ხელს... ჯერ იმ ერთზე უნდა შეჩერდე, დაფიქრდე, რა აზრით არის დაწერილი ავტორისაგან, რა უნდა ეთქვა მკითხველისათვის, ცოტა ჩაფიქრდი, გაარჩიე და შემდეგ მეორე დაიწყეო.

მეც ვცდილობდი სერგეის რჩევა ამესრულებინა და ამას მართლაც სარგებლობა მოჰქონდა ჩემთვის. ძალიან მიყვარდა ტოლსტოი, შექსპირი, შილერი, ზოლა, დიუმა...

...სადმე სამსახურშიც ვაპირებდი შესვლას, ყველაზე მეტად კი თეატრზე, სცენაზე ვფიქრობდი. რედაქციაში მომსვლელთაგან ხშირად მესმოდა საუბარი დავით ერისთავის მიერ გადმოკეთებულ პიესა „სამშობლოზე“, რომლის დადგმა თხოულობდა დიდ ხარჯს და სახსარიც კი არსად იყო.

...მრავალ დამცირებას და შეურაცხყოფას უძლებდნენ ჩვენი სცენის მსახიობები. „სამშობლოსათვის“ პიესის შესაფერი ახალი ტანისამოსი იყო საჭირო. გადაწყვიტეს დიდ მუხრანბატონისათვის ეთხოვათ ფული. როდესაც ვასო აბაშიძე მივიდა მასთან, ჯერ დიდხანს ალოდინა, სანამ მიიღებდა. როდესაც გაიგო ვინც იდგა იმის წინ მორიდებით და შიშით, მას სიცილი წასკდა: „შენ ის კომედიანტი ხომ არ ხარ, იმ დღეს რო ხტუნაობდი? –აბა, ერთი კიდევ შეხტი შენებურად, კიდევ, კიდევ“...

ვასო შეხტა რამოდენიმეჯერ, თავადს სიცილისაგან უთრთოდა მსუქანი მუცელი. ასეთი დამცირებით მიიღო მან ხუთასი მანეთი მილიონერისაგან“, –გულისტკივილით წერდა ეფემია მესხი.

....და მიუხედავად ამ სიძნელეებისა, დამცირებისა, სიღატაკისა ეფემია მესხს კარგად ესმოდა, რომ ხელოვნების ამოცანა იყო არა ყოფა-ცხოვრების შემთხვევითობანი, არამედ ის საერთო იდეა, რომ გააკეთილშობილოს ადამიანები...

ხელოვანმა ყველა სახეში აუცილებლად თვითონ უნდა გამოსცადოს ის შეგრძნებანი,

რომლებიც სხვებში უნდა გამოიწვიოს.

ეფემიამ, რომელმაც ბავშვობისას ცხარე ცრემლებით დაიტირა მარგარიტა გოტიეს ტკივილიანი ბედი, ახლა კოტე მესხმა, (1893 წელს), ქუთაისის სცენაზე მას მიანდო ამ ქალის მთავარი როლის შესრულება.

„..მარგარიტას თამაშობდა ფეფიკო, არმანს კოტე, ნანინს –მე. ისე მომხიბლა და გამიტაცა ფეფიკოს გაპიროვნებულმა მარგარიტას ბედმა, რომ მეგონა ჩემს წინ ნამდვილი მარგარიტა იწვა და იტანჯებოდა. ვტიროდი გულით, ისე, როგორც ნამდვილი ჭირისუფალი. როდესაც ფარდა დაეშვა, ერთხანს დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს თეატრში არავინ არისო, მაგრამ უცბად საშინელი ტაშის გრიალი შეიქმნა. აიხადა ფარდა. თეატრი გაჭედილია. ერთსაც არ უფიქრია წასვლა. დავინახე მთელი საზოგადოება – ქალები თუ კაცები ცხვირსახოცებით ხელში, ტიროდნენ და თან ტაშს უკრავდნენ“, –იხსენებდა ნატო მესხი.

„...თამაშობდნენ მარგარიტა გოტიეს; განა შემიძლიან გამოვთქვა, რაც მე მაშინ ვიგრძენი? ყოველივე მისი სცენაზე გამოსვლა და წასვლა იწვევდა აღტაცებულ ტაშის ცემას. მე კი მობუზული ვიჯექი ერთ ადგილას გაუნძრევლად, თვალცრემლიანი და მანამ ვერ გამოვრკვეულიყავ, სანამ ჩემმა დამ, რომელიც ნანინს თამაშობდა იმ ღამეს, ხელი არ წამკრა –„ადე, სახლში წავიდეთო“. მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ თეატრი უკვე დაცარიელებულიყო და მხოლოდ მე კი ვიჯექი მარტო. სწორედ იმ დღიდან ჩაიბეჭდა ჩემში სურვილი სცენაზე ყოფნისა და არა მარტო მე, ბევრს სხვასაც აღუძრა სურვილი სამშობლოს სცენაზე მუშაობისა“, –აღნიშნავდა ნუცა ჩხეიძე.

ასეთი იყო ეფ. მესხის არტისტული შემოქმედების ზეგავლენა მაყურებელზე... მარგარიტას ასეთი შესრულების შესახებ ხმები თბილისამდეც მივიდა და დრამატულმა საზოგადოებამ ეფემია გასტროლებზე გაიწვია. აქ შთაბეჭდილება გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ქუთაისში, რადგან ეფ. მესხს ეს როლი უკვე რამდენჯერმე ჰქონდა შესრულებული და უფრო გაწაფულად თამაშობდა.

„ქართულ თეატრში ნამდვილი დღესასწაული იყო ქართული სცენის წარმატებისა... აიხადა ფარდა. ცოტა ხანს უკან სცენაზე გამოჩნდა ეფ. მესხი. მაყურებელთ გაკმინდეს ხმა. ქართული სცენა უცებ გამოცოცხლდა, სასიამოვნო ხმამ, ლაზათიანმა მიხვრა-მოხვრამ ერთბაშად აღძრა საზოგადოებაში სიმპათია, გულის სურვილი. ჩვენ გვესმოდა მთიდან გადმოვარდნილი წყაროს ნაკადულის ტკბილი ჩუხჩუხი. გრძნობით სავსე გულიდან ამონახეთქი მშვენიერი ქართული სიტყვები. ასეთ ლაპარაკს და მოქმედებას ჩვენ ჯერ არ ვყოფილვართ შეჩვეული. გაისმა საზოგადოებაში ჩუმი შრიალი გაკვირვებისა: „სად იყო აქამდის ეს ქალი? ნეტა სად უსწავლია ასეთი ხელოვნური თამაში? ეს რაღაც სულ ახალი მოვლენაა ჩვენი სცენისათვის“. დაეშვა ფარდა. საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა ეფ. მესხის თამაშმა, რაც უფრო წინ მიდიოდა მოქმედება დრამისა, საზოგადოებას თანდათან უფრო ემატებოდა და ბოლოს, დრამის გათავებისას მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. „ვაშას“ ძახილმა და ტაშის კვრამ მთელი თეატრი შეძრა. ქართულ თეატრს ამისთანა არა უნახავს რა და საზოგადოებასაც ჯერ ამისთანა სიამოვნება ქართული სცენიდან არ გამოუცდია. ეფ. მესხმა დახატა მარგარიტა გოტიეს ცხოვრების სურათი და მან ღრმად შეარყია მთელი მაყურებელი. ნამდვილი ნიჭისა და უმანკო ქალის მეტი ამისთანა შთაბეჭდილებას სხვა ვერავინ მოახდენდა“, –წერდა გ. წერეთელი გაზეთ „კვალში“.

„...კოტეს მოუვიდა თხოვნა თბილისელებისათვის ეჩვენებინა „მარგარიტა გოტიე“ და კიდევ რამდენიმე პიესა ჩემის მონაწილეობით. დიდი ხანი იყო გასული, თითქმის ცხრა წელიწადი, რაც ქუთაისს არ მოვშორებივარ... თბილისში ჩვენი ჩასვლის მეორე დღეს რეპეტიცია იყო დანიშნული. კოტე და მე წამოვედით თეატრში. ქალები ისე გამოკოხტავებულიყვნენ ხავერდ-აბრეშუმში, რომ ჩემი უბრალო, პროვინციული მორთულობა, შედარებით არად სჩანდა. გაბუნიას ქალის გვერდით იჯდა ახალგაზრდა, ლამაზი და მეტად მდიდრულად მორთული ქალი. მან სხვის შეუმჩნევლად ხელი წაჰკრა ნატო გაბუნიას და უჩურჩულა: „ამ კიკიმორამ უნდა ითამაშოს მარგარიტას როლი? იმდენი ჩემი თავი მოგიკვდა“. ეს იყო არლანის ქალი.

...ამ პიესამ დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისში. საღამოს თეატრი გაჭედილი იყო ხალხით და ბევრი ფეხზე იდგა. სპექტაკლი მწყობრად, კარგად მიდიოდა. მე თანდათან შევდიოდი როლში. არ დამავიწყდება წამი, როდესაც მეორე მოქმედების დროს შემაწყვე-

ტინეს დიდი მონოლოგი ტაშის სცემით. ამოდენა ხალხმა, თითქოს პირობა შეეკრათ, ერთბაშად ატეხა ტაშისცემა და მე კარგა ხანს ვიდექი სცენაზე უძრავად, სანამ ხალხი არ დაწყნარდა. მოქმედების გათავებისას გამოძახილს დასასრული არა ჰქონდა. იგივე არლანის ქალი შემოვიდა საპირფარეშოში თვალცრემლიანი, როდესაც მე მეჩქარებოდა ჩაცმა მესამე აქტისათვის: „რა დიდი მსახიობი ყოფილხართ... აი სადა გცოდნიათ თქვენ ჩაცმა... მე აღტაცებული ვარ“. უნდოდა გადამხვეოდა, მაგრამ მე ის საჩქაროდ გავისტუმრე და კარები გადავრაზე.

ყოველი მოქმედების შემდეგ ხალხის ინტერესი ღვივდებოდა, წარმოდგენა დიდი წარმატებით გათავდა. როდესაც ვხედავდი ხალხის ასეთ აღტაცებას, არ მჯეროდა, რომ ეს აღტაცება გამოიწვია ჩემმა თამაშმა. ამ დროს მე უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი“, –იგონებდა ეფემია მესხი.

ქუთაისში კოტე მესხის რეჟისორობით დაიდგა ფრანგული პიესა „ადრიენა ლეკუვრელი“, რომელიც თარგმნა დავით მესხმა. ამ პიესაში ეფემია მთავარ როლს ასრულებდა და იგი უჩვეულო გულმოდგინებით მუშაობდა. დადგმამ ქუთაისში დიდი მოწონება გამოიწვია, რამდენჯერმე გაამეორებინეს.

„... თბილისიდან გვთხოვეს ამავე პიესის იქ დადგმა. წავედით მე და კოტე. სპექტაკლმა აღტაცებაში მოიყვანა მაყურებლები. ამ პიესის უკანასკნელი მოქმედება დიდ ენერგიას და ძალას ითხოვს მსახიობებისაგან და ადვილი არ არის იმის დაძლევა, მაგრამ მე ისეთი თამაშის ხასიათზე ვიყავი, რომ მე თვითონვე მომწონდა ჩემი თამაში. ვატყობდი, რომ მაყურებლები შეიპყრო ამ სპექტაკლის წესიერად მსვლელობამ, ანსამბლმა, დადგმამ და ჩემმა თამაშმა. ძალიან დავიღალე. სპექტაკლის გათავებისას ძლივს მივაღწიე ჩემს ოთახამდის, მაგრამ იქ მოგროვილმა მაყურებლებმა გზა გადამიღობეს და დიდხანს გამაჩერეს. უკრავდნენ ტაშს, მიყრიდნენ ფეხქვეშ ყვავილებს, ქუდებსა და მთხოვდნენ ფეხი დამედგა იმათ ქუდებზე. როგორც იყო შევედი ოთახში და მოსხლეტილი დავვარდი, გახდის ღონე აღარ მქონდა, კოტე მოადგა კარებს და დამიძახა: ჩქარა ჩაიცვი, ხალხი შენს გამოსვლას ელოდებაო. ჩავიცვი და როგორც კი გამოვჩნდი, შექმნეს ტაშისცემა და ვაშას ძახილი. ჩემი ხელში აყვანა უნდოდათ და არ დავანებე. ჩამაცილეს კიბეზე, ეტლს დაუძახეს, ჩამსვეს შიგ და სანამ ეტლი არ დაიმალა, მე მესმოდა ტაშისა და ვაშას ძახილი“, –მოგვითხრობდა თავის დიდ წარმატებებზე ეფემია მესხი.

1895 წელს, როცა ქუთაისის თეატრი ცეცხლმა იმსხვერპლა ეფემია მესხი ძმასთან ერთად თბილისში გადავიდა. კოტეს რეჟისორობით თბილისში დაიდგა ისეთი პიესები, რომლებიც მაყურებელს არ ენახათ: „სურამის ციხე“, „სამშობლო“, „ბორკილი“, „ვაი ჭკუისაგან“, „მასკარადი“, „ერნანი“, „სკაპენი“, „ძალათ ექიმი“, „ტრილბი“, „დენიზა“, „მადამ სან-ჟენ“, „დალილა“ და მრავალი სხვა, რომლებშიც მთავარ როლებს ეფემია მესხი თამაშობდა.

ამ დაუვიწყარი სახეების შექმნით ნათლად გამოიკვეთა, რომ ეფემია მესხს დავიწყების ფარდის მიღმა მოხვედრა არასოდეს არ ეწერა. იგი იყო წმინდა წყლის ტრაგიკული არტისტი, რომელმაც ქართულ სასცენო ხელოვნების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა.

1898 წელს ეფემია გათხოვდა ივანე გეპნერზე და მას ბაქოში მოუხდა საცხოვრებლად გადასვლა. მან ბაქოშიც განაგრძო თეატრში მუშაობა.

„...თეატრის მოწყობაში დიდ მონაწილეობას იღებდა ივანე მიხეილის ძე გეპნერი, ეფემია მესხის ქმარი. გეპნერი პედაგოგი იყო, დიდი სტუმართმოყვარე, მრავალი ქართველი მეგობარი და ნაცნობი ჰყავდა. გეპნერის გიმნაზიაში რუსული გვარის ორი პედაგოგი იყო ემელიანოვი და რიჟოვი. ორივე ქართველი დედის შვილი. ხშირად ოხუნჯობდნენ, ჩვენ აქ სამი ქართველი ვართო –გეპნერი, რიჟოვი და ემელიანოვი. გეპნერი მოწაფეების ჟურნალს სცემდა. ეხმარებოდა კიდეც მოწაფეებს. ერთხელ მთავარმართებელმა ვორონცოვმა ბაქოში გაიარა. ჯაშუშებმა, დააბეზღეს გეპნერი და მოხსნეს სამსახურიდან. ის მოწაფეებიც დაითხოვეს, ვინც მასთან თანამშრომლობდა. სამი წელი უადგილოდ იყო.

ჩვენ ყველანი ერთად ვცხოვრობდით ბაქოში ნიკოლოზის ქუჩაზე. იქ თეატრი, საცხოვრებელი სახლი და უზარმაზარი დარბაზი იყო. აი, სწორედ ამ ადგილიდან ესროლეს ყუმბარა პოლიცმეისტერს. ატყდა ერთი უბედურება, პოლიცია, კაზაკები შემოცვივდნენ სახლში, გაჩხრიკეს ყველაფერი, გვემუქრებოდნენ. აქედან იყო გასროლილიო, ცდილობდნენ ვინმე ჩვენიანი დაეჭირათ, მაგრამ აღმოჩნდა ვიღაც ბოქაული, რომელმაც გაიგო ჩვენი ვინაობა, რომ კოტე მესხი, ეფემია მესხი და დანარჩენნი მსახიობები და პედაგოგები იყვნენ. მან გადაგვარჩინა.

ქართველი იყო, თორემ ხიფათი არ აგვცდებოდა“.... **(22, გვ.152).**

ბაქოში ეფემია მესხმა პირველად ითამაშა ალ. სუმბათაშვილის პიესაში „შევარდნები და ყორნები“. სპექტაკლს დიდძალი ხალხი დაესწრო. განსაკუთრებით დიდი მოწონება ხვდა ეფემიას. მან აქ ასეთივე წარმატებით ითამაშა სპექტაკლებში: „ბორკილები“, „მეორედ გაყმაწვილება“, „ტალანტები და თაყვანისმცემელნი“.

„...ძალიან მაწუხებდა სცენისათვის თავის დანებება, მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ ბაქოშიც განვაგრძე თეატრში მუშაობა. იქ იყო სცენისმოყვარეთა წრე, სადაც მე დავიწყე მუშაობა. ეს წრე რაც შეიძლებოდა გავაფართოვეთ. შევმატეთ ახალი ძალები და სისტემატურად ყოველ კვირაში ერთხელ ვმართავდით წარმოდგენებს. ამ დასს მიემატა ჩემი დისშვილი ნინო გამრეკელი. ის თამაშობდა ჩვენთან და რეჟისორობასაც ეწეოდა. ერთი წელიწადი ჩვენთან მუშაობდა ნუცა ჩხეიძე, რადგან მისი მეუღლე მიხ. ქორიძე ბაქოში დანიშნეს სამსახურში. კოტესაც ვთხოვეთ ცოტახანს ბაქოში ჩამოსვლა. ამნაირად ბაქოს ქართული დასი არ იყო დასაწუნი. იმ დროს ბაქოში დიდძალი ქართველობა იყო სხვადასხვა ნავთის საწარმოებში და ჩვენს წარმოდგენებს მუდამ სიამოვნებით ესწრებოდნენ“... **(23, გვ. 135).**

ეფემიას ბაქოში მოღვაწეობას დიდად აფასებდა იქ მყოფი ქართველობა. ათი წელი ეფემია მესხის ბაქოში მოღვაწეობა აღვსილი იყო საუკეთესო მოგონებებითა და შთაბეჭდილებებით.

„...ეფემიას ჩამოსვლამ ბაქოში უცბად შეასხა ფრთები ჯერ კიდევ მცირერიცხოვან ქართველობას, რომელნიც ქალაქის სხვადასხვა კუთხეში იყო დასაქმებული. იგი შეუდგა მათ შეერთებას და თავისი საყვარელი საქმის – თეატრის ორგანიზაციას. არა მარტო თავისი ძალღონით, არამედ მატერიალური დახმარებითაც. მის მიერ იქნა „დაარსებული ქართული კლუბი და თეატრი, სადაც ყოველ სეზონში იმართებოდა წარმოდგენები“, –აღნიშნავდა ე. ამირეჯიბი.

1904 წელს თბილისში პირველად დაიდგა ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“. ეფ. მესხი ზეინაბის როლს ასრულებდა და ეს როლი მის მიერ შექმნილ სცენურ სახეთა გალერეაში საუკეთესო ქმნილებად ითვლებოდა.

„...ქ-ნი მესხი ბევრ რამეში გვაგონებს სავინას, რომელიც დიდად დახელოვნებულია ყველაფერში და აქვს საზღვრები და გრძნობათა ზომიერება. როგორც იმას, ისე ამასაც შეიძლება ექნეთ ზოგან მეტი, ზოგან ნაკლებად მოხერხებული ადგილები, მაგრამ ცუდი ადგილები კი არასოდეს არა აქვთ. ეს რამდენიმედ დაკავშირებულია როლის შექმნის უნარზე, როლის თავის გემოვნების მიხედვით გადაკეთებაზე. ქ-ნ მესხის ერთი თვისებაა ის, რომ იგი არ ემორჩილება ავტორს, და ზოგიერთ შემთხვევაში ავტორათაც კი გვევლინება. ასეა მაგალითად – „ლანგთემურში“, სადაც იგი ბაგრატის ცოლს თამაშობს, ეს როლი უფერულია და ცუდად გამოკვეთილი, მაგრამ მან შესძლო ყოფილიყო ბუნებრივი და ამით სულ მთლად თუ არა, საკმაოდ მაინც იხსნა ავტორი. ჩვენ აღარ ვილაპარაკებთ ისეთ როლებზე, როგორიც არის მარგარიტა გოტიე და დალილა, აქ ქ-ნ მესხს, რომელიც ვგონებ თავის სამშობლო ქალაქ ქუთაისს არც გასცილებია, უხდებოდა თვითონ შეექმნა პარიზის ტიპები და ისიც ისეთები, რომლებიც ახასიათებენ თანამედროვე ბაბილონს... და სწორედ ამ როლებში იყო იგი განსაკუთრებით კარგი და ამ როლებმა მოუპოვეს მას სახელი. ეს გარემოება სხვათა შორის გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, რომ ქ-ნ მესხის ნიჭი უნდა ჩაითვალოს იმ განსაკუთრებულ ნიჭთა რიცხვში, რომელთაც შესწევთ უნარი გამოავლინონ სხვადასხვა ფორმის ხასიათები და რომელნიც არ იყენებიან ერთ წერტილზე, ორი სამი ტიპის შექმნის შემდეგ“, –აღნიშნავდა ვრცელ რეცენზიაში ილია ხონელი.

„...ეფ. მესხს თავის ხანგრძლივ სასცენო მოღვაწეობის განმავლობაში მრავალ სხვადასხვა ჟანრის პიესაში მიუღია მონაწილეობა და მრავალი სხვადასხვა როლი შეუსრულებია. მის მიერ განსახიერებულ როლთა რაოდენობა ორასამდე აღწევდა.

ეს პიესები და როლები იყო: „ქეთევან წამებული“ –ქეთევანი, „სამშობლო“–ქეთევანი, „თამარ ცბიერი“ –თამარი, „პატარა კახი“ –ტურფა, „დედა და შვილი“ –დედა, „ირინეს ბედნიერება“ –ეკა, „ქრისტინე“ –მაკრინე, „მეზობლები“ – ტასო, „ხანუმა“ –ხანუმა, „და-ძმა“ –მარინე, „პეპო“ –შუშანა“, „ჰამლეტი“ –ოფელია, „ოტელო“ –დეზდემონა, „მეფე ლირი“ –კორდელია, „მედეა“ –მედეა, „ვაი ჭკუისაგან“ –სოფიო, „პატიოსნება“ –ელეონორა, „ვიდრე ხვალ უფალო“ –პოპეა, „შემოსავლიანი ადგილი“ –პოლინა და სხვა.

„...აქ ჩამოთვლილი პიესები და როლები ზოგიერთ შემთხვევაში თავისი ხასიათის მიხედვით ერთი მეორეს დიამეტრიულად ეწინააღმდეგებიან და ამათგან მკვეთრი და მონუმენტალური არტისტული ნიღბების შექმნა მხოლოდ დიდბუნებოვან აქტიორს შეუძლიან. ეფ. მესხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგიც ამ დიდბუნებოვან არტისტთა სახელოვანი წრის ერთი საპატიო წევრი იყო“. **(3, გვ.148)**.

„დროების“ რედაქცია მესხებისათვის განათლების შესანიშნავი სკოლა იყო. ამ საზოგადოების გავლენით, რომელიც აქ იყრიდნენ თავს, ეფემიამ თავისი ნიჭი ლიტერატურაშიც სცადა. მან რუსული გაზეთიდან გადმოაქართულა ფრანგული ფელეტონი „პეპისტრელო“, რომელიც „დროებაში“ დაიბეჭდა.

მაშინ აკაკიმ ურჩია: „ეცადე ბევრი წერო, თარგმნო და შეიძლება შენგან კარგი მწერალი ქალი გამოვიდესო“...

საკმაოდ ცნობილი მსახიობი ქალი ეფემია მესხი ინტრიგებით, შურით, არაობიექტური რეცენზიებით არაერთხელ გაუსწორებიათ მიწასთან. გულისტკივილმა ის იქამდეც მიიყვანა, რომ საერთოდ თეატრისათვის თავის დანებებაც კი უნდოდა.

„...გული აღარ მანებებდა თამაშს. მაგრამ არ იქნა, ვეღარ დავაღწიე თავი ჯერ დრამატიული საზოგადოების თხოვნას, როცა იმის თავმჯდომარე ნ. ქართველიშვილი მოვიდა სათხოვნელად და რომელიც უარით გავისტუმრე.

შემდეგ გუბერნიის მარშალი დ. მელიქიშვილი გამოეგზავნათ. ის დიდხანს მესაუბრა: მთხოვა არ მიმექცია ყურადღება აქაური მჯღაბნელებისათვის, რომ მან იცის, როგორი მსახიობი ვარ, არა ერთხელ დამტკბარა ჩემი თამაშით და ა.შ. ვეღარ მოვახერხე იმისათვის უარის თქმა და დავრჩი კიდევ სამჯერ სათამაშოდ. მეორე წარმოდგენა იყო გამართული ეხლანდელი რუსთაველის თეატრში. სპექტაკლმა ძალიან კარგად ჩაიარა. შემდეგ ქუთაისსა და ბათუმში კიდევ უკეთესი წარმატება მქონდა“, –წერდა ეფემია მესხი თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ზიგზაგოვან გზებზე.

ვერაგობითა და მზაკვრობით ხშირად იწვნიეს ცხოვრებაში ძლიერი დარტყმები ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლებმა, მაგრამ მათ რამდენჯერაც დაარტყათ ბედმა, იმდენჯერაც ამაღლდნენ ცათამდის.

ეფემია მესხი იყო არა მარტო მაღალნიჭიერი მსახიობი, არამედ საფუძვლიანი განათლების მქონე აქტიური საზოგადო მოღვაწე, რომელიც ღრმა სიბერემდე დაუზარებლად იღწვოდა ქართული კულტურის კერძოდ –თეატრის განვითარებისა და წინსვლისათვის.

მისი სტატიები თეატრის შესახებ ბევრ საინტერესო თეორიულ მოსაზრებას შეიცავდა. ისინი გამსჭვალული იყო ერთი პრინციპით – თეატრის დიდი სახალხო აღმზრდელობითი დანიშნულებით. იგი წერდა:

„...ჩვენს თეატრს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის გათვითცნობიერებისათვის, გარდა კულტურული მნიშვნელობისა, ის წარმოადგენს, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, თავდაცვის იარაღს ნაციონალური თვითშეგნებისას“... **(23, გვ.94)**.

ქართული სცენის ბურჯი ეფემია მესხი ორმოცი წელი ყველგან დედაბოძად ედგა ქართულ თეატრს. მამულის სასახელო შვილი თავისი როლით ყველგან ამკობდა და ამშვენებდა სცენას და მაყურებლის გულს ცის მანანასავით ეწვეთებოდა...

საიუბილეო საღამოზე, რომელიც 1922 წლის 14 მაისს გაიმართა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, სცენის დიდოსტატმა ვასო აბაშიძემ გულწრფელად შეაფასა ეფემია მესხის სასცენო მოღვაწეობა.

„ჩემო ძვირფასო დაო და სიყრმის მეგობარო ფეფიკო! განვლო თითქმის ნახევარმა საუკუნემ, როცა თავს იდევი სამშობლო სცენაზე სამსახური შენი ერისადმი. ორმოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც შენ მოჰკიდე ხელი მცნებად შენი ერის ღირსება –ნაკლულოვანებათა, აიღე ხელში დროშა სიმართლისა მსახიობთა მიერ შექმნილი და ამ ხნის განმავლობაში დღესაც ღირსეულად აფრიალებ მას...

დიდი შრომა, გაბედულება, გამოცდილება და ენერგია იყო საჭირო, რომ ჩვენი სამშობლო სცენა დამდგარიყო მკვიდრს საძირკველზე, სწორედ შენმა და შენ თანამოღვაწეთა ერთგულმა და დაუფასებელმა შრომამ წამოაყენა იგი და მკვიდრად გაადგმევინა მას ფესვები ჩვენს სამშობლოში, შეაყვარა იგი ჩვენს ერს, რომელიც ეჭვით და გულგრილად ეპყრობოდა სცენას და მის წარმომადგენელთ“...

„...ეფემია მესხს!

შენი იუბილის დღეს უნებლიეთ მაგონდება წმინდა სიხარული სცენაზე ჩემი პირველი ნაბიჯისა, შენი და კოტეს ხელმძღვანელობით. გულით ვუსურვებ ხანგრძლივ სიძლიერეს შენს ნიჭს. გულწრფელად მსურს შენთან საერთოდ მუშაობა. ღრმად შეწუხებული ვარ, რომ ახალი დადგმის სასწრაფო სამზადისი ნებას არ მაძლევს პირადად გადაგეხვიო. სულითა და გულით მეგობარი“...

შენი კ. მარჯანიშვილი

საიუბილეოდ ეფემია მესხს სიყვარულით აღსავსე სტრიქონები მიუძღვნა სახელოვანმა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა:

„თქვენს დიფირამბებს ვერ მოვესწარი,
მაგრამ ოცნებამ ჩემამდეც გასძლო,
მიიღეთ ლექსი შესაწევარი_
ძვირფას მესხების ძვირფასო სასძლო.
როგორც ქართველი, როგორც პოეტი,
ვამაყობ მუდამ გასაკვირველად,_
რომ სურნელება და უცხოეთი
თქვენ მოიტანეთ ჩვენში პირველად.
ო, თქვენმა ნიჭმა, ნიჭმა მაღალმა
იგრძნო ობლობა ასე ვნებელი.
და მწამხართ როგორც ძველი აღალმა
ახალ ტაძარში დასვენებული“.

თეატრი, რაც არ უნდა წამყვანი როლი ეკუთვნოდეს დრამატურგს, მაინც მსახიობია. ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლებიდან ეფემია იყო პირველი პროფესიონალი მსახიობი ქალი, რომელმაც შეძლო მაყურებლისათვის დაენახვებია ის, თუ რა ამაღლებს ადამიანის სულს ცხოვრებიდან სცენაზე და პირიქით სცენიდან ცხოვრებაში.

...და რაც მთავარია, მსახიობობა ის დიდი და საპატიო პროფესიაა, რომელიც მუდამ უმშვენიერესს ფაქიზ ფორმებსა და ყველაზე ამაღლებულ წმინდა ზნეობას მოითხოვს.



პოეტი შალვა ამირეჯიბი, ვერიკო ანჯაფარიძის პირველი მეუღლე, პარიზი

კოტე მარჯანიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, კარლო კალაძე ქუთაისი 1929 წელი.

„...მოვავალ თაობას დარჩება“...

„ჭკუა მარტო ცოდნა როდია, იგი ამ ცოდნის საქმეში გამოყენებაც არის“.

არისტოტელე

XIX-XX საუკუნეში არ დარჩენილა ქართველი ხალხის სულიერ მოთხოვნილებათა არც ერთი წამოწყება, რომლებშიც ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლებს არ მიეღოთ მონაწილეობა. შევჩერდეთ სინემატოგრაფიაზე, რომლის აკვანიც ქუთაისში დაირწა.

„1898 წელს გავთხოვდი. იძულებული გავხდი ბაქოში წავსულიყავი საცხოვრებლად... ჩემი ქმარი მსახურობდა მასწავლებლად ბაქოს გიმნაზიაში, დიდი ოჯახი არა მქონდა და ჯამაგირი სრულიად გვყოფნიდა. ჰქონდა რამდენიმე კერძო გაკვეთილი, როგორც კარგ მასწავლებელს, გონება გახსნილს და თავის საქმის ზედმიწევნით მცოდნეს“.. **(23, გვ.67).**

ქართული სცენის თვალსაჩინო მსახიობმა ეფემია მესხმა თავისი ბედი ივანე გეპნერს დაუკავშირა. 1907 წელს თბილისიდან ჟანდარმების მიერ გაძევებული ივანე გეპნერმა ბაქოში ქართული თეატრის შენობაში გახსნა კინოთეატრი „ელექტრო-ბიოგრაფი“. კინოთეატრს ხელმძღვანელობდა მისი ცოლისძმა კოტე მესხი, რომელიც იყო ქართული თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწე, ბაქოში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ არსებული თეატრალური დასის რეჟისორი და მსახიობი.

ივანე გეპნერმა ბაქოში თავის კინოთეატრის მექანიკოსად კოტე მესხის რჩევით ქუთაისელი ვასილ ამაშუკელი დანიშნა, რომელსაც ელექტრომონტიორისა და კინომექანიკოსობა მოსკოვში ჰქონდა შესწავლილი.

თავდაპირველად, 1902 წელს, ვასილ ამაშუკელი ქუთაისის სცენისმოყვარისა და მხატვრის ვასილ ბალანჩივაძის დახმარებით და შუამდგომლობით მოხვდა მოსკოვში, სადაც ერთ-ერთ სამხატვრო სასწავლებელში მოეწყო. შემდეგ ვ. ამაშუკელი ბაქოში დამკვიდრდა. მალე მან კინომექანიკოსად დაიწყო მუშაობა. მისი ოცნება იყო კინოსურათი ეკრანზე თვითონ გადაეღო და თვითონვე ეჩვენებია. მის გადაწყვეტილებას და-ძმა მესხები სიხარულით შეხვდნენ. 1908 წელს ვ. ამაშუკელი მოსკოვში ი. გეპნერთან ერთად ფირმა „გომონის“ მიერ გამოშვებული კინოაპარატის შესაძენად გაემგზავრა. გეპნერმა კინოაპარატი ბაქოში წამოიღო, ხოლო ვასილი „გომონის“ ფირმის მოსკოვის განყოფილებაში რუს კინომექანიკოსს დიმიტრი ვოლკოვსკთან დატოვა გადამღები აპარატის ყველა საიდუმლოს შესასწავლად.

სამი თვის შემდეგ ამაშუკელი მოსკოვიდან დაბრუნდა. მან ობიექტების გადაღება მესხების რჩევითა და მათთან შეთანხმებით დაიწყო. თან ვასილი გეპნერის კინოთეატრის კინომექანიკოსადაც მუშაობდა.

იმ დროს ძალიან გავრცელებული იყო მავნე, სულელური კომედიები და პორნოგრაფიული კინოსურათები.

კოტე მესხი დიდი მტერი გახლდათ ასეთი სურათების. „მე კინო ხალხის აღსაზრდელად მინდა და არა გასარყვნელადო“, – ამბობდა იგი.

„იყო შემთხვევა, –როცა მეზობელი კინოთეატრის მეპატრონეები დაგვცინოდნენ: „ვის რად უნდა ნავთით გათხუპნული ან ნახშირში ამოსვრილი სახეების ნახვაო“, მაგრამ კოტე მესხს ნახშირითა და ნავთით დასვრილი ადამიანების ჩვენება უფრო აინტერესებდა, ვიდრე ზღვაში მობანავეთა დემონსტრაცია ეკრანზე“, –წერდა ვასილ ამაშუკელი.

„ვისაც ხალხის ნამდვილი ცხოვრების ნახვა სურს, – მოვა, ვისაც არა, – მისი ნებაა, ძალას არავინ ატანს“, –აცხადებდა კოტე მესხი.

ხალხის ნამდვილი ცხოვრების ნახვის მსურველი ძალზე ბევრი აღმოჩნდა, – ჩვენი პატარა კინოთეატრი მუდამ სავსე იყო ხალხით“... **(10, გვ.7).**

ჩამოსვლის დღიდან ვასილ ამაშუკელმა თავისი აპარატით ინტენსიურად დაიწყო ბაქოს ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი სხვადასხვა ხასიათის მიკროდოკუმენტური ფილმების გადაღება, რომელსაც თავისივე პატარა, პრიმიტიულ ლაბორატორიაში ამუღავნებდა, ბეჭდავდა და უჩვენებდა გეპნერის კინოთეატრში.

1908-1909 წლებში ვასილ ამაშუკელმა ბაქოში გადაიღო და მაყურებელს უჩვენა მცირემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები: „ქართული სცენის მოღვაწენი: ეფემია მესხი, კოტე

მესხი და სხვები ქალაქის პარკში“, „მუშაობა რამიშვილის სტამბაში“, „ნავთობის ჭაბურღილზე მუშაობა“, „ქვანახშირის გადაზიდვა აქლემებით“, „ბაქოს ხედები“, „ლულა ქაბაბის გამყიდველები“, „კასპიის ზღვის სანაპირო“ და სხვა.

ვასილ ამაშუკელის მიერ ბაქოში გადაღებული ფილმები მიეკუთვნება ქართული ფილმების იმ ჯგუფს, რომლებიც უცხოეთში პირველად გავიდა.

„ვ. ამაშუკელის ბაქოში მუშაობისა და მის მიერ 1908-1909 წლებში მცირემეტრაჟიანი დოკუმენტური სურათების გადაღების შესახებ ცნობას გვაწვდის კოტე მესხის დისშვილი, თბილისის სპეციალური სანიტარული სამკურნალო სამმართველოს რესპუბლიკური საავადმყოფოს და პოლიკლინიკის აწ განსვენებული ექიმი ნიკოლოზ გამრეკელი:

„..1908 წელს ქ. ბაქოში ი.მ. გეპნერისა და ბიძაჩემის კოტე მესხის მეშვეობით, ქართველი საზოგადოების საკრებულოსა და თეატრთან იყო კინოთეატრიც, სადაც მექანიკოსად ვასილ იაკობის ძე ამაშუკელი მსახურობდა. აღნიშნულ კინოთეატრს ჰქონდა გადამღები აპარატი, რომლითაც ვ. ამაშუკელი იღებდა კინოქრონიკებს 1908-1909 წლებში, იქვე ამჟღავნებდა და უჩვენებდა ეკრანზე. ყველაფერი ეს კარგად მახსოვს, ვინაიდან მე იმ დროს სტუდენტი ვიყავი, კანიკულებზე ბაქოში ჩავდიოდი და ხშირად ვეხმარებოდი მას მუშაობაში“... **(10, გვ.12)**.

ქუთათურები თავის ქალაქში კინოთეატრის ახალ შენობაში კინოდანადგარისა და ეკრანის მოწყობის საქმეს ეფემია და კოტე მესხებს უნდა უმადლოდნენ. მშობლიურ ქალაქში საზოგადოებრივი მნიშვნელობის კინო დაწესებულების შექმნა და-ძმის თავგადადებული ძალისხმევით განხორციელდა. კინოთეატრ „რადიუმის“ მფლობელებს ტიხონ ასათიანსა და პავლე მეფისაშვილს პირველად ივანე გეპნერმა ჩამოუტანა კინოგადამღები აპარატი.

ასე, რომ – 1910 წლიდან ოპერატორმა ვასილ ამაშუკელმა მშობლიურ ქუთაისში გააგრძელა თავისი საყვარელი საქმე.

ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ დიასამიძე 1912 წლის ზაფხულში რაჭა-ლეჩხუმში აკაკი წერეთლის განთქმული მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი იყო. მოგზაურობის პირველი კადრები ქართული კინოს პიონერმა ვასილ ამაშუკელმა ქუთაისის ბაღში გადაიღო, რომელზედაც აღბეჭდილი იყო აკაკი და გრიგოლ დიასამიძე. გრიგოლ დიასამიძის არქივში ჩარჩენილმა ამ შეჩერებულმა წამმა გრიგოლთან ერთად ემიგრაციის გრძელ გზაზე იარა და დღეს ეს სურათი ნიუ-იორკშია დაცული.

როგორც ირკვევა, პირველი კადრები ვასილ ამაშუკელმა დაიწუნა და დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილ თავის კინოფილმში აღარ შეიტანა.

და, თუ დღეს, საქართველოს აქვს პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი მხატვრული კინონარკვევი – „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“, ამ საშვილიშვილო საქმეში გრიგოლ დიასამიძესა და ვასილ ამაშუკელთან ერთად ლომის წილი უდევს მესხების ღირსეული ოჯახის ღირსეულ შვილებს ეფემიასა და კოტეს.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ აკაკი წერეთელმა თავის მოგზაურობის ამსახველი ფილმის ჩვენებისას ვასილ ამაშუკელს უთხრა: „გმადლობთ ფილმისათვის, ყმაწვილო. ძალიან კარგი გადაღებულია. მომავალ თაობას დარჩება“...

1912 წელს გადაღებული „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ მსოფლიო კინემატოგრაფიის პირველი პერიოდის დოკუმენტური ფილმების საგანძურში შევიდა და მისი უნიკალური ძეგლი გახდა.

აკაკი წერეთელი და გრიგოლ დიასამიძე ქუთაისში, 1912 წ., რაჭა ლეჩხუმში გაემგზავრების წინ. ამ სურათმა ემიგრაციის მძიმე გზებიშემოიარა და ამჟამად ნიუ-იორკშია დაცული

კინოთეატრი „რადიუმი“

სცენის პოეტი...

„ხელოვნების მიზანი სულ უბრალო
რამ არის, მისცეს ადამიანს სიხარული
და ჩაუნერგოს მას მხნეობა“...

კოტე მარჯანიშვილი

„...ცნობილია, რომ ნიჭი ანუ ტალანტი შექმნის უნარია. შედევრები მაშინ იწერება, როცა შემოქმედს გააჩნია მძაფრი შეგრძნებებისა და უჩვეულო აღქმის უნარი, შეუძლია ჭარბი ემოციების არნახულ სურათებად დალაგება.

ზოგჯერ ტალანტი თითქოს ზედაპირზეა და ხელით ვეხებით. ასეთი ხელოვანი ისე იოლად და მსუბუქად ქსოვს გამოგონილ სამყაროს, როგორც აბრეშუმის ჭია პარკს თავის გარშემო. ხანაც სიღრმეშია მიმალული და სჭირდება გააქტიურება და გამოვლენა.

მაგრამ თუ სიღრმეში არაფერია, ვერავითარი განათლება, ვარჯიში, შთაგონება ანუ არტეზიული ბურღვა შედეგს ვერ მოიტანს.

ხელოვანისათვის მთავარია თავისუფლებისაკენ სწრაფვის უნარი. თავისუფლებაა, როცა იბრძვი პიროვნული, ეროვნული ან სოციალური ღირსებისა და ღირებულებებისათვის.

სწორედ თავისუფლებისაკენ ერის სწრაფვამ წარმოშვა XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში „ქართული სულის რენესანსი“, რაც გამოვლინდა ცნობიერების ყოველ სფეროში და მათ შორის თეატრში – კოტე მარჯანიშვილის შემოქმედების სახით.

კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა ზიგზაგოვანი იყო – ეიფორია და დეპრესია, წარმატება და ხელის მოცარვა, დაცემა და ამაღლება მისი სიცოცხლის მუდმივი სწრაფვისა და ბრძოლის პროცესია“, –წერს პროფესორი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი სოსო სიგუა.

ვახსენებთ თუ არა მარჯანიშვილს, მისი გვარი მაშინვე საქართველოს ულამაზეს კუთხესთან კახეთთან ასოცირდება. დღესაც ბევრმა არ იცის, რომ მარჯანიშვილები წარმოშობით იმერლები არიან. და ეს გვარიც კახეთში ერთი ლამაზი წყვილის სიყვარულმა დაამკვიდრა. მაიორ ანდრია მარჯანიშვილის უფროსი ვაჟი ალექსანდრე ქუთაისში დაიბადა. მაღალი რანგის სამხედრო ინჟინერი კახეთში გაამწესეს ოფიცრად. იგი თბილისის იმერეთის მილიციას ჩამოჰყვა ყვარელში. ლურჯთვალებიანი ოფიცერი დიდი მეომარი, დიდი ვაჟკაცი და ანწუხის გმირი იყო. მისი ნაწილი სოფელ ყვარელში იდგა და აქ გაიცნო ალექსანდრემ თავად სოლომონ ჭავჭავაძის ასული ელისაბედიც.

ეს ის ლიზაა, ილია ჭავჭავაძე რომ ეტრფოდა ყმაწვილკაცობისას და სიყვარულის ნიშნად მისი უკვდავი სტრიქონები – „გახსოვს, ტურფავ...“ – ლექსად შეკონილი უძღვნა.

მდიდარმა მემამულემ და მდივანბეგმა სოლომონ ჭავჭავაძემ ასულის ხელის თხოვნაზე უარი მხოლოდ ერთადერთი პირობით არ სტკიცა მოხდენილ იმერელ აზნაურს, თუ იგი ზედსიძედ ჭავჭავაძეანთ ფუძეზე დარჩებოდა...

და, აი ასე გაჩნდა მარჯანიშვილის გვარი ყვარელში.

...ეს უბრალოდ გვარის გენეალოგიისათვის, თორემ კოტე მარჯანიშვილის დიდებასა და სახელს ეს არაფერს აკლებს და მატებს, რადგან გენიოსებისა და ტალანტების შემოქმედება მუდამ უსაზღვრო და მსოფლიო კუთვნილებაა.

ელისაბედ-ლიზა ჭავჭავაძემ, 1872 წლის 9 ივნისს მერვე შვილად და პირველ ვაჟიშვილად მზეჭაბუკ ალექსანდრე მარჯანიშვილს – კოტე აჩუქა, რომელსაც მამამ თავისი უმცროსი ძმის კოტე მარჯანიშვილის სახელი დაარქვა.

„...პირველად ვნახე მე ის ქუთაისში, როდესაც ავადმყოფი ალექსანდრე გერმანიაში ზღვით მიემგზავრებოდა საექიმოდ და ჩვენთან შემოიარა დედასთან გამოსამშვიდობებლად. მშობლებს თან მიჰყავდა პატარა კოტე მომვლელი ქალით. მაშინ ის იქნებოდა ორი წლისა, ახლად ფეხადგმული,გასაოცარი სილამაზისა, მეზღვაურის ტანსაცმელში. მე მას ლანდივით დავდევდი, მინდოდა მუდამ ხელში მჭეროდა და მეალერსნა, მაგრამ გამდელი არ მანდობდა.

ქუთაისში გადაუღეს პატარა კოტეს სურათი და ერთი მე მაჩუქა ბიცოლა ლიზამ. მე მას ვინახავდი ჩემს ალბომში, მაგრამ ამ 12 წლის წინათ კოტემ წაიღო თავის კოლექციისათვის“, –წერდა ეფემია მესხი.

ალექსანდრე მარჯანიშვილი იყო განათლებული პიროვნება, ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე,წერდა ლექსებს,გატაცებული იყო თარგმანით. საერთოდ,ყვარელში მარჯანიშვილის ოჯახში იკრიბებოდა საუკეთესო წიგნიერი ელიტა, გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე მაჩაბელი, დიმიტრი ყიფიანი, მისი დისშვილები: პოეტი დომინიკა ერისთავი, ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორი ანდრია ღულაძე, ნესტორი, კოტე, ეფემია მესხები და სხვები.

„..ბიძაჩემის გარდაცვალების შემდეგ მისი ცოლ-შვილი თბილისში გადმოსახლდა. კახეთის მამული ჩაბარებული ჰქონდა მოურავს, საიდანაც მოსდიოდათ ყველაფერი. მე ხშირად დავდიოდი მათთან, რადგან ჩემი ბიძაშვილი – ქალები, თითქმის ჩემი ტოლები იყვნენ. ისინიც სწავლობდნენ გიმნაზიაში, მხოლოდ იქ არა, სადაც მე. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ბიცოლა ლიზა მეტად საყვარელი ადამიანი იყო, საუბედუროდ ხშირად ავადმყოფობდა და ნახევარჯერ ლოგინში იწვა.

იგი იყო კარგად აღზრდილი, დარბაისელი, ჭკვიანი, ტკბილად მოსაუბრე, გონებაგახსნილი ქალი. როდესაც კარგ ხასიათზე იყო, ძალიან იშვიათად, იმღერდა ქართულ ბაიათებს გასაოცარის გრძნობით, როგორც საზოგადოდ მუსიკის მოყვარულს, ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა იმისი სიმღერა.

აკაკი მათ ოჯახში ხშირი სტუმარი იყო. როდესაც ის სთხოვდა სიმღერას, უარს ვერ ეტყოდა. მე შემიმჩნევია აკაკის თვალებზე ცრემლი,როდესაც ბიცოლა ლიზა ცრემლმორეული მღეროდა მის „ჩემო თავო, ბედი არ გიწერიას“...

აქ ვნახე მე პატარა კოტე, იმ დროს გიმნაზიის მეორე კლასის შეგირდი. რა დიდი განსხვავება იყო პირველად ნახულსა და ახლანდელს შორის. ეხლა კი გამაკვირვა მისმა ნახვამ. ისევ ლამაზი,მაგრამ ის ბუნჩულა ბავშვი როგორ გარდაქმნილიყო,როგორი რისხვიანი გამხდარიყო, დაუდგრომელი, ცეცხლივით ანთებული დიდრონი თვალებით, რაღაც განსაკუთრებული ხასიათის, რომლის აღწერა მიძნელდება. ის არაფრით არ ჰგავდა თავის ტოლ ბავშვებს.

სხვაგვარი იყო მისი ყოველი ქცევა, ლაპარაკი, მოსწრებული სიტყვა-პასუხი. დედას ის მომეტებულად უყვარდა და განებივრებული იყო. ამასთანავე დიდ ნიჭს იჩენდა სწავლაში: ითვლებოდა პირველ მოწაფედ. არავის კი არ უნახავს სამეცადინოდ დამჯდარი. მაშინ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე, რომ ვფიქრობდი, არაფერი სასიკეთო იმისგან არ გამოვიდოდა“, –იგონებდა ეფემია მესხი.

უბედურება და მწუხარება მუდამ თან სდევდა შთაბეჭდილებიან კოტე მარჯანიშვილს. მეოთხე კლასში იყო, როდესაც დაკარგა დედა და ორი და. „დასაფლავებაზე არ გამოუძახებიათ, – შეიძლება იცოდნენ მისი ხასიათი და ეშინოდათ, რომ იგი აღარ დაბრუნდებოდა გიმნაზიაში. ნათესავები არ შემცდარან. როცა კოტემ თავსდამტყდარი უბედურება შეიტყო, გადაწყვიტა წასულიყო სოფელში და დარჩენილიყო იქ, სადაც საყვარელი დედის საფლავი ეგულებოდა“, –წერდა ნ. ჟივოკინი.

დიდი ტკივილისაგან თავის დაღწევა მძიმე იყო. კითხვას მიჰქონდა მისი დრო... პირადი ტრაგედიისაგან მისმა პირველმა სპექტაკლმა ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის“ ინსცენირებამ შინაგანად გაათავისუფლა და დაცალა.

„ჩვენი მაყურებელი იყვნენ პატივსაცემი კახელი გლეხები. რა აზრისა იყვნენ ისინი ჩემი წარმოდგენების შესახებ, არ ვიცი.. მხოლოდ ის მახსოვს, გემრიელად შეექცეოდნენ გომიჯს, ვაშლს, ჩურჩხელებს და სხვა საჭმელ-სასმელს, რითაც უხვად ვუმასპინძლდებოდი მათ. რადგან ჩემი „წმინდა მსახურება“ მიმდინარეობდა ვეებერთელა მარანში, რომელსაც ჩვენს სახლში მთელი ქვედა სართული ეჭირა, ნაბრძანები მქონდა მოეხადათ ერთ-ერთი ქვევრი და გვერდზე ხელადა დაედგათ. ხელადის რამდენჯერმე შემოვლის შემდეგ, დიდის გატაცებით მიწვევდნენ სცენაზე, ძალიან დიდი წარმატება მქონდა, ო, რა დიდი წარმატება! მალე მთელ მახლობელ სოფლებში გავითქვი სახელი. ბოლოს სამაზრო ქალაქ თელავამდე მიაღწია ჩემმა სახელმა...

...ერთხელ თელავის თეატრის ანტრეპრენიორმა აჯიმამუდოვმა მთხოვა მონაწილეობა მიმეღო, რომელიღაც პიესაში. მე დავეთანხმე და, მიუხედავად იმისა, რომ გიმნაზიელის

ხალათი მეცვა, ამაყად ვატარებდი გასტროლიორის სახელს.

რეპეტიციაზე დასასწრებად მე არ მეზარებოდა ოცდათექვსმეტი ვერსის ცხენით გავლა ყვარლიდან თელავამდე და იქიდან ყოველ ღამე სოფელში დაბრუნება. დადგა წარმოდგენის დღე. ჩემთვის საჭირო იყო ფრაკი... მთელი ქალაქი მოვიარეთ, მაგრამ არავის არ აღმოაჩნდა იგი. მე ანტრეპრენიორს განვუცხადე, რომ თუ ფრაკი არ მექნებოდა, ვერ ვითამაშებდი.

დაქანცული და გაოფლიანებული აჯიმამუდოვი ხელახლა გაიქცა ფრაკის საშოვნელად. თეატრთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი... გარს მეხვეოდა თაყვანისმცემელ ქალიშვილთა მთელი გუნდი... აჯიმამუდოვმა ფრაკი ვერ იშოვა, მაგრამ ვიცმუნდირი მომიტანა... მე ცივად გადავხედე, მერე ქალიშვილებს „ჰამლეტისებურად“ შევავლე თვალი და წკეპლის ტყლაშუნით წარმოვთქვი: „ეს ფრაკი არ არის, და მე არ ვითამაშებ“... ქალების სახეზე აღფრთოვანება ამოვიკითხე, აჯიმამუდოვი დაბნეული შემომცქეროდა. მერე შეიქმნა ალიაქოთი, გაისმა ტყლაშუნი, ლოყაზე ტკივილი ვიგრძენი, კინწრის კვრა კისერში, ცხვირიდან სისხლი, ძირს დაცემა და ჩქარი ნაბიჯები... მან მე მცემა, მცემა...

ჩუმად შევიპარე ძალუაჩემის სახლში. არავის არ დავემშვიდობე, შევკაზმე ცხენი და ბნელ ღამეში სოფლისაკენ გავეშურე“, –ასე იწყება კოტე მარჯანიშვილის მოგონებათა წიგნის პირველი ფურცლები.

...–და ეს იყო ბედისწერის დასასრულის დასაწყისი. შემდეგ კოტე მარჯანიშვილი თბილისში ცხოვრობდა.

„...თბილისში შევხვდი ახალგაზრდა 21-22 წლის კოტე მარჯანიშვილს. ამ ხნის განმავლობაში მას თითქმის ყველანი შემოეცალნენ. დედა გარდაეცვალა. ორი უფროსი დაც. ერთი მონოზვნად აღიკვეცა. ერთი გათხოვდა და მგონი ახლა ბესარაბიაში ცხოვრობს. უმცროსი ძმა ვლადიმერი მეზღვაურად წავიდა. ასე რომ ეხლა მარტო იყო გამგე და პატრონი თავისი მამულისა. მას კახეთში ჰყავდა მოურავი, თვითონ კი მომეტებულ დროს ატარებდა თბილისში უსაქმოდ, სხვადასხვა თეატრებში სიარულითა და ქეიფით. შევხვდი ამ მშვენიერ ყმაწვილს, რომელიც ბავშვობიდან მიყვარდა და გული მეტკინა, რომ ასე უქმად ატარებდა დროს.

– რა კარგი მსახიობი ყოფილხარ. გუშინ ვიყავი თეატრში და ძალიან მომეწონე, – მითხრა მან:

– შენ რას აკეთებ, კოტე? მსახურობ სადმე?

–არაფერსაც არ ვაკეთებ... დავდივარ თეატრში და ვქეიფობ...

–მერე როდემდის ეგრე? არ მოგბეზრდა ასეთი ცხოვრება?

–მართლაც მომბეზრდა! დროა... ეხლა მსახიობობა მინდა დავიწყო, მაგრამ ვერა ვბედავ... არ ვიცი გამოვდგები თუ არა...

–სინჯე, მაგაზე ადვილი რა არის, – ვუთხარი მე.

–უნდა ვსინჯო.

მაშინ ჩემმა ძმამ კოტემ ურჩია მას წამოსულიყო ჩვენთან ქუთაისში და იქ დაეწყო მუშაობა.

კოტეს ძალიან გაუხარდა ეს წინადადება და სიტყვა მოგვცა, რომ ორ კვირაში ის ქუთაისში ჩამოვიდოდა. ის კახეთში უნდა წასულიყო ცოტა ხნით თავის საქმეებზე.

მართლაც ორ კვირასაც არ გაუვლია, რომ კოტე მარჯანიშვილი მოვიდა ჩვენთან ქუთაისში. ჩემმა ძმამ კოტემ მას დაუწყო მზადება დებიუტისათვის.

მახსოვს როგორ ღელავდა ის ამ დროს, როგორ ვამხნევებდით ჩვენ. ამბობდა: „თუ შევრცხვი და ცუდად ვითამაშე, იმავე ღამეს გავწევ თბილისში, რომ არავის დავენახოო“...

...ამავე დროს ნუცა ჩხეიძეს, რომელიც 13-14 წლისა იყო, ახლად ჰქონდა დაწყებული სცენაზე მუშაობა და იმ ღამეს ისინი თამაშობდნენ ერთად. როგორც მითხრეს, ისინი მშვენიერ სურათს წარმოადგენდნენ სცენიდან...

კოტემ ჩინებულად ჩაატარა თავისი პატარა როლი. თითქმის მთელი სეზონი გაატარა მან ჩვენს დასში. გათამამდა, გაეწაფა. ძალიან ლამაზი იყო, თაყვანისმცემლები მრავალი ჰყავდა და ეს ამხნევებდა ახალგაზრდა მსახიობს. ასე რომ შეცდომით ამბობენ, ვითომ კოტე მარჯანიშვილს დაეწყოს სცენაზე მუშაობა ლ. მესხიშვილის რეჟისორობით ქუთაისის სცენაზე, რასაც ის თვითონვე იგონებდა დეპეშაში, რომელიც ბათუმში მომივიდა ჩემი იუბილის დროს. ეს დეპეშა მე შენახული მაქვს!“, –აღნიშნავდა ეფემია მესხი.

„...ეს იყო 1894 წლის 30 იანვარს ა. დიუმას „ცოდვის შვილში“ ვთამაშობ ისევ პატარა ქალს, ადას. მახსოვს ერთი მიზანსცენა, ეფემია მესხს ვყავდი გულში ჩაკრული და რაღაცას ვუამბობდი. ერთი ფრაზა შემეშალა, იქვე სცენაზე წავულაპარაკე, ვაიმე, ასე არ უნდა მეთქვა-მეთქი, და იქვე გავასწორე. ფეფიკომ და სცენაზე მყოფმა კოტე მარჯანიშვილმა ძლივს შეიკავეს სიცილი. ამ შეცდომის გამო ბევრი ცრემლი დავღვარე კულისებში. ეფემია მესხი კი მამშვიდებდა, ნუ სწუხარ, შეცდომები ჩვენც ხშირად მოგვდისო. ეს პიესა უფრო იმიტომ მოვიგონე, რომ, სხვათა შორის, მაშინ პირველად ითამაშა კოტე მარჯანიშვილმა. ის ახლო ნათესავი იყო კოტე მესხისა, ბიძაშვილები და მოგვარე ნათესავები ქუთაისში ჰყავდა, ჩამოვიდა მათთან ქუთაისში და პირველად აქ დაიწყო მუშაობა, როგორც მსახიობმა. ძალიან მოხდენილი ახალგაზრდა იყო“, –წერდა ნუცა ჩხეიძე.

თავის ძირძველ კუთხეში ქუთაისში აკურთხა დიდი ხელოვნების მომავალ რაინდად კოტე მარჯანიშვილი მისმა პირველმა რეჟისორმა, სისხლითა და გენით ნათესავმა კოტე მესხმა: –ნიჭს გაუფრთხილდი... ყველას უჩვენე, კოტე მარჯანიშვილი რა არის!“...

...გაფრთხილება, რწმენა, შთაგონება წინასწარმეტყველური გამოდგა.

...კოტე მესხს უყვარდა ტალანტების აღმოჩენა...

თეატრალური ხელოვნების კორიფის კოტე მარჯანიშვილის გარდა, მან პირველი ნაბიჯები გადაადგმევინა და სასცენო შემოქმედების გზა დაულოცა დიდ თეატრალებს შალვა დადიანსა და ნუცა ჩხეიძეს.

...მომავალი სეზონისათვის ქუთაისის დასში კოტე მარჯანიშვილი „კ. ყვარელის“ ფსევდონიმით იყო გამოცხადებული.

... იდგა 1894 წლის 12 ოქტომბერი. „დასი სუნდუკიანის „პეპოს“ ამზადებდა. გენერალური რეპეტიციის შემდეგ შენობაში ცეცხლი გაჩნდა და 15-20 წუთში თეატრი სრულიად განადგურდა. ეს იყო დიდი უბედურება ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში“... **(22, გვ.15)**.

...იმავე წლის 27 ნოემბერს კ. მარჯანიშვილი პირველად გამოვიდა თბილისის სცენაზე „პატარა კახის“ როლში. „ბატონიშვილი ერეკლეს როლზე მასთან თვით ავტორი აკაკი წერეთელი მუშაობდა“, – სიამაყით აღნიშნავდა კოტე მარჯანიშვილი.

მერე კოტე ისევ ქუთაისში დაბრუნდა...

„ქუთაისში მოსკოვიდან ჩამოვიდა რუსული დასი ჩინებულის შემადგენლობით. ამ დასში იყო ახალგაზრდა მსახიობი ქალი ჟივოკინა –ნადეჟდა დიმიტრის ასული, შვილიშვილი თავის დროზე სახელოვანი კომიკის ჟივოკინისა (მოსკოვის მცირე თეატრის ცნობილი მსახიობი 1867-1874 წლებში), ძალიან ლამაზი მსახიობი.

კოტე მარჯანიშვილს შეუყვარდა ეს ქალი და გადაწყვიტა მისი ცოლად შერთვა. აღარავის რჩევას ყური არ უგდო. ხანი აღარ დააყოვნეს, იმათ დაიწერეს ჯვარი თბილისში და როდესაც ეს დასი წავიდა, ჩვენი კოტე ჩაეწერა მათთან მსახიობად და თან გაჰყვა ახალგაზრდა ცოლს“... **(23, გვ.27)**.

სიყვარულმა არ იცის არც ეროვნება და საზღვარი. კოტე მარჯანიშვილი 1895 წლის სეზონის ბოლოს უკვე რუსეთში იყო. „ხარკოვში სამკურნალოდ იმყოფებოდა ლადო მესხიშვილი, რომლის რჩევით კოტე ქალაქ ნიკოლაევში მოქმედ პლატონოვის ანტრეპრიზაში ჩაირიცხა“... **(3, გვ.131)**.

მუშაობა მარჯანიშვილს არ აკმაყოფილებდა და იგი მოსკოვში დრამატულ სკოლაში ლექციების მოსასმენად გაემგზავრა.

... მერე კოტე მარჯანიშვილი კვლავ თბილისის ქართულ დასში ჩაირიცხა: „1986 წლის 25 სექტემბერს გაიხსნა ქართული დრამა. წარმოადგენდნენ დ. ერისთავის პიესა „სამშობლოს“. სპექტაკლში კოტე დებიუტით გამოვიდა ლევან ხიმშიაშვილის საპასუხისმგებლო როლში“... **(3, გვ.139)**.

დებიუტს დაესწრო მთელი ლიტერატურული და თეატრალური თბილისი: ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნიკო ავალიშვილი და სხვა...

თბილისის დასში კ. მარჯანიშვილმა ითამაშა: პიერი („ორი ობოლი“), მარმაროვი („გაჩანაგებული კერა“), ბასანიო („ვენეციელი ვაჭარი“), მაქს ხოლმინი („მოციმციმე ჩირაღდანი“) და ოლივიე („ჟან ბოდრი“).

ამ როლების შესრულებაზე – „ზოგჯერ სწორი გზიდან აცდენდა მარჯანიშვილს და უფუჭებდა მას გუნებას პრესის შეფასებანი...“ **(3, გვ.126)**.

დიდმა ქართველმა რეჟისორმა და სცენის ოსტატმა ლადო მესხიშვილმა კოტე ქუთაისში მიიწვია დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებაში“ სათამაშოდ.

„...მოსწავლე და მასწავლებელი ძლიერ შეეთვისენ ერთმანეთს, დიდხანს საუბრობდნენ თანამედროვე თეატრის ბედ-იღბალზე, რომელიც აგრე რიგად აწუხებდათ ორივეს. ამ მეგობრობამ მთელი ცხოვრების მანძილზე გასტანა“... **(3, გვ.125).**

როლზე მუშაობა კ. მარჯანიშვილის ავადმყოფობის გამო შეწყდა.

კ. მარჯანიშვილმა გადაწყვიტა კვლავ წასულიყო სამუშაოდ რუსულ სცენაზე, რადგან იქ უფრო დიდი გასაქანი ექნებოდა დახელოვნება-დაოსტატებისათვის. ასე ურჩია ლადო მესხიშვილმაც.

„მე და კოტემ რუსეთში წასვლა გადავწყვიტეთ. ლადოს მოეწონა ჩვენი განზრახვა. გვირჩია, თუ სამშობლო ქვეყანაში პირველობა გინდათ, საჭიროა რუსეთში პრაქტიკით გაიწაფოთ“-ო....

კოტე მარჯანიშვილმა გადაწყვიტა რამდენიმე წლის შემდეგ უკვე გამოცდილ მსახიობად დაბრუნებულიყო ქართულ სცენაზე. „სამშობლოსთან განშორებისას კოტეს ვერც კი წარმოედგინა, რომ საქართველოში მხოლოდ მრავალ წელთა გავლის შემდეგ დაბრუნდებოდა, ისიც რეჟისორად და არა მსახიობად“... **(3, გვ.48).**

1896-1897 წწ სათეატრო „სეზონის“ დასასრული მოახლოვდა და „კოტეს სასოწარკვეთილების განწყობილების მომენტები გაუხშირდა და ბევრჯერ გაბრუებულივით იყო. ხშირად გავარდებოდა და ქუჩა-ქუჩა ხეტიალში ეძებდა დამშვიდებას. კოტეს ეშინოდა, რომ შემდეგი წელიწადი მას მეტ მწუხარებას მოუტანდა“, –წერდა ნ. ჟივოკინი.

კოტე მარჯანიშვილს სწყუროდა სწავლა, გულდასმით მუშაობა გამოცდილი მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

საქართველოდან კოტე მარჯანიშვილი ჯერ კიდევ ჭაბუკი გაემგზავრა, რომელმაც აქტიორული ხელოვნების მხოლოდ პირველი, ელემენტარული კანონები შეიცნო. მისი ცნობიერება ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დემოკრატიულად მოაზროვნე ქართული კულტურის წარმომადგენლებთან უშუალო ურთიერთობაში. სცენაზე პირველი ნაბიჯები გადადგა ქუთაისის თეატრში ჯერ კოტე მესხის, შემდეგ ლადო მესხიშვილის რეჟისორობით. მარჯანიშვილისათვის რეალისტური სამსახიობო შესრულება, თეატრალური ხელოვნების ერთადერთ ჭეშმარიტებად, თეატრის იდუმალებათა შეცნობის საფუძვლად გადაიქცა. ამ წლებში მისთვის უცხო იყო სხვა რომელიმე გზა.

თავისუფლებისაკენ სწრაფვა, თავისუფლების მიღწევა თუნდაც ოცნების სფეროში, თავისთავად მოითხოვდა ენერგიის, ვნების, გრძნობების, იდეების მაქსიმალურ კონცენტრირებასა და გამოვლენას.

მარჯანიშვილმა მემკვიდრეობით მიიღო მაღალი ზნეობა და სიწმინდე –ადამიანის სულის ხატვა სცენაზე, რომელიც ცხოვრების უკანასკნელ დღემდე წმინდად შემოინახა.

ამ გზიდან კ. მარჯანიშვილს არსად და არასოდეს გადაუხვევია.

25 წლის მანძილზე კოტე მარჯანიშვილმა რუსეთში, უკრაინასა და რიგაში მრავალი თეატრალური კოლექტივი გამოიარა და დაარსა. 25 წლის მანძილზე ღრმად და ყოველმხრივ შეიცნო ცხოვრება, ადამიანები, სხვა ხალხების კულტურა, გაიცნო მთელი მსოფლიოს კულტურა და ხელოვნება, თავისი ძალები გამოსცადა მრავალფეროვან თეატრალურ სისტემის განხორციელებაში. და სიმართლის დამკვიდრებისა და თავისი მრწამსისათვის მას არასოდეს უღალატია...

1912 წლის მარტში მარჯანიშვილი თბილისში სახაზინო თეატრის რუსულ დრამატულ დასში, „ოიდიპოს მეფის“ დასადგმელად მოიწვიეს, რომელსაც მ. მარტოვი ხელმძღვანელობდა. მარტოვის დასი მძიმე ფინანსურ გაჭირვებას განიცდიდა და ამიტომ დიდი იმედი სწორედ ამ სპექტაკლზე დაამყარა.

საიმდროოდ მარჯანიშვილს უკვე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რამაც თავისთავად განსაზღვრა სპექტაკლის ბედიც.

მარჯანიშვილმა ეს მოწვევა სიხარულით მიიღო. მოსწონდა, რომ საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობა მიეცა. თეატრის მიერ არჩეულმა პიესამ სავსებით დააკმაყოფილა.

„...კოტე მარჯანიშვილს არ აკრთობდა ჰოფმანსტალის მიერ „ოიდიპოსის“ ტრაგედიის თავისებურება, ვნების აშკარა გაშიშვლება და ბედისწერისადმი ადამიანური ხვედრის მორ-

ჩილება. რეჟისორს ანტიკურ სიუჟეტში იზიდავდა ადამიანის სულის სიდიადე – და ძალა, მისი ქედუხრელობა, მისი ეთიკური გამარჯვება.

სპექტაკლს უდიდესი წარმატება ჰქონდა. იგი ზედიზედ ათჯერ ანშლანგით გავიდა. თეატრის ფინანსური მდგომარეობა საბოლოოდ გამოსწორდა. პრესამ მარჯანიშვილის დადგმა მიიჩნია დიდ თეატრალურ მოვლენად, რომელმაც მთელი ქალაქი ააღელვა. მარჯანიშვილის სპექტაკლის გავლენით „ოიდიპოსი“ ქართულმა თეატრმაც დადგა“, – აღნიშნავდა პროფესორი ეთერ გუგუშვილი.

განვლო კიდევ ათმა წელმა და მარჯანიშვილი სამშობლოში დაბრუნდა არა როგორც მოხეტიალე, არამედ გამობრძმედილი რეჟისორი, რომელიც დავაჟკაცდა მაღალი თეატრალური ხელოვნებისათვის ბრძოლაში. ხელოვანს, რომლის სახელსაც ყველგან, სადაც კი იგი ყოფილა მადლიერებითა და მოწიწებით მოიხსენიებდნენ.

ამბობენ, რომ ხელოვანი უკეთესად, სრულად და უფრო ღრმად მხოლოდ თავის ხალხთან კავშირის საფუძველზე, მშობლიურ ნიადაგზე, მშობლიური მიწის სურნელთან ერთად შეიცნობა.

მარჯანიშვილი სულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ერთი დიდი ვალი გადაუხდელი დარჩა, – ვალი სამშობლოს წინაშე. ამის შეგრძნება და ახლის შექმნის წყურვილმა ჩამოიყვანა ის 1922 წლის 6 სექტემბერს საქართველოში.

„მუდამ მენატრებოდა საქართველოს ცა, ბუნება, ქართული ენა, კახეთი... და სიბერის ჟამს, როცა ზოგი რამ ვისწავლე, მიხარია, რომ ჩემს ცოდნასა და ძალ-ღონეს სამშობლოს ვახმარ. ეს ლამაზი სიტყვები როდია, ეს ჩემი გულის თქმაა“, – ასე მიესალმა თავის სამშობლოს კოტე მარჯანიშვილი.

კოტე მარჯანიშვილი იყო თეატრალური ხელოვნების ოსტატი, განცვიფრების რეჟისორი, ყოველთვის აღფრთოვანებული ჭაბუკი, მოუსვენარი შემოქმედი, ყოველგვარი შაბლონის გადამლახავი და მგზნებარე. როცა მშობლიურ მიწაზე ფეხი დადგა, მაშინვე მოიტანა მთელი თავისი იდეურ-მხატვრული სიმდიდრე.

რეჟისორის ცხოვრებაში დადგა მომენტი, როცა მას შეეძლო სამშობლოსათვის დაებრუნებინა მთელი თავისი გამოცდილება, შეერწყა იგი ქართული ეროვნული თეატრის ტრადიციებთან, გაემდიდრებია იგი რუსული და მსოფლიო კულტურის მიღწევებით.

1922 წლის 25 სექტემბერს რუსეთიდან დაბრუნებულმა კოტე მარჯანიშვილმა თანამემამულეებსა და კოლეგებს გააცნო მისი პოზიცია ხელოვნებაში. მისი მიზანი იყო საქართველოში შეექმნა დღესასწაულებრივი თეატრი, სიხარულის მომნიჭებელი თეატრი.

„...თეატრი ბუნების შვილია, რომელიც ღია ცისქვეშ დაიბადა და დავაჟკაცდა. დიონისეს თეატრი ათენში 17 ათასს, ხოლო მეგაპოლისში 44 ათას მაყურებელს იტევდა.

ანტიკური თეატრის ამ გრანდიოზულობამ ჩააგონა კ. მარჯანიშვილს თეატრის კვლავ ღია ცის ქვეშ გაჭრის მძაფრი ვნება. იგი ოცნებობდა ფუნიკულიორის, მთაწმინდის პლატოზე, ღია ცის ქვეშ გაემართა სპექტაკლი, რომელსაც თბილისელები პირდაპირ ქუჩებიდან, მოედნებიდან და აივნებიდან იხილავდა, რაც თეატრის ხალხურობის ნიშანი იყო“... **(41, გვ. 435).**

„...მარჯანიშვილის მთელი ცხოვრების დევიზი იყო ორი იდეა – თანამედროვე თეატრისა და დღესასწაულებრივი თეატრის იდეა. თანამედროვეობაში გულისხმობდა ეპოქასთან თეატრის ღრმა და ზუსტ თანაზომიერებას, მსოფლმხედველობრივ კატეგორიას. ხოლო დღესასწაულს თეატრში იგი მიიჩნევდა ადამიანის განახლების სტიმულად, მისი მოქალაქეობრივი და მორალურ-ესთეტიკური იდეალის აღზრდის და მნიშვნელობის დამკვიდრების თავისებურ საშუალებად.

ეს იყო რეფორმის დაწყება.

თუმცა, მაშინ რეფორმაზე არავინ ლაპარაკობდა. საქმე ეხებოდა ქართული თეატრის აღდგენას, რომელიც იდეურ მხატვრულ და წმინდა ორგანიზატორულ მხარესაც ეხებოდა. მარჯანიშვილმა მუშაობა დაიწყო კოლექტივში, რომელიც ფაქტიურად გადაჩვეული იყო სერიოზულ დაფიქრებულ მუშაობას.

რეჟისორი მის „ლაბორატორიაში“ არც თუ მთლიანად ხელსაყრელ პირობებში მოხვდა. იგი მთელი თავით მაღლა იდგა იმათზე, ვინც ამ დროს ქართულ თეატრს უშუალოდ ხელმძღვანელობდა.

წარმატების მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ ორივე მხარის ძალთა მაქსიმალური დაძაბვით და სწორედ ამის მიღწევა აღმოჩნდა ყველაზე ძნელი“, – წერდა ე. გუგუშვილი.

მარჯანიშვილმა დაამსხვრია ჩვეულებრივი „ნორმები“, დაამკვიდრა მსახიობთა შორის მტკიცე დისციპლინა, მუშაობის ახალი პრინციპები. მას კარგად ესმოდა, რომ რაგინდ მდიდარიც არ უნდა ყოფილიყო ტრადიცია, შეუძლებელი არ იყო მისი უცვლელობა.

„1922 წელს თბილისში ჩამოვიდა კოტე მარჯანიშვილი. ეს იყო დრო, როდესაც ჩვენი ქართული თეატრი სულს ღაფავდა. საბჭოთა მთავრობამ კოტე მარჯანიშვილი მიიწვია თეატრის ხელმძღვანელად და სამხატვრო ნაწილის გამგედ.

„...ვისაც ამ უკანასკნელის მუშაობისათვის თვალყური უდევნებია, მან უეჭველად იცის, როგორი ოსტატი იყო კოტე თავისი საქმისა, როგორც შემოქმედი და ორგანიზატორი; მას ამ მხრივ ჭეშმარიტად ბადალი არ ჰყავდა ჩვენს თეატრში. საკმარისია გავიხსენოთ მხოლოდ მისი „თავისუფალი თეატრი“ მოსკოვში, რომელმაც აალაპარაკა თითქმის მთელი ევროპა. ამ თეატრის დადგმის სანახავად და კოტეს მუშაობის გასაცნობად მოდიოდნენ ევროპიდან ცნობილი თეატრალები და მწერლები.

კოტე ქართულ თეატრში შეუდგა მუშაობას თავისებური ენერგიით და საქმისადმი სიყვარულით, რომლითაც გამსჭვალა ჩვენი ახალგაზრდა მსახიობები. ასეთი ხელმძღვანელი და მასწავლებელი მათ ჯერ არ ენახათ. კოტემ ძირფესვიანად გადაატრიალა ქართული თეატრი“... **(23, გვ.75).**

„თეატრი საკიდრიდან იწყება“ – ხელოვანთა ამ ცნობილი დევიზით შეუდგა კ. მარჯანიშვილი მუშაობას რუსთაველის თეატრში, რომელიც იდეურ, მხატვრულ და წმინდა ორგანიზატორულ მხარისკენ იყო მიმართული.

მან რუსთაველის სახელობის თეატრის პრაქტიკაში დანერგა სტამბური წესით დაბეჭდილი „სავალდებულო წესები“, რითაც მტკიცე დისციპლინა და კოლექტივის გეგმაზომიერი ყოველდღიური ცხოვრება დაამკვიდრა.

კოტე მარჯანიშვილმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მსახიობის დისციპლინას, როგორც მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ პირობას. მისი აზრით მაღალი და ჭეშმარიტი ხელოვნება არ არსებობდა დიდი მოთხოვნისა და სიმკაცრის გარეშე, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართაც. ამ სიმკაცრეში მარჯანიშვილი მუდამ დაუნდობელი იყო. რამდენჯერმე ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა საუკეთესო და საყვარელი მსახიობი დასაჯა დისციპლინის მცირე დარღვევისათვისაც კი. ერთი ასეთი სასჯელი ვერიკოსაც ხვდა წილად: „1925 წლის 12 ოქტომბერს მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრის ახალგაზრდობას მისწერა:

„ყმაწვილებო!

...მე დაბლა არ ვაფასებ ვერიკო ანჯაფარიძეს. გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ, ჩემი აზრით, ეს მსახიობი ნიჭიერი და სცენური მიმზიდველობით მთელ დასში უძლიერესია, მაგრამ რადგან მან არ გამოიჩინა მტკიცე გრძნობა თეატრის მოვალეობისა, მარტო ეს მხარეა ჩემთვის გადამწყვეტი, როდესაც ვამბობ, რომ ის უნდა იყოს ხელფასით უკან დაწეული...

მე ჯერ კიდევ მჯერა თქვენი!

თქვენი ერთგული უფროსი მეგობარი

კოტე მარჯანიშვილი“.

მართალია, კოტემ თავისი სანუკვარი და დასისათვის დიდად მნიშვნელოვანი ვერიკო ანჯაფარიძე არ დაინდო, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ მსახიობის სიძლიერე თეატრის განმტკიცებისათვის გამოიყენა“...**(31, გვ.108).**

მარჯანიშვილმა მოახერხა „კლდის გაპობა“, სიძნელეების დაძლევა: „იგი რეპეტიციებზე დირიჟორიცაა, ბალეტმეისტერიც, ყველას მაგიერ მსახიობიც. – როგორ აჩვენებს, ან რა მიზანსცენებია! რა ფანდები, რას არ იგონებს! თეატრის მთელი პერსონალი მოჯადოებული უყურებს რეპეტიციებს“, –წერდა აღფრთოვანებით კომპოზიტორი თამარ ვახვახიშვილი. მსახიობთან მუშაობისას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პიესის ამბისა და როლების ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზის მეთოდს, გმირთა ქცევის შინაგან მიმართულებასა და მათ სწორ ურთიერთობის განსაზღვრას, პიესისა და როლების განხილვას, დეტალების პოვნას მსახიობთა ერთიანი და მწყობრი, ერთი იდეით გაერთიანებული ანსამბლის შექმნას.

„ხელოვნებამ სიხარული უნდა მოუტანოს ადამიანებს, მხნეობა შთააგონოს მათ“, – სულ უფრო ხშირად იმეორებდა ამ წლებში მარჯანიშვილი და ცდილობდა ყოველ სპექტაკლში ჩაექსოვა, რაც შეიძლება მეტი შემოქმედებითი ფანტაზია.

„მარჯანიშვილი აქტიორის კარგი თამაშით თვითონაც აენთებოდა, გამოცოცხლდებოდა, სახე გაუნათდებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, მთლად ერთიანად გაახალგაზრდავდებოდა და გარდაიქმნებოდა.

ხშირად ასეთ დროს მთელი სარეპეტიციო დარბაზი სუნთქვაშეგუბებული, უდიდესი დაძაბულობით ადევნებდა თვალყურს შემოქმედების ცეცხლით აგზნებულ ადამიანს, რომელიც საოცარის ჯადოქრობით ქარგავდა უმშვენიერეს მიზანსცენებს და აქანდაკებდა მეტყველ, გამოკვეთილ სახეებს. და ეს, – თითქმის პატარა ტანის ადამიანი, ვეფხვივით ტრიალებდა, ხელდებოდა, იშლებოდა მისი უწესრიგოდ დაყრილი შევერცხლილი თმები, მისი თვალები ელავდნენ, ნაპერწკლებს ისროდნენ და როგორც თოფის წამალს, ისე აფეთქებდნენ მსახიობის გრძნობებს. ერთს მივარდებოდა – მიზანსცენას უსწორებდა, მეორეს–მოძრაობას, სიტყვები აღარ ჰყოფნიდა, ლაპარაკს ვეღარ ახერხებდა, ან იდგა სარეჟისორო მაგიდასთან სახელოებგადაკეცილი, მოზიდული მშვილდივით, მთელი ტანით წინ, აქტიორისაკენ მიმართული, მარჯვენა ხელით დამუშტული, რომელიც მოძრაობისა და მეტყველების რიტმს უჩვენებდა მსახიობს, ან კიდევ დამკვრელს, მარცხენა ხელით ხშირად თმებს ისწორებდა, ან მაგიდაზე აფათურებდა და პაპიროსს ეძებდა ისე, რომ იქით არც იხედებოდა, ან ნერვიულად სრესდა და ამტვრევდა ნახევრად დამწვარ პაპიროსს. ყვიროდა, ჯავრობდა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ შეხედავდით და, თუ კმაყოფილი იყო რეპეტიციით, მაშინ მისი თვალები არაჩვეულებრივი სითბოთი და სიამაყით მისჩერებოდნენ აქტიორებს.

...ხშირად თვითონაც ისე იტაცებდა აქტიორის თამაში, რომ მასთან ერთად განიცდიდა. ვერიკო ანჯაფარიძემ გაიხსენა: „ერთხელ, როდესაც კითხულობდი „ჰამლეტიდან“ „ყოფნა არყოფნას“, კოტემ ხელი მომკიდა და მითხრა: მოდი აქ, დადექ ჩემთან და უყურე. მას მთელი მონოლოგის განმავლობაში ეკავა ჩემი ხელი და მე არასოდეს არ დამავიწყდება მისი სველი, მღელვარებისაგან გაციებული ხელები“. ასე იწვოდა და განიცდიდა ხშირად აქტიორთან ერთად ეს იშვიათი ხელოვანი. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ის იყო განცდის უნარით დაჯილდოებული რეჟისორი“... **(37, გვ.167)**.

საქართველოში 10 წლის მანძილზე მარჯანიშვილი თეატრალური ხელოვნების ნამდვილი ხელმძღვანელი და ტონის მიმცემი იყო. იგი იყო უანგარო ადამიანი, მართალი გულის პატრონი და ჭეშმარიტი არტისტული ბუნებით დაჯილდოებული ხელოვანი. „...ადამიანი ფიცხი და თავმოყვარე, მაგრამ მხატვრული შეფასების დროს სამართლიანი და არა მიკერძოებით მოქმედი. ერთი სურვილი ამოძრავებდა მას: თეატრის უანგარო სიყვარული. ეს სიყვარული ფლობდა მის გონებასა და გრძნობას, წარმართავდა მის ცხოვრებას. მას გააჩნდა უნარი, თეატრისადმი ეს დიდი სიყვარული შთაენერგა სხვების გულში. შემოქმედებითი ცეცხლით აენთო თავისი თანამოაზრენი, გაემსჭვალა „ისინი საერთო აზრითა და გრძნობით და შეეკრა ერთის ნებით გაერთიანებულ კოლექტივად“... **(14, გვ.65)**.

რა იყო არსებითი ქართული თეატრის იმ წარმატებაში, რომელიც მარჯანიშვილის დაბრუნებას უკავშირდებოდა?!...

უწინარეს ყოვლისა, ამაღლდა დადგმის საერთო კულტურა. – შეიქმნა საქართველოში თეატრალური წარმოდგენის მანამდე უცნობი ორგანიზაციის სრულყოფილი ფორმა, განისაზღვრა რეპერტუარის იდეური მიმართულება, დაიწყო ბრძოლა რეპერტუარის ხარისხისათვის, რეჟისურისა და მსახიობთა ანსამბლის ოსტატობის განმტკიცებისა და თეატრის, როგორც თანამოაზრეთა კოლექტივის, მაღალი ეთიკური პრინციპების დანერგვისათვის.

იმ პერიოდში ტრაგიკული იყო ქართული თეატრის ხვედრი.

თეატრი ფაქტიურად არ არსებობდა. უკიდურესად მძიმე იყო თეატრისა და მსახიობთა მატერიალური მდგომარეობა. სიღატაკეში დალია სული ქართული სცენის უდიდესმა შემოქმედმა ლადო ალექსი-მესხიშვილმა. ასეთივე იყო ხანდაზმულთა და ახალგაზრდა მსახიობთა ბედიც. მოკლედ ქართულმა თეატრმა „სული განუტევა“... თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობის მიუხედავად, მოწინავე თეატრალური ძალები მტკიცედ იცავდნენ მშობლიური თეატრის ინტერესებს. ამ მიზნით, 1918 წელს, შეიქმნა თეატრალური სტუდია გიორგი ჯაბადარის ხელმძღვანელობით, რომელიც ახალგაზრდა თეატრალური კადრების სამჭედლო უნდა

გამხდარიყო და მას თეატრის აღორძინების მისია უნდა ეტვირთა.

შეიქმნა დრამატული დასებიც, მაგრამ ერთიან იდეურ და შემოქმედებით პრინციპებს, მატერიალურ სახსრებს მოკლებულმა დასებმა გადამწყვეტი როლი ვერ შეასრულა ქართული თეატრის პრესტიჟის ამაღლებაში. ვერც ქართველმა რეჟისორებმა ვ. შალიკაშვილმა, ალ. წუწუნავამ, მ. ქორელმა, კ. ანდრონიკაშვილმა და აკ. ფაღავამ ვერ მოახერხეს თეატრის პროფესიული დონის ამაღლება, მისი რეალისტური პრინციპების დანერგვა.

ამ დროს დაბრუნდა კ. მარჯანიშვილი საქართველოში. მან თბილისში ჩამოსვლისთანავე მიიღო დავალება. 1922 წლის 28 სექტემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში განაწილდა როლები სპექტაკლ „ფუენტე ოვეხუნაზე“ და მარჯანიშვილიც პირველად შეხვდა თეატრის შემოქმედებით კოლექტივს.

რუსთაველის სახელობის თეატრში მუშაობის პარალელურად მან შემოქმედებითი საქმიანობა დაიწყო თბილისის რუსული დრამის თეატრშიც, რომელსაც მაშინ ახალი თეატრი ერქვა. აქ პირველი დადგმისათვის მან ჯერ უაილდის „სალომეა“ შეარჩია. შემდეგ დადგა „ყვითელი კოფთა“ და პანტომიმა „მიმზიდველი სინათლე“..

ლოპე დე ვეგას პიესა „ფუენტე ოვეხუნა“ მარჯანიშვილის მარადიული გატაცების საგანი იყო. მას ეს სპექტაკლი კიევში უკვე დადგმული ჰქონდა, მაგრამ თბილისში მან ხელახლა შექმნა თავისი ქართული სპექტაკლი, რომელიც მისი პირველი ნამუშევარი იყო სამშობლოში. სპექტაკლმა განამტკიცა ის შემოქმედებითი პრინციპები,რისკენაც მიისწრაფვოდა მარჯანიშვილი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, – იდეების მაღალი მოქალაქეობრიობა, ეპოქასთან თეატრის კავშირი, მგზნებარე საზეიმო განწყობილება და თეატრის ყველა კომპონენტის მტკიცე ანსამბლურობა.

„ფუენტე ოვეხუნაში“ მსახიობები სრულიად ახალი სახით მოგვევლინენ. ამასთან არა მარტო „მოხუცები“, არამედ ახალგაზრდობაც. მათ შორის პირველი იყო თამარ ჭავჭავაძე – ლაურენსია. დანარჩენ როლებზე განაწილებული იყვნენ: ა. ვასაძე, უ. ჩხეიძე, ე. დონაური. ვ. ჯიქია, დ. მჟავია, ალ. ქიქოძე, დ. ჩხეიძე, ა. იმედაშვილი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე და სხვები...

ლოპე დე ვეგას ტრაგედიის შემდეგ რუსთაველის თეატრში მარჯანიშვილმა ზ. ანტონოვის კომედია დადგა. ორივე პიესა ჟანრობრივად და თემატურადაც პოლარული იყო – და სწორედ ასეთ მკვეთრ ნახტომში ჩანდა მარჯანიშვილის მთელი ბუნება. ზ. ანტონოვის პიესით – „მზის დაბნელება საქართველოში“ –მარჯანიშვილის გატაცება გამოწვეული იყო მხოლოდ ერთი იდეით – სცენაზე ეროვნული კოლორიტის აღდგენის იდეით. იგი იყო სინთეზური სპექტაკლი: ცხოვრებისეული მრავალფეროვნება და ეროვნული კოლორიტი, სოციალური იდეები და მძაფრი თეატრალური სახიერება, უხვი და ჭეშმარიტად უნაპირო რეჟისორული ფანტაზია...

სპექტაკლში მონაწილეობა მიიღო ა. იუჟინმა. ქართულ თეატრზე მან მოსკოვში დაბრუნებისას განაცხადა: „ქართულმა თეატრმა გიგანტური ნაბიჯი გადადგა.

მას არ გაუწყვეტია კავშირი მშობლიურ ცხოვრებასთან, ბუნებასთან, ხალხის სულთან და შედარებით მოკლე ვადაში შეძლო თავისი ჰორიზონტის გაფართოება“...

მაშინ აღფრთოვანებულმა სუმბათაშვილ-იუჟინმა ჰკითხა მარჯანიშვილს:

„ქართული თეატრის ასეთ მეტამორფოზას როგორ მიაღწიე?

–ახალგაზრდობის წყალობით, –მიუგო მარჯანიშვილმა, და მომავალშიც მათი იმედი მაქვს.

–კეთილი, მაგრამ კორიფეები?

–კორიფეები,თუ კორიფეობა უნდათ, უნდა გაახალგაზრდავდნენ.

გეგონებოდათ, ეს ორი კაცი კორიფეები კი არა, ოც-ოცი წლის ჭაბუკები არიანო, როგორც ჩანს, მარჯანიშვილს სურს მტკიცედ იმოქმედოს და არავის არ ერიდება“, –აღნიშნავდა ამ შეხვედრის თვითმხილველი თამარ ვახვახიშვილი.

რუსთაველის სახელობის თეატრში მარჯანიშვილი ოთხ წელიწადს მოღვაწეობდა, სადაც 1923-1924 წლებში დადგა სპექტაკლები: შ. ვან-ლერბერგის „ცისფერი ობობა“, შელდონის „რომანი“, გ. ერისთავის „გაყრა“, მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“, შექსპირის „ვინძორელი ცელქი ქალები“.

„...ქართულ თეატრში სასწაულებს ახდენს მარჯანიშვილი. ჩვენს დრამაში სიარული

ეხლა მაღალი კულტურული სიამოვნებაა.

მე ვიცი, როგორ უნდა განიცდიდეთ თქვენ აქაურ კულტურულ ატმოსფეროსაგან მოწყვეტას და გული მწყდება...

...ჯაბადარის დადგმები კარგი იყო, მაგრამ მასთან შედარებითაც კი მარჯანიშვილი გრანდიოზულია. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გარდაქმნა ჩვენი მსახიობები. აღმოაჩინა ახალი ტალანტები – თამარ ჭავჭავაძე, ვასაძე, ხორავა და მრავალი სხვა. დაარსდა დრამატიული სახელმწიფო ინსტიტუტი, სადაც, ამბობენ, ბევრი ნიჭი იწვრთნება, და სხვათა შორის, თქვენი კუზენიც –დევი აბაშიძე, რომლის შესახებ მითხრეს, ამომავალი ვარსკვლავიაო ჩვენი სცენის, თუმცა ვერ გეტყვით, რომელი სიდიდის. სდგამს მარჯანიშვილი უმთავრესად ნათარგმნ პიესებს, განსაკუთრებით ისპანურს (ისპანეთის ნათესაობას ხომ ძველი ქართველებიც გრძნობდნენ).

ჩვენი თეატრის ტრადიციულ დღეს 2 იანვარს დადგა მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“ –მშვენიერი დეკორაციები, საუცხოო კოსტუმები, ჭეშმარიტად არტისტული თამაში“, –წერდა სიმონ ჯანაშია 1923 წელს ბერლინში ემიგრაციაში მყოფ ქართული კულტურის დიდ ქომაგს გრიგოლ დიასამიძეს.

კომიკურ სტიქიაში მარჯანიშვილი თავს თავისუფლად და ძალდაუტანებლად გრძნობდა. როგორც ყოველთვის იგი იყენებდა მუსიკასა და სინათლეს, კოსტუმთა ნაირ-ნაირ ფერებს, სიმღერასა და ცეკვას, ყოველნაირ ხუმრობასა და ოინებს.

კ. მარჯანიშვილს მთელი არსებით უყვარდა სიცილი, როგორც სიხალისის, ჯანსაღი სიცოცხლის, მომავლისადმი რწმენის, საბრძოლო განწყობილების გამოვლინება. მარჯანიშვილის სიცილი დაუზოგავად ამათრახებდა ყველაფერს, რაც ამახინჯებდა ადამიანის სულს.

კლასიკურ დრამატურგიაზე მუშაობა მარჯანიშვილმა რუსთაველის სახელობის თეატრში „ჰამლეტით“ დაამთავრა, რომელშიც ეპოქის ბედზე თავისი მღელვარე ფაქტები გამოხატა.

შექსპირის „ჰამლეტი“ მოულოდნელად არ შემოჭრილა მარჯანიშვილის ცხოვრებაში. ყრმობის ჟამს დანიის პრინცის როლში, ლადო მესხიშვილი იხილა და მის მეხსიერებაში სიმართლის გამარჯვებისათვის მგზნებარე მეამბოხის სახე სამარადისოდ აღიბეჭდა. მან „ჰამლეტის“ როლზე უშანგი ჩხეიძე დაამტკიცა. მარჯანიშვილს უყვარდა მსახიობში თითქოს ერთხელ და სამუდამოდ „გამჯდარის“ ჩამოყალიბებულ-დამკვიდრებულის „დამსხვრევა“. იგი დაჯილდოებული იყო მსახიობთა „აღმოჩენის“ არაჩვეულებრივი თვისებებით, სხვათათვის უხილავის შემჩნევის უნარით. ჩხეიძეში ჰამლეტის როლის შემსრულებლის „აღმოჩენა“ ჭეშმარიტი საოცრება იყო.

ჰამლეტი – ჩხეიძე ეს იყო ძლიერი, მებრძოლი ადამიანის ტრაგედია, ადამიანისა, რომელიც გარე სამყაროს წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. იგი შურისმაძიებელი იყო, მაგრამ შურს იძიებდა სიკეთისათვის ბრძოლის იდეის გასამარჯვებლად. გათელილი სამართლიანობის აღსადგენად.

„ჰამლეტის“ პრემიერა გაიმართა 1925 წლის 12 ნოემბერს. მარჯანიშვილს აღარ სურდა შექსპირთან განშორება. „ახლა შევუდექი „მეფე ლირს“,რომელიც მზად უნდა იყოს იანვრის ბოლოს, შემდეგ კი ღვთის მადლით, რიჩარდ III“-საც დავდგამ“ – წერდა ის მეუღლეს. მან ვერცერთი ჩანაფიქრი ვერ განახორციელა...

მარჯანიშვილმა ტიტანური შრომა გასწია რუსთაველის თეატრში, სადაც ბოლო დროს დადგა სპექტაკლები: „დეზერტირკა“, პანტომიმა „მზეთამზე“, „კაცი-მასა“ და სხვა.

რუსთაველის სახელობის თეატრში მოღვაწეობით კოტე მარჯანიშვილმა, როგორც დიდმა ხელოვანმა უკვე ჩაწერა ძვირფასი ფურცელი ჩვენი თეატრის ისტორიაში, მაგრამ...

„მარჯანიშვილის მოსვლა ქართულ თეატრში ყველას როდი ახარებდა, და ეს ბუნებრივი იყო, რადგან მარჯანიშვილის სახელმა ყველაფერი დაჩრდილა. არც ერთ რეჟისორზე აღარ ლაპარაკობდნენ მარჯანიშვილის გარდა. რაც შეეხება მსახიობებს, მარჯანიშვილმა სრულიად ახალი ხალხი გამოიყვანა და დააყენა პირველ პლანზე და, ცხადია, ეს მდგომარეობის მქონე ძველ აქტიორებს არ სიამოვნებდათ. თვით მარჯანიშვილის მუშაობის მეთოდიც არ მოსწონდა ზოგიერთ აქტიორს. მათ აჯავრებდათ ის ცეკვები, სიმღერები, რომელიც არცთუ მაინცდამაინც ეხერხებოდათ. მათ არ მოსწონდათ ისეთი სპექტაკლიც, რომელშიც თანაბარი სიძლიერით იყო მოცემული როგორც დიდი, ისე პატარა როლის შემსრულებელი. ის ძველი აქტიორები,

რომელნიც ქმნიდნენ თეატრის პოლიტიკას, ხედავდნენ, რომ მარჯანიშვილის მოსვლით მდგომარეობა ძირფესვიანად იცვლებოდა თეატრში და ისინიც თავის გავლენას სრულიად კარგავდნენ. რასაკვირველია, ყოველივე ეს იწვევდა მათში ერთგვარ წინააღმდეგობას მარჯანიშვილისადმი, მაგრამ ეს პროტესტი იყო ჩუმი, უმნიშვნელო და გამოუმჟღავნებელი...

მე მგონია, თუკი გულწრფელად აღიარებენ, ბევრ მაშინდელ თეატრის მომუშავეს არ ესმოდა ყოველივე ის, რაც თეატრში ხდებოდა. მე შემდგომში, მარჯანიშვილთან მუშაობის დროს, ბევრჯერ შემიმჩნევია, როდესაც რაიმეს აკეთებდა, მისი მუშაობა ბევრისათვის რჩებოდა სრულიად გაუგებარ და მიუწვდომელ საიდუმლოებად"... **(37, გვ.219)**.

...მარჯანიშვილი „ის კაცი იყო, ვით შეშვენის კაცსა კაცობა", ბობოქარი, დაუდეგარი, ახლის ძიებით გატაცებული, არც თვით ისვენებდა და ღამესაც ძილს უფრთხობდა, ნაშუადამევის წყდიადსაც ახლის შთანაფიქრით ანათებდა.

„...ის ყველგან იყო, ყველაფერზე ზრუნავდა და ყოველივეს ასწრებდა. დრო მას მიჰყვებოდა, ემორჩილებოდა... საოცრად გულისხმიერი, თავისი თანამშრომლების და მეგობრების საქმეთა მოსაგვარებლად ბევრ დროს ხარჯავდა, ვიდრე სიკეთით წამოწყებულ საქმეს გზას არ გაუკვალავდა.

მას გული ერჩოდა, ბევრი რამ ჰყვარებოდა. მისი გული და გონება ჭეშმარიტად ბევრის დამტევი იყო, მაგრამ თეატრისადმი მის სიყვარულს არაფერი შეედრებოდა, ყოველივე თეატრისათვის ემეტებოდა"... **(37, გვ.221)**.

რუსთაველის სახელობის თეატრში სულიერების დამკვიდრებისათვის იბრძოდა კოტე მარჯანიშვილი.

„...მე არ ვამბობ, რომ ხელოვანი არ ცდება, მაგრამ ხელოვნებაში ყველაზე საშინელი და საძაგელი შეცდომა სიმართლის დამახინჯებაა. ეს ყოვლად დაუშვებელია... და ისევე როგორც უნამუსობის ლაქას, მას ვერაფრით ვერ წაშლი, ვერც ჭკუით, ვერც ნიჭით, ვერც ვაუკაცობით... ხელოვნებაში ყველაფერი ადვილიცაა და ძნელიც. ადვილია, როცა არ სტყუი, და ძნელია, როცა „თამაშობ" ცრუობ", –ამბობდა კოტე მარჯანიშვილი.

ასეთი იყო თეატრის უდიდესი რეფორმატორის კრედო.

სულიერებისადმი გულგრილი დამოკიდებულება დიდი დანაშაულია. რეფორმის მოწინააღმდეგეებს რუსთაველის სახელობის თეატრში რეჟისორ სანდრო ახმეტელის ინიციატივით შექმნილი კორპორაცია „დურუჯის" გამოხტომებიც დაემატა. რუსთაველის თეატრში „დურუჯი" შეიქმნა, როგორც აქტიორის აღმზრდელობითი ორგანო. ამან თეატრის ცხოვრებაში არასასურველი ნიუანსი შეიტანა. კორპორაცია ზედმეტად სარგებლობდა თავისი უფლებებით და მარჯანიშვილის საქმიანობას კონტროლს უწევდა. საეჭვოდ ხდიდა მის ყოველ გადაწყვეტილებას.

კოტე მარჯანიშვილი მიჩვეული იყო სრულუფლებიანობას, ვერ იტანდა ვერავითარ კონტროლს. ცეცხლოვანი, მოუსვენარი, ფიცხი მარჯანიშვილი ვერაფრით ვერ შეეგუა თეატრის დუნე მოქმედებას, ნელ ტემპებს, თეატრი საჭიროებდა გარდაქმნებს, რეფორმებს, ამიტომ გადაწყვიტა პირდაპირ ემოქმედა.

კორპორაცია მარჯანიშვილს არაფერს არ უთმობდა და ამით საბრძოლველად იწვევდა.

და ბრძოლაც დაიწყო. „დურუჯის" მისწრაფება ძალაუფლებისაკენ ეწინააღმდეგებოდა იმ ეთიკურ ნორმებს კოლექტივში, რომელთა დანერგვასაც ესწრაფვოდა მარჯანიშვილი. იგი ბრძოლას უცხადებდა ყოფითობას, უხამსობას. მარჯანიშვილი გრძნობდა, რომ თეატრს სჭირდებოდა „გამოფხიზლება". არსებობს კაცის კვლა და არსებობს სულიერების კვლა, რომელშიც არაფერი განსხვავებაა. სულმოკლე ადამიანებმა კოტე მარჯანიშვილს პროვოკაცია მოუწყვეს.

„...კულტურული ადამიანი იმით განირჩევა უვიცისაგან, რომ ის თვითონ განსჯის და ასწონ-დასწონის თავის დამოკიდებულებას მის ირგვლივ არსებულ მოვლენებთან და არ აჰყვება ბრმად მყვირალა ხულიგნებს, –გულისტკივილით აღნიშნავდა კოტე მარჯანიშვილი.

„და მე მრცხვენია, გული საშინლად მტკივა.

ჭეშმარიტად სიბეცეა, მასობრივი ფსიქოზი: ხალხი არ გამოფხიზლდა მაშინაც კი, როდესაც სცენაზე გამოყვანილ მოხუცთ თვით კორპორატორებმა გაუმართეს ოვაცია.

მე ვფიქრობ, ახლა, ვისაც სინდისი წმინდა აქვს, გულწრფელად შეეკითხოს თავის თავს, თუ როგორ მოხდა, რომ ორმა-სამმა უნიჭო მსახიობმა დ ორმა-სამმა უნიჭო მწერალმა შეცდომაში

შეიყვანა და აიყოლია ისინი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ოდესმე გამოფხიზლდება საზოგადოება,ჭეშმარიტება გაიკაფავს თავის გზას,პრინციპული გახდება მსჯელობის საგანი, მაგრამ ფაქტი კი მაინც დარჩება ფაქტად. ჭრილობა, რომელიც მიიღო ჩემმა გულმა ჩემს სამშობლოში, არასდროს არ განიკურნება. მაგრამ რას იზამ, „საზოგადოება“ თავის მასობრივ მისწრაფებაში ხშირად ბრმაა...

ეს, რასაკვირველია, იმას კი არ ნიშნავს, რომ მე ვიბან ხელს და განზე ვდგები. არა! რაკი ახალგაზრდობა გამოვიდა პრინციპული ბრძოლის ასპარეზზე,რაკი ის იბრძვის თავისი იდეალებისათვის – მე ვიქნები მასთან, თუნდაც ზოგიერთების აზრით, ისინი იყვნენ „უნიჭონი“ და „უვიცნი“. მე უკეთ ვიცნობ მათ, მე უფრო ახლო ვდგავარ მათთან, ჩემთვის კარგად არის ცნობილი მათი განზრახვანი და მისწრაფებანი და მათი არტისტული ღირებულებების შესახებ დრო თავისას იტყვის. ერთი მაინც არის უცნაური: რატომ და რა მოსაზრებით, საზოგადოების უმრავლესობის მიერ გუშინ კიდევ ნიჭიერად ცნობილნი: თამარ ჭავჭავაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, საშა ახმეტელი და სხვანი, დღეს მონათლულნი არიან უნიჭოებად და უვარგისებად სცენისათვის. აშკარაა – სიბრაზეს დაუბრმავებია ისინი, ვინც ასე ლაპარაკობს ახლა! მეუბნებიან, რომ მათ არა აქვთ დამსახურება, მაინცდამაინც დიდი რა გაუკეთებიათო! არც ეს არის მართალი – მოიგონეთ, როგორი იყო უკანასკნელ ხანებში ქართული თეატრი, როდესაც ოფიციალურ კრებებზე ისმებოდა საკითხი და ამბობდნენ სიტყვებს თეატრის დახურვის შესახებ... და როგორ გაიზარდა ის ერთ წელში. შეიძლება არ ამბობენ, რომ ეს მიღწევანი მათ კი არ ეკუთვნის, არამედ მე. ამაზე გიპასუხებთ: რომ არ მყოლოდა ეს ახალგაზრდობა, რომელსაც აღშფოთების გავლენის ქვეშ ბევრნი დაუმსახურებლად უწოდებენ უნიჭოებს, არამც თუ მე, არამედ გენიალური შემოქმედი თეატრისა ვერაფერს გააწყობდა.

თუმცა ბრძოლა დაწყებულია. მეც სიამოვნებით ვიღებ მას, მოგვეცით ჩვენც ახალგაზრდობასთან ერთად მუშაობის თანაბარი პირობები და ჩვენს პრინციპულ მოწინააღმდეგეთა შედეგების შედარების დროს თქვენ დარწმუნდებით, სად იქნება რეგრესი, მიუხედავად ყოველ-გვარი პატრიოტული გამოძახილებისა და სად გაიზრდება, გაიშლება ნამდვილი ყვავილი, ღირსი ჩვენი ძველი და მდიდარი კულტურისა.

კეთილი ინებეთ და სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ!

რასაკვირველია ეს წერილი ეკუთვნით მხოლოდ იმათ, ვინც მიუხედავად მსჯელობის სიმკაცრისა ახალგაზრდობის მიმართ, ჩემდამი მომართვაში გამოთქვა გულწრფელი სურვილი სიმართლის გაგებისა. მე, გაძლევთ სიმართლეს შიშველს და გაუფერადებელს. დაე, გაერკვიონ მასში და თუ ამის შემდეგ იტყვიან, რომ დამნაშავეა ახალგაზრდობა, დამნაშავე ვარ მეც.

გული ჩემი დაიღალა, მაგრამ ის მუდამ თანამგრძნობი იქნება ახალგაზრდობის წმინდა, ფაქიზ და მშვენიერ მისწრაფებათა“, – წერდა კოტე მარჯანიშვილი.

ქართველთა ბუნებაში ჩადებულმა ვერაგობამ, ღალატმა, შურმა, მზაკვრობამ, იმ ნაცარქექიებმა, რომელთაც სარდლობა სურდათ მიზანს მიაღწიეს. „დურუჯელები“ უხეშად, უტაქტოდ მოექცა იმ ადამიანს, რომელიც მათ სულ ახლახან მფარველობდა.

მარჯანიშვილი ძმათა გაუტანლობის მსხვერპლი გახდა, რაც მუდამ ყველა დიდი ადამიანის ხვედრი იყო. 1926 წლის 4 ივლისს რეჟისორმა თეატრი დატოვა...

კორპორაციის წევრები წერილობით მოითხოვდნენ მის უკან დაბრუნებასა და თეატრის ხელმძღვანელს, ბოდიშს უხდიდნენ, სიყვარულს და ერთგულებას ეფიცებოდნენ, მაგრამ კოტე მარჯანიშვილმა ურყევი ნებისყოფა გამოიჩინა...

ეს იყო მარჯანიშვილის მტრების განწირული ცდა...

მაინც რით იყო კოტე მარჯანიშვილის ღვაწლი და ამაგი ასე ძვირფასი? რატომ დარჩა იგი სამარადჟამოდ ქართული თეატრის ისტორიაში?

კოტე მარჯანიშვილის მიზანი იყო, რომ თეატრი ადამიანის სულით ამაღლებას მომსახურებოდა. ახლისაკენ სწრაფვა, წინააღმდეგობათა გადალახვა, შემართებული ბრძოლა იყო მისი სტიქია.

„...მარჯანიშვილი მთელი თავისი სიცოცხლე ოცნებობდა უსაზღვროდ ფრთაგაშლილ, ყოვლისმომცველ თეატრზე –საკრებულო თეატრზე, რომელიც დაიტევდა მსოფლიო თეატრალურ შემართებასა და მაღალ ნიჭიერებას. მას ერთ თეატრში სურდა გააერთიანებინა მეცნიერება და ხელოვნება, ლიტერატურული დრამა და იმპროვიზაცია.

კოტე მარჯანიშვილი მთელი თავისი ბრწყინვალე ნიჭით, რეჟისორული გამომგონებლობითა და ხანგრძლივი გამოცდილებით ემსახურებოდა ცხოვრებისეული სიმართლის ხელოვნებას. ათეული წლების ძიების შედეგად მან უარყო ნატურალისტური სიმართლე და აღიარა ნამდვილად მხატვრული, განზოგადებული სიმართლე. თავის ხელოვნებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, საზოგადოებრივი მხატვრული თვალსაზრისით, ფაქტების შერჩევასა და განზოგადებას, მხატვრულ გამოგონებად დიდი სიმართლის გამოჩენას, რაც მკაფიოდ არ ჩანს ცხოვრების ყოველდღიურობაში“... **(14, გვ. 457).**

მხატვრულ სიმართლეს სცენაზე კ. მარჯანიშვილი გარკვეული მიზანდასახულობით ქმნიდა: „ხელოვნებას დაუდგა დრო, როდესაც იგი ისეთივე დიადი უნდა იყოს, როგორიცაა ჩვენი თანამედროვეობა“, – ხაზს უსვამდა კოტე მარჯანიშვილი.

მან შექმნა ხალხის სიახლითა და სიხარულით აელვარებული, დაბრკოლებათა გადამლახველი, ნებისყოფით აღბეჭდილი, სიძნელეთა დაძლევის რწმენით აღსავსე სპექტაკლი – დღესასწაული. მარჯანიშვილს ჩინებულად ესმოდა, რომ „მსოფლიო სევდის“ ფილოსოფია ჩვენი ფილოსოფია არ არის“. მისი შთაგონების წყარო იყო თავისუფლების მოყვარული რეალისტური რომანტიზმი.

მარჯანიშვილის საუკეთესო სპექტაკლები აღსავსე იყო დიდი ზემოქმედების ძალებით, მსახიობთა განცდის სიმართლე – აი, რა აძლევდა ძალას მის სპექტაკლს.

მარჯანიშვილი ყველაზე მეტად მართალი განცდის მსახიობს აფასებდა. იგი ყოველთვის ცდილობდა აღეზარდა ისეთი მსახიობი, რომელიც განცდის სიმართლეს შესაფერ გარეგნულ გამომსახველობას მოუძებნიდა.

კ. მარჯანიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა პარტნიორთა ურთიერთობას სცენაზე. მისი მიზანი იყო განცდის თეატრის შექმნა, ამიტომ იმედებს ახალგაზრდებზე ამყარებდა: „სრულიად ბუნებრივია, რომ ვარჩევდი მუშაობას ახალგაზრდობასთან, რომელნიც ჩემ თვალწინ შლიდნენ თეატრში თავიანთ გრძნობებს, ამჟღავნებდნენ თავიანთი ფაქიზი სულის მღელვარებას“, –წერდა კოტე მარჯანიშვილი.

კოტე მარჯანიშვილი თეატრს სინთეზურ ხელოვნებად თვლიდა. სპექტაკლში მან გააერთიანა დრამატურგის, რეჟისორის, მხატვრის, კომპოზიტორის, ქორეოგრაფის შემოქმედებითი ძალღონე. გამოიყენა რადიო და კინოც.

ამის შესაბამისად მოითხოვდა აქტიორის აღზრდასაც. მსახიობის ტანიც ისევე უნდა ყოფილიყო დაყენებული, როგორც მისი ხმა, რომ განცდის სიმართლე მკვეთრად, ნათლად და ლამაზად გამოხატულიყო.

კ. მარჯანიშვილმა მსახიობები რეალურად სინთეზური თეატრისათვის მოამზადა. მისი გაგებით, რადგან მეცნიერება იყენებდა სინთეზურ მეთოდს, ამიტომ ხელოვნებაც მოწადინებული უნდა ყოფილიყო ადამიანის სულიერი ცხოვრება აესახა არა დანაწევრებულად, არამედ სრულ მთლიანობაში.

კ. მარჯანიშვილი მიისწრაფვოდა ისეთი თეატრის ჩამოყალიბებაზე, სადაც შემოქმედება იქნებოდა მაღალი, სადაც სინდისიერება და ზნეობა იქნებოდა გამეფებული, სადაც ერთნაირი მრწამსისა და მისწრაფებების ადამიანები შეიკრიბებოდნენ, სადაც თეატრი იქნებოდა თაყვანსაცემი.

მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეების მიერ მიყენებულმა ტრამვამ ვერ მოტეხეს მარჯანიშვილი, ვერ ჩაკლეს მასში შემოქმედების წყურვილი. იგი კინემატოგრაფიაში გადავიდა. მარჯანიშვილის წასვლის შემდეგ დასში დაბნეულობა გამეფდა. დაბნეულობა გამოიწვია, ერთი მხრივ, მსახიობთა მნიშვნელოვანი ნაწილის მუშაობით უკმაყოფილებამ და, მეორე მხრივ, მასწავლებლის თეატრიდან წასვლით წარმოქმნილმა გულისტკივილმა. მარჯანიშვილის ერთგულმა მოწაფეებმა განცხადებით მიმართეს ზემდგომ ორგანოებს:

„...ჩვენ მივდივართ, რადგან ვერ აგვიტანია, ვერ შევრიგებივართ იმ გარემოებას, რომ მარჯანიშვილი, ეს თეატრის უდიდესი ხელოვანი... თბილისში იყოს, ჩვენს თეატრს გვერდს უვლიდეს და არ ჰქონდეს საშუალება თავისი ცოდნა-გამოცდილება მოახმაროს ქართულ თეატრს“...

საზოგადოება, ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა მარჯანიშვილის მხარეზე იყო, მოითხოვდა მის დაბრუნებას თეატრში. უმარჯანიშვილოდ დიდძალი მაყურებელი დააკლდა თეატრს. შემცირდა შემოსავალი. საჭირო იყო უდიდესი ნებისყოფა, ენერგია და თეატრის

უსაზღვრო სიყვარული, რომ შექმნილ ვითარებაში კ. მარჯანიშვილს დაეძლია ყოველგვარი პირადი წყენა, გულისტკივილი, ყოველგვარი დაბრკოლება და ახალი შემოქმედებითი წარმატებებისათვის ებრძოლა.

მარჯანიშვილისა და საზოგადოების სურვილით ქუთაისში შეიქმნა მეორე სახელმწიფო თეატრი.

ქუთათურების ნატვრა – „როგორც რუსთაველის თეატრს, ქუთაისსაც სჭირდება თავისი მარჯანიშვილიო“ – შესრულდა. თეატრს „თავისი, მარჯანიშვილის მაგივრად თვით ნამდვილი მარჯანიშვილი“ მოევლინა.

მარჯანიშვილი რისი მარჯანიშვილი იქნებოდა, რომ აქტიორული ხელოვნების ჯადოქრობა არ ეჩვენებია. თითქოს უმარჯანიშვილოდ გაჩერებული დრო ელვის სისწრაფით თვით მარჯანიშვილმა აამუშავა.

კოტე მარჯანიშვილმა ქუთაისში შექმნა ახალი თეატრი. შექმნა იგი ქართველ საზოგადოებრიობასთან თანამეგობრობით. მჭიდროდ შემოიკრა ქართველი მწერლები, დრამატურგები, პროზაიკოსები, პოეტები, კრიტიკოსები, მთარგმნელები. მუშაობაში მათ ეყრდნობოდა. მარჯანიშვილი ქუთაისში თავის თანამებრძოლებთან ერთად ჩამოვიდა. მათ შორის იყვნენ მსახიობები: უშ. ჩხეიძე, თ. ჭავჭავაძე, ვ. ანჯაფარიძე, ე. დონაური, ც. წუწუნავა, შ. ღამბაშიძე, ა. ჟორჟოლიანი, ხ. ჭიჭინაძე, ს. ზაქარიაძე, ა. კვანტალიანი, ა. კობახიძე. ამ კოლექტივს შეემატა ქუთაისის თეატრის ძველი მსახიობებიც: ა. იმედაშვილი, ი.ზარდალიშვილი, შ. ხონელი, ა. მურუსიძე და ა. მაჭავარიანი. ქუთაისში ჩამოსვლისთანავე მარჯანიშვილმა დასს მიმართა:

„...–იცით, როცა ოჯახი შედუღაბებულია – ქვას გახეთქავს. თეატრი კი იგივე დიდი ოჯახია და საკმარისია ერთმა რომელიმე წევრმა უღალატოს, რომ დაინგრეს. გარდა ამისა თეატრი თავის წევრებისაგან მოითხოვს მარადიულ სიჭაბუკეს, ჯანმრთელობასა და ხალისიანობას... ჩემი ერთადერთი პირობაა დისციპლინა, ერთსულოვნება და ენთუზიაზმი...“

იყო რაღაც სიმბოლური იმაში, რომ მრავალი წლის წინ კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა ამ შესანიშნავ თეატრალურ ტრადიციების ქალაქში, ქუთაისში მარჯანიშვილთა გვარის ბუდეში დაიწყო. აქ მიიღო მან პირველი „ნათლობა“ და ქართული რეალისტური თეატრის კორიფის კოტე მესხის კეთილი ლოცვა-კურთხევა.

ხეტიალის, ძიებისა და შემოქმედების მრავალი წლის მანძილზე – სანთელივით ატარა მარჯანიშვილმა ეს ლოცვა-კურთხევა. და აი, ის კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. წინ კი ფართო გზა ელოდა, ისევ ძიებები, მშფოთვარე შემოქმედება და განუწყვეტელი მოძრაობა.

ოცდაცამეტი წლის შემდეგ ქუთაისში ახალი თეატრი დაარსა ისევ ანდრია მარჯანიშვილის შთამომავალმა. ხელოვნების სამყაროში მარჯანიშვილის პირმშო დაიბადა და დამკვიდრდა ქუთაისში. ამ თეატრს მისი დამაარსებლის კოტე მარჯანიშვილის სახელი მიენიჭა გარდაცვალების შემდეგ.

ახალი თეატრის შექმნას წინ უსწრებდა მარჯანიშვილის ცხოვრების, მისი ბრძოლის მძიმე პერიოდი.

„ახალგაზრდობის დასით 1928 წლის 7 აგვისტოს კოტე მარჯანიშვილი უკვე ქუთაისში იყო.

მისმა სახელმა კიდევ ერთხელ ააჯანყა ქართული თეატრალური აზროვნება. თავისუფლებისაკენ სულმსწრაფი მარჯანიშვილი თეატრალურ ფრონტზე მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად ქუთაისისაკენ გამოისტუმრეს.

„...კოტე მარჯანიშვილს არ ემჩნეოდა არავითარი სულიერი დაცემულობა. მისი სიცოცხლით სავსე თვალებში გამოკრთოდა დაუშრეტელი ენერგია და უტეხი ნებისყოფა.

მე ასეთ ჩიხში, როგორიც ქუთაისია, დიდი ხანია აღარ მიმუშავია, – მაგრამ თუ თქვენ ყოჩაღად იქნებით, ერთგულად იმუშავებთ, გაძლევთ სიტყვას, რომ ყველგან წამოვალ თქვენთან, თუგინდ სოფელშიაც.

საქმის შექმნა შეიძლება ყველგან, ნამდვილი საქმის, დიდი საქმის, ოღონდ, ყმაწვილებო, ერთსულოვნება იყოს!“... **(37, გვ.236).**

დასმა სეზონისათვის მზადება დაიწყო. პირველ სპექტაკლად „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ წარმოადგინა.

თეატრი ხარაზიშვილისეულ ძველ შენობაში დაბინავდა, რომელიც საფუძვლიანად შეკეთდა...

ამ სპექტაკლში მარჯანიშვილმა კინო გამოიყენა. ეპიზოდები კინოფილმისათვის მან გადაიღო ნატურიდან, სპეციალურად შექმნილ სტუდიაში. რეჟისორმა კინო სპექტაკლის ორგანულ ნაწილად გადააქცია და როგორც ყოველთვის ამ ერთიანობას ერთი შტრიხით „უბრალოდ და ლაკონურად, მოქმედებაში სინათლის სხივის შეტანით მიაღწია. „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ – თეატრის უდიდესი გამარჯვება იყო. თეატრმა „ბრძოლა“ მოიგო. გამარჯვებას მიაღწია თავის პირველსავე სპექტაკლში. სიტყვები „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ – სიმბოლურად ჟღერდა ახალი თეატრისათვის. ამ თეატრს, მართლაც და სიცოცხლე ეწერა. მის წინ ფართო გზა გადაიშალა.

1928 წლის 3 ნოემბერს ქუთაისში პრემიერაზე – „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ – დასასწრებად „დილით თბილისის მატარებელმა ორი ვაგონი სტუმრები ჩამოიყვანა: მთავრობის წევრები, მწერლები, თეატრალები, მეგობრები. ქუთაისელები ჯავრობენ, რომ „თავიანთ“ თეატრში ვერ მოხვდნენ. მარჯანიშვილი საყოველთაო ყურადღების, აღტაცების, ცნობისმოყვარეობის ცენტრშია. დილიდან მასპინძლობს სტუმრებს, თეატრში შემორბის, უპასუხებს კითხვებს, თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ეს მისი სტიქიაა, რაც უფრო მეტი აქვს თავსატეხი, მით უკეთ გრძნობს თავს...

„ამ უდიდესი წარმატების ერთადერთი ჯადოქარი მარჯანიშვილია. განა შეიძლება იმის ახსნა, როგორ აკეთებს იგი ყველაფერს? ძარღვებში მას რაღაც განსაკუთრებული ცეცხლი უდუღს, რაღაც განუწყვეტელი წუხილი სიმართლის, სილამაზის, სიხარულისათვის“... **(14, გვ.83)**.

„...ყველაფერი თავის ადგილას იყო ამ სპექტაკლში, ეპიზოდებში და უსიტყვო როლებში მონაწილეობდნენ წამყვანი მსახიობები. ვერიკო ანჯაფარიძე, რაღაც ექსტრავაგანტურ ცეკვას ასრულებდა, უსიტყვოდ. განათებამ ხომ ყველანი განაცვიფრა. როგორი უბრალო ხერხებით, რა დიდ ეფექტს მიაღწია კოტე მარჯანიშვილის გამომგონებლობამ!

... დასრულდა სპექტაკლი. ოვაციებს ბოლო არ უჩანს. ქუთაისის თეატრის პატარა შენობა, ხალხით გაჭედილი, – ჰქუხს და ბობოქრობს. ხალხს დარბაზიდან გასვლა აღარ უნდა. მრავალჯერ გამოიძახეს კოტე მარჯანიშვილი და სპექტაკლის მონაწილენი სცენაზე. ეს ოვაციები და აღტაცება, მერე ქუჩაში გადმოიღვარა. ხალხით სავსე ქუჩა ახალი სიხარულით შეხვდა თავის საყვარელ, საამაყო შვილს კოტე მარჯანიშვილს“... **(3, გვ.501)**.

თავის ახალ თეატრში მარჯანიშვილმა უმთავრესად თანამედროვე დრამატურგიაზე გაამახვილა ყურადღება. იგი შეეცადა ამ კოლექტივში განეხორციელებინა ის, რაც რუსთაველის სახელობის თეატრში ვერ მოასწრო.

მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ქუთაისის თეატრში დაიდგა ოცდაშვიდი პიესა. აქედან ცხრამეტი თანამედროვე ავტორს ეკუთვნოდა. თეატრის პირველი შეხვედრა თანამედროვე თემასთან იყო შ. დადიანის კომედია „კაკალ გულში“, რომლის პრემიერა 1928 წლის 15 დეკემბერს შედგა. თეატრმა კომედიური სპექტაკლები პ. კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერზე“ მუშაობით განაგრძო (1929 წლის 27 მარტი). ამას მოჰყვა კ. კალაძის პიესები „როგორ“ (1929 წლის 8 მარტს) და „ხატიჯე“(1930 წლის 6 მარტი). ქუთაისის თეატრის სცენაზე შესდგა პრემიერა დ. ჩიანელის პიესაზე „ბაილი“ და დ. შენგელაიას „თეორებზე“. ასეთივე ბრწყინვალე წარმოდგენები იყო ბ.შოუს კომედია „წმინდა ქალწული“, ლოპე დე ვეგას დრამა „ცხვრის წყარო“ (განახლებული დრამა), ვ. კირშონის დრამა „ლიანდაგი გუგუნებს“.

კოტე მარჯანიშვილის ნიჭისა და ტალანტის აპოგეა მისი სცენური შედევრი ქუთაისის თეატრში „ურიელ აკოსტა“ გახლდათ.

„გუშინ (1929 წლის 2 თებერვალი) ტრიუმფით ჩაიარა გუცკოვის „ურიელ აკოსტას“ პრემიერამ. მაინც რა სპექტაკლია! უფრო სრულყოფილ დადგმას ვერც კი წარმოიდგენ. როგორ გამოიკვეთა ჩვენი მსახიობების ნიჭი. თვითონ მარჯანიშვილი? „მარჯანიშვილს რომ ვუყურებ, მეშინია. ზოგჯერ მგონია, რომ ეს ადამიანი არაა. მას შეუძლია ხე აამეტყველოს და მკვდარი აამღეროს“, –აღფრთოვანებას ვერ მალავდა პეტრე ოცხელი.

„...და მართლაც, ფასდაუდებელია სპექტაკლ „ურიელ აკოსტას“ მნიშვნელობა, როგორც მარჯანიშვილის შემოქმედებაში, ისევე მთელ ქართულ თეატრის ცხოვრებაში. მარჯანიშვილმა შექმნა სპექტაკლი დემაგოგიისა და უსამართლობის სამყაროსთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული ადამიანის მაღალი პრინციპების გამარჯვებაზე, უკუღმართობასა და

ვაჟკაცობაზე. ეს იყო სიმართლისათვის შეწირულთა ჰიმნი.

1928-1929 წლების სეზონი კოტე მარჯანიშვილმა „საღამოთი დახურა“. დასი თბილისში გაემგზავრა. აუარებელი ხალხი დახვდა თეატრს სადგურზე... გასტროლები თვენახევარს გაგრძელდა. ყველა წარმოდგენაზე ოპერის თეატრის უზარმაზარი დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი და წარმოდგენები დაუსრულებელი ოვაციებით მთავრდებოდა.

უკანასკნელ წარმოდგენაზე ნაჩვენები იყო ცალკეული მოქმედებები საუკეთესო დადგმებიდან. დარბაზში კვლავ ჰქუხდა ოვაციები, შეძახილები: „გაუმარჯოს კოტე მარჯანიშვილს! გაუმარჯოს თეატრს!“... **(3, გვ.302)**.

ხალხი, მოწინავე ინტელიგენცია, მარჯანიშვილის თბილისში დაბრუნებას მის მიერ შექმნილ ახალკოლექტივთან ერთად მოითხოვდა. და როცა საკითხი თითქმის უკვე გადაწყვეტილი ეგონათ, დასმა ოფიციალური უარი მიიღო. მარჯანიშვილსა და მის თეატრს წინადადება მისცეს კვლავ ქუთაისში დაბრუნებულიყვნენ.

ძლიერ მტკივნეულად განიცადა თავს გადამხდარი ამბები კოტე მარჯანიშვილმა. ამჯერადაც არ დაუთმია პოზიციები. მარჯანიშვილმა დასძლია სასოწარკვეთილებას, სულიერი ძალები მოიკრიბა და თავისი თეატრი საგასტროლოდ უკრაინასა და მოსკოვში წაიყვანა. ეს იყო ქართული თეატრის პირველი დიდი მასშტაბის გასვლა რესპუბლიკის გარეთ და იგი წილად ხვდა თეატრალურ კოლექტივს, რომელიც ქუთაისში ჩაისახა.

„...საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრი, მიუხედავად მისი ახალგაზრდობისა, უკვე მომწიფებულ სრულყოფილ სამხატვრო მოვლენას წარმოადგენს, ამ თემაზე შეიძლება ხმამაღლა ლაპარაკი. ეს თეატრია, სადაც ცხოველი შემოქმედებითი აზრი სჩქეფს... ქართული თეატრის შექმნის დროს მარჯანიშვილმა შეაკავშირა ხელოვნების საუკეთესო ძალები და მებრძოლი ახალგაზრდობა. ასეთი წესით შეიქმნა რუსთაველის თეატრი და ასეთივე წესით 1928 წელს დააარსა მან საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრი ქუთაისში... ის, რაც მარჯანიშვილმა და მისმა კოლექტივმა გვიჩვენა, საქართველოს თეატრალური კულტურის დიდ სიმაღლეზე მეტყველებს“, – წერდა გაზეთი „იზვესტია“ 1930 წ. 14 მაისს.

ქუთაისის თეატრის გასტროლებს იმდენად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ქართული თეატრის ისტორიაში, რომ გასტროლების დამთავრების შემდეგ საგანგებოდ გამოიცა წიგნი, რომელშიც მოთავსდა გასტროლების ირგვლივ არსებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი. წიგნი კრიტიკოსმა ბესო ჟღენტმა შეადგინა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თეატრი თბილისში გადმოიყვანეს. ქუთაისი კი დაუბრუნდა ძველ მდგომარეობას. კოტე მარჯანიშვილის დასის ქუთაისიდან წასვლის შემდეგ ქუთაისის თეატრის საქმე გართულდა: „ყველა იმას გაიძახოდა, მარჯანიშვილის სეზონის შემდეგ ვინ გაბედავს თავს იდოს ესოდენ მძიმე საქმეო, და ეს მართალიც იყო, ის ძლიერი და ის მაღალი ხარისხის რეპერტუარი და სპექტაკლები, რომლებიც კოტე მარჯანიშვილის დროს იმართებოდა, ყველას საბაბს აძლევდა ასე ემსჯელათ“, –აღნიშნავდა მსახიობი იუზა ზარდალიშვილი.

ქუთაისის მაყურებელს მარჯანიშვილის წარმოდგენების შემდეგ, უკვე აღარ მოსწონდა ძველებური ყაიდით დადგმული სპექტაკლები.

კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით ქუთაისის თეატრმა ორი სეზონი იარსება...

ის ათი წელი, რომელიც მარჯანიშვილმა საქართველოში გაატარა თავისი ცხოვრების მიწურულს, მისი რეჟისორული მოღვაწეობის ყველაზე მომწიფებული და ნაყოფიერი პერიოდი იყო.

საქართველოში ყოფნის ამ პერიოდში კოტე მარჯანიშვილმა თავის თვისტომთა ხელით არაერთხელ იწვნია დევნა და შევიწროება, ლაფის შესხმა, მაგრამ მარჯანიშვილმა მაინც დაანგრია განწირულობისა და სასოწარკვეთილების მძიმე მომენტები.

„...1930 წელს მოსკოვში მოეწყო საბჭოთა კავშირის ყველა თეატრის დათვალიერება, მოსკოვში დავრწმუნდით, თუ როგორ აღმერთებს მარჯანიშვილს რუსეთის თეატრალური სამყარო.

...30 აპრილს დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა ჩვენი გასტროლები. ქართულმა თეატრმა თექვსმეტი სპექტაკლი უჩვენა... ეს იყო დიდი ტრიუმფი...

1930 წლის 12 მაისს მოსკოვის აკადემიაში გამოსვლისას ა. ლუნაჩარსკიმ აღნიშნა: „მარჯანიშვილის შემოქმედების ახალი ფაზის შეფასებისას ჩვენს არსებაში უნებლიეთ

ურთიერთს ებრძვის ორი გრძნობა – გულწრფელი სურვილი, რომ იგი კვლავ დარჩეს საქართველოში და ხელი შეუწყოს ამ თეატრის შემდგომ განვითარებას...

...მეორე, და არანაკლებ გულწრფელი, თუმცა იქნებ ნაკლებ კანონიერი სურვილი, რომ იგი უკანვე დავიბრუნოთ და მას დავეყრდნოთ, როგორც დიდ ხელოვანს, რომელმაც უკვე ჩაწერა ძვირფასი ფურცელი ჩვენი თეატრის ისტორიაში და, რომელიც სხვა ბრწყინვალე ფურცლების ჩაწერასაც შეძლებს ამ ისტორიაში...

მე ქართველ ამხანაგებს, მთელ ქვეყანას და საქართველოს კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას ვეტყოდი: კარგად გაუფრთხილდით მარჯანიშვილს, მიეცით მას ფართო მუშაობის სრული შესაძლებლობა"... **(14, გვ.43).**

საიმდროოდ გადამთიელის ეს შეფასება ფასდაუდებელი გახლდათ, მაგრამ მაშინაც და ახლაც დიდი ვაჟას თქმისა არ იყოს:

„...თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
შვილის სიკეთე მშობელს შეჰშურდეს,
ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება,
ცრემლები მაღრჩობს, ვედარას ვამბობ;
კარგის დაღუპვა რად გვენატრება
ჩვენი შვილისა, ჩვენივე ძმისა?!
ვედარას ვიტყვი, ვთრთი, მეხათრება.
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,
არ გეკადრება, არ გეკადრება!"

ბოროტებამ, თანამოძმეთა უსამართლობამ, უზნეობამ, დამცირებამ კოტე მარჯანიშვილი რამდენჯერმე სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა, მაგრამ მაღალი პრინციპების გამარჯვების რწმენა არასოდეს დაუკარგავს:

„...ცხოვრებამ დამღალა და დამაბერა. ღვინო, რომ ღვინოა, ისიც კი არ მახალისებს. საწუწუნო კი მაინც არაფერი მჭირს. როგორც ავეტიკა ამბობდა:

„ყველა ხილს თავისი დრო აქვს"... უნდა შევურიგდე", –სინანულით წერდა კოტე მარჯანიშვილი.

წუთისოფლის დრო-ჟამი წუთებს რომ უთვლიდა მარჯანიშვილს, იგი ამას გულის სიღრმეში აშკარად გრძნობდა. ამიტომაც ჩქარობდა, უნდოდა ყველაფერი მოესწრო.

1931-32 წლების სეზონში იგი ხან თბილისშია და ხან მოსკოვში. ხშირად ავადმყოფობს.. გული აწუხებს...

„.... თეატრზე ბევრს ვფიქრობ და გული მტკივა, რომ თქვენ ყველამ გული დაიმშვიდეთ. თქვენ გგონიათ, რომ ყველაფერს მიაღწიეთ, ყველაფერი გაქვთ: ცოდნაც, ტექნიკაც. ახლა კი გამარჯვებულის გვირგვინს მოელით.

მე კი, თუმცა სიბერე შემომეპარა, აქამდე არც მომსვლია აზრად მეფიქრა ამ გვირგვინზე.

60 წლის ვარ, პატარაობიდანვე თეატრით ვსულდგმულობ და გული მწყდება, რომ მალე მოვკვდები და ასე ცოტა რამ გავაკეთე.

ასეთი უმნიშვნელოა ჩემი მუშაობა იმასთან შედარებით, რასაც გვიკარნახებს ცხოვრება...

თქვენ კი უკვე გულხელი დაგიკრეფიათ. ესეც სიკვდილია, ოღონდ არა ფიზიკური, არამედ უარესი –სულიერი. გონს მოდით, ვიდრე გვიან არაა!", –აფრთხილებდა კოტე მარჯანიშვილი.

1931-32 წლებში კოტე მარჯანიშვილი ავადმყოფობის მიუხედავად მოსკოვში მუშაობდა ოსტროვსკის „ქარიშხალზე", თბილისში კი შექსპირის დრამატურგიაზე. ახმოვანებდა „ოტელოსა" და „რიჩარდ მესამეს".

„...რეპეტიციების დროს, იგი იყო განუმეორებელი: ერთდროულად პოეტიც, რეჟისორიც, ჰიპნოზიორიც, ჯადოქარიც... რაღაც არაჩვეულებრივი აღფრთოვანება დაგვეუფლა.

ალბათ მარჯანიშვილმაც შეამჩნია ეს და თქვა:

იცით, ახლა, მოსკოვში რომ ვიყავი, ბევრი ვიფიქრე, ბევრი რამ გავითვალისწინე და მტკიცედ გადავწყვიტე, აღვადგინო ჩვენი თეატრი თავისი პირვანდელი შემადგენლობით.

ჩემი ერთადერთი პირობაა კვლავ და კვლავ დისციპლინა,ერთსულოვნება და ენთუზიაზმი.

თუ თეატრში მუშაობა გინდათ, იყავით ნამდვილი მოქალაქენი, მეგობრებო, გაახარეთ ერთმანეთი". **(14, გვ.102).**

გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე პეტია ოცხელმა მარჯანიშვილს თხოვა მისი პორტრეტის დახატვა.

–„შენც ერთი, მოიგონებ რა! ხომ ვიცი, როგორ დამხატავ:

თითებს „ჩამომიქნი“, ბრძენკაცის მოსასხამში გამხვევ. მე კი დაკოჟრილი მუშის ხელები მაქვს, თანაც, რა ფილოსოფოსი ვარ, თუ ისიც კი ვერ დამიმტკიცებია, რომ მე სწორი ვარ, თქვენ კი უმადური ლეკვები“, –იგონებდა თამარ ვახვახიშვილი.

დაიწყო ახალი, 1933 წელი.

მარჯანიშვილი თანამედროვე ხელოვნების სულისა და სინდისის სიმბოლო მოსკოვიდან დაბრუნდა.

„...ყველანი ვემორჩილებით. აბა, როგორ არ დაემორჩილები, როგორ არ იქნები მის ხელთ, როცა თითქმის ყოველი ჩვენგანი ამ ხელის ქმნილებაა...

....ის რომ, ჩვენ „მარჯანიშვილის ხელით ვართ შექმნილი“ თვით ცხოვრებამ დაადასტურა. შესანიშნავი რუსი და ქართველი მსახიობების მთელი პლეადა, რომლებსაც თავი კოტე მარჯანიშვილის მოწაფეებად მიაჩნიათ, განსხვავებული ინდივიდუალობის, ჟანრის, ტემპერამენტის მსახიობები გაერთიანებული არიან მარჯანიშვილისეული მხატვრული პრინციპით, ამაღლებული ფორმების, მაღალი რომანტიკის, უკომპრომისო სიმართლის, მოქალაქეობრიობის თეატრის პრინციპით. მისი სპექტაკლების ყველა მონაწილე,მათ შორის მხატვრები და კომპოზიტორები განუყოფელნი არიან ერთმანეთისაგან, ყოველი მათგანი კომპოზიციის, სიტყვის, მოძრაობის, სინათლის, ფერთა მუსიკის ერთიანი ჰარმონიით არიან შედუღაბებული და ვინც ერთხელ მაინც იგემა ამ შემოქმედებითს ანსამბლში მონაწილეობის სიტკბო, სამუდამოდ აღენთებოდა“, –წერდა თ. ვახვახიშვილი.

„ხელოვნებაში მე კვლავ დაუცხრომელი ძიებით ვარ შეპყრობილი და ვგონებ, ვერასოდეს ვერ შევკრავ წრეს“, –ფიქრობდა კ.მარჯანიშვილი.

....მარჯანიშვილი ჩქარობდა... ფიქრობდა თავის თეატრზე, ოცნებობდა მის აყვავებაზე, ადგენდა გეგმებს მისთვის ახალი შენობის ასაგებად, გულმოდგინეთ და გატაცებით მუშაობდა თეატრისათვის ახალი შენობის მაკეტზე... მასში უშრეტი ენერგია იყო, მხურვალე შინაგანი წვა, შემოქმედების წყურვილი...

„...მარჯანიშვილთან გეკარგება დროის შეგრძნება. მას მხოლოდ გაწეული მუშაობით თუ გაზომავ....

„...სულ ცოტა ხნით შევხვდით. მარჯანიშვილი ხვალ მოსკოვში მიემგზავრება. –მაშ ასე. „დონ კარლოსს“ და „დამურას“ გავუშვებ და მაშინვე დავბრუნდები. ჩამოვალ და ჩვენებურად ჩავუჯდეთ სამუშაოს – ამდენი რამ გვაქვს გასაკეთებელი. შენი ბალეტიდან პანტომიმის თეატრს გავხსნი. რა თქმა უნდა, საქართველოში, ახალგაზრდობის ძალებით.

ქუჩაში გავაცილეთ. მეგობრულად გადაგვკოცნა ყველანი, ეტლში ჩაჯდა და დაგვიძახა:

–ნახვამდის!, –იხსენებდა თამარ ვახვახიშვილი.

ასეთი დარჩა მისი ხატება... და რა იცოდა, რომ მას ბედისწერის ეტლი მარადისობისაკენ მიაჭენებდა....

აპრილის პირველ რიცხვებში კოტე მოსკოვში იყო. მართავდა გენერალურ რეპეტიციებს.

„...სიცოცხლისა და სიხარულის მაუწყებელი გაზაფხული დგება. ბავშვივით ფაქიზი კოტე სიხარულით ეგებება გაზაფხულს და წერს:

È ä¸ò âåñíà, è íîâûì ñîëíöåì
îáÿòà ñåäèíà çèìû,
È ä¸ò âåñíà,-
ñòðàñòíà,
Áóèíà,
Ñîòê¸ì æå ñ÷àñòèå è ìû....

სცენის პოეტი აღტაცებულია ბუნების სიტურფით“, – წერდა მისი მეუღლე ელენე დონაური.

„...1933 წლის 17 აპრილს, აღდგომის მეორე დღეს კოტე მარჯანიშვილი სასტუმროში ბრუნდება...

17 àï ðåëÿ 1933 ãî äà, ï ðî âåäÿ ðåï åòèöèè ï î ñëåäí åãî àêòà „ Ëåòó÷åé ì ûø è“ È. Ø òðàóñà â Ì î ñêî âñêîì òåàòðå î ï åðåòòû (î äí î âðåì åí í î â ì î ñêî âñêîì ì àëî ì òåàòðå î í ñòàâèë „Äî í à êàðëî ñà“ Ô. Ø èëëåðà), Êî òý ï î åõàë í à î áåä ê Ê. Í î âèêî âî é _ àðòèñòêå òåàòðà î ï åðåòòû, ãäå

ñî áèðàëèñüåãî ñòàðûåè íî âûåäóçüÿïî ì óçûêàëüíîì óòàòðó. Âå÷åðîì _âåðíåå, íî ÷üþ, ÷àñî â âî äèí íàäàòü, îòàî õî óâïî ñëåî áåàà, îòï ðàâèëñÿêÀ.Â. Ëóí à÷àðñêîì ó, êóäà åãî ïðèãëàñèëè íà óæèí ñàðòèñòàì è Ì àëî ãî òàòðà, çàí ÿòûì è â ñïåòàêëå „Äîí Êàðëî ñ“.

Ïî ñëå óæèí à âñåï åðåø ëè â ãî ñòèí óþ, ãäåïî ýò Â. Êàì åí ñêèé èãðàë íà áàÿí åè ÷èòàë ñâî é ñòèõè. Ïî òî ì âñåñãðóï èðî âàëèñü âî êðóã Êî òý, êî òî ðû é âåñåëî ðàññêàçû âàë ðàçí ûåñëó÷àé èç ñâî åé æèçí è. Í à÷àëèñüòàí öû ... Ãî ñòè ïî ù ëè òàí öåâàòü, î äèí ëèø ü Êî òý í åòàí öåâàè, ñèäÿí à äèâàí å, ñóëû áêî é ñì î òðåë í à âåñåëÿù èõñÿ. × àñî â â ï ÿòü óòðà ãî ñòè í à÷àëèñðàñõî äèòüñÿ. Êî òý ï åðåöåëî âàë âñåõ í à ï ðî ù àí èå, è ì û ï î åõàëè äî ì î é. Â ì àø èí å ñí àì è åõàëè Â. Êàì åí ñêèé è ðóã Êî òý, äèðåêòî ð Ì äëî ãî òåàòðà, Ñåðãî Àì àãëî áåëè. Â í à÷àëå Êî òý ï ðèí èì äë ó÷ãñòèå â î æèâëåí í î é áåñåäå,í î ï î òî ì âäóã çàì î ë÷àë.Ì û ðàçâåçëè ï î äî ì àì í àø èõñï óòí èêî â è ï î åõàëè ê ñåå. Êî òåâñþ äî ðî ãó ì î ë÷àë. Ì í åêàçàëî ñü, ÷òî î í äðåì äë, í î , î êàçû âàåòñÿ, ýòî áû ëà ñì åðòü. × åðåç ï î ë÷àñà åãî óæå í å áû ëî â æèâû õ.

Âñêî ðå â Ì î ñêâåå í à âò èø í û õ ñòî ëáàõ ï î ÿâèëèñü òðè àô è ø è, èçâåù àþ ù è å î ñï åêòàêëÿõ: â ×óäî æåñòâåí í î ì òåàòðå _ „Ó æèçí è â ëàï àõ“, â Ì äëî ì _ „Äî í Êàðëî ñ“ è â Ì î ñêî â ñêî ì òåàòðüå î ï åðåòòû „Ëåòó÷àÿ ì û ø ü„ í à êî òî ðû õ î áâåäåí í î å òðàóðí û ì è ï î ëî ñàì è ñòî ÿëî î äí î èì ÿ:

Ðåæèñî ð í àðî äí û é àðòèñò
ÊÎÒÝ ÌÀÐÄÆÀÍÈØÂÈËÈ

...Ì í î ãî ëåòï ðî ø ëî ï î ñëåýòî ãî äí ÿ, è ÿï î í è ì àþ, ÷òî Êî òýòî ëüêî òàê è äî ëæåí áû ë óì åðåòü: í à ï î ñòóè ì ãí î âåí í î . òàê ï î ðû âèñòî ãàñí åòÿðêî å ï ëàì ÿñåå÷è, çàäóòî å ðåçêèì âàòðî ì .

Êî òýÌ àðäæàí èø âèëè í åëþ áèë ñì åðòè è ãî âî ðèüî í åé í åëþ áèë. Òî ëüêî î äèí ðàç, â ÿí âàðå 1933 ãî äà. êî ãäà î í óåçæàë â Ì î ñêâó, â âàãî í å ï î åçäà çàø åë ðàçãî âî ð î ñì åðòè è ãî ðåñòÿõ. Êî òý ñàì í à÷àë ýòî òðàçãî âî ð, í î áñòðî åãî ï ðåêðàòèë è,ï î åðí óâø èñüêî ì í å,ñòðî ãî ñêàçàë: „Ï î ì í è, â äåí ü ì î åé ñì åðòè ðåï åòèöèþ í å ñí èì àòü! Åñëè ëþ áèòå ì åí ÿ, â äåí ü ì î åé ñì åðòè ðàáî òàéòå ëó÷ø å“...**(13.ßß.357)**.

მოულოდნელად მისი გულისძგერა გზაში გაჩერდა. და წრეც შეიკრა იმ გზასა და იმ ქალაქში, სადაც ხელოვნების მწვერვალს მიაღწია, დავაჟკაცდა და პირველი გამარჯვება იგემა.

თავისუფლებისა და მაღალი ხელოვნებისათვის რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ყოველთვის იწვოდა, ამ წვაში იწრთობოდა და ამავე წვამ მოსკოვის კრემატორიუმში ფერფლად აქცია.

ძვირფასი ნიშა უკანასკნელმა გზამ მშობლიურ საქართველოში ჩამოიყვანა.

კოტე მარჯანიშვილის დაკრძალვა თბილისში ხალხის ნამდვილ დემონსტრაციად გადაიქცა.

ეს ზღვასავით დაუდეგარი, ზღვასავით შემართული და ყალყზე შემდგარი სასცენო ხელოვნების გენია 61 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„...სულელური სიტყვაა სიკვდილი. სიკვდილი არ არსებობს.

ის, რასაც დატოვებ შენს შემდეგ, ერთგვარი გამარჯვებაა იმაზე, რასაც ეწოდება სიკვდილი“, – რამდენიმე თვით ადრე წერდა კოტე მარჯანიშვილი თეატრის მხატვარს პეტრე ოცხელს.

ზუსტად ორი კვირის თავზე, 1933 წლის 30 აპრილს საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრს კოტე მარჯანიშვილის სახელი მიაკუთვნეს.

1964 წელს კოტე მარჯანიშვილის ნეშტი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბაღიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს, სიცოცხლეში იმ ეკლიან გზაზე მავალ ქართველ მოღვაწეთა გვერდით, რომელთა დაუძლეველი ბედისწერა-თავისუფლება და თავგანწირული სულისკვეთება იყო.

.... კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურმა თეატრმა, მთელმა ქართულმა თეატრმა ახალი ცხოვრება – უმარჯანიშვილოდ დაიწყო – მშვენიერების ზეიმისა და ცხოვრების რწმენით აღვსილმა...

„...კოტე ყოველთვის ხალხში დარჩება,
პოეტი, ბავშვი და მეგობარი...“

(ი. გრიშაშვილი)

...ანდრია მარჯანიშვილის ღირსეულ შვილიშვილზე, მთაწმინდელობამდე მთაწმინდელის

კოტე მარჯანიშვილზე მსჯელობა ისევ და ისევ, კვლავ და კვლავ გაგრძელდება...

...როგორც ვაჟა იტყოდა ხოლმე: „ავსა და კარგსა კაცისას, როდი ივიწყებს სოფელი“...

...ასეა ხოლმე ყოველთვის: ყველა დროის „ხელისუფალნი ამა სოფლისანი“ წავლენ და წამოვლენ, ხოლო ერის საყვარელი და სანუკვარი გმირები მარადჟამს დარჩებიან და გაბრწყინდებიან!

კ. მარჯანიშვილის მამა — ალექსანდრე მარჯანიშვილი

კ. მარჯანიშვილის დედა— ელისაბედ ჭავჭავაძე

კოტე მარჯანიშვილი
1874წ. ქუთაისი



რეჟისორი
კოტე მარჯანიშვილი

გზა ტაძრისაკენ

„შენ უნდა ასახელო ჩვენი საყვარელი სამშობლო მეოცე საუკუნეში, კარგად დაიხსომე“...

აკაკი

„...ძნელია, საოცრად ძნელია თქვა რამე ადამიანზე, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული შენს სიცოცხლესთან, მთელ შენს შემოქმედებით გზასთან.

რომ დავიწყო საუბარი ვერიკო ანჯაფარიძეზე, ჩემს მეგობარზე, ვისთანაც ერთად გამიწევია ცხოვრების ტკბილი უღელი, იგივეა, რაც ვისაუბრო ხელოვნებაზე, რომელმაც ჩვენ გვაპოვნინა საერთო ენა, რისთვისაც ჩვენ მოვედით ამქვეყნად, რომ სიხარული და სიტკბოება მოგვეტანა ადამიანისათვის. ამ ადამიანებს იქნებ არც წარმოუდგენიათ ის მძიმე და შეიძლება საოცარი გაჭირვების წუთები, ხელოვან ადამიანს რომ ხვდება დასაძლევად. ასეთი მეგობრობა რომ არ ყოფილიყო ჩემსა და ვერიკოს შორის, გაგვიჭირდებოდა ხელოვნების რთული გზის გავლა“, –იხსენებდა მათი შეხვედრის დაუვიწყარ წუთებს რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი.

„... საგარეჯო თბილისთან ახლო მდებარე სოფელია. ეს მამაჩემის სამშობლოა. სწორედ აქ, საფრანგეთიდან ახლადჩამოსულმა ჯაბადარმა დაგვაჯერა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, რომ შეიძლებოდა ჩამოგვეყალიბებინა თეატრი. ჯაბადარი შეუდგა დასის შეგროვებას.

ეს იყო 1918 წელს...

რეპეტიციებს გავდიოდით ხის ღობით შემოვლებულ მშვენიერ ეზოში. აქ ვიკრიბებოდით დილით და საღამოს. ახალგაზრდა ვიყავი, ძალიან ახალგაზრდა, მაგრამ ამ კოლექტივში მე გავხდი წამყვანი მსახიობი.

...და აი, შემოდგომის ერთ დღეს ყველანი მოუთმენლად ველოდით ახალგაზრდა მსახიობი ქალის ვერიკო ანჯაფარიძის ჩამოსვლას, რომელსაც არავინ იცნობდა, მაგრამ მასზე ბევრი კარგი გვსმენოდა.

საღამო ხანი იდგა. ჩვენი ჯგუფი ჩვეულებრივ მოგროვდა. ვუსმენდით ჯაბადარს, რომელიც ფრანგულად ბაძავდა ცნობილ მსახიობებს... გვიხსნიდა, როგორ ჰქონდა ჩაფიქრებული ბრიეს „სარწმუნოება“... ვიღაცამ დაიძახა: აგერ, მგონი, ვერიკო მოდისო. რამ ამაღელვა მაშინ, ვერ ავხსნი... თვითონ ვარ გაკვირვებული... ალბათ არსებობს რაღაც აუხსნელი წინასწარი გრძნობა, რომლის დაძლევა ძნელი ხდება. ვცდილობდი, ოდნავადაც არ შემჩნეოდა მღელვარება. შეუმჩნევლად გავიხედე და... მოდიოდა ქალი დიდი ნაბიჯით, არაჩვეულებრივი ნაბიჯით. ეცვა აბრეშუმის გრძელი კაბა... სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა გასცქეროდა მომავალ ჯგუფს, ჩვენ ცოტა მაღლობზე ვიყავით და კარგად ვხედავდით იდუმალად მომავალთ. მოახლოვდნენ... აი, თურმე როგორი ყოფილა...

არაჩვეულებრივი მაღალი ყელი. ვერ გაიგებდი, თვალებით ვის უყურებდა, ოდნავ მოზრდილი ცხვირი, უწესრიგოდ, ფაფარივით გადმოყრილი თმა, ყველას მოგვესალმა და მომეჩვენა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მე შემომხედა. მე მას პირველად ვხედავდი... და ვხედავდი მხოლოდ მას! მის თანამგზავრებს ვერ ვამჩნევდი... ჩემი ყურადღება ამ უცხო ქალმა დაისაკუთრა... ვცდილობდი, არავის შეემჩნია ჩემი მდგომარეობა.

ქურდულად ვუყურებ გამუდმებით, მინდა დავინახო, როგორი გამომეტყველება აქვს, კარგად ვერ ვარჩევ.

ეზოში მწვანეზე ჩამოვსხედით ყველა. მოხდა ისე, რომ ვერიკო ჩემთან ახლოს დაჯდა, რა ბედნიერებაა! ბედნიერებას განვიცდიდი და არ მესმოდა, რას ნიშნავდა ეს. უხერხული დუმილი ჩამოწვა... ისეთი განწყობილება შეიქმნა, რაიმე უნდა თქმულიყო აუცილებლად. ჯაბადარმა ახალგაზრდა მსახიობ ქალს სთხოვა, რაიმე წაეკითხა. ვერიკომ სასტიკი უარი განაცხადა. სთხოვდნენ ჩვენი მსახიობებიც.

რა მალე გარბის დრო!...

„ვთხოვ, იქნებ დამიჯეროს“, – გავიფიქრე და თითქმის ჩურჩულით ვთქვი: მეც ძალიან გეხვეწებით – მეთქი, მან ერთი შემომხედა და დაუყოვნებლივ დაიწყო... რატომ დაიწყო მაინცდამაინც მაშინ, როცა მე ვთხოვე? არ ვიცი...

საოცარი მუსიკალური ხმა გაისმა. ეს იყო ძლიერი ექსპრესიით, იდუმალებით და აღგზნებით წაკითხული ლექსი. ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, მეჩვენებოდა, რომ

ეს ყველაფერი ჩემთვის იყო!... ვატყუებდი ჩემს თავს. რატომ? რა ახლოს იყო მისი ხელი დაბლა ხალიჩაზე. ვერაფერს ვეღარ ვგრძნობდი.

მე ტაში არ დავუკარი, დავიხარე და ხელზე ვაკოცე. ადამიანის წონასწორობის დასაკარგავად განა ბევრია საჭირო? და ჩემში დაიწყო ახალი დიდი სამყარო, ის არ ჰგავდა ჩვეულებრივს...

მასთან სიახლოვე ადვილი არ იყო. ჩვენ შორის იყო დიდი განსხვავება. მე ვიყავი უბრალო მუშა. ის კი ქართული არისტოკრატიული ოჯახიდან. ეს ხდიდა მას ჩემთვის მიუწვდომელს, ზღუდე დაუძლევლად მეჩვენებოდა, მაშინ მე ვიყავი პოპულარული მსახიობი. მას კი ჯერ არავინ იცნობდა“...

ვერიკო ანჯაფარიძე მართლაც ცნობილი არისტოკრატიული ოჯახის შთამომავალი გახლდათ. იგი ფესვებით იყო დაკავშირებული მესხებისა და მარჯანიშვილების გვართან.

„...დავიბადე ქუთაისში. მამაჩემი – ივლიანე ანჯაფარიძე ნოტარიუსი იყო. დედაჩემი – მარიამი ცნობილი მესხების ოჯახიდან გახლდათ. ახალგაზრდობაში დედა თამაშობდა ქართულ სცენაზე კოტე მესხის რეჟისორობით (რომელიც მისი ბიძა იყო). შემდეგში კი ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას ხელმძღვანელობდა“, –ასე იწყებდა თავის შემოქმედებაზე თხრობას ვერიკო ანჯაფარიძე.

„...გიორგი მესხის ქალი – მაშო ანჯაფარიძისა მეტად ნიჭიერი მსახიობი იყო, თუმცა, იშვიათად თამაშობდა. როცა თამაშობდა, აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი. ვერიკო ანჯაფარიძეს, მესხებისა და მარჯანიშვილების ნიჭი გამოჰყვა“... **(22, გვ.141).**

„... ანჯაფარიძეები იმ დროს ქუთაისში თეთრი ხიდის მახლობლად ორსართულიან სახლში ცხოვრობდნენ. პატარა ეზო ხეხილითა და ყვავილებით იყო სავსე. მე მათ მახლობლად ვცხოვრობდი და უნებურად მათი სახლის წინ მიხდებოდა ხოლმე გავლა. როდესაც ერთხელ ფანჯარაში თვალი მოვკარი პატარა, ფერმკრთალ და თმაგაწეწილ გოგონას – ცოცხალი, მეტყველი თვალებით, მე, რასაკვირველია, აზრადაც არ მომსვლია, რომ ოდესმე დადგებოდა დრო და ეს პატარა გოგონა ხელში აგვაღებინებდა კალამს. ეს გოგონა ვერიკო იყო....

ანჯაფარიძის ოჯახის დიასახლისი მარიამ გიორგის ასული მესხი შთამომავალი იყო იმ მესხებისა, რომელთაც ჩვენს ქვეყანას ისეთი თვალსაჩინო შვილები მისცეს, როგორიც იყვნენ სერგეი, ეფემია, ივანე, კოტე და დავით მესხები. მესხების ოჯახის ისტორია – ეს არის სამშობლოსათვის თავდადებულ პირთა ისტორია“... **(19, გვ.87).**

„...ვერიკო ანჯაფარიძის მამა, ივლიანე გრიგოლის ძე ანჯაფარიძე ეკუთვნოდა იმ საუცხოო პლეადას, რომელსაც წარსულში ქუთაისის ინტელიგენცია წარმოადგენდა; დედა, მარიამ გიორგის ასული შთამომავალი იყო განთქმული მესხების ოჯახისა, რომელმაც, გარდა სხვა საზოგადო მოღვაწეებისა, ორი მეტად თვალსაჩინო არტისტი მისცა ქვეყანას კოტე და ეფემია მესხი.

თვითონ მარიამიც მშვენიერი სცენისმოყვარე იყო და ამ გზას რომ უფრო აქტიურად გაჰყოლოდა, უთუოდ ისიც ერთი მშვენიერთაგანი იქნებოდა ჩვენი სცენისა.

და... აი, ასეთი ოჯახის შვილი გასაკვირი არ არის, რომ ქართულ სცენას ეშვილა და იმედები ასე ბრწყინვალედ გაუმართლა“, –აღნიშნავდა შალვა დადიანი.

„... ჩვენ ვსწავლობდით ქუთაისის „წმ. ნინოს“ სასწავლებელში. მე ერთი კლასით წინ ვიყავი ვერიკოზე. ალბათ, ამიტომ სკოლაში ჩვენ არ ვამხანაგობდით. ვერიკო სასწავლებელშიაც გამორჩეული ბავშვი იყო, „პიროვნების“ ბეჭდით აღბეჭდილი. არა ერთი მრავალთაგანი, არამედ ისეთი, რომელსაც მთელი სასწავლებელი დიდიან-პატარიანად იცნობდა. მეტისმეტად ცელქი, მოუსვენარი, პირდაპირ „გადარეული“ ბავშვი იყო. სასწავლებლის დერეფანში, ვერიკო წყნარად გავლილი არ მახსოვს. მუდამ ქარიშხალივით ჩაიქროლებდა ხოლმე“... **(31, გვ.163).**

ათი წლისა თანატოლებთან ერთად დგამდა „წარმოდგენებს“, თვითონვე თხზავდა სიუჟეტებს. პატარაობისას მის მიერ დადგმულ წარმოდგენებში თამაშობდა ბიჭს, რომელიც დევებს ამარცხებდა, ხოლო როცა წამოიზარდა – გმირებს, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ...

„...არ მახსოვს ჩემი ცხოვრების ისეთი პერიოდი, როდესაც გატაცებული არ ვყოფილიყავი თეატრით. უდიდეს ზეგავლენას ახდენდა ჩემზე ალექსანდრე იმედაშვილი. ახლაც მახსოვს, რა ძლიერად განვიცდიდი მის თამაშს, რამდენი ცრემლი დამიღვრია, როცა სცენაზე კვდებო-

და („ოტელოში“), შეძრწუნებული უარს ვამბობდი შინ წასვლაზე და მხოლოდ მაშინ ვთანხმდებოდი, როდესაც მაჩვენებდნენ მას ცოცხალსა და უვნებელს“, –აღნიშნავდა ვერიკო ანჯაფარიძე.

ერთხელ, როდესაც ალექსანდრე იმედაშვილს წარუდგინეს 10 წლის პატარა ვერიკო, მსახიობმა მას ხელზე აკოცა თურმე. ვერიკოს ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა: – „ვერაფრით ვერ მაიძულეს ხელი დამებანა, შეხვეული დამქონდა“, –იგონებდა ვერიკო.

იმ დროინდელ, ცხრაასიანი წლების ქუთაისის თეატრში ვერიკო ანჯაფარიძეს ხიბლავდა ლადო მესხიშვილის დიდი ემოციურობა, გრძნობათა გარკვეული სიმაღლე და თავისებური პათოსი. იგი გრძნობდა, რომ ქართველი მსახიობები ისეთნაირად განიცდიდნენ, რომ ჩვეულებრივს განცდებზე მაღლდებოდნენ. მათი ქართული სიტყვა არა მარტო მართალი და უბრალო იყო, არამედ ამაღლებულსა და მშვენიერსაც შეიცავდა.

განცდათა ეს ამაღლება და მათი რომანტიკულობა, ისევე, როგორც სიტყვის ოსტატობა, ვერიკო ანჯაფარიძემ შეითვისა როგორც ქართული თეატრის შესანიშნავი ტრადიცია. უეჭველია, რომ მისმა არტისტულმა ინდივიდუალობამ, მისთვის დამახასიათებელმა მეტყველების თავისებურებამ პირველ საზრდოს სწორედ, აქ, ქუთაისში, მიაგნო.

„...ქუთაისი მაშინ ქართველი პოეტების ქალაქიც იყო. დიდი სიხარულითა და გატაცებით ესწრებოდა ვერიკო ლიტერატურულ საღამოებს. მას ლექსებში ხიბლავდა სიტყვათა და ბგერათა შეხამების დიდი ოსტატობა, საოცარი მუსიკალობა.

ვერიკოს აქტიორული შესაძლებლობა შეერწყმა პოეზიით გამოხატული სიტყვის იშვიათ შეგრძნებას. და ასე გაჩნდა „სინაზისა და გულმაჟღერობის მხრივ ჯერაც განუმეორებელი... მე ვიტყოდი – „ვერიკოული“ ხმა, მოჩუქურთმებულ ფარგალში ამოყვანილი „ანჯაფარული“ პლასტიკა და ჩემ მიერ სახელმოუნახავი – უშრეტი ცეცხლი მისი ტემპერამენტისა“, –აღნიშნავდა მწერალი ლევან გოთუა.

1916 წელს ვერიკომ გამოცდები ჩააბარა მოსკოვში აიდაროვის სკოლაში. მაშინ დრამატულ კურსებზე იშვიათად სწავლობდა ქართველი ქალი. მისი პედაგოგი იყო ილარიონ პევცოვი. –ადამიანი, რომელიც იწვოდა ხელოვნებისათვის.

„...ღია და ნაზი გულის პატრონმა შესძლო თავის მოწაფეთათვის თეატრისადმი სიყვარული შთაენერგა. აღეზარდა ჩვენში მხატვრული სახის შექმნის უნარი. სწორედ პევცოვმა გახსნა ჩვენს წინაშე იმ სამყაროს კარი, რომელიც სრულიად არ წააგავდა მცირე თეატრის სამყაროს.

ამ გარემოებამ განსაზღვრა ჩემი შემდგომი შემოქმედებითი გზა“, –მადლიერებით აღნიშნავდა ვერიკო ანჯაფარიძე.

„....1916 წელს მოსკოვში ტრადიციული ქართული საღამო მოეწყო.

...გაისმა როიალის ხმა და შემდეგ ვერიკოს ხმაც,–ის რომელიღაც ლექსს კითხულობდა...

....ის იყო დამთავრდა დეკლამაცია, როცა უეცრად სუფრიდან წამოიჭრა სუმბათაშვილიუჟინი. ეს ხანში შესული ოლიმპიელი, რომელიც აქამდე დინჯად იჯდა და თითქოს დაღლილი გვეჩვენებოდა, ახლა სრულიად გამოცვლილიყო. გაბრწყინებული სახით და ჯეელი კაცის მხნე ნაბიჯით გაემართა ის ვერიკოსთან, მოხვია ხელები და გულზე მიიკრა...

....სკოლა? იგი თქვენ არაფერს მოგცემთ, მოდი, ერთად გავაკეთოთ „ნორა“ ან „ტენტაჟილის სიკვდილი“, –იხსენებდა მწერალი სერგო კლდიაშვილი.

„პირველად ვერიკოს შესახებ ამოვიკითხე ჟურნალ „Ðàì ï à è æèçí ü“-ის ერთ-ერთ ნომერში, სადაც კორესპონდენტი აუწყებდა მკითხველს, რომ მოსკოვის ახლოს მდებარე პატარა ქალაქ კოვროვში წარმოდგენილ სპექტაკლში „დიდი წარმატებით მონაწილეობდა ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი ვ.ი. მესხი“. მაშინვე მივხვდი, რომ ეს ვერიკო იყო. შემდეგ შეხვედრისას გავიგე, რომ ყველიერის დროს მოსკოვის თეატრების მსახიობთა ერთი ჯგუფი საგასტროლოდ გამგზავრებულა იმ ქალაქში“... **(31, გვ.98).**

მოსკოვში ვერიკოს სცენაზე უნდა ეთამაშა... იბსენი, მეტერლინკი, რაც მაშინ რუსულ ენაზე არსებობდა: „...მე კი სამშობლოში მინდა ვიყო. მინდა საკუთარი, მშობლიური რამ ვითამაშო, ქართულ ენაზე. მე ხომ იმიტომ ვმეცადინეობ, რომ განათლება მივიღო და შემდეგ მშობლიურ სცენას ვემსახურო“, –აცხადებდა ვერიკო ანჯაფარიძე.

აიდაროვის დრამატული სკოლის დამთავრების შემდეგ ვერიკო ანჯაფარიძე საქართველოში დაბრუნდა. თბილისში მაშინ ქართული თეატრი თითქმის არ არსებობდა, მხოლოდ ცალკეული

წარმოდგენები იმართებოდა.

ამ დროს საფრანგეთიდან ჩამოსულმა გიორგი ჯაბადარმა ახალგაზრდებისათვის სტუდია შექმნა.

„...ვერიკოს სასცენო მონაცემებით იმთავითვე გაოცებულნი დარჩნენ დრამატული სტუდიის მასწავლებლები. იგი მომავალი დასის „პრიმადონად“ გამოაცხადეს. ეს ვერიკომაც იცოდა და ამიტომაც დაუღალავად განაგრძობდა მუშაობას საკუთარი თავის ძიებაში სასცენო სახეში. ვერიკო არაჩვეულებრივი დაძაბულობით და ცნობისმოყვარეობით მოითხოვდა მასწავლებლებისაგან სულ ახალ და ახალ ცნობებს სასცენო ხელოვნების შესახებ.

გმირის საქციელის ანალიზისას იგი რადაცის მიგნებით მოულოდნელად გაიხარებდა, ასევე მოულოდნელად ჭმუნვარებასაც მიეცემოდა ხოლმე. და ასე ეჭვითა და რწმენით იკვლევდა გზას თავისი ჩანაფიქრის განხორციელებისაკენ“...(31, გვ.18).

გ. ჯაბადარი საინტერესო რეჟისორი და პედაგოგი იყო, დიდი გამოცდილებითა და გემოვნებით მუშაობდა სახეების სწორ გახსნაზე, სიტყვის წარმოთქმაზე.

პირველად ვერიკო ანჯაფარიძე ქართველი მაყურებლის წინაშე ბრიეს „სარწმუნოებით“ წარსდგა.

„...ჯაბადარის სტუდიის პირველსავე სპექტაკლში გამოვლინდა ვერიკოს ნიჭის მთელი სიმდიდრე, მან მოხიბლა ქართველი მაყურებელი და სამუდამოდ დამკვიდრდა მის გულში.

...იშვიათია, რომ მსახიობს სცენაზე პირველი გამოსვლისთანავე შეხვდეს მისთვის ისეთი შესაფერისი და საინტერესო როლი, როგორიც იყო ვერიკოსათვის იაუმას როლი „სარწმუნოების“ დადგმაში“, –აღნიშნავდა ბაბო გამრეკელი.

„მე მაგონდება 1919 წელი! ვერიკოს პირველი დებიუტი. ოპერის თეატრი. ჯაბადარის სტუდია. ბრიეს პიესა „სარწმუნეობა“. 19 წლის ვერიკო ეგვიპტელი ქალის იაუმას როლს ასრულებს. რა შესანიშნავი იყო! ახლა თქვენ მეტყვით, ცხრამეტი წლის გოგონა ისედაც კარგი იქნებოდაო! არა, არც ისეა საქმე. მან პირველ გამოსვლისთანავე მოაჯადოვა მაყურებელი, მან პირველ გამოსვლისთანავე დაიმკვიდრა მაღალი მსახიობის სახელი“, – წერდა პოეტი იოსებ გრიშაშვილი. (11, გვ.27).

ამ დროს „მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე პოეტ შალვა ამირეჯიბის ღრმა გატაცებისა და მისი მუზის შთაგონების წყარო იყო. შ. ამირეჯიბმა მას არაერთი შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა. მათი გადარეული სიყვარული ქორწინებით დაგვირგვინდა“. (42, გვ. 88).

1919 წელს მათ ქვიშხეთის პატარა ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი, რომელიც მწერალთა დასასვენებელი სახლის გვერდით დღესაც დგას. მალე პირმშოც შეეძინათ. ვერიკო ანჯაფარიძისა და შალვა ამირეჯიბის ოჯახი და სიყვარული 25 თებერვლის – გასაბჭოების დღემ დაანგრია.

„... ორიოდე დღე დასჭირდა იმას, რომ მწერალი დევნილ პირად ქცეულიყო, ხოლო ახალგაზრდა, ცნობილი მსახიობი ქალი – არსებული ხელისუფლების „მოსისხლე მტრის“ მეუღლედ და თანამგზავრად. ასეთ ვითარებაში ორთავეს თავისი ადგილი უნდა ეძებნა და ასეც მოხდა. მწერალმა აჯანყების მზადების ერთ-ერთი ხელმძღვანელის როლი იკისრა.

ცოლს არ აპატიმრებდნენ, სატყუარად ჰყავდათ, – ქმარი, როცა იქნება, ცოლისა და შვილის სანახავად მოვა და ავიყვანთო... მის ბინაში დღედაღამ ჩეკისტები მორიგეობდნენ. ქალმა მწერალი მიატოვა, მოქანდაკეს გაჰყვა და ამით თავი იხსნა. სხვა რა უნდა ექნა“, – წერდა ჭაბუა ამირეჯიბი თავის რომანში „გორა მბორგალ“-ში მისი ბიძის შალვა ამირეჯიბისა და ვერიკო ანჯაფარიძის სიყვარულზე.

სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყების დამარცხების შემდეგ მწერალმა შალვა ამირეჯიბმა სამშობლო დატოვა.

ვერიკოს მიერ შესრულებულ პირველ როლებს ზედიზედ მოჰყვა გმირთა სახეები: მერი – (ჟაკოსის „ვითა ფოთლები“), ფაცია (შ. დადიანის „გუშინდელნი“), ვნებო (ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“), ისმენა (სოფოკლეს „ანტიგონე“), ქრისტინე (ე. ნინოშვილის „ქრისტინე“), ქალბატონი (შ. დადიანის „როს ნადიმობდნენ“), ეთერი (შ. შარაშიძის „ავგაროზი“), ნინო (ა. ყანჩელის „სიზმრები“), ცირა (ა. წერეთლის „თამარ ცბიერი“), რუქაია (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“) , პირიმზე (ი.გედევანიშვილის „სინათლე“), ფატი (ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“), ლიგია (სობოლშჩიკოვ-სამარინის „ვიდრე ჰხვალ, უფალო!“). თეკლე (ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“).

აღსანიშნავია, რომ ვ. ანჯაფარიძემ 1921 წლებში წარმატებით ითამაშა სანდროს როლი ნ. ნაკაშიძის პიესაში „კოტეს დანაშაული“, რომლის დამდგმელი რეჟისორი გახლდათ ანდრია მარჯანიშვილის ბუდიდან აფრენილი ხელოვანი ნინო გამრეკელ-თორელი.

ასევე უბადლო იყო მისი ლიზი ნ. შიუკაშვილის ნაწარმოებში „სულელი“. დადგმა ეკუთვნოდა მიხეილ ჭიაურელს, რომლის რეჟისორობით ვერიკოს არაერთ სპექტაკლსა თუ ფილმში მიუღია მონაწილეობა.

სცენური მომხიბვლელობა ვერიკოს კონსტიტუციით გადმოცემული თანდაყოლილი თვისება იყო, მაგრამ ის მარტო ამ თვისებას არასოდეს ეყრდნობოდა. პირიქით მოუსვენარ ძიებაში იყო და ყოველდღიურად ზრუნავდა პროფესიული ტექნიკის ამაღლებისათვის.

„...ვერიკოს გულდანდობილმა, გონიერმა, ღია შემოხედვამ ჩემი გულის კარი იმ წუთშივე გააღო. ბავშვური, მიამიტი, სუფთა, ცნობისმოყვარე, მოციმციმე თვალები, აბა, ვის გულს არ მიიზიდავს თავისკენ!

და ბუნებით თანდაყოლილი ეს თვისება ბავშვური გულუბრყვილობისა მსახიობს მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე შერჩა, ჩემი აზრით, ეს ყველაზე დიდი პირობაა იმისა, რომ სცენური მომხიბვლელობის საიდუმლოება მუდამ ხელთ გეპყრას. ბუნებრივი, ორგანული სისადავე არის სწორედ საფუძველი ნამდვილი არტისტულობისა, რომელსაც ვერავითარი შრომით ვერ შეიძენ“... **(27, გვ.87).**

ხალხის სიყვარულისა და მასთან სიახლოვის უტყუარი ნიშანი იყო, ის რომ საქართველოში მას ვერიკოს სახელით იცნობენ, რაც იშვიათი ბედნიერება არის.

ეს იშვიათი ბედნიერება, როცა შემოქმედს მხოლოდ სახელით იცნობენ კოტეს, ვერიკოს, და უშანგის ერგოთ...

„...მოუსვენრობა, შეუპოვრობა, ონავრობა, ვაჟკაცური სიმტკიცე, ჩაუქრობელი წვა და დაუდგრომელი დუღილი –ამაშია ვერიკოს დიდი ნიჭისა და მუდმივი შემოქმედებითი ძიების წყაროც და მამოძრავებელი ძალაც. ვერიკო დიდი გაქანების ხელოვანია. ზომიერი, მორცხვად თავდახრილი, უფერული, გაცრეცილი სურვილები უცხოა მისთვის. სულმოუთქმელი სწრაფვა, თავდავიწყებამდე გატაცება, გრძნობისათვის თავის მიცემა, –ეს არის ვერიკოსათვის დამახასიათებელი.

ჭეშმარიტად ბედნიერია ის ხელოვანი, რომელსაც ხელოვნებაში თავისი საკუთარი, განუმეორებელი სახე აქვს, რომელიც განსხვავებულ კვალს ტოვებს ხელოვნებაში. ამ ბედნიერთა შორის ვერიკოც არის“... **(31, გვ.105).**

ვერიკო ანჯაფარიძე ქართველ მსახიობთა იმ ბედნიერ თაობას მიეკუთვნება, რომლის შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებაც ქართულ თეატრში კოტე მარჯანიშვილის მუშაობას დაემთხვა. მათი პირველი შეხვედრა 1923 წელს რუსთაველის სახელობის თეატრში შედგა.

„...კოტე მარჯანიშვილი იყო ლამაზი ადამიანი, ანთებული, დიდრონი თვალებით. შუატანის, მაგრამ გოლიათური ღონისა. მას პატარა ხელები ჰქონდა, მაგრამ ეს ხელები თვალუწვდენელ ზღაპრულ კოშკებს აშენებდნენ. იმ კოშკებში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც საოცარი ვნებით იწვოდნენ. მათ იცოდნენ ბრძოლა, ტანჯვა და ვაჟკაცურად დაღუპვა. მაგრამ ამ ადამიანთა შორის მარჯანიშვილს ყველაზე მეტად უყვარდა ისინი, ვინც შესტრფოდნენ სიცოცხლეს ჭარბსა და ცხოველმყოფელს. იმათ რთავდა ის ნაირ-ნაირი ფერებით, ატკბობდა წარმტაცი მუსიკით, მათთვის არ შურდა ალერსი და სიყვარული. მარჯანიშვილი ცხოვრობდა შემოქმედების ისეთ მწვერვალზე, რომლის მიღწევა ყველას არ ძალუძს“, –ახასიათებდა თავის მასწავლებელს და რეჟისორს ვერიკო ანჯაფარიძე.

მხოლოდ გარკვეულ ასაკში და წელთა განვლის შემდეგ ხდება ხოლმე გასაგები, რა იყო მნიშვნელოვანი და მთავარი წარსულში. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ნათლად ხედავდა და მწვავედ გრძნობდა ვერიკო ანჯაფარიძე რამდენი რამ მიიღო მან თავისი მასწავლებლისაგან. მასთან და სხვებთან მუშაობის კონკრეტულ მაგალითზე ასწავლა მას მარჯანიშვილმა, რა არის ნამდვილი დრამატიზმი, ჭეშმარიტი თეატრალობა, ტრაგიკული კონფლიქტები და მათი ამოხსნის გზები, მაღალი პოეზია შემოქმედებაში, საქმისათვის თავგანწირვა, ნდობა ახალგაზრდა მსახიობის გამოუვლენელი შესაძლებლობისადმი, ფაქიზი და სათუთი სიყვარული მსახიობისადმი.

მარჯანიშვილმა ასწავლა მას, თუ რას ნიშნავს ორგანული მოქმედება, გმირის ცხოვრების რიტმის შეგრძნება და ამ ცხოვრებაში მთავარისაგან მეორეხარისხოვანის გამორჩევა.

ვერიკომ მასში დაინახა წინამძღოლი, დიდი გაქანების ხელოვანი, შეიარაღებული დიდი თეატრალური ცოდნითა და გამოცდილებით. მართალია, ვერიკო ანჯაფარიძე მარჯანიშვილის მოსვლამდე ითვლებოდა უკვე ნიჭიერ ახალგაზრდად, მაგრამ გაიზარდა მისი ხელმძღვანელობით. მარჯანიშვილი, რასაკვირველია, წყალს ღვინოდ ვერ გადააქცევდა და ვერც არარაობიდან შექმნიდა რაობას, თუნდაც ასჯერ დიდი რეჟისორი ყოფილიყო, მაგრამ მისმა უტყუარმა ალღომ შეამჩნია ვერიკოს ნიჭიერება, გამოავლინა მისი შესაძლებლობა და მუშაობისათვის ფართო გზა გაუხსნა.

ქართულ თეატრში ვერიკო ანჯაფარიძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე დაკავშირებული იყო მარჯანიშვილთან. კოტეს რეჟისორობით შექმნა მან რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაუვიწყარი სახეები, როგორიც იყო: სილვია (ხ. ბენვენტეს „ინტერესთა თამაში“), პეგინ მაიკლ (ჯ. სინგის „გმირი“), თანამგზავრი (ე. ტოლერის „კაცი მასა“), არლეკინო (მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“).

1925 წელს უ. შექსპირის „ჰამლეტში“ ვერიკომ შექმნა ოფელიას განუმეორებელი სახე.

„... „ჰამლეტის“ პირველი სპექტაკლი. მოახლოვდა ოფელიას სიგიჟის სცენა, მარჯანიშვილმა თვითონ დაათვალიერა მარცხენა კულისი, საიდანაც მე უნდა გამოვსულიყავი, –სკამი მომაწოდა: „დაჯექი, ნუ იღლები“. შემიმკო თმები ბალახებითა და ყვავილებით, მომეფერა და ისე გამიშვა სცენაზე. მან, იცოდა, რომ ეს სცენა მთლიანად იყო დამოკიდებული ჩემს განწყობაზე, ის ალბათ გრძნობდა, რომ მისი ხელის შეხება მამშვიდებდა და შთაგონების ძალას მმატებდა... მეორე სპექტაკლი. ჩემი სურათი ახლოვდება. კოტე არსად ჩანს კულისებში. ცუდად ვგრძნობ თავს, საშინელმა მღელვარებამ შემბოჭა, ვდგავარ გამოსასვლელთან, ღმერთს ვევედრები, მოვიდეს მარჯანიშვილი, ისე მჭირდება მისი ხელის შეხება, მისი გამამხნევებელი ჩურჩული, მაგრამ ის არსად ჩანს და მე ცოცხალმკვდარი გავდივარ სცენაზე. ვამბობ შეშლილი ოფელიას ნაზი ლირიკით აღსავსე სიტყვებს და თან ვგრძნობ, ცარიელია სიტყვები, მშრალი, ვერ ვპოულობ განწყობილებას. კოტემ, რომელიც ლოჟიდან უყურებდა სპექტაკლს, დაინახა ჩემი დაბნეულობა, ალბათ გულით იგრძნო, რომ ამის მიზეზი თვითონ იყო, და უეცრად მისი სახე დავინახე, ისე ახლოს ჩემგან, გამაშუქებელ ფარდულში. მისი თვალები ალერსით გამთბარი მიცქეროდნენ, მამხნევებდნენ. სიხარულით ამევსო გული. თვალთაგან ცრემლი წამსკდა და ისევ კარგად ვიგრძენი თავი. მას შემდეგ, რამდენჯერაც ვითამაშე ოფელია, მარჯანიშვილი გამოსვლის წინ ჩემთან იყო, თავისი ხელით მიმკობდა თმებს ბალახებითა და ყვავილებით, მომეფერებოდა და ასე მიშვებდა სცენაზე“, –სიყვარულით წერდა დიდი რეჟისორის ადამიანურ მომხიბვლელობაზე ვერიკო ანჯაფარიძე.

„...ძალიან საინტერესოდ და ძლიერად ჰქონდა დამუშავებული ვერიკოს შეშლილობის სცენა, რაც ოფელიას როლისათვის ცენტრალური ადგილია. აქ მისი ლირიზმი კიდევ უფრო ღრმა და კეთილშობილური იყო, როგორც ეს ხშირად სჩვევია ზოგიერთ სულით ავადმყოფს; მაგრამ არავითარი გარეგნული ეფექტი! მთელი მისი ყურადღება, მთელი მისი არსება დაძაბული იყო შინაგანი მღელვარებით. განცდა მეტად გულწრფელი, მართალი და ზეგავლენაც მაყურებელზე დიდი და ძლიერი იყო. თქვენი გონება შეიძლება შეკამათებოდა მთლიანად ოფელიას სახის ან რომელიმე ცალკე სცენის ვერიკოსებურ გაგებას და განსახიერებას, მაგრამ ამას გონება ეცდებოდა, გული ყოველთვის დატყვევებული იყო მისი თამაშით“, –მთავარ როლებში მის პარტნიორზე საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა უშანგი ჩხეიძემ.

ოფელიას დაუვიწყარი სახის დახატვით ვერიკომ ააფორიაქა მთელი საზოგადოებრიობა. მან მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს დაანახვა, რომ ის სცენის შესანიშნავი ოსტატი იყო.

„...მისი ოფელია შინაგანი ძალით იყო სავსე, მაგრამ იმავე დროს სავსე იყო მღელვარე უბრალოებით. ყოველი სიტყვა, რომელსაც იგი წარმოთქვამდა, უშუალო გრძნობით ათბობდა ადამიანს.

ცნობილია, რაც უფრო დიდია მსახიობის ნიჭი, მით უფრო ფერადოვანია მისი პალიტრა. ვერიკოს ოფელია პოეტური ქმნილება იყო, რომელიც სისხლსა და ხორცში იყო ჩამჯდარი. ის გვიზიდავდა თავისი გასაოცარი გულწრფელობითა და სისადავით“... **(31, გვ.267)**.

მოზღვავებული ემოცია და ძლიერი დრამატიზმი იყო მთავარი ვერიკოს შემოქმედებაში, ამით ხიბლავდა და იპყრობდა იგი მაყურებელს და ამიტომაც მაყურებელი თავის მხრივ

ამას მოითხოვდა და ელოდა მისგანაც.

„...ვერიკო ნამდვილი ენთუზიასტი იყო მარჯანიშვილის თეატრის, რომელიც კარგად ჩანდა მის შემოქმედებაში. იგი ყოველთვის ცდილობდა, რომ კოტეს სახელს არ წამოფარებოდა ჩრდილი. როცა შეირყა დამოკიდებულება კორპორაცია „დურუჯში“, პირველ განდგომილთა სახელები იყო კოტე მარჯანიშვილი და ვერიკო ანჯაფარიძე.

1926 წლის სეზონის დასასრულს მასწავლებელი და მოწაფე თეატრიდან წავიდნენ. კოტე მარჯანიშვილი იწყებს ახალი თეატრის შენებას. იგი ახალგაზრდების დასით ჩამოდის ქუთაისში“... **(31, გვ.138).**

ქუთაისის სეზონის დაწყების წინ მარჯანიშვილმა მსახიობებს მიმართა: „როგორი იქნება ჩვენი თეატრი? იგი იქნება ისეთი, როგორიც შეუძლიათ შექმნან აქ თავმოყრილმა კადრებმა საქმისადმი სინდისიერი და ერთგული სამსახურით.... მე ღრმად ვარ დარწმუნებული ჩვენს წარმატებაში და მინდა თქვენც ასეთივე რწმენით იყოთ განმსჭვალული“...

ამის შემდეგ მარჯანიშვილი დასის თითოეულ წევრს გადაეხვია და გადაჰკოცნა. „ჩემთან დიდხანს შეჩერდა, ხაზგასმით დიდხანს მეხვეოდა, ვიგრძენი, რომ ყველასაგან გამომყო. მთელი დღე გაბრუებული დავდიოდი ბედნიერებისაგან“, –აღნიშნავდა მისი სულის სიღრმისეულ განცდებზე ვერიკო ანჯაფარიძე.

...„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ –ამ სპექტაკლით უნდოდა მარჯანიშვილს თეატრის გახსნა, სპექტაკლი მზადდებოდა ქუთაისში. ცეკვაში მჭირდებოდა ვერიკო. მას არ უნდოდა უფერული როლის თამაში! მაგრამ თამაში მაინც აუცილებელი იყო. ვერიკოს ჯერი იყო რეპეტიციის გავლისა. გამოვიდა, მიმოიხედა... უცებ ფოქსტროტი მოითხოვა. მაშინვე როიალთან დამსვეს. და ჩვენ თვალწინ ვერიკო უმალ შეიცვალა – გადადგა ფეხი და ეს სიარული უკვე სხვა ადამიანისა იყო... მერე მოითხოვა, ვინმე მარჯვნიდან გვერდში ამოსდგომოდა. მარჯანიშვილმა მაშინვე ამოუყენა გვერდით ოფიცერი პირველი აქტიდან. გაიარა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ახლა მარცხნიდან მოითხოვა სხვა ვინმე. მარჯანიშვილმა მსახიობი ს. ვაჩნაძე ამოუყენა და... სრული გარდასახვა: ჩვენ წინაშე იყო განებივრებული, ნერვიული ქალიშვილი მილიონერისა. ასეთი არ ყოფილა ის არასდროს არც ამ როლამდე და არც შემდეგ. უნდა გენახათ მარჯანიშვილის სახე და თვალები. ღიმილს ვერ იკავებდა, მთლად გაბრწყინებული იყო... მარჯანიშვილმა სთხოვა ვერიკოს, გაემეორებინა ყველაფერი... ვერიკო ამბობს, რომ აბსოლიტურად არაფრის განმეორება არ შეუძლია“...

....რომ იკითხონ – როგორია ვერიკო, იტყვიან: ძლიერი, მტკიცე, პირდაპირი, მუდამ მებრძოლი, სამართლიანი, გულადი. ასე იტყვის უმრავლესობა. მე კი, მისი ძველი მეგობარი, მეგობარი ბავშვობისა, აუცილებლად მივუმატებდი – საკუთარი თავის მიმართ მეტისმეტად მოკრძალებული“... **(31, გვ.261).**

ამ პატარა ეპიზოდურ როლშიც ვერიკო ანჯაფარიძემ მაღალი პროფესიონალიზმი უჩვენა. მარჯანიშვილის ნამდვილმა მოწაფემ არ იცოდა განსხვავება პატარა და მთავარი როლების, პრემიერასა და მეასე წარმოდგენას შორის. ყველგან და ყოველთვის იგი თამაშობდა მთელი თავისი აქტიორული ძალით, რადგან მისი არსებობის ფორმა იყო –მსახიობობა.

კოტე მარჯანიშვილს განსაკუთრებით უყვარდა ვერიკო და აფასებდა მის დიდ ნიჭს: „ვერიკო გაგონებს მუსიკის იმ მელოდიას, რომელსაც რამდენადაც უფრო მეტად ითვისებ, მით უფრო ეტანები მის მოსმენასო“....

„...ვმუშაობდით ამერიკელთა სცენაზე, რომლისთვისაც ჯერ ხელი არ მოგვეკიდა. ტონი ვერიკო ანჯაფარიძემ მოგვცა, მისი ამერიკელი–ექსცენტრიული ქალიშვილია, რომელიც ფათერაკებს ეძებს „ველურთა“ ქვეყანაში. ტექსტი თითქმის არა აქვს, მან კი მთელი სცენა გაითამაშა. მარჯანიშვილი ფეხმორთხმული იჯდა და უყურებდა. მერე ჩვენ გადმოგვხედა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

„რას შვრება მაინც ეს მამაძაღლი! არ ვიცი, ავია თუ კარგია, მაგრამ შესანიშნავი კია“. წამოხტა, ვერიკოს ქუდი წააძრო და უკუღმა დაიხურა.

–რას გაჩერებულხართ? განაგრძეთ, უყვიროდა იგი. ვერიკოს გვერდით სცემდა ბოლთას, მერე ყველანი ვერიკოს ირგვლივ დააჯგუფა. როცა ვერიკოს პიესის მიხედვით სცენა უნდა დაეტოვებინა, მარჯანიშვილი მაშინვე „ჩაქრა“.

–ძალიან დავიღალე, შენ დაამთავრე... –დაუძახა გრიშას.

–აჰა, შლაპა არ დაგრჩეს, სულელო!

ამ „სულელში“ გამოსჭვიოდა უდიდესი აღტაცება ვერიკოსადმი“, –იხსენებდა ამ ეპიზოდს თ. ვახვახიშვილი.

სცენის დიდმა პოეტმა კოტე მარჯანიშვილმა თავისი დიდი მხატვრული ქმნილების გმირის ივდითის სახით ვერიკოში შექმნა პოეტური ტალანტი, დიდი ტრაგიკული ტემპერამენტის მსახიობი, რომლის განცდა ჟრუანტელს ძრავდა გულში.

ანდრია მარჯანიშვილის ნაშიერმა კოტე მარჯანიშვილმა და ვერიკო ანჯაფარიძემ ივდითის როლით ერთმანეთი შემოქმედებითად იპოვეს და ერთმანეთის გენეტიკური ტალანტი უკვდავების სიმბოლოდ აქციეს, რითაც ქართულ სცენაზე შექმნეს „გამარჯვებული სიყვარულის ზეიმი“.

„...ვისაც აქვს ძალა და ნებისყოფა,
ის მთელს ქვეყანას დაიმორჩილებს“...

...და მასწავლებელმა და მოსწავლემ ჭეშმარიტად დაიმორჩილეს მთელი თეატრალური სამყარო.

...ერთმანეთს მათ არც სიკვდილის შემდეგ უღალატეს და თავისუფლებისაკენ სწრაფვის დაუოკებელი ბედისწერის სასუფევლად ორთავემ მთაწმინდაზე დაიდეს ბინა.

ვერიკო იყო დიდებული, სულით მაღალი ადამიანი. სულით ღარიბს არ შეუძლია დიდი ადამიანის განსახიერება. წვრილმანი ბუნების კაცი ვერ გაიგებს კეთილშობილი ნატურის მოქმედების ლოგიკას. როგორც არ უნდა გაზარდო ბეღურა, ვერასოდეს არწივს ვერ დაემსგავსება. ეს კანონია.

ვერიკოსაც ადამიანში უპირველესად ნიჭიერება ხიბლავდა, მაგრამ თუ მას დიდბუნოვნება და კეთილშობილებაც ერწყმოდა, –ამას ფასდაუდებელ ღირებულებად აღიარებდა, რადგან იგი გმირად თვლიდა ყველა იმას, ვინც ყველა დაბრკოლებების მიუხედავად, მაინც ინარჩუნებდა ოპტიმიზმს პროფესიის მიმართ და უმწიკვლოდ, თავდავიწყებამდე იყო შეყვარებული თეატრზე.

ივდითის სახე ვერიკოს განსახიერებით იყო სცენური შემოქმედების მწვერვალი, რომელიც მარჯანიშვილმა გამოძერწა.

1929 წელს ქუთაისში კ. მარჯანიშვილმა დადგა გუცკოვის „ურიელ აკოსტა“. ამასთან დაკავშირებით ვერიკო ანჯაფარიძე გადმოგვცემდა: „...მიმდინარეობს „ურიელის“ რეპეტიციები. შუაღამეს გადასცილდა თითქმის. ჩვენ კი მხოლოდ პირველი აქტი დავამთავრეთ. რეპეტიცია ცუდად მიდის. პირველი მოქმედების მეორე სურათს ივდითი იწყებს. ვერაფრით ვერ ვპოულობ საჭირო ტონს. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს ყველაფერი დაიკარგა, რაც კი რეპეტიციებზე ვიპოვე... მუსიკაც მიშლის ხელს, გამძვინვარებული მარჯანიშვილიც მბოჭავს, სინათლე თვალს მჭრის. ყურადღების მოკრება მიჭირს. მონოლოგს წარმოვთქვამ მექანიკურად, ვერაფერს ვგრძნობ, სიცივე და სიცარიელე მაქვს გულში. უშანგი –ურიელიც ჩამქრალა, არა აქვს სითბო, სიცოცხლე, ცეცხლი –და ასე რეპეტიციის დამთავრებამდე ყველაფერი დაიკარგა, წაიშალა. სად გაქრა დაუვიწყარი რეპეტიციების სიხარული? როგორი ზეშთაგონებით ქმნიდა მარჯანიშვილი ამ სპექტაკლს, როგორი აღფრთოვანებით ვიჭერდით მის ყოველ აზრს – მსახიობები, რასაც მარჯანიშვილი აკეთებდა. ჩვენ ვგრძნობდით, რომ ამ სპექტაკლში კიდევ უფრო ძლიერად, უფრო სრულყოფილად გადაიშალა მარჯანიშვილის გენია. და ეს ყველაფერი ჩვენ, მსახიობებმა, დღეს დავკარგეთ, დავანგრიეთ, გავაცამტვერეთ. კოტე ყვიროდა, მრისხანებდა, ცდილობდა, ეხსნა ძვირფასი ქმნილება, მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო. გათენებისას, როგორც იქნა, ბოლო მოეღო ამ ტანჯვას. ასეთი განადგურებული მარჯანიშვილი მე არ მინახავს არც მანამდე და არც შემდეგ, რაც ქართულ თეატრში მოღვაწეობდა. იგი სულ, ერთიანად განადგურებული იყო. მოიხარა, ხმა დაკარგა: „დამღუპეთ მე თქვენ, დამტანჯეთ, დამასამარეთ!“ დღეს ხომ პრემიერაა, დღეს ქუთაისი თბილისიდან სტუმრებს ელის –ჩამოვლენ მწერლები, საზოგადო მოღვაწენი. მთელი პარტერი მათთვის არის განკუთვნილი. ძნელია ჩვენი მდგომარეობის გადმოცემა. გამოვედით თეატრიდან, დიდებული განთიადია –ნათელი ზეცა, გამჭვირვალე ჰაერი, ჩვენ კი დაქანცულნი, გამოფიტულნი, ერთ ღამეში გამხდარნი ვართ. სად წავიდეთ, რა ვქნათ?... „რა კარგი იქნებოდა გავუჩინარდეთ, საღამომდე არ მივაღწიოთ“, –ასეთი ფიქრი მიტრიალებდა თავში. კოტე ცხოვრობდა იქვე, სასტუმროში. ვხედავ, როგორ მიდის –ნახევრად მოხრილი, ძლივს ადგამს ნაბიჯს, სასტუმროსთან შეყოვნდა, ხელი დამიქნია, თავისთან მიხმო. მივუახლოვდი და ვხედავ, თვალები

ნათელი აქვს, სხივჩამდგარი, სიხარული გამოკრთის, ეშმაკური ღიმილი დასთამაშებს სახეზე და მეუბნება: „წადი დაიძინე, კარგად დაისვენე, საღამოს მოხდება გრანდიოზული რამ, გენერალური ჩაგვივარდა – ეს ხომ შესანიშნავია“...

„ურიელ აკოსტას“ რეპეტიციაზე რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი გატაცებით მუშაობდა.

„...და აი, დარჩა სცენაზე ივდითი. აქტიორი ჩერდება, სურათის ბოლო არ არის მზად. ის დარწმუნებულია, რომ მარჯანიშვილი შეაჩერებს რეპეტიციას და დაწყნარებით გააკეთებს სურათის დასასრულს, მაგრამ... ის მივარდა ივდითს, სუფლიორს უყვირის – მიაწოდოს სიტყვები, დამკვრელს –განაგრძოს მუსიკა. ივდითი მიჰყავს სკამთან, აიყვანს მასზე, ანიშნებს, მიაჩერდეს წარმოდგენილ სარკმლიდან ქუჩაში მიმავალ ურიელს. მარჯანიშვილი უკვე თვითონაც თამაშობს ივდითთან ერთად. აი, მან ასწია ხელი და გაიშვირა სარკმლისაკენ –ურიელისაკენ. მარჯანიშვილის შემდეგი მოძრაობა და ივდითის ტანიც მის ხელშეუხებლად მთელი სიძლიერით მიმართულია ურიელისაკენ. შემდეგ ივდითის სიტყვები: „აი, ის შედგა, იგი ყოყმანობს, საითკენ წავა“, –ამას ლაპარაკობს ივდითი და მარჯანიშვილმა მისი ტანი უკვე გადმოზნიქა უკან, ხელი მოღუნა ნახევრად, ასწია ზევით, ივდითის მთელი სახე, სხეული გამოხატავს უდიდეს მღელვარებას!... მოლოდინს. აი, შეჰკივლა ივდითმა უკანასკნელი სიტყვები: „იგი შევიდა სინაგოგაში“ და ივდითის ტანიც მოშვებული, განადგურებული დაემხო, გადაეკიდა სკამის ხარიხასზე“, –დიდი შინაგანი მღელვარებით იხსენებდა ამ რეპეტიციებს უშანგი ჩხეიძე.

„...დე-სანტოსის ხმა კულმინაციას აღწევს. ასე გგონია, კლდეები დაინგრევა მისი მქუხარე ხმისაგან...მოულოდნელად შეწყდა მუსიკა. ჩამოვარდა შემზარავი, წყევლაზე უფრო შემზარავი სიჩუმე და აი, ამ საშინელ მკვდარ სიჩუმეში გაისმა: „რაბინო, სტყუი“...

ვერიკო წარმოთქვამს ამ სიტყვებს ძალდაუტანებლად, მაგრამ შინაგანი სიძლიერით, მის ოდნავ წინ წამოწეულ ფიგურაში ისეთი ძალა იგრძნობა, რომ არავის აღარ უკვირს, თუ ამ გამკითხველი ქალწულის ძალა თვით ყოვლისშემძლე სანტოსსაც კი გააქცევს“.. **(14, გვ.83)**.

„...ვერიკო ანჯაფარიძის ივდითი განუმეორებელი ქმნილებაა ქართულ ხელოვნებაში. მისი მიუწვდომელი ელვარების საიდუმლო იმაშია, რომ ვერიკო განასახიერებს მარად ქალურს, მარად სიყვარულს, მარად ნათელს, მარად მომხიბვლელს...

ივდითის თემაც – სიყვარულისთვის, სიმართლისათვის ბრძოლა, ნათელი მოქალაქეობრივი პოზიცია, შეუპოვრობა, თავგანწირვა და კეთილშობილება ვერიკო ანჯაფარიძის ხელოვნების ძირითადი თემაა“... **(27, გვ.54)**.

ივდითის როლი სცენაზე ვერიკომ 301-ჯერ ითამაშა.

მარჯანიშვილი დიდი რეჟისორი იყო და იცოდა, რომ არ არსებობდა სპექტაკლის სწორი გადაწყვეტა, თუ მხედველობაში არ მიიღებდა მის შემსრულებელ მსახიობთა შესაძლებლობებს. „ურიელ აკოსტას“ მარჯანიშვილისეული დადგმა განპირობებული იყო ისეთი მსახიობების არსებობით, როგორიც იყვნენ ვერიკო, უშანგი, შალვა დამბაშიძე, ვასო გოძიაშვილი... მარჯანიშვილის მუშაობის საყრდენი ამ სპექტაკლზე მაინც ვერიკო იყო.

მაღალი და კეთილშობილი სურვილებისათვის იბრძოდნენ ვერიკო ანჯაფარიძის მიერ განსახიერებული ოფელია და ივდითი, ლარისა და გინატრე, მარგარიტა, მაყვალა, ანო და ეუხენია. ისინი ებრძოდნენ ისეთ სინამდვილეს, რომლის დაძლევის საშუალება არ გააჩნდათ და ამიტომაც ეწირებოდნენ ამ უხეშ ძალას.

ვერიკო ანჯაფარიძე ისეთი მსახიობი იყო, რომელსაც ჰქონდა თავისი შემოქმედებითი თემა, ჰყავდა თავისი ძირითადი რეპერტუარის გმირები, რომელთა განსახიერებითაც შევიდა იგი ქართველი მაყურებლის ცნობიერებაში.

სცენაზე ვერიკოს ქართველი ქალები იყვნენ: ფატი, ქრისტინე, გინატრე, მაყვალა, მზეთვალა, ანო, მზევინარი, ჯავარა, მედეა, დარეჯანი, ლეილა, ცაბუ...

ვერიკოს მიერ განსახიერებულ არა ქართველ ქალებსაც ივდითს, ოფელიას, მარგარიტას, მაშას, ნილას, ლიზას, ეკატერინე პავლოვნას, ლარისას, ჯესის, სვეტლანას, ფელისიანას, კლეოპატრას, მარიამ სტიუარტს, დიანა მიხაილოვნას, ვარვარა პეტრიჩის, გლორია პატერსონსა და სხვას – მუდამ თან სდევდა მისი აქტიორული ბუნების ნამდვილად ქართული ტემპერამენტი, პათოსი და პლასტიკურობა.

ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებითი ცხოვრების გზა ხანგრძლივი და რთული იყო, მაგრამ ის არასდროს არ ყოფილა სწორხაზოვანი –და უცვლელი პირდაპირობით მიმართუ-

ლი. მისი დრამატული და ტრაგიკული ხასიათის რეპერტუარი, ყოველი გმირის განსახიერებისას დიდ განცდებსა და დაბრკოლებათა გადალახვას მოითხოვდა. ამგვარი დაბრკოლებანი გმირთან შეხვედრის დროს, მართალია, როლის მასშტაბისა და ძალის თვალსაზრისით ყოველი მსახიობის წინ აღიმართება ხოლმე, მაგრამ ვერიკოსთანა მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე შემოქმედისათვის თუ როლი და მთლიანად დრამატურგიული ნაწარმოები არ პასუხობდა მის შინაგან დინებას ეს შეუთანხმებლობა შეიძლება მის წარუმატებლობის მიზეზად ქცეულიყო.

ვერიკოსთანა დიდი ოსტატი წარუმატებლობას მარცხამდე არ მიიყვანდა, მაგრამ ასეთ როლებს ჰქონდა შთაბეჭდილების ის ძალა, რომლის მიღებასაც მაყურებელი ვერიკოსაგან მოელოდა.

ვერიკო ანჯაფარიძეს ყოველთვის ძვირად უღირდა ის სიამოვნება, რომელსაც თავისი განცდებით იგი მაყურებელსა და საკუთარ შემოქმედებით სულსაც ანიჭებდა. მისი და მის მიერ მონიჭებული სიხარული და სიტკბოება მუდამ უმწვავესი განცდები იყო.

ვერიკო ანჯაფარიძეს არ უყვარდა სპექტაკლის მომზადების გაჭიანურება. „...გრძელი დრო ხანდახან კლავს ბევრ რამეს. როცა ყველაფერი ნათელია, თავად სპექტაკლი ერთი სუნთქვით უნდა გაკეთდეს, – ასე მუშაობდა მარჯანიშვილი. მისი ყოველი რეპეტიცია იყო მნიშვნელოვანი და საინტერესო“, –აღნიშნავდა ვერიკო ანჯაფარიძე.

ვერიკო ყველგან ერთი რწმენით ცოცხლობდა როლში – მას არასოდეს დაუზოგავს თავი. იგი მთელი არსებით ემსახურებოდა თეატრს. „სცენა ვერ იტანს გულგრილობას, უფერულობას, – თუ სცენაზე ხარ, თუ მსახიობის ურთულეს პროფესიას ეზიარე, მაშინ მთლიანად უნდა მიენდო მას. მთელი ძალა, სული და გული, სუნთქვა და აზრი, –ყველაფერი, ყველაფერი უნდა მისცე სცენას და აუცილებლად დაუზოგავად. თუკი ერთი წუთითაც რაიმეს დაიშურებ, სცენა გიმტრობს, –იგი ვერ იტანს პატარა და უმნიშვნელო გრძნობებს. სცენას ფართო და მღელვარე, დიდი და ღრმა, ცეცხლოვანი და მარად ცოცხალი გრძნობები უყვარს“, –უნერგავდა ახალგაზრდა მსახიობებს ვერიკო ანჯაფარიძე.

„...ქართულ ხელოვნებაში ვერიკო ანჯაფარიძის ივდითი განუმეორებელი ქმნილება იყო. კიდევ უფრო აღმტაცი და ღრმა იყო მისი დეზდემონას შინაგანი სურათი, დაუვიწყარია ვერიკოს გინატრე: ყოველი მისი სიტყვა, მოძრაობა გვამცნობს ტრაგიზმს გინატრეს ბედისას, ვერიკოს მარგარიტა ნახატი კი არა, მუსიკაა –სონატა ან კონცერტი. ვერიკოს ლარისას შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს რუსული თეატრის საუკეთესო ლარისებს, ჯავარას სახე ვერიკომ აიყვანა დიდ ტრაგიკულ სიმაღლემდე, ვერიკოს საუკეთესო როლი იყო მზეთვალა, ვერიკოს მიერ შექმნილი ყაზბეგის მაყვალა ის მთის ყვავილი არის, რომელიც გრძნობს მაღალი მთის ძლიერებას თავის ფესვებში და ყლორტებიდან დამათრობელ სურნელს აფრქვევს, მარიამ-სტიუარტში ვერიკო თავდაუხრელი ღირსებით ხვდება თავის ბედს. სიკვდილში ელისაბედ დედოფალზე მაღლა დგება, ესპანელი ქალის სულის მშვენიერება, მისი ადამიანური სიფაქიზე ესთეტიკური კატეგორიის სიმაღლემდე აიყვანა ვერიკო ანჯაფარიძემ.

და ყველა იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ ვერიკოს გმირებს ქალურობასა და მთელ სულიერ სიფაქიზესთან ერთად დაჰყვებათ ვაჟკაცობა და უდიდესი ნებისყოფა. ეს ხასიათი არის ენერგიული, ამაყი, თავისუფალი. ანჯაფარიძის გმირები თავგანწირვით იჭრებიან ცხოვრებაში და ვნებიანობითა და დაძაბულობით მოქმედებენ“... **(29, გვ. 127).**

„...მე ბევრი მითამაშია ტრაგიკული და დრამატული როლები, თითქმის ყველგან ვიტანჯებოდი, ვტიროდი და ვკვდებოდი... მიზიდავს როლები, რომელშიაც ვლინდება ადამიანის ხასიათის რთული კომპლექსი, საჭიროა წინააღმდეგობათა გადალახვა, ბრძოლა; როლები, რომელშიაც ადამიანის გრძნობები ღრმადაა ჩამარხული; როლები, რომელთა ქვეტექსტები ძნელი ამოსახსნელია და რომლებიც მთელი არსებით დაძაბვას მოითხოვენ; როლები, რომლებიც მოითხოვენ მთლიან, როლის წამყვან სიმართლეს; როლები, რომელთა წინაშე პატარად გრძნობ თავს.

მადლობელი ვარ ჩემი ბედისა, რომ ჩემს სიცოცხლეში კლეოპატრას შემახვედრა. ასევე ჩემი საყვარელი როლებია : ივდითი, მარგარიტა, მზევინარი, გინატრე, მედეა, ოთარაანთ ქვრივი.

...თავის დროზე ვოცნებობდი ჯულიეტას როლზე, უფრო გვიან ლედი მაკბეტზე და კურაჟზე“... **(27, გვ.108).**

დეტალებს დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანობისთვის. ვერიკოს პიროვნება ყოველთვის

განაპირობებდა მის შემოქმედებას და პირიქით. პიროვნებას და შემოქმედებას შორის ვინ მოშალა კავშირი?

„... მე მყავდა და, ძალიან ლამაზი იყო, მე კი ულამაზო. როცა ქუჩაში ორივენი ერთად დავყავდით, ხშირად მესმოდა, დედას ეუბნებოდნენ, ეს ნამდვილად შენი შვილია (ჩემი და), ეს კი (ესე იგი-მე) ვისა ჰგავსო, შენი არ იქნებაო. ეს იმდენად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ღამღამობით ცუდად მეძინა, ვტიროდი, ვშფოთავდი და დედა საშინლად წუხდა, ექიმებსაც მიმართეს, ძნელი იყო ჩემი დარწმუნება იმაში, რომ დედა-ჩემიცაა და არა მარტო ჩემი დისა!“, –იხსენებდა ვერიკო ანჯაფარიძე.

გავიდა წლები... იმ ულამაზო გოგონაზე აზრი შეიცვალა...

„...ამბობენ, თვალები სულის სარკეაო. ვერიკოს არაჩვეულებრივი თვალები აქვს. როდესაც მის სახელს ახსენებენ, პირველად მისი შესანიშნავი, ოქროს ნაპერწკლიანი თვალები გახსენდება. ვისაც ერთხელ უნახავს ისინი, მათი სამუდამო ტყვეა. შეუძლებელია მოშორდე მათ, გინდა უცქირო და მუდამ იგრძნო მათი შუქი და სითბო. როდესაც სცენაზე ხედავ ვერიკოს, აქაც ჯერ მის მზერას, მის თვალთა გამომეტყველებას ხედავენ და მხოლოდ ამის შემდეგ – სიტყვასა და მოძრაობას. მე არასოდეს არ მინახავს ვერიკოს თვალებში გულგრილი ან უბრალოდ მშვიდი, არაფრის მთქმელი გამომეტყველება. ისინი ან ყურადღებით შემოგცქერიან, ან ღელავენ, ან წუხან, ან მხიარულად ბრწყინავენ ოქროს ნაპერწკლებით. ვერიკოს თვალები ანარეკლია მისი მღელვარე და მუდამ ახალგაზრდული მოუსვენარი სულისა. ამ თვალთა და ვერიკოს მთელი არსების მომხიბლაობა იმდენად დიდია, რომ მაშინაც კი, როდესაც წინასწარ იცი, რომ იგი ცდება, ისინი, ეს ენით უთქმელი მშვენიერების მქონე თვალები, იმ წუთში მაინც გარწმუნებენ“, – წერდა თენგიზ კანდინაშვილი.

...ეს დიდი შინაგანი მომხიბვლელობა ვერიკო ანჯაფარიძის თანდაყოლილი მშვენიერება გახლდათ.

„...იგონებდნენ, რომ ქუთაისში, საღორიის ტყეში მზით განათებულ მდელოზე შეიკრიბნენ იმისათვის, რომ აღენიშნათ მეოცე საუკუნის დაწყება.

ზოგს –დაბრძენებულს, ზოგს – მეოცნებეს სწამს, რომ ეს საუკუნე დიდ შესაძლებლობათა და სიხარულის მფლობელია. აქ შეხვდებით დიდ პოეტს, ერის სიამაყეს – აკაკი წერეთელს, ლადო მესხიშვილს, ნიკო ნიკოლაძეს, კირილე ლორთქიფანიძეს, ნიკო ღოღობერიძეს, დავით მიქელაძესა და სხვა. აქვეა ძველი შლისერბურგელი გიორგი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, ულამაზესი ფატი-ბერი (ლ. ტოლსტოის ცოლის და), ნინო დადეშქელიანი, ნინო წერეთელი და ბაბილინა ერისთავი უმშვენიერეს ასულთა და ჭაბუკთა გარემოცვაში...

და, აი, ამ ბრწყინვალე ადამიანთა შორის, ახლად აყვავებულ იის სურნელით სავსე მდელოზე უეცრად გამოჩნდა პატარა გოგონა. ისიც წამოეყვანათ ამ დღესასწაულზე. ასაკმა და მომხიბვლელობამ გოგონა ერთბაშად აქცია მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრად. დიდმა მგოსანმა ხელში აიყვანა და საყოველთაო დასტურითა და სიხარულით ახალი საუკუნის კეთილ ფერიად გამოაცხადა – „შენ უნდა ასახელო ჩვენი საყვარელი სამშობლო მეოცე საუკუნეში, კარგად დაიხსომე“, – ღრმა გრძნობით და შთაგონებით უთხრა გოგონას ჭაღარა მგოსანმა.

პატარა გოგონამ – ეს იყო ვერიკო ანჯაფარიძე – გაამართლა დანაკისრები“...**(27, გვ.153)**.

მაშინ მგოსნის სიტყვებმა ყველა ააღელვა, ჩააფიქრა. მათ, შორის პატარა ვერიკოც. პოეტის იმედი, რწმენა ღრმად ჩარჩა მეხსიერებაში.

...ხელოვნების დიდ გზაზე ვერიკოს ფიქრი გამუდმებით თეატრს დასტრიალებდა.

„...დარწმუნებული ვარ, როგორც არ უნდა შეიცვალოს ჩვენი ხელოვნება, როგორი ფორმებიც არ უნდა მიიღოს თეატრმა, როგორი მიმართულება, მის მაცოცხლებელ ძალად მაინც დარჩება სიმართლისადმი სწრაფვა“, – მტკიცედ აცხადებდა ვერიკო ანჯაფარიძე.

საოცრებაა ხელოვნება... სულის შემძვრელია დიდი ხელოვანის ბოლო სიტყვები:

–„რა საჭიროა გზა, თუ იგი ტაძართან არ მიმიყვანს“, –ასეთია ერთ-ერთი ბოლო ფრაზა ამ დიდებული არტისტისა თენგიზ აბულაძის ფილმიდან „მონანიება“.

ვერიკო ანჯაფარიძემ თეატრში შექმნა ქართული აქტიორული ხელოვნების დიდი ეპოქა... ცოცხალი ლეგენდა...

....და ამიტომაც იგი ხელოვნების დიდმა გზამ ტაძართან მიიყვანა....

ასკეტიზმით ჩაკლული შემოქმედება

„კიდევაც რომ ევნოთ სიმართლისათვის,
ნეტარი ხართ“...

პეტრე მოციქული

მათ ოჯახში იკრიბებოდნენ საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია, გამოჩენილი მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები, საზოგადო მოღვაწეები. ბავშვობის შთაბეჭდილებანი უკვალოდ როდი ქრებოდა. ყველა ის საუბრები ბუნებრივად აღიბეჭდებოდა მის მეხსიერებაში.

გოგონას მამა–პროფესიით ინჟინერი ალექსანდრე ანდრიას ძე მარჯანიშვილი გატაცებული იყო ლიტერატურითა და თეატრით, ხოლო დედას მრავალმხრივ განათლებულ არისტოკრატ მანდილოსანს თავდავიწყებით უყვარდა მუსიკა. ლიზა ჭავჭავაძის შესრულებულ სიმღერებს, საქართველოს დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი არაერთხელ მოუხიბლავს და აუტირებია კიდეც.

ეს მიდრეკილებანი შვილებმა მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიიღეს. ნორჩი თამარის სიმღერებს აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი. მუსიკის სიყვარული კოტე მარჯანიშვილსაც გამოჰყვა. თბილისის პირველ გიმნაზიაში მოწაფეობისას იგი ორკესტრში – ტრომბონზე უკრავდა.

მამა რომ გარდაეცვალათ, თამარი შვიდი წლისა იყო, კოტე –4-ის. ბავშვებს ობლობა და მიუსაფარობა რომ არ ეგრძნოთ, ლიზა ჭავჭავაძე ჯერ თბილისში გადმოსახლდა, ხოლო შემდეგ მათთვის საუკეთესო აღმზრდელები მოიწვია.

მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული თამარი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებას მოსკოვის კონსერვატორიაში აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და პეტერბურგის უმაღლეს კურსებზე შევიდა. მომხიბვლელი, სათნო და განათლებული მარჯანიშვილის ქალი საიმპერატორო კარის წრის მანდილოსნებში ბრწყინავდა და მათ არაფერში ჩამოუვარდებოდა. თამარს დიდი მომავალი ელოდა. პედაგოგები აღფრთოვანებული იყვნენ მისი ნიჭიერებით, მაგრამ დედის მოულოდნელმა სიკვდილმა თამარ მარჯანიშვილის მიზნები და ოცნებები ერთი ხელის მოსმით დაამსხვრია. თამარმა უფროსს ძმას კოტე მარჯანიშვილს დაუჯერა, საქართველოში დაბრუნდა და მამულის მმართველობას მოჰკიდა ხელი.

მისი ცხოვრება ერთხელ სიღნაღში დეიდასთან სტუმრობამ და ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მონახულებამ თავდაყირა დააყენა. მონასტრის მშვიდმა გარემომ, საღმრთო ლიტურგიამ იმდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა მის სულზე, რომ მონაზვნად აღკვეცა გადაწყვიტა.

ასკეტური ცხოვრების სურვილის ჩასახვამ თამარი თავის ნაჭუჭში მოაქცია. ახლობლებმა, მისთვის მონასტერში წასვლა, რომ გადაეფიქრებია თბილისშიც ჩამოიტყუეს, გასართობად ათას ადგილას დაჰყავდათ. „მახსოვს, ვიჯექი თეატრში და სკვნილზე ვლოცულობდი ხოლმეო“, – ჰყვებოდა თურმე თამარი.

ასკეტურმა ცხოვრებამ, თვითგადარჩენაზე ზრუნვამ თამარ მარჯანიშვილში ღვთითბოძებული შემოქმედებითი ნიჭი და ტალანტი ჩაკლა, რადგან შემოქმედისაგან უპირველესად დაძაბული მოქმედება, სწრაფვა პირველყოფილი თავისუფლებისაკენ მოითხოვება და არა ასკეტური გმირობა თვით სრულყოფილებისათვის...

„....მაგრამ თამარ მარჯანიშვილმა ისიც კარგად უწყოდა, რომ საქართველოს ისტორიაში, კულტურისა და სულიერი ცხოვრების განვითარებას უპირველესად ბერ-მონაზვნებმაც დაამჩნიეს ღრმა კვალი.

თვითმხილველნი ამბობდნენ: –„მონაზვნად აღკვეცისას თამარს თავს თეთრი მტრედი დაჰფარფატებდა“-ო. მონაზონს სახელად იუბენალია უწოდეს, ხოლო სქემის შემოსის შემდეგ დედა –ფამარი (თამარი) დაარქვეს.

1902 წელს, როცა ბოდბის მონასტრის წინამძღოლი მოსკოვში გადაიყვანეს, მის ადგილზე იუბენალია განაწესეს. მონასტერს იგი სამი წელი მართავდა.

დედა იუბენალია, იფარავდა და იცავდა ყველას, სადამდეც კი ხელი მიუწვდებოდა. სამშობლოსათვის მხურვალე ღვთისმსახურის ქმედება ყველას როდი მოსწონდა. განაწყენებული რევოლუციონერები ერთხელ თბილისისაკენ მიმავალ ბოდბის მონასტრის წინამძღოლს

თავსაც კი დაესხნენ და იღბლად კაზაკებმა იხსნეს. მეეტლე სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, ხოლო ეტლი ტყვიებით იყო სავსე. დედა იღუმენიასა და მის თანმხლებ მონაზვნებს ტყვია სამოსზედაც კი არ გაჰკარებოდა. აშკარა საფრთხის გამო დედა იუბენალია, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, მოსკოვის პოკროვის საზოგადოების წინამძღვრად გადაიყვანეს. ამ საზოგადოების წევრები მოწყალების დებად მუშაობდნენ. დედა იუბენალიას კი განმარტოებით ცხოვრება სურდა.

ერთხელ, ღვთისმშობლის ხატის წინ მლოცველს, ხატიდან ხმა მოესმა: „ააგე სკიტი არა მარტო შენთვის, არამედ სხვებისთვისაცაო“. ეს საოცარი გამოცხადება რამდენჯერმე განმეორდა. ამ ღვთიური კარნახით დაარსდა ახალი მონასტერი – სერაფიმო ზნამენსკოეს განდეგილ დედათა სავანე, რომელმაც თორმეტი წელი იარსება და მკაცრი ასკეტური ცხოვრების წესით გამოირჩეოდა. საგულისხმოა, ის ფაქტიც, რომ სავანის ტაძრის ერთ-ერთი ტრაპეზი წმ. ნინოს სახელზე იყო ნაკურთხი.

პირველი მსოფლიო ომის დროს, მონასტრის გვერდით განთავსებული იყო სამხედრო ჰოსპიტალი. აქ, მოყვანილ ე.წ. მეგრელთა პოლკის დაჭრილ ქართველ ვაჟკაცებს დედა ფამარი (თამარ მარჯანიშვილი) გამუდმებით უშურველად ეხმარებოდა. ომს მერე რუსეთში რევოლუცია, დევნა და ტერორი მოჰყვა. 1918 წლის 26 მაისს, როცა მის სამშობლოში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობის დროშა ააფრიალა, ღირსეული და მოსიყვარულე დედა ფამარი მამულის თავისუფლებისათვის სიცოცხლესაც კი არ იშურებდა.

სამი წლის შემდეგ, როცა ბოლშევიკურმა რუსეთმა ჩექმით გადათელა და დაამხო ნანატრი თავისუფლება, თამარ მარჯანიშვილი შორეული რუსეთიდან ცდილობდა ოკუპირებული საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ თანამემამულეთა დახმარებას, რომლებიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით იბრძოდნენ. აჯანყება ჩაიშალა და ქვეყანა სისხლის მდინარეებმა მორწყო. სამართლიანობისა და თავისუფლების აღდგენის სულიერი მხარდაჭერისათვის სერაფიმო-ზნამენსკოეს დედათა სავანე საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა. 1931 წელს დედა ფამარი ამბოხებულთა თანადგომისათვის დააპატიმრეს. ციხეში ჩასვეს მისი მორჩილებიც. დედა ფამარს ხუთი წლით ირკუტსკის ოლქში გადასახლება მიესაჯა. საოცარი მხნეობით შეხვდა განაჩენს. გამგზავრებამდე პატიმარი მორწმუნე თუ ურწმუნო, ქურდი თუ მეძავი მიდიოდა მასთან და ხელზე ეამბორებოდა. ათასი ჯურის პატიმართა შორის იგი საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. დედა ფამარი ირკუტსკიდან 200 კმ-ის მოშორებით ერთ მიყრუებულ ადგილას გადაასახლეს.

„მოხარული ვარ, რომ ტანჯვის ფიალა გაცილებით ძნელი შემხვდა, ვიდრე ჩემს სულიერ შვილებს... ალბათ ასეც იყო საჭირო, რომ ცოდვებისაგან განსაწმენდად, ახლობლებისაგან შორს, სულიერ მარტოობაში დამელია სული“, – იწერებოდა გადასახლებიდან.

ლოცვამ, ნებისყოფის სიმტკიცემ, რწმენამ, სამშობლოს სიყვარულმა, გულში მალულად ჩაქსოვილმა იმედის ნაპერწკალმა გადაატანინა მას გადასახლებაში ყოფნის მძიმე წუთები. სისხლიანი რეპრესიების დროს მილიონობით ხალხი იყო გაწყვეტილ-განადგურებული, ცოცხლად დამარხული, უუფლებოდ დარჩენილი, დაკნინებულ-დაჩაჩანაკებული.

დედა ფამარი დღისით პატიმრებს ამშვიდებდა და ამხნევებდა, ღამეებს ლოცვაში ატარებდა, გამთენიის ხანს თუ მიიძინებდა... მოგუგუნე საკანი თვალის დახამხამებაში გაჩუმდებოდა. –„დედას სძინავს, დედა ისვენებსო“, – ერთმანეთს აფრთხილებდნენ...

დის მძიმე სვე-ბედით შეძრწუნებული კოტე მარჯანიშვილი დახმარებისათის ვის არ მიმართავდა. სერგო ორჯონიკიძეს უბრძანებია თურმე: „რეჟისორ მარჯანოვს ურჩევნია, სრულიად დაივიწყოს, რომ და ჰყავსო“. ამ დოგსოპულომ იგივე განაცხადა ვაჟა ფშაველას შვილის ვახტან რაზიკაშვილის დახვრეტისას: „თვით ვაჟა-ფშაველაც რომ იდგეს მის ადგილას იმასაც დავხვრეტდიო“...

...კომუნისტებს ყოველთვის ხელს აძლევდა გაუნათლებელი, უხერხემლო ბრბო. ამიტომ იყო, რომ ისინი ხან აშკარად და ხან ფარულად ებრძოდნენ კოტე მარჯანიშვილისა და დედა ფამარის თავისუფალ სულსა და მაღალ ზნეობას. სწორედ, ამ ბრბომ გამოჭრა ყელი, დაამხო მათი ზეობაც, მაგრამ საუბედუროდ, მათ მიერ დარგული სარეველა დღესაც ხარობს და ყელყელაობს.

რუსეთის იმპერიის მიერ დატყვევებულ ქართულ სულიერებაზე ბრძნულად იწინასწარმეტყველა ახალგაზრდა გენიოსმა, როცა თქვა: „...ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება?!“...

ბოლოს დედა ფამარს მისი მზრუნველი და მოსიყვარულე ძმა კოტე მარჯანიშვილიც გამოეცალა ხელიდან.

აბელ ენუქიძემ როგორც იქნა, მოახერხა დედა ფამარის გათავისუფლება. მონაზონს ნება დართეს, სადგურ პიონერსკაიასთან დაედო ბინა. გადასახლების გაუსაძლისმა პირობებმა გატეხა დედა ფამარის ჯანმრთელობა და დაჭლექდა.

ალექსანდრე მარჯანიშვილის სულით ძლიერსა და გაუტეხელ უმშვენიერესს ასულს ძალიან უყვარდა საქართველო. იგი ყველას დარდისა და სიხარულის გამზიარებელი გახლდათ. სამონაზვნო სამოსის ქვეშ განდეგილის ჯაჭვს ატარებდა თურმე. შიშველ ფიცარზე ეძინა.

...ან ეძინა კი?!...

დედა ფამარმა თავისი მიწიერი სიცოცხლის დიდი ნაწილი სამშობლოდან შორს გაატარა, მაგრამ გულში ხატად საყვარელი საქართველო მუდამ ჩაბუდებული ჰყავდა, რომელთანაც სულითა და ხორცით იყო დაკავშირებული და ყოველწამიერ ფიქრობდა მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

იგი გათავისუფლებიდან სამი წლის შემდეგ აღესრულა და მის დაღლილ, დატანჯულ სხეულს სამშობლოში საკუთარი აკალდამაც არ ეღირსა. დედა ფამარის ნაწამები სხეული მოსკოვში, ვადენოს მთაზე დაკრძალეს.

ეს იყო კიდევ ერთი სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულ და შეწირულ მამულიშვილის ბედის ირონია.

თამარ მარჯანიშვილი მუდამ ფუფუნებაში იზრდებოდა, მაგრამ მოწამეობრივი გზა აირჩია. მისი სახით საქართველომ დიდი ხელოვანი და შემოქმედი მუსიკოსი დაკარგა, მაგრამ თავისი მოწამეობრივი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ღირსი და წმინდა დედაოს სახელი დატოვა, რაც ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში მუდამ დაუვიწყარი იქნება.

სწორედ სულიერ დედა ფამარზე იყო ნათქვამი პეტრე მოციქულის სიტყვები: „კიდევაც რომ ევნოთ სიმართლისათვის, ნეტარნი ხართ; მაშ, ნუ შიშობთ მათი შიშით და ნუცა ძრწით, რადგან თუ ღმერთს ნებავს, უმჯობესია, კეთილ საქმეთათვის ევნოთ, ვიდრე ბოროტისათვის“...

თამარ მარჯანიშვილის ფოტოები

მონაზონი დედა იუბენალია

მოსკოვის პოკროვის
საზოგადოების წინამძღვარი
დედა ფამარი

დედა ფამარი
გადასახლებიდან
დაბრუნების შემდეგ

ზღვასავით შემართული

„მოჰკვდები ნამუსიანად, ეგრე სიკვდილი სჯობია“.

ვაჟა

ქუთაისში ამბობდნენ, – „ანდრია მარჯანიშვილი ზღვასავით შემართული კაცი იყო და მისი გენი შთამომავლებს არ ასვენებდაო“...

„სიყრმიდანვე ზღვის სტიქიონზე რომანტიკულად შეყვარებული, მოგზაურობის მოტრფიალე გახლდათ ანდრიას უმცროსი შვილიშვილი ვლადიმერ (ლადო) მარჯანიშვილი. კოტესავით არც ალექსანდრე მარჯანიშვილის ნაბოლარა შვილს ლადო მარჯანიშვილს დაუმთავრებია ბოლომდე თბილისის თავად-აზნაურთა გიმნაზია. კოტემ მსახიობობა დაიწყო, ლადომ, რომელსაც ზღვის უკიდეგანო სივრცეები იზიდავდა, მეზღვაურობა აირჩია. ოჯახი წინააღმდეგი იყო მისი ამ გადაწყვეტილებისა, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა“. **(43. გვ. 18).**

ლადო მარჯანიშვილმა თანმიმდევრულად განვლო რჩეული პროფესიის ყველა ეტაპი –უბრალო მეზღვაურიდან დაწყებული შორეული ნაოსნობის შტურმანამდე დამთავრებული. ვინ იცის აბობოქრებულ ოკეანეში, საშინელი ქარიშხლის დროს რამდენჯერ იყო ბეწვზე დაკიდებული მისი სიცოცხლე. მან არაერთხელ გადასერა ხუთივე კონტინენტის ზღვები და ოკეანეები,კუნძულები და ყურეები,იყო უცხო ქვეყნების ნავსადგურებში. საბოლოოდ ლადო მარჯანიშვილი, 1901 წლიდან, ფოთში დამკვიდრდა. იგი სამი ათეული წლის მანძილზე მუშაობდა ფოთის პორტის ზედამხედველად, შორეული ნაოსნობის კაპიტნად და მთავარ ლოცმანად.

ამ დროს ფოთის ქალაქისთავი იყო ნიკო ნიკოლაძე, რომლის მეთაურობით ქალაქის აღმშენებლობის საქმეში თავდადებით ჩაება ლადო მარჯანიშვილიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ ამ ფოთის განთავისუფლებისათვის იბრძოდა რუსეთის ჯარებთან ერთად მისი ბაბუა ანდრია მარჯანიშვილიც. ცნობილია, რომ რუსეთის ესკადრა ფოთის აღებისათვის ორი წელი ემზადებოდა. ამ ოპერაციის განსახორციელებლად რუსეთის ჯარს დიდი დახმარება აღმოუჩინა გურია-სამეგრელოს შეიარაღებულმა რაზმებმაც.

„აქ ქართველთა და რუსთა ჯარებს გენერალი დ. ორბელიანი სარდლობდა. ციხეში გამაგრებული თურქთა გარნიზონი ძლიერი აღმოჩნდა და ამიტომ ბრძოლა გაჭიანურდა. თურქებს დასახმარებლად სამხრეთის მიმართულებით მრავალრიცხოვანი რაზმებით შერიფ ფაშა მოეშველა. აღნიშნულ რაზმებს მოულოდნელად ზურგიდან თავს დაესხნენ გურულთა რაზმები. თავზარდაცემული თურქის ჯარების დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე დაიღუპა, ნაწილი კი გაიფანტა. ფოთის გამოხსნისათვის ბრძოლაში გურულ რამზებთან ერთად აქტიურად მოქმედებდნენ სამეგრელოს მთავარ ლევან მეხუთე დადიანის შეიარაღებული რაზმებიც.

ფოთისა და მისი ციხე-სიმაგრის თურქეთისაგან განთავისუფლების დროს სამეგრელოს შეიარაღებული რაზმის აქტიური მოქმედებისათვის რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ლევან დადიანი ბრილიანტით შემკული ოქროს მედლით დააჯილდოვა“... **(43, გვ. 20).**

მაშინ ფოთის აღებაში მონაწილეობისათვის მაიორის ჩინი უბოძეს ანდრია მარჯანიშვილს. ასე, რომ ბაბუის მიერ განთავისუფლებულ საზღვაო კარიბჭე – ქალაქ ფოთში მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მოღვაწეობდა მისი უფროსი ვაჟის ალექსანდრე მარჯანიშვილის ნაბოლარა შვილი ლადო მარჯანიშვილი.

პირველი მსოფლიო ომის წლებში (1914-16) იგი ახორციელებდა მეტად სახიფათო ღონისძიებას: რუსეთის სამხედრო ფლოტი უვნებლად გაჰყავდა გერმანელების მიერ – ღობურებით შეკრულ ღია ზღვაში. შავი ზღვის ნაოსნობის მუშაკები კარგად იცნობდნენ და დიდ პატივს სცემდნენ ფოთის პორტის მთავარ ლოცმანს ლადო მარჯანიშვილს, ურომლისოდაც დიდი წყალწყვის ვერცერთი გემი ვერ შევიდოდა და ვერც გამოვიდოდა ამ ქალაქის გემთსადგომიდან. ლოცმანის კატარღით თუ ნავით იგი ღია ზღვაში ხვდებოდა ფოთში მომავალ გემებს,იკავებდა კაპიტნის ბოგურას და გემის ეკიპაჟის ეროვნულობისდა მიხედვით, სათანადო განკარგულებებს იძლეოდა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ ან ბერძნულ ენაზე. იგივე მეორდებოდა მარგანეცით თუ სხვა საქონლით

დატვირთული გემების დია ზღვაში გაყვანისას. მაგრამ მარტო ამ საპასუხისმგებლო მუშაობით როდი იფარგლებოდა ლადო მარჯანიშვილის საქმიანობა.

როგორც ყველა ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლებს მასაც სულში ჩაბუდებული ჰყავდა დემონი. ეს იყო თეატრალური ხელოვნების ძალისხმევით თავისუფლებისაკენ სწრაფვა. პირველად დამოუკიდებელ საქართველოში, 1918 წლიდან, ჩაუდგა იგი სათავეში ფოთის საბავშვო თეატრს და მას მთელი 16 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. „ზღვის მგელი“, მრისხანე წყლის სტიქიონთან შერკინებული გამობრძმედილი მეზღვაური და საბავშვო თეატრის რეჟისორი ლ. მარჯანიშვილი ორ რადიკალურად განსხვავებულ პროფესიას ერთმანეთს ჰარმონიულად უთავსებდა.

ლადო მარჯანიშვილი სიყრმიდანვე გატაცებული იყო თეატრალური ხელოვნებით. მან ყვარელში გამართულ სპექტაკლში უფროს და-ძმასთან ერთად ჩინებულად შეასრულა თურმე „ბუზღუნა პოჩტმაისტერის“ კომიკური როლი. ნათლად ჩანდა, რომ მისი გენეტიკური კოდი წლების განმავლობაში მეხსიერების სიღმეში ჩუმად ესვენა და სათანადო პირობებში მოხვედრისთანავე მან პრაქტიკული გამოვლინება მაშინვე ჰპოვა.

სამსახურიდან თავისუფალ დროს ვლ. მარჯანიშვილი ადგილობრივ სცენისმოყვარეთა წრეებთან მთელი გულითა და მონდომებით მუშაობდა. მის დადგმულ სპექტაკლებს ხალისით ესწრებოდა ქალაქის მოსახლეობა. ლადო ფოთის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიაში მეცადინეობას ქართულ და რუსულ ენაზე ატარებდა. პირველად მოსწავლეებისაგან შემდგარმა წრემ პატრიოტული პიესა „ომში“ წარმოადგინა. 1918 წლის საშობაოდ დადგმულ პირველ სპექტაკლის პროგრამაში შედიოდა: მინიატურული სცენები, დეკლამაცია, ფორტეპიანოზე დაკვრა, სიმღერები და ცეკვები. სწორედ ამ კონცერტებმა ლადო მარჯანიშვილის გულში საბავშვო თეატრის შექმნის სურვილი აღძრა.

იმ დროს, 1918 წელს, რუსეთში დაარსდა „თეატრი ბავშვებისათვის“. მოსკოვის გარდა ასეთი თეატრები იყო პეტერბურგში, სარატოვში და სხვაგანაც.

რუსეთის საბავშვო თეატრის ანალოგი საქართველოში არ არსებობდა, რადგან რუსეთის საბავშვო თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობდნენ მხოლოდ პროფესიონალი მსახიობები და მოცეკვავეები. ხოლო ფოთის საბავშვო თეატრი იყო პირველი კულტურის კერა, სადაც ნორჩი თაობის მხატვრულ –ესთეტიკური აღზრდა თვით ბავშვების უშუალო მონაწილეობით ხორციელდებოდა.

საბავშვო თეატრით ლადო მარჯანიშვილი ძალიან გატაცებული იყო. მან ოც სცენისმოყვარე ბავშვთან ერთად, 1919 წელს, ბრწყინვალედ დადგა სპექტაკლი „მხიარული თოჯინები“ ფორტეპიანოს თანხლებით. 8-10-12 წლის „მსახიობებმა“ და „მოცეკვავე“ გოგო-ბიჭებმა ბავშვური უშუალობით გადმოსცენ პიესის მიამიტი და მიმზიდველი შინაარსი.

ამ პიესის დადგმით საქართველოში საძირკველი ჩაეყარა პირველ საბავშვო თეატრს. „მხიარულ თოჯინებს“ მოჰყვა პიესები: „ჩექმებიანი კატა“, „ტყის ზღაპარი“, „ამურის შურისძიება“ და „ივანოვ პაველ“, რომლებშიც ნორჩ შემსრულებლების გარდა უფროსი კლასების მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ.

მაყურებელთა განცვიფრებასა და აღმაფრენას იწვევდა სპექტაკლის მონაწილეთა ძალდაუტანებელი სცენური მოქმედება, ზღაპრული დეკორაციები და სცენის კოლორიტული გაფორმება. 20-იანი წლების ქალაქ ფოთის კულტურულ კერას მხოლოდ კინოთეატრი „კომეტა“ წარმოადგენდა და ამიტომ ლადო მარჯანიშვილის საბავშვო თეატრი ფოთის საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. რეჟისორ ლ. მარჯანიშვილს გვერდში დაუდგნენ: გიმნაზიის დირექტორი და შემდგომში გამოჩენილი მეცნიერი სერგი დანელია, მასწავლებელი ლ. ანტიპოვა, მისი ქალიშვილები ნინო და თამარ მარჯანიშვილები.

თეატრის მუშაობას ბევრი დაბრკოლება აფერხებდა. საბავშვო თეატრს არ გააჩნდა საკუთარი შენობა, კოსტუმები, თანხა. ლ. მარჯანიშვილს თავის სახლიდან გამოჰქონდა ოჯახის წევრთა სამოსელი, ქსოვილები, სცენისათვის საჭირო საოჯახო ნივთები, ინვენტარი.

ასე, რომ თეატრის წარმატება მთლიანად ენთუზიაზმზე იყო დამოკიდებული და თავადაც უსასყიდლოდ მუშაობდა. 1921-24 წლებში საბავშვო თეატრმა განახორციელა ბევრი ახალი პიესის დადგმა: „თოვლის ფიფქები“, „კატის სახლი“, „პატარა იდას ყვავილები“, „ჯადოსნური ქოხი“, „ტყის ზღაპარი“, „ზღაპარი ფოთოლცვენაზე“ და სხვა.

აქვე საყურადღებოა ისიც, რომ 1929 წელს ქუთაისში ლადოს უფროსმა ძმამ საყოველთაოდ აღიარებულმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა ქუთაისის მუსიკალურ სკოლაში დადგა საბჭოთა თეატრში პირველმა საბავშვო ოპერა –შ. თაქთაქიშვილის „პირველი მაისი“ („ბრძოლა“). აშკარა იყო, რომ ძმები მარჯანიშვილები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე რჩებოდნენ თეატრალური ხელოვნების თაყვანისმცემლები და თავისუფლებისაკენ სწრაფვას მოზარდებშიც ბავშვობიდანვე ნერგავდნენ.

1921 წელს ლ. მარჯანიშვილმა საბავშვო თეატრთან ჩამოაყალიბა ქართული დასი, რომელმაც დიდძალი ახალგაზრდობა მიიზიდა. ქართული დასის ძალებით დაიდგა შემდეგი პიესები: ი. გედევანიშვილის „სინათლე“, „სურამის ციხე“, მოლიერის „ძუნწი“, „ზღაპარი ფოთოლცვენაზე“... სპექტაკლები მუსიკალურად გააფორმა თამარ მარჯანიშვილმა, რომელიც მისი მამიდის დედა ფამარის მსგავსად მუსიკალური ნიჭით იყო დაჯილდოებული და ორივეს ნიჭი ულმობელი ბედისწერით უდროოდ ჩაიფერფლა. ორთავეს სიცოცხლე ავმა სენმა ჭლექმა შეარყია და იმსხვერპლა. უმცროსი თამარ მარჯანიშვილი სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში პროფესორ ზელიონაიას კლასში.

საბავშვო თეატრის დირიჟორი იყო პავლე ხუჭუა, რომელმაც თხუთმეტი დამკვრელისაგან შემდგარი „ნეაპოლური ორკესტრი“ მანდოლინებისა და გიტარების შემადგენლობით ჩამოაყალიბა.

ფოთის სასკოლო და საწარმოო დაწესებულებებში მხატვრული თვითშემოქმედების ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან ერთად ლ. მარჯანიშვილი საბავშვო თეატრსაც დიდ დროსა და ენერგიას უთმობდა. თეატრით იყო გატაცებული ლადოს უფროსი ქალიშვილი ნინო და მისი ვაჟიც იური მარჯანიშვილები, რომლებიც საბოლოოდ ხელოვნების გზას არ გაჰყვნენ. ნინო ინჟინერი გახდა, მან 10-მდე უცხო ენა იცოდა და მუშაობდა თარჯიმნად და მთარგმნელად უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში. იური მეცნიერ-მუშაკი იყო.

თავისი უფროსი და-ძმის დედა ფამარისა და კოტეს მსგავსად ლადო მარჯანიშვილიც გულით ატარებდა დამოუკიდებელ და თავისუფალ სამშობლოზე ოცნებას. ბოლშევიკური რუსეთის მიერ მის ხელმეორე ოკუპაციას მწვავედ განიცდიდა. იგი თავისი მრწამსით ქაქუცა ჩოლოყაშვილის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული.

„...მამას 1923 წლის ბოლოს უკვე ინკოგნიტოდ სამშობლოდან წასვლაც გაუჭირდა. პირველად მიდიოდა ზღვით-ფოთიდან ვლადიმერ მარჯანიშვილის პასპორტით. ზღვა ისე ბობოქრობდა, რომ ნავით წასული, ისევ გამოსტყორცნა ჩვენს სანაპიროზედ და ჩაეშალა წასვლა. მეორედ წავიდა ხმელეთით და ახალციხიდან ცხენით გადავიდა“, – წერდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის დავით ვაჩნაძის ქალიშვილი.

სისხლიანი ბოლშევიკური რუსეთის მძვინვარების დროს დავით ვაჩნაძისადმი დახმარება გმირობის ტოლფასი იყო. რადგან 1922 წლის აგვისტოს ხევსურეთის აჯანყების მომზადებაში დ. ვაჩნაძეს დიდი წვლილი მიუძღოდა. „...1923 წლის გაზაფხულზე „სამხედრო საიდუმლო შტაბის“ ჩავარდნისა და მის წევრთა დახვრეტის შემდეგ იგი არალეგალურ მოღვაწეობაზე გადავიდა. მასვე დაევალა, 1923 წლის აგვისტოში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, 3 თვით ოსმალეთში გადასვლა და სამხედრო და მატერიალური დახმარების მოთხოვნა. ამ მიზნით, „სექტემბერსა და დეკემბერში, ფოთიდან მისი ოსმალეთში გაპარვის ცდა, ზღვის ღელვის გამო, მარცხით დამთავრდა; მხოლოდ მომდევნო, 1924 წლის თებერვლის ბოლოს შეძლო დ. ვაჩნაძემ ახალციხის გზით საზღვრის გადალახვა და ოსმალეთში შეღწევა“... **(39, გვ.68).**

ლადო მარჯანიშვილის თავგანწირვასა და სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა დახმარებაზე მოგვითხრობდა ემიგრაციაში მყოფი დავით ვაჩნაძე გაზეთ „ახალი ივერიის“ ფურცლებიდან.

გამოჩენილი ფრანგი მწერალი და პოლიტიკოსი ჟან დე ლა ბრიუერი ამბობდა, რომ „განდიდების მხოლოდ ორი მიზეზი არსებობს: „თავისი გაქნილობა ან სხვების სისულელე“. ლადო მარჯანიშვილს თავისი ღვაწლის წარმოსაჩენად არც ერთი ამ ღირსების შემბღალავი ქმედებით არასოდეს უსარგებლია. თავდადებული საქმიანობით მას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული საბავშვო თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. იგი ახალგაზრდებში სამშობლოს სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობის განმტკიცებას,

ხელოვნებისადმი მისწრაფებასა და სიყვარულს, სინათლის, სიკეთის გამარჯვებას ბნელეთსა და ბოროტებაზე მაღალეთიკური ნორმების ჩანერგვის გზით ახერხებდა...

დაძაბულ შრომაში გატარებულმა ათეულმა წლებმა ლადო მარჯანიშვილის ჯანმრთელობა შეარყია. მასაც თავის ძმასავით გულმა უღალატა. ლადო და მისი და იღუმენია დედა ფამარ მარჯანიშვილი ორთავე ერთ წელიწადში, 1936 წელს, გარდაიცვალნენ.

... მოვა დრო და მომავალი თაობა დააფასებს ამ იშვიათი კაცის ღვაწლს, მაღალ ნიჭს, ცოდნას, უდრეკ ენერგიას საბავშვო თეატრის განვითარების საქმეში, რომელიც ობოლი მარგალიტივით მოკრძალებით ბრწყინავს ქართული თეატრალური ხელოვნების გზასავალზე.

ვლადიმერ მარჯანიშვილმა სიკვდილის ბოლომდე მართალი სინდისით იცხოვრა და ბევრი გააკეთა თუ ცოტა გააკეთა თავისი ადამიანური ღირსება არასოდეს შეუბღალავს.



მეზღვაური და რეჟისორი
ვლადიმერ (ლადო) მარჯანიშვილი

მარჯანიშვილთა სახლი ყვარელში

ფოთის საბავშვო თეატრი

ღირსეული მამის ღირსეული მემკვიდრე

„პიროვნება მხოლოდ გზაა. ადამიანი, რომელიც ამ გზას ირჩევს –აი, რა არის უმთავრესი“.

ეგზიუპერი

„...თუკი რამე მწამს, შენი იმედი მაქვს –შენ კაცი გამოხვალ, ნამდვილი კაცური კაცი, საამისოდ ძალიან მდიდარი ბუნება გაქვს...

...ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო პატარა მეგობარო! დიდი, ძალიან დიდი ხანია შენთან არ მისაუბრია, და, სიმართლე უნდა ითქვას, ეს ისე იშვიათად ხდება, რომ ალბათ არც კი ელოდები ჩემს წერილებს. მე უკვე ორმოცდამეექვსე წელში ვარ, და მთელს ჩემს ცხოვრებაში, რომელიც საშინელი და უცნაური ნახტომებითაა აღსავსე, მქონია ისეთი ეტაპები, როდესაც მცირე ხნით შევჩერდებოდი და ჩავფიქრდებოდი, სანამ ახალ ნახტომს გავაკეთებდი ზევით, ქვევით ან განზე.

ასე მგონია, რომ ახლაც ასეთი ეტაპის წინაშე ვარ. ჩემს სულში იდუმალი სიჩუმე დასადგურდა, ასე ხდება ბუნებაში ჭექა-ქუხილის წინ, ახლაც რაღაცას მოველი საკუთარი თავისაგან–ალბათ კვლავ რაღაც მოხდება.

როდესაც დავაუკაცდები და ადამიანის არსი დაგაინტერესებს –განგაცვიფრებს მამაშენის ყოვლად უცნაური არსება. საყვარელო კოტიკო, თითქმის ავტობიოგრაფიას ვწერ, თანაც ისეთს, რომელშიც ჩემთვისაც კი ბევრი რამ გაუგებარია...

„...ისე დახლართულია ჩემი ცხოვრება, და როდესაც დგება ისეთი წუთი, როგორიც ახლაა და მე გაოცებით ვაკვირდები საკუთარ თავს, ჩემი ფიქრები უნებურად შენსკენ მიიღტვიან. ბევრი წელიწადი გაივლის, როცა შენ მხოლოდ მოგონებაღა დაგრჩება ჩემზე. ხშირად დაფიქრდები იმაზე, თუ რა ვიყავი მე.

...ახლა ჩემს სულში იდუმალება, გარინდებული სიჩუმე სუფევს... ისეთი სიჩუმე, როგორიც გაავდრების წინ იცის ხოლმე. ვიცი, უნდა ატყდეს ჭექა-ქუხილი და უნდა გავაკეთო ნახტომი... საით... როდის? –არ ვიცი, მაგრამ ველოდები კი“, – წერდა კოტე მარჯანიშვილი თავის შვილს.

კოტე მარჯანიშვილს განუმეორებელი სიყვარულითა და თავდავიწყებით უყვარდა თავისი ერთადერთი ვაჟი, მემკვიდრე და გვარის გამგრძელებელი კოტიკო მარჯანიშვილი. იგი 1903 წლის 13 აგვისტოს დაიბადა მოსკოვში. ეს ის დრო იყო, როცა კოტე მარჯანიშვილმა მსახიობობას თავი დაანება და თეატრის დიდი კარიბჭე შეაღო, როგორც რეჟისორმა, რათა თავისი შინაგანი სამყარო სხვის სულში გაეხსნა.

„.... მაშ ასე, 1903-04 წელი ჩემი აქტიორობის უკანასკნელი წელიწადია!

რეჟისორულმა წარმატებებმა, თავმომწონეობამ ოცდაათი წლის ახალგაზრდის, რომელიც სრული ბატონ-პატრონია დიდი თეატრისა, საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემი სვე-ბედი: ამიერიდან მე მხოლოდ რეჟისორი ვარ“, –აცხადებდა კოტე მარჯანიშვილი.

„...მარჯანიშვილი კოტიკოზე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ლაპარაკობს. ეს ჭაბუკი, თურმე, მეტად ნიჭიერი მათემატიკოსი და პოეტი ყოფილა. საუცხოოდ იცნობს მუსიკას, თეატრს. ერთი სიტყვით, მამამისის ღირსეული შვილია“, –აღნიშნავდა კომპოზიტორი თამარ ვახვახიშვილი.

ღმერთმა ადამიანს უბოძა ნიჭი, ტალანტი, გენია და ქვეყნიერება, რომელშიც და რომლის საშუალებითაც ხორციელდება შემოქმედების აქტი. ღმერთი მას ეძახის შემოქმედებისათვის ყველა დარგის ხელოვნებაში, გამოგონებებში, აღმოჩენებში, შემეცნებაშიც, ფილოსოფიაშიც, რათა ადამიანმა თავისი მაღალი მოწოდება აღასრულოს. ღმერთი ელოდება პასუხს ამ გამოწვევაზე.

და დიდი რეჟისორის შვილმა კონსტანტინე მარჯანიშვილმა უფლის მადლით ეს გამოწვევა მიიღო და თავისი მოწოდება აღასრულა. მან 1924 წელს წარმატებით დაამთავრა ლენინგრადის უნივერსიტეტი და საზღვარგარეთ გაემგზავრა, სადაც „იგი ბერლინის უნივერსიტეტის ასპირანტურაში აბარებდა მათემატიკის ფაკულტეტზე“.

„შენმა უკანასკნელმა წერილებმა, ჩემო ძვირფასო კოტიკო, ძალიან შემაშფოთა. რაშია საქმე? რატომ ჩქარობ ასე ლაიფციგიდან წამოსვლას. შეუძლებელია, რომ მოგბეზრდა შენი დარგის მეცნიერება. იქნებ ისე შეგაწუხათ ჩემმა ჯანმრთელობამ, რომ ყველაფერი

მიატოვეთ და წამოდით? არაფერი არ მესმის. თუ შენი წამოსვლა რაიმე განსაკუთრებული აუცილებლობით არაა გამოწვეული, გემუდარები, არ აჩქარდე. დაასრულე განათლების მიღება. შენ ყოველთვის გექნება იმის შესაძლებლობა, რომ ხალისით და სარგებლიანად გამოიყენო შენი შრომა მთელ სსრ კავშირში. თუ მე თვითონ საქართველოში დავრჩი და შენც აქ მოინდომებ მუშაობას, იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს ჩემთვის, რომ ყველანი ერთად ვიქნებით.

...დაფიქრდით, ჩემო ძვირფასებო, კარგად აწონ- დაწონეთ ყველა ფაქტი და მერე გადაწყვიტეთ“, –აფრთხილებდა 1926 წლის 12 დეკემბრით დათარიღებულ წერილში თავის შვილს კოტე მარჯანიშვილი.

კონსტანტინე მარჯანიშვილმა მამის რჩევა-დარიგება ეტყობოდა, რომ იმთავითვე გაითავისა. იგი 1934-49 და 1951 წლებიდან უკვე მუშაობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. ძირითადი შედეგები ჰქონდა მიღებული რიცხვთა ადიციურ თეორიაში (რიცხვების წარმოდგენა ხარისხების ჯამების სახით) და გამოყენებით მათემატიკაში.

კონსტანტინე მარჯანიშვილი 1974 წლიდან იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მან დიდ რეჟისორს იმედები გაუმართლა და რჩეულ პროფესიაში დიდი დაძაბულობითა და მთელი ცხოვრების შეწირვით ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია.

ასეა, მეცნიერებაში მაღალ მწვერვალებს აღწევს მხოლოდ ის, ვისაც არ აშინებს დაღლა მის კლდოვან ბილიკზე ასვლისას. მარჯანიშვილებს რჩეული პროფესიისადმი თავდადება, ჟინი, გატაცება ოდითგანვე მოსდევთ.

კონსტანტინე მარჯანიშვილი 13 რიცხვში დაიბადა და მათემატიკური სიზუსტით 13 რიცხვშივე, 78 წლის ასაკში გარდაიცვალა მოსკოვში. მისი მგზნებარე გული, მამასავით ფერფლად იქცა მოსკოვში და შემდეგ ჩამოასვენეს საქართველოში, რომლის ნეშტი დაკრძალულია თბილისში მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდების პანთეონში.

ორმა კოტემ ანუ ორმა კონსტანტინე მარჯანიშვილმა, სახელოვანმა მამა-შვილმა დაგვიტოვა სამარადისო ხსოვნა და მდიდარი მეცნიერული და შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელთაც თურმე დიდი პაპის ანდრია მარჯანიშვილი ფიცხელი გენი არ ასვენებდათ.

ჭეშმარიტება ერთია. უკვალოდ არაფერი იკარგება...

კოტე მარჯანიშვილი,
მისი მეუღლე ნადეჟდა
ჟივოკინი და შვილი კოტე

კოტე მარჯანიშვილის ფერფლის გადასვენება
მთაწმინდაზე, ურნას მიასვენებენ მსახიობი
ვასო გოძიაშვილი და რეჟისორის ვაჟი
კონსტანტინე მარჯანიშვილი

თავისუფლებისაკენ მსწრაფი ერისთავის ქალი

„ვისაც არ უყვარს თავისუფლება და ჭეშმარიტება, შეიძლება იყოს ძლევამოსილი, მაგრამ ვერასოდეს ვერ იქნება დიდი ადამიანი“.

ვოლტერი

ორი ძირძველი ფუძე –„ერი“ და „თავი“ საოცრად იყო შედუღაბებული თანამდებობის „ტიტულში“. „ერი“ –უძველესი ქართული ტერმინი –ერთდროულად „ხალხსაც და ჯარსაც“, სტრაბონის დეფინაციით „თავისუფალ მიწისმოქმედსა და მეომარსაც“ აღნიშნავდა, რომელშიც აირეკლა ქართველთა დამახასიათებელი ნიშან-თვისება შრომა და თავისუფლებისათვის ბრძოლა.

ძველი იბერიის თავისუფალი მიწისმოქმედი მშრომელიც და მეომარიც იყო. ამ ფენიდან შეიქმნა და დაწინაურდა მეომართა ერთობა, მათგან გამოვიდნენ აზნაურ-წარჩინებულთა, ერისთავთა (პიტიახშთა) წინაპრები ერის და ჯარის თავები, განმგებლები...

XI-XIV სს-გაერთიანებული საქართველოს არსებობის ხანაში ერისთავები მეფის მოხელეები იყვნენ, ხოლო XV საუკუნიდან ისინი მთავრად და თავადებად გადაიქცნენ.

დიდი და წარჩინებული წარმომავლობის თავადს ზურაბ ერისთავს გაატანა მაიორმა ანდრია მარჯანიშვილმა მისი წიგნიერი ქალიშვილი ანა მარჯანიშვილი.

ზურაბ ერისთავი პოეტი გახლდათ და მისი ულამაზესი ასული დომინიკაც პოეზიით იყო გატაცებული. მამის სიკვდილის შემდეგ იგი ასაკით ძალიან უფროსსა და მდიდარ კაცს მ. მდივანს მიათხოვეს. ამაყმა, მომხიბვლელმა, მტკიცე ნებისყოფის ერისთავის ზვიადმა ქალმა მეუღლის (სახლში ჰყავდა მარტოდმარტო ჩაკეტილი) დამცირებას პროტესტი იმით გამოუცხადა, რომ ჯერ პირადად იხსნა თავი სულის შემხუთველი რკალისაგან და მერე სასტიკად გაილაშქრა ცარიზმის ჩამორჩენილობის, კარჩაკეტილობის, ობივატელური შეხედულებების ტყვეობაში მყოფ ქართველი ქალის უუფლებობის წინააღმდეგ. დომინიკა ერისთავმა ღიად დაიწყო ბრძოლა ქალთა თავისუფლების, თანასწორობის, თანაბარუფლებიანობისა და „ქართველ ქალთა საზოგადოების“ დაარსებისათვის.

„...დედაკაცი საფუძველია მეცნიერებისა. იგი ბურჯია ოჯახის, ერისა და საზოგადოებისა. დედაკაცი ერთადერთი უტყუარი საზომია ერის სულიერი ძლიერებისა. რამდენათ მთლიანი და თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად საღია საზოგადოება. ეს წვეთი კაცობრიობის ოკეანესი.

ყოველი დიდი შემოქმედებითი ნიჭი იქ წარმოიშობის, სადაც დედაკაცი მონა კი არაა, თავისუფალი ადამიანია.

დედაკაცს გავლენა აქვს არა მარტო შვილებზე, არამედ იგი უდიდესია მამაკაცთამდი ცით გარდმონავლენი.. თუ რომ დიდი საკაცობრიო შეჰქმნეს მამაკაცთა ეს დედაკაცის ნებისთ, თუ უნებლიედ ზედ გავლენით. მოსპეთ დედაკაცი, როგორც პიროვნება, მოისპობა ძლიერი შემოქმედება და მოისპობა თვით მშვენიერებაც.

შეუგნებელი დედა ვერ აღზრდის შეგნებულ მოქალაქეს. ოჯახი დედამ უნდა აქციოს სკოლად, აღზარდოს შვილში ქართული სული, ამცნოს თავისუფლება და მოვალეობა. შეაყვაროს შრომა, თავი იხსნას ნივთიერი სიღატაკისაგან. მით ხელი შეუწყოს ქვეყნის ბედნიერებას, უკუაგდოს ძველებური ამპარტავნობა, ახსოვდეს, რომ თუ ოდესმე სჭირდება მამულს დედა, დღევანდელ საქართველოს უფრო სჭირია იგი.

„ჩირქი წაეცხო ტაძარსა წმინდასა“ –და დღეს მხოლოდ ქართველ დედას შეუძლია იხსნას ტაძარი წარწყმენდისაგან, დაუახლოვდეს ხალხს, ისწავლოს და ასწავლოს და ამით შეჰქმნას მტკიცე სამშობლო მთლიანობისა და კეთილდღეობისა“,–წერდა 1904 წელს დომინიკა ერისთავი.

მწერალი ქალის მიერ გამოთქმული ეს შეხედულება, თავის დროზე უდავოდ ახალი სიტყვა იყო. იგი გვიჩვენებდა მის ფართო მომზადებასა და ერუდიციას.

დომინიკას ინიციატივით 1904 წელს დაარსდა „ქართველ ქალთა საზოგადოება“. ეს იყო ქართველ ქალთა პირველი ორგანიზაცია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის კულტურის განვითარების საქმეში.

მას ღრმად სწამდა ქალის საზოგადოებრივი როლის დიდი მნიშვნელობა. ეჭვიც არ

ეპარებოდა, რომ ქალთა და მამაკაცთა გათანასწორება საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის უდიდესი ფაქტი გახდებოდა და ამიტომაც დ. ერისთავი მთელი რწმენით აცხადებდა:

„რამდენად თავისუფალია აზროვნებისა და უფლებების მხრივ ქალი და ფართოდაა ჩაბმული საზოგადოებრივ ურთიერთობაში, იმდენად ძლიერია სახელმწიფოს კულტურის დონე, იქ კი, სადაც ქალი დაჩაგრულია და მონაა საზოგადოებრივ წყობილებისა, იმდენად უსუსურია სახელმწიფო და მისი სტრუქტურა“...

ქალთა უფლებების საკითხში დომინიკა ერისთავი სავსებით იზიარებდა ინდოეთის გამოჩენილი მწერლის რაბინდრანათ თაგორის შეხედულებებს, გატაცებული იყო მისი ჰუმანიზმით. მას დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა მწერალთან. წერილებში ისინი ერთმანეთს დაბეჯითებით ეპატიჟებოდნენ თავიანთ სამშობლოში. დომინიკა აპირებდა ინდოეთში გამგზავრებას, მაგრამ ხელი ავადმყოფობამ შეუშალა. მან თაგორს მისი სოფლიდან სალომინაოდან ჩამოტანილი მსხალი, რომელიც თვეობით უძლებდა გზას, ინდოეთში გაუგზავნა.

დ. ერისთავმა, როგორც „ქართველ ქალთა საზოგადოების“ თავმჯდომარემ გამგეობასთან ერთად გაჭირვებულთა დასახმარებლად დაარსა „საჩაიე“.

„...ამ დროს –ჩვენი საჩაიე, რომელსაც „ძმობის ნუგეშს“ ვეძახდით, ერთ-ერთ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყრიდა თავს ჩვენი ფართო საზოგადოება. დღითა და ღამით „საჩაიე“ სავსე იყო ახალგაზრდობითა და ინტელიგენციით“... „საჩაიე –„ძმობის ნუგეში“ მუდამ სავსე იყო. აქ დადიოდნენ კ. გამსახურდია, ი. მჭედლიშვილი, ნ. ნაკაშიძე, მარიჯანი, დარია ახვლედიანი და სხვები“, – აღნიშნავდნენ ნ. რცხილაძე და ი. გრიშაშვილი.

„საჩაიე“ მართლაც რომ მიმზიდველი იყო საზოგადოებისათვის, ეს ნათლად სჩანდა პოეტი ქალის მარიჯანის ლექსში „მარჯნის კრიალოსანი“.

„...აი, ეხედავ მოკლე ბარათს,
მივარდნილსა სულ კუთხეში
„ზესმის, ზესმის“ მინდა გნახო
ხვალ მოგელი „ძმურ ნუგეშში“...

„ძმური ნუგეში“ წარმოადგენდა ისეთ სალონს, სადაც ერთმანეთს რანდევუს უნიშნავდნენ პოეტები და მწერლები, რომელთა სასაუბრო თემა იყო სამშობლო და მისი მომავალი.

თბილისში არტისტული კაფე-კლუბების ტრადიცია ე.წ. „კაბარეტული ეპიდემია“, „ძმური ნუგეში“, „ფარშავანგის კუდი“, „ფანტასტიკური სამიკიტნო“, „არგონავტთა ნავი“, „ქიმერიონი“ 1910-იანი წლებიდან შეიქმნა. მის წიაღში იმ საზოგადოების სულიერი, მსოფლმხედველობრივი, ესთეტიკური და ეთიკური მისწრაფებები ყალიბდებოდა. თბილისური „კაფე კულტურა“ თავისი მრავალფეროვნებითა და აქტიურობით 1881 წელს მონმარტზე რუდოლფო სალის მიერ გახსნილ კაბარეს **Le chat Nior** კულტურული სივრცის ბუნებრივი და ლოგიკური გამოძახილი იყო.

„საჩაიეს“ შემოსავალი იგზავნებოდა ფრონტისათვის, აჭარელთა დახმარებისათვის, წმინდა ნინოს ლაზარეთში და გაჭირვებულთა დასახმარებლად. რუსული გაზეთის „ვოზროჟდენიეს“ რედაქტორი, თბილისის ქალაქის ხმოსანთა საბჭოს წევრი, საერთაშორისო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე პართენ გოთუა, მწერალ ლევან გოთუას მამა, დიდ დახმარებას უწევდა „საჩაიეს“.

აჭარის საქართველოსათვის დაბრუნების საქმესა და მის გაძლიერებას დომინიკა ერისთავმა მხარი აქტიურად დაუჭირა:

„...ქართველო ქალებო! ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი გულიდან მოგლეჯილს კუთხეს ქართველმა მაჰმადიანმა ქალებმა შეუნახეს ფაქიზად ეს ენა, რომლითაც „ნინო“ ღმერთს ადიდებდა. ქართველ მაჰმადიანმა ქალებმა უმღერეს მშობლიური ნანა თავიანთ შვილებს და მასთან ერთად შეისისხლხორცეს ის დიდი იშვიათი ღირსება, რომელიც წმინდა ქართულ რაინდული სულის თვისებაა.

ქართველო ქალებო! ქართველი ერის მომავალი ჩვენზეა დამოკიდებული: „ჩვენ უნდა ვშვათ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“... და თუ გვწამს ეს დიდი მცნება, გულგრილად ვეღარ უნდა შევყურებდეთ მოძმეთა დიდ გასაჭირს, ხმა მივცეთ გულდაკოდილ მოძმეებს, ვამცნოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამქრალა, იგი ერთგვარი სიყვარულით ექცევა, როგორც ქრისტიანს, ისე მაჰმადიან ქართველს. ვაუწყოთ, რომ ჩვენ

ერთი დედ-მამის შვილები ვართ, ერთი ცის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი, რომ არ არის ორი საქართველო, იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედურება გულს გვიკლავს, რა სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი“, – დღენიადაგ მსგავსი პატრიოტული სიტყვებით გამოდიოდა ყველგან დომინიკა ერისთავი.

ჩვენი ქვეყნის ეროვნული მთლიანობისათვის იგი კალმითა და სიტყვით შეუპოვრად იბრძოდა. დომინიკა შესანიშნავად ერკვეოდა სოციალურ საკითხებში. მის დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია ის შინაგანი ჭიდილი, ის ახალი სოციალური ძვრები, რაც ახალ საუკუნეს მოჰყვა.

მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა მიმართული იყო ნაციონალური ჩაგვრის, ექსპლუატაციის, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მავნე შედეგების აღმოსაფხვრელად. მისი ჯანსაღი იდეები ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებას.

სამწერლო ასპარეზზე დომინიკა ერისთავი ილია ჭავჭავაძემ გამოიყვანა. იგი იყო პოეტი ქალის შემოქმედების შემფასებელი, მისი გზის მაჩვენებელი და მასწავლებელი.

„დომინიკა ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა ილია ჭავჭავაძის ეროვნულმა საქმიანობამ. მის ნაწერებზე დღე და ღამეს ათენებდა. ილიას „განდეგილის“ წაკითხვის შემდეგ ფსევდონიმად განდეგილი აირჩია“, –წერდა ნ. რცხილაძე.

1893 წელს გაზეთ „ივერიაში“ ილიას ინიციატივით დაიბეჭდა დომინიკას პირველი ლექსი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების გამო“. იმავე წელს ილიას წინადადებით იგი მიიწვიეს გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში მუდმივ თანამშრომლად კორექტორის თანამდებობაზე.

1898 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მისი ლექსები, ხოლო 1910 წელს პატარა მოთხრობებისა და ლექსების წიგნი. მან პირველმა თარგმნა ლექსად გრიბოედოვის პოემა „ვაი ჭკუისაგან“, რომელიც 1902 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით. განდეგილი მხოლოდ პოეტი არ იყო. დ. ერისთავი გახლდათ ნიჭიერი ბელეტრისტი, მთარგმნელი, საბავშვო მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ავტორი შესანიშნავი მინიატურების, ნოველებისა და ფელეტონების.

დომინიკა ერისთავი, პირველად, თბილისში მისმა დეიდაშვილმა ანდრია ღულაძემ ჩამოიყვანა. იგი იმ დროს ყოველთვიური ქართული საბავშვო ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემელი იყო. მან მოაწყო დეიდაშვილი ქალი რედაქციაში და მანვე დაახლოვა ქართველ მწერლებს. იგი ილიას დიდი მეგობარი იყო, რომელსაც შეკრებაზე თუ შეხვედრაზე მუდამ თან ახლდა: „ამ თვეში ილიამ დაიწყო მოგზაურობა ქართლში... ვიყავით ახალგორში ნ. ერისთავთან – ილია, მეველე, ალ. ჩოლოყაშვილი, ლ. ჯანდიერი, ანდრია ღულაძე და სხვანი“, – წერდა 1893 წლის ოქტომბერში ალექსანდრე ყიფშიძე. **(43, გვ. 186).**

„...ჩვენ საერთოდ ფართო ნათესაობა გვქონდა ჭავჭავაძეებთან, ციციშვილებთან, მარჯანიშვილებთან, მესხებთან, მაჭავარიანებთან, წერეთლებთან. თვით აკაკი წერეთელიც დომინიკას ახლო ნათესავი იყო...

მახსოვს ქუთაისში ერთად მოვიდნენ ჩვენთან ეტლით დომინიკა და ილია ჭავჭავაძე“, –იგონებდა დომინიკას ძმისწული ოლია გელოვანი.

1906 წლიდან დ. ერისთავი იყო ქართული ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთის „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემელი,სადაც აქვეყნებდა პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და ეკონომიკური ხასიათის წერილებს. სულ გამოიცა 14 ნომერი.

პოეტი განდეგილი განუწყვეტლივ თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში: „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „კვალში“, „თემში“, „ნობათში“, „ფასკუნჯში“, „სახალხო ფურცელში“, „ალმანახში“, „ჯეჯილში“ და „ნაკადულში“. მისი შესანიშნავი სტატიები და კრიტიკული წერილები იმდროინდელი მოწინავე იდეების უშუალო გამომხატველი იყო. საქართველოში არ იყო კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების დარგი, სადაც თავის სიტყვა დომინიკას არ ეთქვა და არ გამოხმაურებოდა.

განდეგილი მეგობრობდა ილიას, აკაკის და ვაჟას, რომლებთანაც სამშობლოს ღირსეული მამულიშვილობის გაწევას სწავლობდა. დომინიკას ჰქონდა ადამიანის შეცნობის, დაახლოებისა და მეგობრობის იშვიათი უნარი. პოეტი ქალი, თავისი ხასიათის წყალობით, ადვილად უახლოვდებოდა ფაქიზი ბუნებისა და მაღალი სულის მქონე ადამიანებს.

დ. ერისთავს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ისეთ ნათელ და სპეტაკ ადამიანებ-

თან, როგორიც იყვნენ უანგარო მოღვაწე ალექსანდრე ხახანაშვილი და დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი.

ქართველი ერის სიხარული და მწუხარება, ქართველი ხალხის გაჭირვება და დალხინება იყო მათი საზრუნავი საგანი, მათი ფიქრი და ოცნება, მათი ცხოვრების აზრი და შინაარსი. აქ, ამ ბრძოლაში დაუახლოვდნენ ისინი ერთმანეთს, აქ გამონახეს მათ საერთო ენა, და ამიტომ მათი სიახლოვე და მეგობრობა, ბუნებრივად გადაიქცა საზოგადოებრივი ურთიერთობის საუკეთესო მაგალითად.

... –და დღეს, ყველამ ალბათ არ იცის, რომ ამ დიდებულ ადამიანთა დამფასებელმა დომინიკა ერისთავ-განდეგილმა სიკვდილის წინ მოითხოვა, რომ იგი დაეკრძალათ თავისი უახლოესი მეგობრების ალექსანდრე ხახანაშვილისა და სამშობლოს სამსახურში გათეთრებული იაკობ გოგებაშვილის გვერდით.

ქართველმა ხალხმა, ეს სურვილი აუსრულა განდეგილს. მისი საფლავი ორი დიდი მოღვაწის სამარეთა შუა გაითხარა დიდუბის ეკლესიაში.

განდეგილი ლირიკოსი პოეტი იყო.

მისი შემოქმედების მთავარი მოტივი პატრიოტიზმი იყო. პოეტის ლექსების ძირითადი ჰანგი სამშობლო, სიყვარული და ბუნება გახლდათ. ამასთანავე ერისთავის პოეზიაში საკმაო ადგილი ჰქონდა დათმობილი სამოქალაქო ლირიკის მოტივს. განდეგილის შემოქმედება საკუთარ პოეტურ ქურაში გამდნარი სულის წვა იყო.

განდეგილის შემოქმედებაზე მოსკოვში გამომავალ „Î ÷åðêè èñòîðèè Ãðóçèíñêîé ñëîâåñíîñòè“-ში, 1906 წელს ა. ხახანაშვილი წერდა: ახალგაზრდა პოეტის პლეადას ეკუთვნის მწერალი ქალი დომინიკა ერისთავი, რომლის შემოქმედებითი ტალანტი უფრო მკვეთრად გამოვლინდა მის პოეზიაში. მისი შემოქმედების თერთმეტი წლის მანძილზე სავსებით გამოირკვა მისი პოეზიის ხასიათი. თავის აუდერებულ ლექსებში ის მღერის თავად ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ჰანგზე. მისი ლექსი მოქნილი და მუსიკალურია, სხვები ნაზი და მომხიბვლელი. ბუნების სილამაზე და შინაგანი მოძრაობა მთავარი თემა არის მისი შთაგონებისა“...

„...მე მას ვხვდებოდი 1912-1913 წლებში ეკ. გაბაშვილის სახლში, სადაც ვიკრიბებოდით მაშინდელი მწერალი ქალები.

განდეგილს საქართველოს ჟორჟ ზანდს ეძახდნენ. დომინიკას, მართალია, არა ჰქონდა დიდი სქელტანიანი რომანები, მაგრამ თავის წერის მანერით, გემოვნებით და ჟანრით, ჩვენი ლიტერატურის მცოდნეები, რაღაცას საერთოს პოულობდნენ საფრანგეთის დიდ მწერალსა და ჩვენ საქართველოს მწერალს შორის“, –აღნიშნავდა მარიამ გარიყული.

დომინიკა ერისთავ-განდეგილი იყო პროგრესულად მოაზროვნე პოეტი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც უანგარო მამულიშვილის სახელი დაიმკვიდრა და მისი ლამაზი სიცოცხლე სამშობლოს სამსახურში დაიფერფლა.

თავისუფლებისათვის მებრძოლი ქალის ყოველი ფრთიანი სიტყვა გულიდან, სიყვარულიდან და მრწამსიდან გამოდიოდა და ელექტრონივით გადაეცემოდა მკითხველს. მან წარუშლელი კვალი დატოვა ეროვნულ ფსიქიკასა და ხალხის გულში....

განდეგილი, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი, არსად ამბობდა საქართველო მიყვარსო, მაგრამ მისი ერთგული ქმედებიდან ნათლად იკვეთებოდა ერის დიდი სიყვარული.

დომინიკა ერისთავის მსგავს ქალებს, რომლებიც იბრძოდნენ ქალთა თავისუფლების, თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის მოსაპოვებლად, XIX საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული დღემდე ევროპასა და ამერიკაში ფემინისტებს უწოდებდნენ, ხოლო საქართველოში მას დიდი ილიას თქმით დედაკაცი ერქვა.

ორი მარჯანიშვილი, ორთავე რეჟისორი ქუთაისის თეატრში

„დიდი ნიჭი–დიდი უბედურებაა. ამიტომ არის, რომ ცხოვრებაში მხოლოდ უნიჭოები არიან ბედნიერები!“...

ლევან გოთუა

„...თითქოს გემი დაიმსხვრა და დიდი ხნის კარგად ნაცნობ ნაპირზე გამომრიყა. მწამს, რომ აქაც მიცდის ჩემი უკვდავი სატრფო“, –წერდა კოტე მარჯანიშვილი.

მარჯანიშვილს ყოველთვის წარმატების რწმენა ჰქონდა, რადგან „მისი სატრფო“ თეატრი არ მოატყუებდა, უმტრობდა და უმტყუნებდა...

...ქართულ თეატრს მართლაც უკიდურეს ვითარებაში მოევლინა –მესია –კოტე მარჯანიშვილი. ამ დროს ქვეყანა გაპარტახებული, ძველი ინტელიგენცია მტრულ წვრილ ჯგუფებად დაყოფილი, ხელოვნების საკითხი დროებით მეორე პლანზე გადაწეული იყო.

თეატრების შექმნა საქართველოში ყოფნის ათი წლის მანძილზე, ჯერ თბილისში და შემდეგ ქუთაისში შეუძლებელი იყო უმარჯანიშვილოდ. მან ხელის ერთი მოქნევით თვენახევრის განმავლობაში მოახდინა ძირფესვიანი რეფორმა თეატრში.

„მარჯანიშვილის მიერ დადგმული „ცხვრის წყარო“ იყო აფეთქება, რომელმაც გაანადგურა დახავსებული თეატრალური ფორმები ქართულ სცენაზე“, –წერდა ს. ამაღლობელი.

კ. მარჯანიშვილმა შემოქმედებითი ცეცხლი დაანთო და ააგიზგიზა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრისა და მეორე სახელმწიფო თეატრის სცენაზე ქუთაისში. იგი გასაოცარი ოსტატობით იმორჩილებდა მსახიობს და მათგან ქმნიდა გასაოცარ სახეებს.

„...და როდესაც მარჯანიშვილი გამოჩნდებოდა სცენაზე, ტაში და ყიჟინა უმაღლეს წერტილს აღწევდა. პარტერიდან აღტაცებული ყვირილი და განუწყვეტელი ტაშის ხმა თითქმის წალეკვით ემუქრებოდა სცენას...

„...ყოველ ხალხში მოიპოვება პირადი ზრახვითა და გრძნობებით დაბრმავებული პირები, რომლებიც ხელს უშლიან მარჯანიშვილისთანა მოღვაწეების მუშაობას. ასეთ ბედს ვერც მარჯანიშვილი ასცდა. მას ხშირად ებრძოდნენ ჩვენში არასაკადრისი ხერხებით, ებრძოდნენ არა სცენიდან, როგორც შეეფერებოდა ხელოვანს, არამედ კაბინეტებიდან, იმ პირების ზურგს ამოფარებული, რომელთა ხელშიც შემთხვევით აღმოჩნდა ქართული თეატრის ბედ-იღბალი ოციანი წლების დამლევს. ეს პირები ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიდნენ მას“. **(37, გვ. 315).**

„...და, როცა ეს იგრძნო მარჯანიშვილმა „აიღო ქუდი და წავიდა“, ამჯერად კინოში.

ორი წლის შემდეგ დაუბრუნდა ოსტატი თავის ძველ ხელობას. მარჯანიშვილის წამყვანმა მსახიობებმა გამოთქვეს სურვილი, რომ გადასულიყვნენ სამუშაოდ თავიანთ ოსტატთან ერთად ქუთაისის თეატრში. „ეს იყო იმ დროისათვის გაუგონარი დემონსტრაცია. მსახიობებს მიჰყვნენ მუსიკოსები და მხატვრები, ძველი თაობის მთელი რიგი მსახიობები იცვლიან თავიანთ ჩვევას, თითქოს და „მეორედ დაბადებას“ განიცდიან“... **(17, გვ. 28).**

ქუთათურებმა 34 წლის შემდეგ, როგორც აქამდე ხდებოდა (მოყოლებული 1885-დან 1894 წლამდე), როდესაც კოტე მესხი რეჟისორობდა ქუთაისის მუდმივ დასს და თეატრს, კვლავ დაიწყეს ლაპარაკი: „ჩვენი კოტე“... „ჩვენი თეატრი“...

მარჯანიშვილი თავდავიწყებით ემზადებოდა თბილისში გასტროლებისათვის. მან ორი წლის მანძილზე ქუთაისში შემქნილი სპექტაკლებით „თბილისი კვლავ მშვიდობიანად დაიპყრო“...

„...ყოველი სპექტაკლის დასასრული გადადიოდა ზეიმში და დაუსრულებელი გამოძახილის შემდეგ მარჯანიშვილი და მისი თეატრის აქტიორები ხელში აყვანილი გამოჰყავდათ ხალხს თეატრიდან. 1929 წლის გასტროლების დასასრულს, როდესაც უკანასკნელად დაიხურა ფარდა, მაყურებლით გაჭედილ საოპერო თეატრში 35 წუთი იდგა ხალხი ფეხზე და გამოსათხოვარ ოვაციებს უმართავდა მარჯანიშვილსა და აქტიორებს“....**(37, გვ.320).**

ეს ოვაციები გრძელდებოდა ქუთაისშიც....

ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგ ღმერთმა ინება და ქუთაისის თეატრის კარი იგივე შინაგანი რწმენის, რიტმის, მოქმედების, სულის, მსოფლმხედველობის, ცხოვრების წესისა და კონსტიტუციის (აღნაგობა, თმები, დიდი თბილი თვალები და ნაწილობრივ ხასიათი)

მატარებელმა ახალგაზრდა მარჯანიშვილმა შეაღო.

სიზმრებში ნახულ სცენურ გმირებთან გადაჯაჭვულ თ. მარჯანიშვილს მოსვენებას არ აძლევდა მარჯანიშვილთა გენის წინაპართა მსოფლიო და გზას თეატრისაკენ კარნახობდა.

დაუცხრომელი ბუნების ინჟინერს (სპეციალობით) ერთი პროფესიის ფარგლებში მოქცევა უჭირდა. იგი ყველგან მსახიობობდა და რეჟისორობდა. აშკარა იყო, რომ თეატრი იყო მისი აბობოქრებული სულისა და სწრაფვის ნავსაყუდელი.

....და ბოლოს, 1986 წელს, გაბედულად მივიდა იქ, საიდანაც უნდა დაეწყო –ქუთაისის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. რეჟისორის ასისტენტს ორი წლის მანძილზე 7 სპექტაკლზე მუშაობამ დიდი პრაქტიკული გამოცდილება შესძინა. და ამ ცოდნითა და თვითნაბადი ნიჭის წყალობით მალე თეატრალურ ინსტიტუტში დრამის რეჟისურის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, პროფესორ თუმანიშვილის კლასში.

თორნიკე მარჯანიშვილი იწვოდა მუდამ –რეპეტიციებზე, სპექტაკლებზე, მეგობრებში, ადამიანთა ურთიერთობაში. დიდ სათეატრო ზღვაში გადაშვებული იბრძოდა სიმართლისა და მაღალი ზნეობის დასამკვიდრებლად სცენაზე. იგი პასუხისმგებლობითა და მოვალეობის მთელი შეგრძნებით ეკიდებოდა მის ყოველ ქმედებას, რათა დიდი კოტე მარჯანიშვილის სახელისათვის ჩრდილი არ მიეყენებია...

სადიპლომო სპექტაკლიც ქუთაისს „ჩააბარა“.

ქუთაისის თეატრში მისვლისას თორნიკე გრძნობდა, რომ უნდა ემოქმედა თამამად, აეღორძინებია ამ თეატრის დიდებული ტრადიციები, რომელთაც მივყავართ კოტე მესხის, ლადო მესხიშვილისა და კოტე მარჯანიშვილის სახელებთან...

ალეხანდრო კასონას „ხეები ზეზეულად კვდებიან“ მეოცე საუკუნის მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის ერთ-ერთი საუკეთესო თხზულებაა.

„რეჟისორმა თორნიკე მარჯანიშვილმა ამ სპექტაკლით პირველად გადადგა გვარის შესაფერისი ნაბიჯი რეჟისურაში –ეს არის მაღალი დონის კულტურული წარმოდგენა, ღრმად გააზრებული სახეებით, მხატვრობით, მუსიკით, ქორეოგრაფიით, ყველა სცენური აქსესუარით. სპექტაკლის უპირველესი ღირსება მონუმენტურობაა. წარმოდგენა ისეა შეკრული, ისე მიედინება ექსპოზიციიდან საფინალო სცენამდე, რომ მაყურებელი სუნთქვაშეკრული მიჰყვება მოქმედების გაშლას და ზუსტად აცნობიერებს უმშვენიერეს სცენურ მეტაფორებს, მიჰყვება სპექტაკლის რიტმს, წამითაც არ ეთიშება, უსმენს და განიცდის, წრფელად ეხმაურება უფაქიზეს ნიუანსებს, იცინის, სადაც უნდა გაიცინოს, იცრემლება, როცა ტრაგიკულით იმსჭვალება.

ეს კი რეჟისორისა და დასის ერთობლივი გამარჯვებაა... პირდაპირ ვიტყვი –კარგა ხანია ჩვენს სცენაზე არ გვინახავს ასე შეხმატკბილებული ანსამბლი... რეჟისორს გულისყურით უმუშავნია ტექსტზე. დახვეწილია მათი მეტყველება, ზუსტადაა გააზრებული სცენური იერსახეთა დეტალები, პარტნიორები წამითაც არ ეთიშებიან ერთმანეთს, იგრძნობა თანამოაზრეთა შემოქმედებითი დისციპლინა, ლოგიკური აუცილებლობით იბადება ყოველი მიზანსცენა.

შეიძლება ვინმემ გაიკვირვოს –აბა, ეგ რა სათქმელია, სხვაგვარად როგორ შეიძლებაო! სამწუხაროდ, ყველაფერი ის, რასაც აქტიორული კულტურისა და პროფესიულობის კანონიკური ელემენტები ეწოდება, საკმაოდ შეირყა ჩვენს სცენაზე, ამიტომ გვიხარია, რომ მსახიობები სრული წვით, მაღალ პროფესიულ დონეზე თამაშობენ“... **(39, გვ. 384-385).**

უმცროსი მარჯანიშვილი, როგორც ის „მონათლეს“ ქუთაისელებმა მუშაობდა შთაგონებითა და გატაცებით, თითქოს მეორედ დაბადებას განიცდიდა,... და არა მხოლოდ იგი, თვით თეატრიც, მისი შემოქმედებითი კოლექტივი. პროფესიონალი რეჟისორი თვითდამკვიდრებისათვის იღწვოდა.

„... მესხიშვილელთა სპექტაკლში „მსხვერპლნი“, რომლის ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილია, მის პროლოგს მოსდევს მართლაც მარჯანიშვილისეულად პანტომიმით გათამაშებული ექსპოზიცია. უმცროს მარჯანიშვილს კორიფე მარჯანიშვილის რეჟისორული პრაქტიკიდან შემოქმედებითათ გამოუყენებია მიმების ხელოვნება“, –წერდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ს. ჭეიშვილი.

მარჯანიშვილებს ახასიათებთ მეტეორივით გაელვება.

ქუთაისში, სადაც დიდხანს ცოცხლობს პატრიარქალურ-გულითადი დამოკიდებულების ტრადიცია „თავისი“ პოეტებისა, „თავისი“ რეჟისორებისა და „თავისი“ მსახიობების მიმართ რთულია თვითდამკვიდრება...

ეს ბედთან შეუდრეკელი ჭიდილია. საბედნიეროდ, ქუთათურებმა იგრძნეს თორნიკე მარჯანიშვილის სასცენო ნიჭიერება, მაგრამ დიდი ნიჭიერება ხომ ზოგჯერ დიდი უბედურებაცაა.

კომუნისტებს მუდამ აშინებდათ მარჯანიშვილისთანების ნიჭიერება და თავისუფლებისაკენ სწრაფვა. თორნიკე მარჯანიშვილიც დიდი მარჯანიშვილის მსგავსად აიძულეს, რომ წასულიყო. მანაც „აიღო ქუდი“ და დატოვა თეატრი...

მაძიებელი ბუნების ადამიანი არასოდეს არ ეცემა სულით. სულიერი ცხოვრების რთულ გზაზე წილნაყარ მარჯანიშვილებს სიმართლის დასამკვიდრებლად ყოველთვის გაუვალი გზით უვლიათ, ქარტეხილები დაუძლევიათ და მაღალი ზნეობა დაუმკვიდრებიათ.

ადამიანს სიცოცხლისათვის ჭირდება რწმენა, რათა გაარჩიოს ცრუ და მართალი, ნამდვილი და ყალბი. სწორედ რწმენამ წაიყვანა ისევ თეატრისაკენ თორნიკე მარჯანიშვილი და თეატრის სიყვარულმა იხსნა იგი.

თორნიკე მარჯანიშვილი ქუთაისის თეატრში მივიდა იმ დროს, როდესაც თეატრი განსაკუთრებით საჭიროებდა ახალგაზრდა ჯანსაღი კადრებით შევსებას, ხოლო ქუთაისის თეატრალურ სამყაროს კი სჭირდებოდა რიგიანი „შენჯღრევა“. და ეს „შენჯღრევაც“ რეჟისორმა შესძლო იმ სპექტაკლების იდეურ-თემატური განახლებით, რომელიც მაყურებელს ასწავლიდა, რომ ქვეყნად სულიერების გარდა ყველაფერი დროებითი და წარმავალია, ამიტომ მოვუფრთხილდეთ ჩვენს სულს, ტყუილით ნუ შევეცდებით მივაღწიოთ მიზანს, ნუ ჩავისახლებთ სულში ეშმაკს, ნუ დაგვიმორჩილებს მომხვეჭველობა, ვერიდოთ ყალბ ბრწყინვალებას...

თავდაპირველად ქუთაისის თეატრში თებერვლის თვეში მივიდა. ცხრა წლის განშორების შემდეგაც ამავე თეატრში თებერვლის თვეშივე დაბრუნდა ახალ გუნდთან და ახალ ხელმძღვანელთან ერთად.

სიახლეების ძიება რეჟისორ თორნიკე მარჯანიშვილის ცხოვრებისეული მოთხოვნილებაა. უყვარს როცა დიდხანს ეძებს და ბედნიერია როცა აღმოაჩენს. ამიტომ მცირე სცენა თეატრში იმ სიახლეების დასაწყისია, რომელსაც იგი ძალიან დიდხანს ელოდა...

მცირე სცენის კამერულობა მაყურებელს სულიერებისაკენ, ფსიქოლოგიური სიღრმისეულობისაკენ უბიძგებს, რითაც უფრო ფლობს თეატრის მაგიურ ძალას, უფრო გრძნობს ცხოვრების წინააღმდეგობებთან შერკინებული რეჟისორის დაბრძენებულ, გამოცდილებით გამდიდრებულ ხედვებს, ფანტაზიას, სულის აღმაფრენას და ხელოვნების სიმაღლეს...

თუმცა ეს არცაა გასაკვირი. რეჟისორმა უკვე ნახევარ საუკუნეს მიუკაკუნა. შემოქმედისათვის 50 წელი არაფერია. მხოლოდ შუადღის ჟამია. მაგრამ ესეცაა რომ „მზე შუადღისას უფრო მწველია, უფრო ცხელია, და უფრო თაკარა“....

სწორედ 50 წლის ასაკში (1872 წლის 9 ივნისს დაიბადა, 1922 წლის სექტემბერში საქართველოში ჩამოვიდა) სამშობლოში დაბრუნებულმა კოტე მარჯანიშვილმა ძირ-ფესვიანად გადაატრიალა ქართული თეატრი, იგი გრიგალივით დაეჯახა ძველ თეატრს მთელი თავისი ძლიერებით, დაანგრია და იმის ნანგრევებზე ააშენა ახალი.

„...დიდ სათეატრო ხელოვნების ოკეანეში კოტე მარჯანიშვილმა ძიებაში საუკუნით გაუსწრო თეატრალურ ხელოვნებას“... **(23, გვ. 138).**

პირველ სპექტაკლად მცირე სცენაზე თორნიკე მარჯანიშვილმა დადგა ანა მხეიძის მოთხრობა „არჩევანი მე“. ქუთათურები აღფრთოვანებაში მოიყვანა თავად სპექტაკლის ფორმამ. ეს გახლდათ ფილმი-სპექტაკლი, სადაც მოქმედება სცენაზე და ფილმის სახით ეკრანზეც, მხატვრულად შეზავებული სინთეზით განხორციელდა.

თავის დროზე, 1928 წელს, კოტე მარჯანიშვილმა ქუთაისს პირველ სინთეზურ სპექტაკლად კინოკადრებით გაშლილი, დიდი ტემპერამენტით და ექსპრესიით დადგმული – „ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ“ უჩვენა.

რა იყო ეს?

...დამთხვევა?!

...თუ მარჯანიშვილთა გენში ჩადებული სცენური ხელოვნების ნიჭის კიდევ ერთი გამოძახილი?! იქნებ მარჯანიშვილისეული აფეთქებაც?!.

მთელ საქართველოში აღიარებულია, რომ ქუთაისში ყოველთვის არის განსაკუთრებული მაყურებელი. თუნდაც იმიტომ, რომ მას ჰყავდა დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი და დიდი გემოვნებაც ქუთათურებს მან ჩამოუყალიბა. აქედან გამომდინარე გამართლებულია

ის მოარული ფრაზაც: „პირველად აჩვენეთ ქუთაისს, ის თუ მიიღებს, მერე გადაიტანეთ საზღვარგარეთო“...

ქუთაისს აქვს ნიჭი ხელოვნების აღქმისა.

ყოველდღე ქუთაისის თეატრში სიყვარულს მიჰყავს რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილი, რადგან მის სპექტაკლებს მცირე დარბაზში „არჩევანი მე“, „დიდრო“, „ცილინდრს“ ყოველთვის ელის და გრძნობს მაყურებელი.

რეჟისორ თორნიკე მარჯანიშვილის გმირები ცხოვრებიდან მოდიან და მის სპექტაკლებში სახლდებიან. მათი თავგადასავალი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მათი პირადი ცხოვრება, მორალი ძირეულად განსხვავდება რეჟისორის ცხოვრებისეული პრინციპებისაგან. ამიტომ თორნიკე მარჯანიშვილი მთელი არსებით იბრძვის მათი მანკიერების დასამარცხებლად და სიმართლის დასამკვიდრებლად ცხოვრებასა და სცენაზე.



კომპოზიტორი ზაზა მარჯანიშვილი
გლობუსის მეორე მხარეს — ამერიკაში

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის
დრამატული თეატრის რეჟისორი
თორნიკე მარჯანიშვილი

თეკლა

და-ძმა
მარჯანიშვილები

სულხანი

ამჯერად, აქ დავასრულოთ...

„სულიერი სამყაროს განვითარების ყველაზე მაღალი დონეა, ადამიანის პიროვნება“.

კანტი

ცნობილია, რომ შემოქმედება და შემოქმედებითი დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ არის არა ნება ადამიანისა, არამედ მისი ვალი და ვალდებულება.

შემოქმედებითი გენიალობა არ შეიძლება ცხოვრების წესით დაიმსახურო. ის მხოლოდ ზეცისგან, ღმერთისგან მოდის, როგორც მადლი.

სიმართლის განხორციელებაშიც არის ასევე ზნეობრივი მადლი...

XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ქმნიდნენ და ქმნიან ქართული ინტელიგენციის სულიერ იერ-სახეს ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლები. რამეთუ როგორც ვაჟა ამბობდა: „ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება. იგი ბელადია, სარდალია და, ხომ მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება“.

„დიდ სამოციანელებთან“ ერთად რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის შემოქმედებითად, ლიტერატურისა და ხელოვნების გზით იბრძოდნენ ორი გვარის სახელოვანი შვილები: სერგეი, გიორგი, კოტე, ივანე, დავით და ნესტორ მესხები, რომელთაც მხარში უდგნენ მათი საამაყო დები: პელაგია, ანა, ეფემია, მარიამი და ნინო. მათი დიდი საშვილიშვილო საქმე საბოლოოდ დააგვირგვინეს ალექსანდრე მარჯანიშვილის შვილებმა კოტე და ვლადიმერ მარჯანიშვილებმა. ანდრია მარჯანიშვილის შთამომავლებიდან ასევე თვითდამკვიდრებისა და ზეადამიანური ფასეულობებისათვის, ყოფიერების შეზღუდული საზღვრების გადასალახავად არავითარ დაბრკოლებებს არ ეპუებოდნენ მამულის სასიქადულო ქალები ვერიკო ანჯაფარიძე, ნინო და ბაბო გამრეკელები, დომინიკა ერისთავი...

და ამიტომაც ებრძოდნენ მათ ნიჭიერებას, სიმართლეს, ღირსებას, სულის მხნეობას აშკარად თუ ფარულად მავანი და მავანნი, რადგან „საქართველოში ყველაფერს გაპატიებენ ნიჭის გარდა“ და „დიდი ნიჭიც“ ხომ ზოგჯერ „დიდი უბედურებაცაა“,– ამბობდა ლევან გოთუა.

აქედან გამომდინარე მათი ბობოქარი ცხოვრება ამიტომაც ჰგავდა ციცინათელას, რომელიც ხან გაბრწყინდებოდა ნათელი სხივით და ხან ჩაქრებოდა, მაგრამ ამ პარადოქსებში ყოველთვის ღვიოდა მომავლის კეთილი ნაპერწკალი, სიმართლის რწმენა. ამ ორი გვარის შთამომავალთა კულტურული თანავარსკვლავედი დიდი მოაზროვნის დიმიტრი უზნაძისა არ იყოს, „სულიერი ცხოვრებითა და შემოქმედებით მჭიდრო ძაფებით იყო გადახლართული ერთმანეთის აზრსა და გრძნობასთან“. ამ „მოაზრეობით“ ქმნიდნენ და აშენებდნენ ისინი, როგორც ჭეშმარიტი ტალანტები, საერთო ნიადაგსა და ერთიანი ეროვნული მსოფლგანცდით, ერთ მთლიან **–სიმართლის ტაძარს.**

მათი სპეტაკი და მგრძნობიარე სულის „ხანგრძლივი ავადმყოფობა“ იყო ქართული თეატრის ერის შემადგენელ ნაწილად შექმნა-გარდაქმნა, რომელთაც დღეს, მათი დიდი შემოქმედებისა და შეწირული სიცოცხლის უკვდავსაყოფად ჰქვიათ:

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი;

კოტე მესხის სახელობის მსახიობთა სახლი (ქუთაისში);

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი;

...და, ამიტომაცაა, რომ დღეს, ისტორია მათ ურთულეს სულიერ მოძრაობას, გონების თვალით გამართულ ყოველ ნაბიჯს, ქართული თეატრის მესაჭეობასა და ეროვნული სულის ყვავილობას გვერდს ვერ აუვლის.

თავისუფლებისაკენ სწრაფვით, სიმართლისა და სამართლიანი რეფორმებით, მათ პირნათლად დაიმკვიდრეს ერის კულტურულ ცხოვრებაში თავისი მეობა, სახე, ხასიათი –და შფოთიანი შემოქმედებითი მოღვაწეობის გზასავალზე სამშობლოს სიყვარულით სავსე გული ხელში ატაცებული ატარეს და სპეტაკად შემოინახეს.

ამ ორი საგვარეულოს კულტურული ხომლი დღესაც საყრდენად უდგანან ქართულ თეატრსა და სულიერებას. დღესაც გვაზიარებენ მაღალი ზნეობით, ერთგულებით, სიმართლით, სულიერებით, თავისუფლების სიყვარულით დიდი ლამაზი სიცოცხლის ზეიმს. დიდი

ხელოვნების ძალით ისინი დღესაც უცნაურ სიმშვიდეს ჰფენენ ცხოვრების ამაოებით აწეწილ სულებს...

მესხებმა, კოტე მარჯანიშვილმა და ვერიკო ანჯაფარიძემ საგანგებოდ დაგვიტოვეს თავიანთი მოგონებები და ისტორიები იმისათვის, რომ შთამომავლობის მეხსიერებიდან არ აღგვილიყო ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და თვითდამკვიდრების პროცესები, მათი შედეგების ისტორია. ისტორია კი თავისთავად მთხრობელია იმისა, „თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიყოთ კვლავადაც“...

...ასეა, ბევრია ცხოვრებაში სიძნელე, მაგრამ ასევე ბევრია გამარჯვებაც; ბევრია შური და ღალატი, მაგრამ მეტია ერთგულება და უანგარობა; სურვილს, მისწრაფებას –მიზნის მიღწევა ცვლის; თავგანწირვასა და მსხვერპლგაღებას უკვდავება უკმევს გუნდრუკს; გული აღფრთოვანებით ფეთქავს და სული სავსეა სინათლით, როცა იცი, რომ ძირმაგარ ფესვებზე დგეხარ და ღირსეული წინაპრის სახელი შენს ყოველ ნაბიჯს ვალდებულებით განსაზღვრავს.

„...მარჯანიშვილები არც ისე ხშირად იბადებიან ჩვენში. ხშირად არ იბადებიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა მარჯანიშვილები კიდევ არ გაჩნდებიან ქართულ სცენაზე...

...ის საუკუნეები, რომლებიც აშორებენ ქართული გენიის უდიდეს მწვერვალებს უფსკრულს კი არ წარმოადგენს, არამედ მათ თავისი ქედი გადაჰყვება, მთაგრეხილთა უწყვეტი რგოლისაგან შემდგარი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე აკავშირებენ მარჯანიშვილისთანა ადამიანები.

მარჯანიშვილისთანა ადამიანები თავიანთ დარგში, მათთვის განკუთვნილ სამოღვაწეო უბანზე, ქმნიან ყოველთვის იმ კულტურულ სიმდიდრეს, რომელიც რჩება ხალხის ეროვნულ საგანძურში, როგორც შემდგომი თაობისათვის განკუთვნილი ძვირფასი მემკვიდრეობა“...**(37, გვ.321)**.

და, აი, მარჯანიშვილთა გვარის ბუდეში, ქუთაისში, კვლავ იფეთქა მარჯანიშვილთა გენში ჩადებულმა სასცენო ხელოვნების ნიჭმა და ტალანტმა.

ღვთის მადლით, ეს მისია, ქუთაისელების მიერ „უმცროს მარჯანიშვილად“ მონათლულ რეჟისორს თორნიკე მარჯანიშვილს ერგო.

გლობუსის მეორე მხარეს შორეულ ამერიკაშიც დაიქუხა მარჯანიშვილთა გენმა, კომპოზიტორ ზაზა მარჯანიშვილის შემოქმედების სახით.

მარჯანიშვილები მოდიან...

მარჯანიშვილები მოდიან და ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ახალი შემოქმედებითი სწრაფვა იწყება...

დაე, მათ ელვარე ტალანტს ისე გაექროლოს ქართულ და მსოფლიო სცენებზე, როგორც ქარიშხალს, რომელიც ყველაფერს სწვავს და ანადგურებს მარჯანიშვილისებურად, –ცხოველი ტემპერამენტით, დაუშრეტელი, ბობოქარი ენერგიითა და რომანტიკული ფანტაზიით...

ჩვენმა მომავალმა თაობებმა და ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ „არიან ადამიანები, რომელთაც დიდი ვალი აქვთ ქვეყნისა. არიან ადამიანები, რომელთა წინაშეც დიდი ვალი აქვს ქვეყანას“...

საქართველო ვალშია თეატრალურ მესხებისა და მარჯანიშვილთა წინაშე.

და, ეს წიგნიც მოკრძალებით მათი ფასდაუდებელი შემოქმედებისა და ღვაწლის გახსენებაა, რომელზედაც მსჯელობა კვლავ და კვლავ გაგრძელდება....

ჩვენ კი მოდით, ამჯერად, აქ, დავასრულოთ...

ბოლოთქმა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორანტს მარიამ მარჯანიშვილს ვრცელი და საინტერესო ნაშრომი დაუწერია. საკმაოდ ღრმად შეუსწავლია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა, საფუძვლიანად გაცნობია მარჯანიშვილებისა და მესხების გენეალოგიას.

ნაშრომი გამოირჩევა ფაქტების სიმრავლით. ავტორს თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მოაქვს ისტორიული პარალელები, იცავს ქრონოლოგიას, შეუძლია საინტერესო თემების წამოწევა და გააზრება.

მარიამ მარჯანიშვილის წიგნი „მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი“ შესანიშნავი მონოგრაფიაა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს კულტურული ყოფისა და ქართველ ინტელიგენტთა იერ-სახის გასააზრებლად. მასში, მარჯანიშვილებისა და მესხების გარდა, მრავალი გამოჩენილი მოღვაწე თუ ცნობილი პიროვნება აისახა განსხვავებული რაკურსით. წარმოდგენილია ძველ ქართველთათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი, რომლის წყალობითაც ისინი საკუთარი ერისათვის ღვაწლმოსილ პიროვნებებად იქცნენ და ჩვენს ამღვრეულ დროშიაც საქვეყნო საქმისათვის თავდადების მაგალითებს იძლევიან. წიგნი თვალსაჩინოს ხდის, რას ნიშნავს მოქალაქეობა, ქვეყნის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობა.

მარიამ მარჯანიშვილი კარგად წერს, აქვს საკმაო ერუდიცია. ნაშრომი გაჯერებულია მნიშვნელოვანი დოკუმენტებით, საარქივო და სათვალსაჩინო ფოტო-მასალებით. მასში ბევრია დღემდე უცნობი და გამოუქვეყნებელი წერილები და ფოტო-სურათები, რომელთაც ავტორი შინაარსიანად იყენებს გასული საუკუნის ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობის დასახატად და დიდი ადამიანური ღირსებების წარმოსაჩენად.

ეს წიგნი მეორე სერიოზული ნაშრომია ახალგაზრდა მეცნიერისათვის და გვწამს, რომ იგი კვლავაც გაგვახარებს ახალ-ახალი გამოკვლევებით, რითაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული ფილოლოგიური მეცნიერების წინსვლის საქმეში.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

Mariam Marjanishvili

SUMMARY

The Marjanishvili - Meskhi Constellation

History is written not for the past but for the present. Among the past public figures who have been forgotten nowadays it is impossible not to mention Andria Marjanishvili and his descendants whose genius made an invaluable contribution in the establishment and prosperity of the "spiritual mirror of the nation" – the Georgian theatre.

The study of historical sources proves that the Aznauri Marjanishvilis had neither great property nor inherited slaves. The Marjanishvilis first appeared in society after the establishment of Tsar Russia in Georgia. Some of them managed to get good reputation in influential aristocratic circles thanks to their adroitness and quick wit.

One of such famous people in Kutaisi was Mayor Andria Joseph Marjanishvili.

Naturally talented and fond of art Andria felt that the code of talent which was in Marjanishvili gene – presentation of man's spirit on stage – would one day reach its culmination.

The prediction of the famous grandfather came true. The talent of acting art of Marjanishvili gene boomed in his descendants, who made the name of Andria Marjanishvili immortal.

Two Kotes were born from Andria Marjanishvili's roots. One of them was from his daughter, Magdani's side – Kote Meskhi, the other – from his son, Alexander – Kote Marjanishvili.

These two branches which grew from one root, two saplings realized their genetic code on the stage of Kutaisi theatre. The cousins were similar in appearance, temper and character.

The main period of Kote Meskhi's life and work was in Kutaisi, where he established professional theatre. In 1885 Kote Meskhi gathered permanent cast in Kutaisi and started to perform.

For 9 years (1885-1894) Kutaisi theatre existed only because of Kote Meskhi's organizational and directorial skill. In the history of Georgian Theatre his name is always connected with the numerous novelties: Kote Meskhi widened the views of Georgian Theatre, enriched the repertoire, held the great directorial-organizational work, improver rehearsals, deepened links between writers and theatre, found new power, introduced system of tours, gave actors salary. He himself was the type of a thinker, an educated actor.

In the 1st half of the 20th century nation's striving for freedom gave birth to "Renaissance of the Georgian Spirit", which appeared in every field including the theatre in the form of Kote Marjanishvili's work.

Kote Marjanishvili inherited high morality and purity, presentation of human soul on dtage which he preserved till the end of his life. The first theatrical fame came to Kote Marjanishvili in Kutaisi as well. The 21-year-old boy was invited to play in A. Duma's play "Son of Sin" by his cousin, the director, Kote Meskhi. "Kote started to prepare him for the debut. Marjanishvili said: 'If I fail and play badly, I'll leave for Tbilisi that very night so that no one sees me'".

Thirty three years later a new heater was established in Kutaisi, again by a descendant of Andria Marjanishvili. Marjanishvili offspring was born and settled in Kutaisi. The new state theatre was named after its founder, Kote Marjanishvili after his death.

On 25 September, 1922, after returning from Russia, Marjanishvili shared his ideas and views about art with his compatriots and colleagues. His main aim was to create the theatre that would make people happy.

According to the wish of Kote Marjanishvili and the society the second state theatre was established in Kutaisi.

The new season in Kutaisi was opened on 3 November, 1928 with Toler's play "We exist". Twenty seven plays were staged in Kutaisi theatre under Marjanishvili supervision. Nineteen of them belonged to contemporary authors.

The peak of Kote Marjanishvili's talent was his stage masterpiece "Uriel Akosta". Marjanishvili took Kutaisi theatre cast on tour to Ukraine and Moscow; that was their first tour outside the republic.

Kutaisi theatre existed for two seasons under Kote Marjanishvili'.

Kote Meskhi and Kote Marjanishvili had the only wish – true love for theatre and establishing the truth on stage, because the power is not in the God but in the truth, and the truth itself is God. The theatre was the asylum for their ever-seeking feelings.

With its truth and fair reforms Kote Meskhi and Kote Marjanishvili's work remained as a live legend for the directors of the past and the present.

Andria Marjanishvili's descendants dedicated their excellent talent and striving for stage art to the theater. Among them were stage masters Efemia Meskhi, Veriko Anjaparidze, director Nino Ganrekeli-Toreli, Babo Gamrekeli and theatre lovers David and Ivane Meskhi. They believed that the theatre had to serve people's fame. Their elements were striving for the new, facing the resistance and fierce fighting.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოჯგუა გ., **„კოტე მარჯანიშვილის დრამატურგია“,** 1977 წ., თბილისი.
2. ბუხნიკაშილი გ., **„წერილები თეატრზე“** , 1964 წ. თბილისი.
3. ბუხნიკაშვილი გ., **„თეატრალური ქუთაისი“,** 1976 წ. თბილისი.
4. ბურთიკაშვილის ალ., **„ლადო მესხიშვილი**“, 1962 წ. თბილისი.
5. ბურთიკაშვილი ალ., **„სცენის ოსტატები“,** 1951 წ. თბილისი.
6. გამეზარდაშვილი დ., **„ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“**, 1974 წ. ტ.II, თბილისი.
7. გარიყული მ., **„მოგონებები“,** 1955 წ. თბილისი.
8. გერსამია ს., **„ქუთაისის თეატრი“**, 1947 წ. თბილისი.
9. გერსამია ს., **„ეფემია მესხი“,** 1947 წ. თბილისი.
10. გვანცელაძე-ჯიქია **„მოგონებანი გარდასულ დღეთა“**, 1995 წ. ქუთაისი.
11. გოგიძე კ., **„აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა ლეჩხუმში 1912 წელს“**, 1979 წ. თბილისი.
12. გრიშაშვილი ი., **„ლიტერატურული ნარკვევები“**, ტ. III-IV, 1964 წ. თბილისი.
13. Ãðóçèé ñûíû, **,,Æèçíü çàìå÷àòåëüíûõ ëþäåé”**, 1961 ã. Ì îñêâà.
14. გუგუშვილი ე., **„კოტე მარჯანიშვილი“**, 1972 წ. თბილისი.
15. ვახვახიშვილი თ., **„თერთმეტი წელი კოტე მარჯანიშვილთან“,** 1976 წ. თბილისი.
16. კასრაძე ო., **„ცხოვრება სერგეი მესხისა“,** 1963 წ. თბილისი.
17. კიკნაძე ვ., **„კოტე მესხი“**, 1985 წ. თბილისი.
18. ლუნდბერგი ე., **„კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა და მემკვიდრეობა“**, 1960 წ. „მნათობი“ №6. თბილისი.
19. მარჯანიშვილი კ., „**შემოქმედებითი მემკვიდრეობა“**, ტ. I, 1957 წ. თბილისი.
20. მახარაძე ა. **„ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“**, ტ. I, 1972 წ. თბილისი.
21. მესხი კ., **„მოგონებები“,** 1987 წ. თბილისი.
22. მესხი ს., **„წერილები თეატრის შესახებ“,** 1959 წ. თბილისი.
23. მესხის დ., **„მოგონებები“,** 1940 წ. თბილისი.
24. მესხი ნ., **„მემუარები“,** 1947 წ. თბილისი.
25. მესხი ეფ., **„მოგონებები და წერილები“**, 1932 წ. თბილისი.
26. მეფისაშვილი გ., **„მესხების ოჯახი“**, 1970 წ. ბათუმი.
27. „მეცნიერება“, **„მასალები XIX ს. 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან**, 1981 წ. თბილისი.
28. ნიკოლეიშვილი ო., **„სერგეი მესხის ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი“**, 2005წ. ქუთაისი.
29. ნინიკაშვილი კ., **„ვერიკო ანჯაფარიძე“,** 1968 წ. თბილისი.
30. „საბჭოთა ხელოვნება“, №8, **„ლადო მარჯანიშვილი“**, 1984წ.
31. საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი, ფონ. 1, საქ. 3.6.900
32. სიგუა ს., **„ორფეოსი“**, 2005 წ. თბილისი.
33. „Òåàòðè è ì óçûêà” „ **Êîòå ìàðäæàíèøâèëè”** 1923 ã. ì î ñêâà.
34. ურუშაძე ნ., **„ვერიკო ანჯაფარიძე“,** 1957 წ. თბილისი.
35. ფირცხალავა ს., „**ნაწერები სერგეი მესხისა“**, ტ.I, 1903 წ. თბილისი.
36. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, საქმეები: №5261, 1798, 1826,, 1836, 2055, 5261, 0085, 0087, 0096, 0088, 70055/7. 4072/12, 7055/15.
37. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელმწიფო თეატრის მუზეუმის მასალები.
38. ყურულაშვილი ლ., **„ქართული თეატრი ბაქოში“**, 1974 წ. თბილისი.
39. ჩიხლაძე ნ., **„დომინიკა ერისთავი (განდეგილი)**“, 1960 წ. თბილისი.
40. ჩხეიძე უ., **„მოგონებები და წერილები**“, 1956 წ. თბილისი.
41. ჭეიშვილი ს. **„თეატრალური შტუდიებში“,** 2009 წ. ქუთაისი.
42. შარაძე გ., **„საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“,** 1986 წ. თბილისი.
43. შარაძე გ., **„უცხოეთის ცის ქვეშ“**, ტ.III, 1999 წ. თბილისი.
44. შარაძე გ., **„ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“**, ტ. II და III, 2001-2003 წწ., თბილისი.

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №40

მარიამ მარჯანიშვილი

დაიბადა 1983 წლის 26 მაისს წყალტუბოში.

2005 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ბაკალავრის ხრული კურსი სპეციალობით - ანგლისტიკა.

2007 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარული ფაკულტეტი და მიენიჭა პუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2007 წელს იმავე უნივერსიტეტის ხელოვნებისმეცნიერებათა ფაკულტეტი საქართველოდმცოდნეობის სპეციალობით.

2010 წლიდან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორანტი.

2001-2009 წლებში იყო საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის ბავშვთა ფონდის წყალტუბოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, წყალტუბოს პირველი საჯარო სკოლის ფედაგოგი, წყალტუბოს აიპ „ხიმუზეუმი გაერთიანების დირექტორი და ხიმეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. მარიამ მარჯანიშვილი არის ნიდერლანდების ხიმეფის ხერთიფიცირებული კინოთერაპევტი, თავისუფალი ფედაგოგიის ცენტრის ხიმკურნალო ფედაგოგიის ხერთიფიცირებული სპეციალისტი. 2009 წლიდან ქუთაისის ხახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ისტორიული კოლექციების ინვენტარიზაციის რეგისტრატორი.

2010 წლიდან პროექტი WEPD — „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და დემოკრატიზაციის საქართველოში“. ფონდი „ტასის“ მენეჯერი.

2004-2009 წლებში ინტეგრაციის თემაზე სამი პროექტის ავტორი.

გამოქვეყნებული აქვს 15 ხიმეცნიერო ნაშრომი, აქედან ერთი მონოგრაფია „ფემინიზმი და პოლიტიკური ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

ასევე სამი ხიმეცნიერო კრებულის რედაქტორი და ორასამდე პუბლიცისტური სტატიის ავტორი.

მარიამ მარჯანიშვილის კვლევის ძირითადი სფეროა XIX-XX სს. ქართული ინტელიგენციის კულტურული იერ-ხახე, ქართული დემოკრატია, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ევროპასა და ამერიკაში, ფემინიზმი და გენდერი.

9 789941 424298